



1873

პირველი წიგნი



~~საქართველოს~~

კრებული

სალიტერატურო ეურნალი

გამოცემის

ჩუბა ლიდაძე

6366
9959



თფილისი.

ბ. წერეთლის და აბს. სტამბაში.

1873

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го Апрѣля 1873 г.

პირველი წიგნის

შინაარსი.

- გვერ.
- I. — გლახის ნაამბობი. მოთხრობა თავი I—V. იდ. ჭავჭავაძისა 1.
- II. — ჩემს მეგობარს ნ...ს. ლექსი. აკ. წერეთლისა 96.
- III. — ნიკ. ბარათაშვილის წიგნები. ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა. 99.
- IV. — გლეხური სიმღერა. 114.
- V. — ნაპოლეონ მესამის ცხოვრება თავი I—II. ნ. სკანდელისა. 115.
- VI. — გარდაცვალებაზედ. ლექსი. ნ. დობროლიუბოვისა. 136.
- VII. — ჩვენი ცხოვრების ყვაილი. მოთხრობა. თავი XI—XV. გ. — თელისა. 137.

- VIII.—დასავლეთი ევროპის გონებითი და
ეკონომიური მოძრაობა თავისი მი-
ზეზებით XVI საუკუნეში. თავი III.
ნ. ცხვედაძისა. 205.
- IX. — აჩრდილი. პოემა. ხანა IV — VIII.
ილ. ჭავჭავაძისა. 268.
- X. — ახალი ახალგაზდობა ნ. სკანდელისა. 275.
-

უმთავრესი შეცთომები

1873 წლის «კრებულის» პირველს წიგნში.

გვერდზე.	სტრიქონში.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს.
22	ქვევითად 8	აკოცხლოს	აკონოს
33	ზევითად 5	მსახური	ღვთის მსახური
33	ზევითად 6	გადაუხადოს	გადაუხადოს
37	ზევითად 2	ზოგი	ზოგის
37	ზევითად 7	დაჯერებულიო,	დაჯერებულიაო, რომ
48	ზევითად 6	მაშინვე,	მაშინვე
52	ქვევითად 6	რა უფრო საქმისთევი ემოჰსცდები	რა უფრო საქმისთევის ემოჰსცდები

53	ზევიდამ	6	ვგვარ	ვღგვარ
56	ზევიდამ	4	თავმოშონე	თავმოშონე ბიჭი
67	ზევიდამ	4	ეწერა	და ეს ეწერა
74	ქვევიდამ	1	შავრათ	შავრამ
79	ქვევიდამ	8	შეოცა	შოცა
83	ქვევიდამ	9	დაიჯერა	დააჯერა
89	ქვევიდამ	6	იფიქრებდა	იფერებდა
93	ქვევიდამ	10	არ ვიცოდეთ	არ იცოდეთ
218	ზევიდამ	3	IV	არ უნდა იყოს.
231	ზევიდამ	8	ჯგული	ჯგული

გოახის ნაამბობი *)

«**წა ქნას კარგმა მონარდმა,
თუ ღუშაში ან მოუგა.»**

მე სწორედ ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან ისა ვარ. საკვირველად მიყვარს დაბურულ, ხმა გაკმენდილ ტყეში ხის ძირას ჯდომა და მილეულის გულის ცემით ლოდინი ნათვალევის ნადირისა. არის რალაცა მოუწყენარი სიამოვნება

*) ამ მოთხრობის დასაწყისი დაბეჭდილი იყო «საქართველოს მოამბეში.» ჩვენ გვინდოდა, რომ აქ მარტო გაგრძელება დაგვებეჭდა. მაგრამ იქნება «კრებულის» მკითხველებს ზოგს ან წაკითხოს ამ მოთხრობის დასაწყისი, ზოგს უთუოდ წაკითხულიც ექნება, მაგრამ შეიძლება იმისი შინაარსი ისე ცხადათ ან ახსოვდეს, რომ მოთხრობის გაგრძელების წაკითხვამ მის გონებაში ნამდვილი შთაბეჭდილება მოახდინოს. «საქართველოს მოამბე» ესაა ძნელად იშორება. ამიტომ ჩვენ ვბეჭდავთ მოთხრობის დასაწყისსაც.

რედ.

ამ ხალისიან გართვაშია. თუ გნებავთ ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველასა აქვს თანასწორი ნება ამ თვალ-მიუწდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა?... ტყუილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი სამღვთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიაო. კაცი მოსისხლეა, მეც კაცი-თაგანი ვარ. ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს და ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მისს თავისუფალს სილამაზესა. გადუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყევს ნაგეში ძაღლი. ძაღლს ექცევა საწყალი და ზედ-კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი. მორიღამევე ესმის იმის ფეხის-ცემა ყურ-მახვილ მონადირესა; ესმის და მის მოსისხლე გული ღელდება და ღელდება მეტის მოუთმენელობისა გამო. აი მოვიდა თოფის მანძილზედა,

ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა მისი და-
 ლონებული, ნალვლიანი თავი. ძალლი მოახლოე-
 და, იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმო-
 ეშო ბუჩქნარზედ. გგონია, აგიქცევს გზას და
 მიეცემა საყვარელის ტყის განსაცდელით სავსე
 თავისუფლებასა; მაგრამ არა. დაუშტვენ. მაშინ
 უნდა ნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რა რიგ
 საოცარ მშვენიერებით მოიღერებს კისერსა, რა
 გაფეოებით და იმედ-გადაწყვეტილად დაიწყობს
 ნალვლიანის თვალების ტრიალს, ყურების ცქვე-
 ტას, გაგანიერებულის ნესტოებით სულის აღება-
 სა!...ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია, და იმ სინა-
 ზესთან ისეთი მიმზიდველი ამაყიცა, რომა, გგო-
 ნია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული მაღლი აქვსო
 სულ ეხლა შემოიკრიფაო, რომ სიკეთით და
 თავის სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი
 დამალულ მტერსაო! მაგრამ კაცი მაგისტანა
 გულჩვილი არ არის, რომ მაგით მოტყუედეს.
 რაკი იყნოსა, კაცის სული აიღო, ირემმა დააპი-
 რა გაქცევა; მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირე-
 მი აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლალი

გაიფრთხო იმ ბალახებზედ, რომლის კალთაჲ შიაც პირველად აახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დაეხუჭა, რომ სამუდამოდ გამოესალმოს; ისინი იყვნენ ამის აკენად და ბოლოს საფლავადაც გადაექცნენ. უნდა ნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი რა რიგად უღრტვინველად და მშვიდადა კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლმორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღეთისა დიდია და ფართო.. რად შეგშურდა, რომ მეც უბოროტოს და მშვიდსა ამ ღეთის მიუწლომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?.. ეს სიტყვები აღონებდნენ გულს მინამდინ ღელა-მიწა შეიშრობდა სისხლსა დაღვრილსა და, როცა შეიშრობდა, მეც-კი მომაგონდებოდა, რომ ჩვენ თვითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თვითონ ქმნულებათა გვირგვინნი, ჩვენ თვითონ ღეთის სახისანი ერთი ერთმანეთს არ უთმობთ იმ ადგილსა, — რაკი მოვიგონებდი, რომ ყოველკაცის ნაფეხურსა ერთი მუჭა კაცისავე სისხლი შეუ-

შერია, მაშინვე დამიდინჯდებოდა გული და გამართლებული ვიტყოდი: «ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იჭა კვდები, სადაც დაიბადე, ჩვენ კაცები ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებული ვართ.»

I

ჩვენ სოფელს ქვემოლამ ერთი ხუთმეტრიოდ ვერსტი რომ გაგველოთ, კაი სანადირო ადგილები იყო. რა იქ?...ყველგან ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში, «სადაც, გლეხისა არ იყოს, ქრისტე ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბლერტია,» ყველგან კაი ადგილებია. რაც გინდა არის: დაიწყეთ მოხდენილ ირმიდამ და გაათავეთ დარბაისელ გარეულ ღორითა, ან გულის-ხმიერ დათვითა. ფრინველს ხომ თელა არ უნდა. მაგრამ ჩვენ სოფელს ქვემოლამ რომ ესტქვი, ის ალაგები მეტად მიყვარდა. კარგად ვიცოდი იმათი ვითარება და შენიშნული, ნათვალევიც მყვანდა იქ ნადირი. ორის-სამის დღით წავიდოდი ხოლმე; როცა დამიღამდებოდა, აებრუნდებოდი ერთ პატარა სოფელში, სადაც მყვანდა ერთი პატროსანი გლეხ-კაცი ნათელ-მირონად. ღამეს იქ გავატარებდი და მეორე დილას, ტრედის ფრად რომ ინათებდა, დავეშვებოდი თავ-თავქვე სანადიროდ. ორი თვე აღარა ვყოფილვარ იქითკენ,

ბოლოს მომინდა წასვლა. ერთ მშვენიერ ზაფხულის დალას ვახსენე ღმერთი, ავიღე ორლოულიანი შტუტრის თოფი, დაეუძახე ჩემ მეძებარს და წავედი.

იმ ჩემ ნათლიმამის სოფლის სათავეში, ორლობეები რომ იწყობოდნენ, ზედ საურმე გზის პირას, იდგა ერთი ძველი საბძელი, გომურზედ მოდგმული, გომურის ჩასაველში ჩარდახსავით იყო წინ წამოწეული. ამ საბძლის გარეშემო ადამიანის კვალი არა ჰსჩანდა. ის იყო, მგონია, აყრილი კაცისა, ან ამოწყვეტილისა, თავმინებებული და პატრონსავით დავიწყებული. რასაკვირველია, ხშირად შემხვედრია ამ საბძლისაკენ ავლა და ჩამოვლა, რადგანაც ზედ გზის პირას იდგა; მაგრამ, აი რამდენჯერ ამივლია და ჩამამივლია, არც ერთხელ არც ერთი სულიერი მე იქ არ დამინახავს. თუ იქნებოდა, ისიც ხანდისხან ზურგ წამხდარი, დაჭლევებული გლახ-კაცის ცხენი, რომელიც უილაჯობით შორს ვერ წასულიყო და საბძლის გარეშემო ჰსჯიჯგნიდა გოლვისაგან გადამხმარ ბალახსა. ეხლა-კი რომ ამო-

ვიარე, ჩემდა გასაკვირველად, დავინახე ერთი კაცი, გომურის კარებთან მიწოლილი. ეგ არაფერი. დილაზე ჩამოვიარე, შევიხედე, ის კაცი ისევ ისე მწოლარე დავინახე. სალამოზედ, ჯერ ბინდი არ მორეოდა სინათლესა, ამოვიარე, ის კაცი ისევ ისე ვნახე. გამიკვირდა უფრო იმიტომ, რომ იმის მეტი იქ არავინ მოჩანდა. დავაპირე, ამაღამ უთუოდ გამოვჰკითხამ ჩემ ნათლიმამას ამის ვინაობას მეტქი. ჩემ კითხვაზე ნათლიმამამ მომიგო:

— რა მოგახსენოთ, შენიჭირიმე! მაგის ვინაობა აქ არავინ იცის. ეგ ვილაც გლახა არის დაერდომილი და უპატრონო; სნეულია, მოსულა და მანდ შეჰკედლებია, აი ეს თუნდ თვე ნახევარი იქნება.

— სულ მარტოდ მარტო არის?

— რა ვიცი, შენიჭირიმე! მანდ კი გულშემატკივარი არა ვინა ჰყავს და.

— მაშ ვინ აცხოვრებს?

— ქვეყანა. იმ გზაზედ ხალხის ფეხი არ მის-
~~სულია~~ ამითილო-ჩამომკლელი არ დაილევია: ერთი

ღვთის კაცი იქნება ვინმე და მიუგდებს ორი-
ოდე ლუკმა პურსა; ისიც მეტს არაფერსა თხო-
ულობს, ცარიელ პურითაც იოლად მიდის.

— აქაური ზომ არ არის?

— ჩასა ბძანებთ!... აქაური რომ იყოს, ისე
როგორ გაწყრებოდა ღმერთი, რომ თავისიანი
არ მიეცა. არა, აქაური არ გახლათ.

— შენ გილაპარაკნია იმ კაცთან?

— რატომ? მილაპარაკნია.

— თავის აფალი არა უთქვამს რა?

— არა. მაგრამ კაი სიტყვის კაცი კი ყოფი-
ლა ის უბედური.

— იქნება შენ თითონ არ გამოგიკითხავს?

— როგორ არ გამომიკითხავს. «მეო, ერთ-
ხელ მითხრა, ერთი დავიწყებული კაცი ვარ,
რად გინდა ჩემი ვინაობა? შამომხედე, ჩემო
ძმობილო, და მიცანიო.» სხვა არაფერი უთქ-
ვამს თავის თავზედ; მეც აღარა გამომიკით-
ხავს რა მასუკან. მგონი, თავს იმალება.

მე გამაოცა ამანა. მე ბუნებითაც ცნობის-
მოყვარე ვიყავ და ახლა იფიქრეთ, ამ ნათლი-

მამის ნაწყვეტ სიტყვებმა როგორ აღმიძრეს გული იმ კაცის ამბავის შესატყობრად. რა უნდა ჰქონოდა თავის დასამალავი? ფუქრობდი გულში. გავიძრახე, რომ თითონ გლახას, რაც უნდა დამემართოს, გამოვათქმევინო თავისი ვინაობა.

ერთხელ ტყუილ-უბრალოდ ნათრევ ნახეტი, დაღლილი და ხელცარიელი მოვდიოდი ჩემ ნათლიმამისაკენ. ჯერ მზე ისევ მაღლა იყო, კალოს ხარის გამოშვების დრო იქნებოდა. ის უბედური კაცი ისევ ისე მწოლარე იმავე ადგილას დავინახე ვეღარ მომითმინა გულმა, ეჭსთქვი, რაც უნდა იყოს, მივალ, იქნება ვათქმევინო. რამე: მაინც ცოტად დაღლილი ვარ, ნათლიმამის სახლამდინაც კაი მანძილი იყო კიდევ. სხვა არა იყოს რა, ქარს მაინც ამოვალეზინებდი დაღლილ მუხლებსა. მივედი, «გამარჯვება» გუთხარი.

— ღმერთმა გადღეგძელოთ, მიპასუხა იმან სწეულის ხმითა და წამოიწივა პატივსაცემლად, რადგანაც თავადის შვილი ვეგონე.

მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეა-

წუხა, თითქო ტკივილები აეშალნენო, ისე მტკივნეულად შეიკრიფა წარბები და დაელმიჭა გაყვითლებული სახე. ის იყო სრულიად დათენთილი სნეულებისაგან. ყვითელი სახე, შიგა და შიგ ტელაპსავით ჩაჩნეული, შეშუპებული ჰქონდა, როგორც წყალ-მანკის მქონესა: თმა და მოზდილი ჭაღარა წვერი ჭუჭყისაგან ისე გასქელებოდა, თითქო იმის თმას თავის დღეში არც წყალი მოხვედრიაო და არც სავარცხელი. რუსის ფარაჯის ნაგლეჯებში იყო გახვეული ის უბედური, ქვეშ ეშალა ლეკურის ნაბდის ნაგლეჯი. გვერდთ ედგა ერთი პირ-მოტყუხალი ლიტრა, იქვე ეგდო რუსული სხვილი ტილოს თოფრაკი და ერთი მოზდილი კომბალი—ეგ ერდგული და უმუხანათო თანა-მგზავრი ყოველის უბედურისა. ძალიან გაქედილი ჰსჩანდა დაუნდობელ ცხოვრებისაგან, მაგრამ იმასში რალაცა იყო იმასთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ქარიშხალსა ჯერ კიდევ არ გაუქრია სულის სიცხოველე და სიძლიერე. მისი დაღლილი და არ უგონო თვალები, პირმქუშად და

შეწუხებულად მაყურებელნი ჭავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა; ეტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი აედარი შესწრებია და გამოუვლია, მაგრამ არც ცეცხლს და არც აუდარსა ისე არ მოუკლავთ, როგორც შეეძლოთ. საზიზლარი სანახავობა ჰქონდა, მინდა ვჰსთქვა, საცოდაეცა, მაგრამ ამის თვალების სიამაყეს ვერ ვაკადრებ მაგას. დიდრონი შიშველი ფეხები საცოდავად ასივ-ზოდნენ. დახეთქილ წყლულიდამ ჩირქი ზდიოდა. ღმერთო შეგცოდე, ეს რომ დავინახე თვალი მოვარიდე, ისე მეზიზლა:

— გეზიზლები განა, შე კაი კაცო! მკითხა დაგვემილის ხმით. მაგრამ მე ის ხმა გამკიცხავ ზმად მეჩვენა. მე შევხედე და ერთი მწუხარე, თუ მძულვარე ჩემი შემარცხენელი ღიმილი დამხვდა იმის სახეზედა. მე შემრცხდა და მაშინვე თაფი დავიხარე, ვერ გავუძელი იმის თვალების მკაცრს მეტყველობას. ვჰკრძნობდი, რომ ჩემ სულმოკლეობის სირცხვილმა სახეზედ ცეცხლი მომიკიდა ამ კაცის თამამ კითხვაზედ. მე მასუხი არ მივე, და ან რა უნდა მეთქო?

— მართალი ბძანდები, განაგრძელა იმ უბედურმა, თითქო მე შევეცოდეო, ჩემ დასამშვიდებლად: მართალი ბძანდები! ცოცხალს კაცს მატლი მეხვევა!...თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი, შენი რა საკვირველია!

ამან ვერ დამიშოშმანა სულ-მოკლე გული, თუმცა თითქო უგუნური ქცევა ჩემი თითონვე გამიმართლავ. მაგრამ ვაი იმ გამართლებასა!...გული უფრო ამემღვრა, მე იმ წამს ჩემი თავი შემძულდა. რას ბძანებთ?.. ჩემ წინ ნახევარ-მკვდარი კაცი იღო, ეგრე უნუგეშოდ დარჩომილი. იმას ისე ეჭირებოდა გულმტკივნეული ქცევა და თბილი სიტყვა, მე კი მხეცურად თვალი მოვარიდე და შევიზიზღე, მოდი აქა და თავი გაიმართლე? უნდა წამომდგარიყავი და ბოდიშით შემენანა ჩემი მხეცური ქცევა, მაშინ გაემართლდებოდი, მაგრამ სულის ღონე ჩემი ამ პატიოსნურის საქმისათვის უძლური იყო. სუსტი, რომ იქნება კაცი, იქნება!...

— მე ეს ოთხი თვეა, რომ ასე ვარ, დაიწყო კიდევ: დამიგდო ავად-მყოფობამ და ამ დღემ-

დინ მომიყვანა. ესე უზატრონოდ ამ დაქცეულ
 ჩარდახისა ქვეშ ამომდის სული. ამოდენა
 დედა-მიწის ზურგზედ დამტირებელი არა მყავს,
 სიკდილსაც ისე დავაფიწყდი, როგორც კაცსა;
 ველი და არ მოდის. ისიც კაცისავეთ კეთილი
 ყოფილა: როცა გიჭირს, მაშინ გემალება. ნუ
 მოვა, მე უფალმა იმოდენა ღონე კიდევ შე-
 მარჩინა, რომ ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის
 კარებამდინ მივიტან. ეს კია რომ, სადაური სა-
 და ვკვდები!...

«ვაი სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაბრუ-
 ნებ, რა ზნე გჭირსა?
 ყოვლიმც შენი მონღობილი ნიადაგმცა ჩემებრ
 სტირსა;
 სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფუხვრი სადით
 ძირსა,
 მაგრამ ღმერთი არ გაჰსწირავს კაცსა შენგან
 განაწირსა!

— მართალი უთქვამს ამის მთქმელსა შენი
 ჭირიმე! თუ ქვეყანამ პირი უკუმარიდა და არ
 შემიკედლა, ღვთის კალთა ხომ ფართოა!.

ეს რომ თქვა, ღმერთს შეხედა. მე აბა, წარმო-
იღვინეთ, რა რიგად გამიკვირდებოდა ძონძებში
გახვეულის გლახისაგან ეს «ვეფხვის ტყაოსანის»
სიტყვები!... ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას,
რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუ-
გეშებს საფლავის კარამდინა! მშვიდობა ძლიერ-
სა სულსა შენსა, უკვდავო რუსთაველო!

რაექნა? ვჰსთქთვი ჩემ გულში: ეს კაცი ის არ
უნდა ყოფილიყო, რაც ეხლა არის. ცნობის
მოყვარეობა ჩემი წრეს გაჰსცილდა, მერე იმანაც
სიტყვა თითონვე ისე გამიგძგლა, რომ იმედი
მომეცა გამომეთქმევიანებინა რამე. მინდოდა მე-
კითხნა, მაგრამ ვერ გაგებდე: შევატყე, რომ
დიდბნის ცნობილმა ქარმა უეცრად მოჰბერა
გამოვლილი სევდა. ჯერ ვამჯობინე სევდის
ღრუბელი გადეყარა, მერე მეკითხნა ვინაობა.
ბოლოს ისევ ჩემკენ მობრუნდა და დიდბანს
დამაცქერა შავი თვალები, მე ისე მეჩვენა, ვი-
თომც სახის მეტყველება შესცვლოდა. ეხლაკი
დრო იყო, მგონი, დამეწყო საუბარი, მაგრამ
ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ მოვაყოლო და ვე-

რა მოვაგვარე რა. ხომ ესეა ეს ოხერი, როცა გიჭირს, ხერხიც მაშინ გეკარგება და ღონეცა. ბოლოს ვჰსთქვი: დაეწყო, ჯანი გავარდეს, თუ უხერხოდ მომივა.

— შენ, ძმობილო, ვუთხარი მონაწილეობით, აქაური არ უნდა იყო, თორემ თავისიანი როგორ დაგელეოდა?

— მართალი ბრძანებაა, მიპასუხა იმან: მე აქაური არა ვარ, ჩემი ქვეყანა აქედამ შორს არის; მაგრამ იქაც რომ ეყოფილვიყავი, ესე ოხრად ამომივიდოდა სული, იმიტომ რომ იქაც ისე აღარა ვინა მყავს, როგორც აქა.

— დიდი ხანია, რაც ამ მხარესა ხარ?

— კარგა ხანია, ბატონო!... აი ხუთი წელიწადი უნდა შესრულდეს ამ შემოდგომაზედ, თუ მინამდინ დამცალდა. დიახ!... ხუთი წელიწადი იქნება, რაც სამუდამოდ დამაკარგვინეს ჩემი მიწა-წყალი. თუნდ რომ მე ვაპატიო, ღმერთი მაინც მოჰკითხავს, ვინც ვგ სიკეთე მიყო.

— როგორ თუ დაგაკარგვინეს!... განა ძალათა ხარ გამოგდებული?

— ეგ რომ გითხრათ, მითამ ჩემი ამბავი მიამბნია.

— თუნდ რომ მიამბო, რა დასაძრახისია?

— არა, განა მაგას მოგახსენებთ, მაგრამ მე არ მინდოდა ჩემი ამბავი ვისთვისმე მეთქო. ეს ისეთ ნაირად ჰსთქვა, რომ მე იმედი მომეცა დაწვრილებით თქმევისა, თუ რომ ცოტად მაინც ძალას კიდევ დავატანდი.

— რატომ არ გინდა? რისა გეშინიან?

— ჰმ, ჩაიციანა გლახამა: რისა უნდა მეშინოდეს?..

— მაშ რა გაბრკოლებს? თქვი, თუ ღმერთი გწამს, დაველრიჯე მე, რომ ვერა გაეხდი რა: რა-წამსაც დაგინახე, ღმერთია მოწამე, გული შენკენ მომიბრუნდა, თუმცა...

— თუმცა რა?

— არაფერი.... მე მინდოდა მეთქო, რომ შეგატყე წუთის სოფლისაგან დაჩაგრული ხარ, — გაუსხვაფერე მე სიტყვა: მიამბე ვინა ხარ, გულნაკლულად ნუ გამიშვებ...

— ვინა ვარ?... მომიგო მან და შედგა, თითქო თქმა არ უნდაო.

II

— მე სწორედ მოგახსენოთ, დაიწყო ხელახლად გლახამა, ჩემს ვინაობას არ გეტყობდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოვებულიყო. ვიცი ჩემი დღე დათვლილია. თუმცა ძალიან კი მეძნელება თქმა, მაგრამ რა გაეწყობა? გულში გაიღვიძა კიდევაც ძველებურმა საქმემა და ეხლა რალა დღოს დამალვაა? თუნდ ეგ არ იყო, ეხლა აღარაფრისა მეშინიან, თუნდა გამცე კიდევ. მე როდესღაც ვფიქრობდი ჩემის ვინაობის დამალვასა, როცა სიცოცხლე ტკბილი იყო ჩემთვისაც, როცა იმედი მქონდა, რომ ქვეყანაზედ მეცა, როგორც იქნებოდა, შრომით, თუ ოფლით, ვიყიდდი ლუკმა პურსა და ისე დავლევდი წუთის სოფლის დღესა. ეხლაკი, როცა სიცოცხლე ბალღამსავით გამიმწარდა და ის ერთად ერთი, ჩემსავით

ობოლი იმედი წამართო ჟამთა ვითარებამა, ეხლა მე ფიქრი აღარაფრისა არა მაქვს. გეტყვი ყოველ ჩემ გარდასავალს და დაე ღმერთმა ეს აღსარებად მიმიტვალოს, თუ რამ შეეცოდე და მონანება ვერ მოვასწარ, — შემინდოს. მე ვარ ნაყაჩადვეი. ჩემი თავი ერთ ღროს წმინდი გიორგის ჯვარად იყო დაფასებული, მაგრამ, ხომ მხედავთ, შესყიდულმა ტყვიამ აქამდისინ ვერ მიპოვა. მე, მართალია, ვიყავ ერთ ღროს კაი მოსხეპილი, ხელმარჯვე ბიჭი, ძალი და ღონე ყველაფერში შემწევდა, მაგრამ, ღვთის წიმაშე ვადვიარებ, მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი. იქ ასეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შვილი მოუკლა და ხელი არ აგიკანკალდეს. მე იმისთანა არ ვიყავ: გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე, მე ყმაწველობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვა რიგად გამითბო გული; მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მიპატრევა, მეც დავკარ ფეხი და გავვარდი ყაჩაღად.

— «მე კახელი არ გახლავარ, მოჰყვა კვლავ

მცირე ჩაფიქრების შემდეგ: ჩემი მიწა-წყალო, როგორც მოგახსენეთ, აქედამ შორს არის, და ვაი რომ ჩემ სიცოცხლეში იმ მიწას ველარ ვინახულებ და იმ წყალს ველარ დავეწაფები!... შვილის წლიდგან მოკიდებული ოც წლამდინ ჩემი განთიადის დღენი ბატონის სახლში დამილამებია. ის ღმერთმა იცის ცაში, და დედა-მიწაზედ მე, რაც მე იქ გულმტკივნეულად მიწეწენია უღელი; მაგრამ დამნახავი ვინ იყო, მაღალ ღვთის მეტი? თავდაპირველადვე ამაღეწენეს ჩემოდენა ბატონის-შვილსა, დათიკოს. კაი მოგეცათ, კაი ბაშვი ის იყო პატარაობისას. ჩემი წყენა ბატონის სახლში არავის შეეძლო: დათიკოს რომ უყვარდი, ყველას იმისი რიდი ჰქონდა. დათიკო, როგორც მოგეხსენებათ მამის-ერთა ბავში, მეტი გაზვიადებული რამ იყო, განებიერებული, ერთს ალიაქოთს ასტეხდა ხოლმე, რომ ჩემთვის ეწყენინებინათ რამე. მე სწორედ მოგახსენოთ, ძალიან შევიჩვივე ჩემი პატარა ბატონი, იმანაც შემიჩვია ასე, რომ ბოლოს ეს შეჩვევა მე სიყვარულად

გადამექცა. ყმაწვილის გული, შენი ჭირიმე, ადრეულა ყვაფილსა ჰგავს: მზე დახედავს თუ არა, გაიშლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულამდე და ადრეულად დააჭკნობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახელში გათბა და ამ სიტბომვე ბოლო მომიღო. თუნდ ეგ არ იყოს, შინისაკენ მე გული არ მიმიწევდა. იქ ასეთი სულთამხუთავი დედინაცვალი მეჯდა, რომ როცა კი მოვიგონებდი ჟრჟოლას მომგერიდა მარიამობის თვის ცივებასავით, ბატონთან კი განებიერებული ვიყავ ბატონის შეილისავით. დათიკოს უყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უნცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოდს!... ეს რო მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამა-პაპის სალოცავსა, გულში ნალველას ჩავიწურებდი და იმის სიყვარულს კი იქ არ ვაფატარებდი. მაშინ რა ვიცოდი?..

— «თოთხმეტის წლისა შევიქენით ბატონი და ყმა, როცა ქალაქში სასწავლებლად დათიკოს გაგზავნა დიდმა ბატონმა დააპირა. მეც, რასაკვირველია, თან უნდა გავყოლოდი. მამა ჩემმა რომ შეიტყო ესა, იახლა ბატონს და ჩემი თავი ჰსთხოვა. ხომ მოგეხსენებათ: გლეხკაცისათვის თოთხმეტის წლის ბიჭი ოჯახობაში განძი არის. თუ ბიჭი პატარა მადლიანია, ამ ხანში კარგად შეიძლებს გლეხკაცის ჭირის და ლხინის განახევრებასა. თუნდ ეგ არ იყოს, მამა ჩემს პირველ ცოლიდამ მარტო მე დაერჩი, და მგონია, ვეძნელებოდი, არ ვემეტებოდი შორს გასაგზავნად.

— «დიდი ბატონი— ღმერთმა აცოცხლოს— მეტი გულთბილი კაცი იყო. ჩემი დათიკოსთან მოშორებაც ეძნელებოდა და მამა ჩემიც ეცოდებოდა. ის დალოცვილი მე მომიბრუნდა და მიბძანა: გაბრუშკი! თუ არ გინდა დათიკოსთან წასვლა, აქ დარჩი მამა შენთან, მე ძალას არ დაგატან. ვიცი ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა ვუყოთ: შეილი მამისა არის. ამისთანა კე-

თილი იყო ის კურთხეული! ბატონის კაცის
შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა, მაგრამ
ის კურთხეულის შვილი სხვა გულის პატრო-
ნი იყო...

მე აღიმული ამივიდა სახეზედა, ბატონი
თითქმის მამა ჩემს მოუბილდა და ვაი თუ
აქ დამაგდონ, მეთქი. ის კი არ იცოდნენ: მე
დათიკოსთან სიკვდილი მერჩინა ჩემ დედინა-
ცვალთან ასის წლის ცხოვრებასა. გული მე-
ტკინა, მახსოვს თვალეებში ცრემლიც მომერია,
ვჰსთქვი ჩემ გულში: გამიწყრა ღმერთი, ისევ
ჩამაგდეს იმ ქაჯის ხელშია! მაგრამ ღმერთმა
უშველოს, დათიკომ დამისხნა ცეცხლისაგან.
ის თავდაპირველადვე ერთი ამაყი, თვით-რჯუ-
ლი ბაშვი იყო, რასაც იტყოდა, იტყოდა, მო-
კვდებოდა და თავის ქეიფზედ კი გაივლიდა. მე
რომ დაეჩუმდი, დიდ-ბატონს ის მიუბრუნდა
და თამამად უთხრა: თუ გაბრუშკას არ გამა-
ტანთ, მე ქალაქში წამსვლელი არა ვარ. გა-
ჯიუტდა ეს ყმაწვილი, ზედ გადააკვდნენ და
ვერ გადაათქმევინეს ნათქვამი. რა ექნა დიდ-

ბატონსა? მამი ჩემისაც ეხატებოდა და თავის შვილის ამბავიც იცოდა. ბოლოს რომ ვერა გააწყორა, ბატონმა ისევ მამი ჩემის წყენა ირჩინა და უთხრა თავისებურად გულმტკივნეულად: ხომ ხედავ, ჩემო დათო, დათიკო ისე შეჰჩვევია შენს შვილს, რომ მოშორება ეძნელება. დაე წავიდნენ! კარგია, რომ პატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეჩვევიან: ყმისათვის ბატონთან შეზდილობა დიდი ზურგია. ნუ დაუშლი, თუ ღმერთი გწამს, დაე უყვარდეთ ერთმანეთი.

მამა ჩემსა ვერაფრად ეჭაშნიკა ეს ნაუბარი ბატონისა; უგემურად გაიქნია თავი და ისე გაჯავრებული და გულაყრილი წავიდა, რომ, როცა ქალაქს მივდიოდი, არც კი მინახულა, ეგ, გითხრათ ჩემი გულქვაობის ამბავი, სულაც არ შევიმჩნიე მაშინ; ბოლოს კი ბევრი ვინახე. ის-ის იყო მამა ჩემი თვალით ვეღარა ვნახე: იმავ წელიწადს ამოიჭამა წუთის სოფელმა, და მე ისე, მშობლისაგან შეუნდობარი, უთვისტომოდ, ობლად, მარტოდ-მარტო დავრჩი ამ

ტრიალ ქვეყანანაზედა. ამ თვალ მიუწდომელ დედა-მიწის ზურგზედ ერთი დათიკოლა დამ-
რჩა. მე იმაზედ დავლიე ობოლი გულის სიყვა-
რული!...

ჩავედით ქალაქშია. ჩვენ დაგვაყენეს დიდ-ბა-
ტონის ნათლი-დედასთან. ის იყო ერთი ლა-
რიბი, ქვრივ-ოხერი, ხნიერი დედა-კაცი. ერთი
ვაჟი შვილი ჰყოლოდა თურმე და ისიც შეჰ-
შურებოდა იმისათვის ბედსა და წაერთმევა სა-
წყლისათვის. ორ ოთახიანი სახლი ჰქონდა
მტკვრის პირას. მე რომ მიკათვალ-მოვათვალ-
ერე იქაურობა, ვჰსთქვი ჩემ გულში: აქ, მგო-
ნი, ჩვენ კუჭს ვერ გავიძღობთ. მერე დათიკო-
საც ვუთხარი ეგა, იმან გამიცინა და მითხრა:
თორმეტი თუმანი უნდა გაქლიოთ წელიწადში
და წლის სამყოფი პური და ღვინო. როგორ
შეუძლიან მშვირები დაგეყაროს? მართალი უნ-
და თქვას კაცმა, ის დალოცვილი ისე გვინა-
ხავდა, როგორც საკუთარ შვილებსა. ღმერთმა
მშვიდობა მისცეს იმის სულსა!...

დათიკო ყოველ დღლით სკოლაში მიდიოდა,

სადილად შინ მოვიდოდა, სადილს უკან წავი-
 ლოდა, ზარების დარეკის დროს ისევ შინ დაბ-
 რუნდებოდა. საწყალს რაღაც რუსული ტანი-
 სამოსი ჩააცვეს; ძალიან ითაკილა პირველში,
 ასე რომ ერთხელ შემომტირა კიდენაც, მაგრამ
 ზომ მოგეხსენებათ კაცის ამბავი, ყველაფერს
 მალე შეეჩვევა, ისიც შეეჩვივა. მე ბევრი საქმე
 არა მქონდა. რაკი ლათიკოს სკოლაში გავის-
 ტუმრებდი და სახლს დაეგვიდი, მთელი დღე
 ისე გულ-ხელ დაკრეფილი ვიჯექი. ხანდისხან
 იქნება ბაზარში გავეგზავნუ დედაბერსა მწვანი-
 ლის სასყიდლად, სხვას ყველაფერს თითონა
 ყიდულობდა. მეც, რაკი ჩემს საქმეს ბოლოს
 მოვუღებდი, ავიღებდი თავსა და ქუჩის პირას
 ქვაზედ ჩამოვჯდებოდი, თვალებს ავაყოლებდი
 ამვლელს და ჩამომვლელსა, როგორც მოგეხსენ-
 ებათ უსაქმო კაცის ამბავი. ჩვენ ქუჩიდამ ერთი
 ვიწრო ქუჩა აუბრუნდებოდა და იქვე ერთი პატა-
 რა საყდარი იდგა, იმის დაჰსწვრივ ჩვენკენ. ამ
 ორ ქუჩის კუთხეში ერთი უშველებელი, დიდი
 ალაყაფის კარებიანი სომხის სახლი იყო. იქ

ხშირად მინახავს ერთი მოზდილი იმერლის ბიჭი. უფრო სალამოს ხნობით გამოდიოდა, დაჯდებოდა კარების დირეზედ და სულ რაღაც ხელნაწერსა კითხულობდა. მე ძალიან უამიკვირდა: ვინ ბიჭი, მეთქი, და ვინ წიგნის კითხვა!.. მე მაშინ ბრიყვსა წიგნი მარტო სათავადო ხელობა მეგონა, თურმე, ნუ იტყვით, ჩვენ ისტანა საწყალ კაცის შეფერებაც ჰსცოდნია. ღმერთო მალალო! სადაც კი შენი მადლიანი ხელი ურევია იქ ყველაფერი საყოველთაეო ყოფილა!

ერთხელ კვირა დღე იყო. დათიკო სადღაც წავიდა და სალამომდინ შინ არ შემოუხედნია. იმან როგორღაც ორიოდ თვეს შემდეგ ხშირად დაიწყო გარე-გარე სიარული და ხანდისხან მამლის ყივილამდინაც არ შემოვიდოდა შინ. მეგონი, მაშინ იმას სწავლაზე გული აცრუებულთა ჰქონდა. კვირა დღე იყო, როგორც მოგახსენე. მე შინ საქმე არა მქონდა რა, გამოვედი ქუჩაში. ჯერ ჩვენ საყდარში წირვა არ გამოსულიყო. გავედი თუ არა, ის იმერლის ბიჭი ნიგნით ხელში

ქვე დამხვდა, საცა უწინ ვხედავდი ხოლომე. მეც აქედ ქუჩის პირას ქვაზედ ჩამოვჯექ და დაუწყე ცქერა. ის ბიჭი თვალ-აუღებლივ კითხულობდა; ხან ჩაიცინებდა, ხან ისევ გაუცინებლივ დაჰსცქეროდა მუხლებზედ გადაშლილ ნაწერსა. მე გულმა ევლარ მომითმინა, მივედი იმასთან და გამარჯვება ვუთხარი: იმანაც, რასაკვირველია, სალამი მამცა.

— შენი სახელი, ძმობილო? მკითხა იმან.

— გაბრიელ. შენი? ახლა მე ვკითხე.

— გლახუკა.

— სადაური ხარ?

— რაჭველი შენა?

— მეც ვუთხარი სადაურიცა ვარ.

— რაჭველი?.. მაშ მოჯამაგირედ იდგები, დავუმატე მე.

— დიახ, სომეხთანა ვდგევარ. შენა?

— მე? ბატონის შვილს ვახლავარ.

— აი ყმაწვილი რომ დაიარება იმას?

— იმას.

— დიდი ხანია ქალაქში ხარ?

— კარგა ხანია. შენა?

— მე თუნდა ორი წელიწადია აქა ვარ.

— მეც ერთი წელიწადი იქნება აქა ვარ და რატომ აღრევ არ მინახვიხარ?

— აქ არ ვიყავი. ჩემი ალა კარგა ხანი იყო კახეთში და თან ვახლდი. ეხლახან ჩამოვედით, ორი თვე არ იქნება ჯერ კიდევ.

— კიდევ იმიტომ. ეგ რა არის? ვკითხე და დავანახვე წიგნი.

— ზღაპრების წიგნია, ჩემო ძმაო! საქმე არა მაქვს და გულს ამაში ვართობ.

— აბა, თუ ღმერთი გწამს, წაიკითხე, მეც გავიგონო, ვუთხარი მე ზვეწნითა.

დამიჯერა იმ კაი კაცმა და დაიწყო ისეთ ნაირად კითხვა, რომ ღმერთო შეგცოდე, შური მომერივა. ეგ კიდევ არა ფერი: ყური-ვუგდე, და ის რასაც კითხულობდა თითქო მეცნოო, თითქო სადღაც უწინაც გამეგონოსო. გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორედ ჩვენ სოფელში გამეგონა. არ ვიცი რად, მაგრამ გული კი სი-

ხარულით გადამიტრიალდა. «დალახერა ღმერთ-
მა, წამოვიძახე უცებ, ჩვენი გლახური ზღაპარ-
ი აქ სად მოსულა?...» ღიახ, ჩვენი მდაბიო
ზღაპარი გახლდათ. იმერლის ბიჭმა ჩაიცინა
ჩემ სიტყვაზედა.

— ეგრეა ჩემო გაბრიელო! მითხრა გლახუ-
კამა: წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენ
სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქი-
სას—სოფელში წაიღებს; საიღამ სად კაცს კაც-
თან გაალაპარაკებს.

— მართალი ყოფილა, როგორცა ვხედავ,
ფუთხარი მე: მაგრამ... ჩვენი ზღაპარი!... აი
დალახერა ღმერთმა, წიგნში ჩაწერილა! აბა
ერთი კიდეც წაიკითხე.

კიდევაც წამიკითხა იმ დალოცვილის შეილ-
მა. რა გავაგრძელო, იმ წიგნმა. თავი შემაყვა-
რა. ისე ჩემ გაჩენაში არა მინატრია რა, რო-
გორც იმ დღეს წიგნის კითხვა: მე ვინატრე:
მშურდა, გეტყვით ჩემ გულის სიძუნწეს, რომ
ის ისე თამამად კითხულობდა და მე კი ისე
უხეიროდ დავებეტებოდი. ბოლოს, გულის წა-

დილს რომ ველარ გავუძელ, მივეარდი ზედ გლახუკას და დაველრიჯე:

— თუ ღმერთი გწამს, მოდი ერთი მადლიანი საქმე ჰქენ და წიგნი მასწავლე. მე ერთი ობოლი ბიჭი ვარ, თუ მე ვერ გადაგიხდის სამაგიეროს, ღმერთი ხომ დიდია!..

რას ბძანებთ?... მაინც ისე უსაქმოდ ვალამებდი ჩემს დღეს. მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძალიც არ დაჰყეფდა.

— მართლა გულითა ხარ მოწადინებული? მკითხა გლახუკამ.

— რას ამბობ? მოწადინებულიო!... ზედ დავაკვდები, შენ ოღონდ ეგ სამადლო საქმე მიყავ! ვუპასუხე გიჟსავეთ.

— მაშ თუ აგრეთა—ადვილია.

— ვაცხონე მამა შენი!... შევეყვირე გახარებულმა: მადლიანი ბიჭი ყოფილხარ.

— ნუ გგონია, რომ მე გასწავლი. მე არა დაგზარდებოდრი, მაგრამ ხომ იცი, ძმაო, მოცლა არა მაქვს? მე კაი ოსტატს გიშონი.

ფერი მეცვალა ეს რომ მითხრა. როგორც თავ-მოწონებული ფარშავანგი ხარობს მინამ თავის შავ-ფეხებს დაინახამს, როცა კი ძირს დაიხედავს და თვალს მოჰკრავს, მაშინვე ფრთებს დაღონებული ჩამოჰყრის, ისე ამ სიტყვებზედ ჩემმა ჯერ წახალისებულ გულმა ჩამოჰყარა ფრთები.

— ეჰ, ძმობილო! ვუთხარი გულნატკენად: შენშიაც მოვსტყუედი. ოსტატს კაი გაძლოლაც უნდა, მე ცალი ფულიც არა მაქვს თვალზედ მივიკრა. ვხედავ, რომ ტყუილ-უბრალოდ წახალისდა ჩემი წადილი.

იმან გამიცინა და მითხრა:

— აჩქარებული კაცი ჰყოფილხარ, თოფის წამალსავეთ ფეთქავ. განა მე არ ვიცი, შე კაი კაცო, რომ მე და შენისთანა კაცს საოსტატო ფული არ ექმნება? მე იმისთანა ოსტატს გიმოვნი, რომ უფულოდ გასწავლოს.

— გულს მირბილებ განა? ვკითხე უჯგრობით.

— დამიჯერე, მართალს გეუბნები.

— მართალს?!...

ჰო, ისეთი კაცი გიშოვნო, ძმასავით მოგეხმაროს.

— ბიჭოს!.. მაშ ღვთის კაცი ყოფილა!...

— შენ არა სტყუი. სწორედ მსახური კაცია. მეც იმან მაჰსწავლა, ღმერთმა გადუხადოს ღვთის სამაგიერო.

— არა დამაცა: როგორ თუ ღვთის მსახურია, სამღვდელია?

— სწორედ. შენ ხომ ამბობ ფულიო, ფული კი არა, სანთლით ეძებს შენისთანა მოწადინესა, რომ წიგნი ასწავლოს. ვისაც არ უნდა იმღვენს ეჩიჩინება, იმღვენს ეჩიჩინება, რომ ძალად ანდომინებს. მეც ისე მნახა ერთხელ აქ ქუჩაში. დაილოცა ის ღღე, ჩემთვის კაი ღღე იყო... დამიწყო დალოცვილმა ლაპარაკი, სადაური ხარო, აქ რას აკეთებო? მეც ყოველის ფერი მოვახსენე, რა გაეაგრძელო! ისე მოინადირა ჩემი გული ტკბილის სიტყვით, ისე შემიჩვია, რომ ბოლოს წიგნის სწავლებაც დამიწყო. რა შე?...ათიოდ პატარა ბიჭები, ამ ჩვენს უბანში

მოგროვილები იმასთან დადიან და სწავლობენ. როგორც შენ, ისე იმან იმათგან გროში არ იცის. მე ერთხელ ჯამაგირი რომ ავიღე, მიწა დოდა მიმერთმივა ორი მანეთი იმ დალოცვილისათვის, მაგრამ თუმცა არ გამიწყრა, მიწყინა კი.

— მამა გყავს? მკითხა მე.

— არა, შენი ჭირიმე!

— დედა?

— გახლავთ.

— ვინ ინახამს?

— მე, შენი ჭირიმე! ჩემ მეტი არავინა ჰყავს.

— მაშ ეგ ფული დედა შენს შეუნახე, მიბძანა თავისებურად გულთბილად: შენ რა გაქვს, მე რა უნდა მამცე?

— დედა ჩემს თავის წილი გაუგზავნე და ეს გადავანარჩუნე, რომ თქვენ ლოცვაში მომიხსენიოთ.

— ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება.

— საყდრის და ღვთის სადიდებლად მაინც მიიღეთ, შენი ჭირიმე!

— ღმერთი, ჩემო ძმაო, მარტო კარგის საქ-
მით იღიდება და არა ფულითა.

— მიწყრებით, შენი ჭირიმე!

— არა, მე მართალს გეუბნები.

— მაშ რაქნა, მიბძანე?

— შენთვის შეინახე: თუ მეტია შენთვის,
იმას მიეცი ვინც მე და შენზედ უფრო ღარი-
ბია, მაგას უფრო მოგიწონებს ღმერთი. აგერ
ამ თქვენ ქუჩის ბოლოს ერთი ღარიბი სახლო-
ბა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ, მე
და შენ კი ყოველ დღე მამღრები ვართ...

«ეს ისეღ ნაირად მითხრა, რომ, არ დაიჯე-
რებ, მაშინვე გამოეტრიალდი, ვიპოვე ის სახ-
ლობა და იმისთვის გადადებული ორი მანეთი
იმათ მივართვი. აი რა მადლიანი კაცია!... ნეტა
თითონ ჰქონდეს რამე მაინცა! ღვთის განაჩენი
არა აბადია რა, დღე დღეურად ძლივა ცხოფ-
რობს. მაგრამ სულ ტყუილი ყოფილა, კაცს
რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდა-
რია, თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზედ წავა-
მაგ კაცის ამბავი, რომ გიამბო, არ დაიჯერებ,

იმისთანა რამ არის. საცა კი სიკეთეა ამ უბანში, იმისი მადლიანი ხელიც იქ ურევია. დაილოცა ღვთის სამართალი, რომ მე და შენისთანა თავმინებებულ კაცს მაგისთანა პატრონს გაუჩენს ხოლმე!... მე თუ კაცი ვარ, ეგ იმის უნარია, ღმერთმა გადუხადოს! ტყუილად კი არარის ნათქვამი, ჩვენისთანა კაცის ვალისა ღმერთია მზღველიო. აგერ თვითონაც გამობძანდა». დაატანა გლახუკამ და მიმახედა საყდრისაკენ.

წირვა გამოსულიყო. თეთრ ჩადრიანი დედაკაცები თეთრად მოედვნენ ქუჩასა; კაცები კი, როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ადამი, ჯგუფად შეგროვდნენ საყდრის დერეფნის წინ და დაიწყეს თავისებურად ყაყანი. იმათში შეერივა ერთ მაღალ ტანიანი, ახალ გაზდა ღვდელი.

— ის არის? ვკითხე გლახუკას, თვალი კი იმ ღვდლისაკენ დამრჩა.

— აბა, ის არის, ძმაო, წამო კურთხევა ეჰსთხოვოთ.

III

პასუხის თქმა აღარ დამაცალა, წამოდგა და წავიდა საყდრისაკენ, მეც თან ავედევნე. მივე-

დით, ის ღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსა-
 ვით ირეოდა იმის გარეშემო. ზოგი ელაპარა-
 კებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა,
 ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თითონაც გაუხუმ-
 რებდა, და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარ-
 ხარი ერისა; ზოგი კიდევ სულ განაბული შეჰსკ-
 კეროდა, თითქო დაჯერებულიო, იმის პირიღამ
 ოქრო გადმოვარდება და შიშობსო. ხელიღამ
 არ წამივიდესო. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს
 კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არ-
 ტყია ხალხი! კაციც ის არის, შენი ჭირიმე, და
 ქუდიც იმასა ხურავს. ალბად კაი კაცსაც თაფ-
 ლი აცხია, რომ დიდი და პატარა ბუზსავით
 ზედ ეხვევა!.. დედა-მიწის ზურგს ბევრი არ უ-
 ტარებია იმისთანა.

სწორედ კაცს რომ წყალი მოჰსწყურდება,
 ისე მომწყურდა იმის სიტყვების გაგება. გადა-
 ვაწვდინე თავი, რომ დამენახა და გაძეგო რამე.
 წინ ედგა ერთი პატარა ბიჭი თავჩაღუნული.

— ყველა, ყველა და, შენ რატომ ჩემთან
 არ დადიხარ, უბძანა ღვდელმა: მოგწყინდა განა,
 შე ცუდლუტო, წიგნის კითხვა.

— მე რა ვიცი? უთხრა ბიჭმა: მამა ჩემი არ მიშვებს. ღვდელი თითქმის შეკრთაო, ისე ეწყინა ეს პასუხი.

— რატომ არ გიშვებს?

— გეყოფაო, რაც ისწავლე, მეუბნება.

— აქ ხომ არ არი მამა შენი?

— აი იქითა ზის.

— აბა აქ დაუძახე.

პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრიალდა და გარქცა მამის დასაძახებლად.

— ვერ უყურებთ პეტრეს!...თქვა თავისთავად ღვდელმა და ჩაფიქრდა..

— ეგ არის და!...დაიძახა ვილაცამ: ავი ძაღლი არც თითონა ჰსჯამს, არც სხვას აჭმევსო.

ხალხმა გაიცინა, ღვდელსაც ღიმილი მოერივა, მაგრამ მარღად შეიკავა სიცილი.

— მამას არ უსწავლია და პაპას, შეილს რად ასწავლის? თქვა შეორემ: შეჩვეული ჭირი ურჩევნია მაგისტანა თავხედს კაცსა შეუჩვევარ ლხინსა.

— გონიერსა მწრთველი უყვარს, უკუნუსა

გულსა ჰგმირდესო» მაგისტანა კაცზედ არის ნათქვამი; წამოიძახა მესამემა.

იქნება კიდევ ბევრი ეყალღნათ, რომ თითონ პეტრე არ მოჰსწრობოდათ

— კაცო! უბძანა ღედელმა: მართალია, შენ შეიღს შენ უშლი სწავლასა?

— მართალი გახლავთ. რა მაგის საქმეა? არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი, შენი ჭირიმე! უპასუხა თამამდ პეტრემ.

— როგორ თუ არა იყო გვარი მისი?

— ესე, შენი ჭირიმე! ჩვენ გლებ-კაცებს გვეძახიან, ღღე და ღღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ, ღმერთს ეგრე უბძანებია. «ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენით», ეს ღვთის ბძანება მართო ჩვენ დაგვაწვა კისერზედ და ვეწევით კიდევ. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღებს. ჩვენი წიგნი ღედა-მიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა ღედა-მიწას მწვანე ხავერდისავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაუღალავი გუ-

თანია, მელანი კიდევ გულღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწებებთ ოფლში გუთანსა, გადუხსნით ხოლმე დედა-მიწას მადლიან გულსა, ჩაეყურით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა, მივალთ და ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი ორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დაუხარით დღე და ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის, შენი კენესამე! წიგნი კარგია, ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზედ, ჩვენ იქამდინ ხელი არ მიგვიწვდება.... გაგიბედამთ, შენიჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძლოთ, კუჭი!... ჩვენი თავდაპირველი გულის ტკივილი ეს არის!....

— მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა, გაიხმაურა ხალხმა, რომელიც წუთის წინად ისე თავხედად დაჰსცინოდა პეტრესა.

— რას ბძანებთ?... წამოიძახა ხალხის ხმით გულ გაკეთებულმა პეტრემ: წელში ვერ გავს-

წორებულვართ, პირუტყვესავით მალლა ვერ აგეიხედნია, სულ დედა-მიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო, ვინ ჩვენ და ვინ წიგნი!...

— მე მესმის, ჭკვიანო პეტრეე, შენი გულის ვითარება, უბძანა დალონებით დვდელმა: მე მოზიარე ვარ შენის გულის ტკივილისა.... შენ გუთანი გირჩეენია წიგნსა, იმიტომ-რომ შენ გუთანი დღეს პურს გაჭმევს.

— მართალი ბძანებაა, შენი ჭირიმე! მიუგო პეტრემ

— ეხლა შენ ერთი ეს მითხარ: რომ არ გვცოდნოდა, რომ ცეცხლში რკინა რბილდება, საიღამ გააკეთებდი ბარ-საკვეთს, ცულოსა, ეჩოსა რომლითაც გუთნის ხესა ჰსთლი? რომ არ გვცოდნოდა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნამდი მიწასა? რომ არ გვცოდნოდა, რომელ მიწას როგორ უნდა მოხენა, ღრმად ჩაშვება ბარ-საკვეთისა, თუ თხლად, რა გეშველებოდა?

— შენი მტერი იქნებოდა, მე ვიქნებოდი.

— საიღამ იცი ეს ყველაფერი?

— როგორ თუ საიღამ?... მამა-პაპით, შენი ჭირიმე! მადლობა ღმერთსა, თვალი მქონია— მინახავს, ყური მქონია-მსმენია, გულის ყური მქონია-მიეხვედრილ ვარ, ხსოვნამქონია— გონებაში ჩამრჩენია.

— რაც გინახავს, გსმენია, მიხვედრიხარ, გონებაში ჩაგრჩენია, ამას სულ ერთიანად რას ეძახი?

პეტრე ჯერ ჩაფიქრდა, თითქო არ იცის, რა თქვასო, მერე კი ისე ჭოჭმანობით წამოიძახა:

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, რას ეძახი.

— მაინც?

— ჩემ გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემ ცოდნასა, შენი ჭირიმე!

— კუჭს გიძლობს ეგ შენი ცოდნა?

— მაგას რაღა პასუხი უნდა, შენი კენესა მე! თითონ შენ კარგად იცი, რომ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი.

— ეხლა ერთი ეს მითხარ კიდევ: რამდენს შენზედ და ჩემზედ უფრო მცოდნე კაცია ქვეყანაზედ?

— რა ეიცი, შე დალოცვილო? მგონი თავ-ზედ იმოდენა ბალანიც არა მქონდეს, მჯობნს მჯობნი არ დაელევა.

— იმ მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსას ზედ დაემატოს კარგი იქნება? უფრო ადვილად არ გაიძღობ კუჭს, უფრო ცოტა ოფლით ბევრს არ მოიმიკი?

— ღვთის წყალობა გქონდეთ, რომ კარგი ის იქნება, მაგრამ ხათაბალა ეს არის, რომ თვალი იმათამდინ არ მიმიწვდება და ყური, საილამ სალაო, წმინდაო საბაო, ამოდენა დედამიწის ზურგზედ სად ვეძებო მე ისინი, რომ გამოვკითხო რამე?

— მე რომ გაჩვენო იმისთანა რამ, რომ მთელი ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცების ნაცადი, ცოდნა, თუ მოინდომებ, სულ მუდამ ხელთა გქონდეს, ერთის სიტყვით, რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდა შორილამვე გაგალაპარაკო, რას იტყვი?

— იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს: ეგ ხომ მისნობა იქნება.

— აბა მაგისტანა მისანია წიგნი.

მე რომ ეს გავიგონე, სწორედ მოგახსენოთ, თავილამ ფეხებამდინ ქრეოლამ გამიარა. არ ვიცი კი რად? ეს კი ვიცი, რომ ჩემ გარდა სხვასაც ეგ დაემართა. ხალხს, თითქო მზემ დაჰკრაო, სახე გაუნათლდა. პეტრე კი ისე სახტად თვალეზ დაჰყეტილი დარჩა, თითქო თავ-ბრუ დაესხაო. ისე ატაცებულსავეით დიდხან იქნებოდა, რომ ღვდლის სიტყვებს არ გამოეფხიზლებინათ.

— ეხლა რას იტყვი, წიგნი გიშველის რასმეს, თუ არა?

— ნება მომეცო, უთხრა გულ ამომჯდარმა პეტრემ: ეგ მუხლები გადაგიკოცნო. ჩემი ტუჩებზე ბევრჯელ მიჰკარებია სხვის მუხლსა და შენისთანას კი არც ერთხელ.

ღვდელმა არ მიუშვა მუხლებამდინ, მაშინ პეტრემ პირნათლად შეხედა და გონება გახურებულმა წამოიძახა:

— დაილოცა შენი ენის პირწყლიანობა!... ღმერთი მაღლიდამ გიყურებს, შე ღვთისაგან

კურთხეულო ადამიანო, რომ მე სულის წაწყმედვისაგან დამიხსენ. წელან გელაპარაკებოდი ბრმა, შეილის ცოდვაში ედგებოდი, ეხლა შენ მადლიან ენით თვალ ხილული გეუბნები: ის მამა შეილის დამლუპავი ყოფილა, რომელსაც შენისთანა ღვთის კაცი გამოუჩნდება შეილის გასაწურთენელად და არ გააწურთენინებს. ნუ შეჯდება მწყერო ხესა, ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შეილმა კი წიგნი უნდა იცოდეს, შენი ჭირიმე!... მომეცი ხელი, შენი კვნესა მე!.. ერთი გემთხვიეო!..

გულ მოღბობილი პეტრე მივარდა ხელზედ, საკოცნელად, ღვდელმა აკურთხა და არ ამთხვევინა კი.

— მაშ დამილოცე მაინც მამის-ერთა შეილი! უთხრა პეტრემ და შეილი წინ წამოუყენა. ღვდელმა აკურთხა ის ბაშვი და თავზედ აკოცა გაღიმებულმა.

— შეილო! ეს დღე დაიხსომე, უთხრა შეილსა პეტრემ: ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა.

ღვდელი აირია, ენახე რომ მოენამა თვალე-
ბისა. უეცრად მოაშორა თვალი გულამომ-
ჯდარ პეტრეს და იმის თავჩალუნულ. შეილსა,
თითქო თავის გულის მადლიანობა უნდა და-
უმალოსო მამასაც და შეილსაცა. ღვდელი
რომ მიტრიალდა, ერთ ვილაცა დროულ კაცს
თვალი შეასწრო და უთხრა:

— ზაქარიაე! არა გრცხვენიან, კაცო, რომ
ძმასთან ვერ მოთავსებულხარ, ძმასთან!... ვინც
შეიტყობს, რას იტყვის? სირცხვილია, სირ-
ცხვილი! თავზედ ერთი ბეწვიც ალარა გაქვს
შავი და მაგისთანა საქმეებს კი ჰსჩადი.

— რავექნა, შენი კორიმე? უპასუხა იმან
კოტად შერცხვენილმა: განა რომ მცხვენიან,
შაგრამ ერთი აჯამი რამ არის, მოუსვენარი.
ღმერთია მოწამე, მე უბრალო ვარ.

— ნუ ჰსცრუობ მაგ დროული კაცი, კოდ-
ვია!.. დღეს არ გეუბნებოდით საყდარში, რომ
ქრისტე-ღმერთმა მტრის სიყვარულიც ბძანა და
შენკი მტერი კი არა, ღვიძლი ძმა ამოგიძუ-
ლებია. სირცხვილია!... უშვილო კაცი ხარ,

დროული, თუ კაცისა არა გრცხვენინან, ღმერთი ხომ ყველასა ხედავს, რა პირით შეხედები?

— აბეზარსა ვარ მოსული, ამ საყდრის მაღლმა და შენი რისხვა არა მაქვს! ძმარს მაწურებს ცხვირში, სხვა არა იყოს რა, უფროსი ძმა ვარ...

— მე არ ვიცი! თქვენ ორივე მტყუანები ხართ ღმერთანაც და კაცთანაც იმიტომ, რომ ძმები ხართ და ჩხუბობთ კი. ამ ხალხთან გეუბნებით შენცა და შენ ძმასაცა: საუ ერთი ერთმანეთის პატივი არ გექნებათ, საყდარში აღარ შემოგიშვებთ.

ეს რომ თქვა, აკურთხა ყველანი და და გამოემართა შინისაკენ. გამობრუნებაში წინ შეეხალა გლახუკა.

— ოჰ, გლახუკას გაუმარჯოს, ჩემ გლახუკას! შემჰოსცინა ღვდელმა: რასა იქ და როგორა ხარ?

— გახლავარ, შენი ჭირიმე, შენის ლოცვით და კურთხევით, მიუგო გლახუკამ და ქუდ მოშვლეპილმა კურთხევა ჩამოართო,

იმან რომ აკუროთხა, გადაზდო მხარზედ ხელი და ისე ხელ გადაბქობილი წამოვიდა, მე ბევრი რამ გამიკვირდა იმ დღეს და ისე კი არა გამკვირებია რა. აბა გლახუკა ვინ იყო? ერთი უბრალო მოსამსახურე და მაინც კი ღვდელმა არ ითაკილა და ხელი გადაზდო. მაშინვე, რა-ციყავ, მაგრამ, ამისთანა თაედაბლობამ ჩემი გული მოინადირა. მეც იმათ უკან ავედევნე.

— სადა ხარ, რომ აღარა ჰსჩანდი? ჰკითხავ და ღვდელი.

— ეს თვე ნახევარია, რაც გიახელი, უპასუხა გლახუკამ: თორემ აქამდინ აღას ვახლდი კახეთშია.

— ერთხელ მაინც როგორ არ მინახულე. ბიჭო! ერთ დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გაგვიტეხია, ერთ ჭერ ქვეშ დაგვიხველებია, სხვა არ იყოს რა.

— თქვენმა მადლმა, მოცლა არა მაქვს. ამოდენა სახლი და სახლის ავეჯეულობა ეხლა მარტო მეღა მბარია, ჩემ მეტი აღარავენ ჰყავთ, სლლ ყველანი დაითხოვეს, თორემ როგორ არ

გიახლებოდი: თქვენზედ უკეთესს ვისა ენაზე?

— ეგა ჰსჯობია ჩემ ნახვასა, ჩემო გლახავ! შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე-ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც: რასაც ვიკისრებთ ის უნდა ავასრულოთ კიდევ. ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოენი. ჩემი ნახვა, ძმავ, ისე საჭირო არაჩი: არა კაცი იმოდენა სიკეთეს არ მოგცემს, რამოდენადაც შენი ვალის ასრულება.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ქუჩას ჩამოსცილდნენ. არ ვიცი, ჩემი ფეხის ხმაურობა გაიგო, თუ არა, შემომხედა და, რომ დამინახა უკან მივდეგ, მკითხა:

— რაო, ძმობილო, ჩემთან საქმე ხომ არა გაქვს?

— არა, შენი ჭირიმე! გლახუკას მოვდეგ.

— მე მეგონა ჩემთან გინდა რამე, მიტხრასა და წავიდა ისევ ისე სელ-გადაბჭობილი.

მე დაეშორდი. გლახუკამ რალაც ლაპარაკი დაუწყია. მე არა-ფერი აღარ მესმოდა, ისე შორს

ვიყავ. მინამ გლახუკა გაათავებდა სიტყვას,
 ღვდელი შედგა და ორიოდ ჯერ თავის მად-
 ლიან თვალით მე შემომხედა. მაშინვე მიეხვდი,
 რომ ჩემზედ ლაპარაკობდნენ და, სწორედ გი-
 თხრათ, გული ამიტოკდა, ასე გონია, იმ ლა-
 პარაკით ჩემი ბედის წერა ჰსწყდებოდა. იმ და-
 ლოცვილმა ხელი დამიქნივა. მე ფიშვილივე ქუ-
 დი და, როგორც სალდათი უფროსს, ისე ქუდ
 მოხდილი გამოვეჭიმე. იმან თავის ხელით ქუდი
 თავზედ დამხურა. მაშინ კი თვალი გავუსწორე.
 რა გითხრათ, რა კაცი დავინახე ჩემ წინ!..
 ხატებს რომ ხატენ, ის იყო! მადლით, მად-
 ლით იყვნენ საესენი იმისი ჩაფიქრებული თვა-
 ლები! დიდი მადლი უნდა უტრიალებდეს კაცს
 გულში, რომ ისე გამოჰსცეს, გამოატანოს თვა-
 ლებს, როგორც იმის თვალებისათვის გამოეცა
 და გამოეტანა. არ ვიცი, ჩავონებული რომ
 ვიყავ, იმისთვის მეჩვენა ის კაცი ხატად, თუ რა-
 ეს კი ვიცი, რომ აქამდინაც გულში ისე ჩამრ-
 ჩა ჩასახული, როგორც პირველათა ვნახე. წა-
 მოსადეგი კაცი იყო, გამხდარი. სახე ცოტა ფერ-

მკრთალი ჰქონდა, ნაღველს ცოტა ოდენად ხელი გაეკრა, როგორც ექნება ხოლმე მუდამ ზრუნვის ნაჩვევსა და სხვის გულის-შემატკივარსა.

შავი წვერი ჯერ არ ჩამოზრდოდა, ისე ახალგაზღად მეჩვენა. თავიდან თეხამდინ ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ, როგორც მზე მზეუჭ, რიტასა, კაცის გულს ერთის ნახვითვე თავისაკენ მიიბრუნებდა.

— შენ წიგნის სწავლა გინდა, ძმობილო? მიბძანა დალოცვილმა: თუ ეგ გულში გედო, წელან რომ გკითხე, რატომ არ მითხარ? რად დამიძალე გულის წადილი? გულ დახურული ჰყოფილხარ. ხომ იცოდი გლახუკასაგან, რომ მე წიგნს ვასწავლი ხოლმე შენისთანა კაი კაცსა.

ეს რომ მითხრა, გამიღიმა; მომავლო თავზედ ხელი და მოცინარემ გამიქნია თავი. მე ჩავლყუნე მორცხობით თავი და ვერა ვუთხარი რა.

— თავი რას ჩაღუნე? მარტო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი უნდა ცას უყუროს. თითქო ჩემი შეგრცხვაო... აბა შემომხედე, მეც შენისთანა კაცი ვარ.

მომავლო ნიკაპზედ ხელი, თავი მალლა ამი-
წია და ზედ დაატანა:

— ხუმრობა გაშვებით, თუ მოწადინებული
ხარ წიგნისათვის, მე ოსტატი და შენ შაგირდი.
ჰა, შენ რას იტყვი ამაზედ?

რა მეთქმის, შენი ჭირიმე, მადლობის მეტი?
ძლივ-ძლივ გაუბედე თქმა.

— მადლობა მერე იყოს. შენი სახელი?

— გაბრიელ.

— მაშ იცი, რას გეტყვი, გაბრიელ? როცა
შინაურ საქმეს ბოლო მოუღო, გლახუკას
უთხარ და ეგ მოგიყვანს ჩემთან- ასე კი მოა-
ხერხე, არც შინ მოჰსცდე საქმეს და არც გა-
რეთ, რომ შენმა წიგნის სწავლამა შინაურ
საქმეს არ დაუშალოს.

— შინაურ საქმეს!... თუნდ რომ მოვსცდე,
რა ცუდ საქმისათვი ვმოჰსცდები?

— მაგას ვინ ამბობს, ჩემო ძმაო? მაგრამ ის
კი ჰსჯობს, რომ არც მწვადი დაჰსწო და არც
შამფური. ერთი საქმე დაიწყო და მეორე კი
გააფუქო, ეგ ცუდია. შენ ხომ ბატონის კაცი
ხარ?

— ყმა ვახლაეარ.

ღედელმა უგემურად გაიქნევა თავი. თითქო შეწუხდაო.

— რაც უნდა იყო, მე და შენ კაცები ვართ, ღეთის შეილები, მითხრა პატარა ხანს უკან: იარე ჩემთან, აი აქვე ვგევარ, შენ ოლონდ იბე-ჯითე, ნურც წიგნზედ ინალელი, ნურც არა ფერ-ზედ, ყველა ფერი გექნება. შენ ასეთი ბიჭი ჰსჩან ხარ, რომ ორ-სამ თვეზედ გლახუკასაც გამოეჯიბრები წიგნშია.

მე გამეცინა.

— რას იცინი? არა გჯერა თუ? კაცმა რომ მოინდომოსო, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგი-გონია?

— კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერიც აძევს, შენი ჭირიმე!

— იმ ფერისა იქნება შენც გაცხია: ყველას ღეთის სული გვიდგა, ჩემო ძმაო!

— ღმერთმა ქნას, მეც ეგ მინდა, ნეტავი მეცხოს!

— აი ეს ბურთი და ეს მოედანი, ვჰსკადლოთ: ცდა ბედის მონახვერეაო.

— მე უარზედ არა ვდგევარ, ვჰსცდი თუნდა კლდე? ქვეშ მომიტანოს.

ეს რომ ეუთხარი, თვალი თვალში გამიყარა, თითქო ჩემი სიტყვა გულს მოხვდაო, მერე სახე გაუნათლდა და მითხრა:

— ე! თუ ეგრეა, მაგისტანა გულ მაგარსა ფრათერი ვერ მოგიტანს ქვეშ, თუ მოგიტანს, აუდგები ფეხზედ. აკი გითხარ, კაი ბიჭი ხარ მეთქი. შენისთანა შაგირდი ოსტატის სიხარულია. მაშ მე და შენ დავძმობილდებით, ჩემო გაბრიელ!

რომ გითხრათ, რომ ამ სიტყვებმა მუხლები მომიღრიკეს, მომანდომეს იმის მუხლებზედ მოხვევნა, არ დაიჯერებთ. ეს ასე კი იყო. მაგრამ იმ ღვთის კაცმა მარდად დამცა ხელი მხარშია და ისე ღონივრად ამხიდა ერთ ფეხზედ წამოჩოქილი, რომ როგორც ლურსმანი ისე დამაყენა ფეხზედ. არ იყო, რომ ცოტა ნათაკილევსავეთ არ მითხრა:

— ეგ მეორედ აღარა ქნა, ცოდვაა!.. მაგისტანა თაყვანი მარტო ღმერთს შეჰფერის....

— ჩემი ღმერთი შენა ხარ, დაუძახე მე ატა-
ცებულმა.

— აგე შენი ღმერთი სად არის, მაჩვენა ცა-
ზედ: მე იმისი ცოდვილი მსახური ვარ, შე გულ-
ფიცხო!

მე სულელმა რაფიცოდლი მაშინ იმისთანა კა-
ცის ყადრი. ბატონი რომ სადილიდამ ჩამორ-
ჩომილ ნესვის ქერქს მომიგდებდა, მაშინვე
მუხლზედ საკოცნელად კინწის კვრით წამაბარ-
ბაცებდნენ; ამან კი ობოლს, ოხერს ძმობა და-
მიპირა, ყმასთან არ ითაკილა ძმობა, ყმასთანა.
რომელსაც, როცა კი ბატონი მოიწადინებს,
ქოფაკ ძალზედაც გაჰსვცლის, მოდი და ნუ
შოიდრეკდი იმის წინ მუხლსა. მე მახსოვს, დი-
დი ბატონი, ხომ კაი კაცი იყო, მაგრამ მაინც
გული მოეფხანებოდა, როცა მე მუხლზედ ვაკო-
ცებდი ხოლმე, მე მეკონა ამასაც ამით ვაამებ, ის
კი არა თუ მიწყინა და ჩემს რუგვენობას აპა-
ტივა.... მაშინ მიკვირდა ეგრეთი ქცევა ღვდლისა,
ეხლა კი მესმის!... თურმე კაი კაცს თაფისი გუ-
ლივე მადლს უხდის, მაშინ ეგრა ვიცოდლი? რა

კაცი იყო!... არა, მე ეხლაც რომ მაგონდება იმისი საქმეები, მგონია, რომ ციღამ იყო ჩამოსული, რომ კაცს ქვეყანაზედ აჩვენოს კაცობა. ვაი, რომ ბედმა ქვეშ მომიტანა იმისგან წახალისებული თავ-მამწონე და აი ველარ წამოვუდექი, თორემ ვინ იცის? იქნება მეც შემძლებოდა კაი კაცობა....

გული თოფის წამალსავით მიფეთქდა, გონება მიხურდა, რაღაც ღონე მომეცა და ატაცებულსავით შევეძახე:

— შენ ღეთის მსახური იყავ და მე კი შენი ვიქნები. ჩემი მადლობა ეგ იქნება, სხვა რიგად მე გადახდა არ შემიძლიან.

— აგე მადლობის მთქმელი სად არის, მანიშნა ცისკენ: ის ეხლა იქიღამ ორივეს დაგეყურებს....

— და შენს სიკეთეს თავის გულის ფიცარზედა ჰსწერს, ვუთხარი მე და გავაწყვეტინე სიტყვა. ეს ჩემი სიტყვა გაუკვირდა თუ არა, გაოცებით შეხედა გლახუკასა, გლახუკას კიდევ პირი დაელო და გამტერებით გვიყურებდა.

— ცეცხლი ყოფილა შენი გული, მითხრა. პატარა ხანს უკან ღედელმა: ყური მომიგდე. დღეს შენ დაგჭირდი, დღესა, თუ ხვალ შენ მე დამჭირდები, «სოფელი ასრე მქნელია», დრო მოგვივა, გაეჰსწორდებით. ხომ გაგიგონია: მთა, მთას არ მოხედება, კაცი კი კაცსაო. არა გლახუკაე?

— მართალი ბძანებაა, უთხრა გლახუკამ.

— ჰმ, ჩაეციწინე მე: გულს მირბილებ ბატონო, მე მიგიხვდი. შენისთანა კაცს იმისთანა რა გაგიჭირდება, რომ ჩემისთანას შეველა შეეძლოს?....

— მითამ რატომაო?. ტაბიკი ხომ რა არის, უბრალო ჩხირია, იმ ვეება ურემში არც კი ჩანს, უმისოდ კი ურემს ვერ შეაბამ. ეგრეა ყველაფერი, ჩემო ძმაო, დიდი, თუ პატარა ერთი ერთმანეთისთვის საჭირონი ვართ, თუ დღეს არაუხვალე მაინცა. არა შემიძლიან რაო?....კაი კაცობა არ შეგიძლიან?...მაშ რაღა კაცი ყოფილხარ?. ღვთის სული რად გიდგა?. მე შენ დამიჯერე, ნდომა იყოს თორემ შეძლება ყოველ-

თვის იქნება. აი ექსთექვათ, შენ რომ წიგნს
 ისწავლი, დაჯერებული ვარ რომ მალეც ისწავ-
 ლი, შენც მონახე შენისთანა კაი ბიჭი და იმა-
 საც ასწავლე, ვალს მაგითი მოიშორებ, მითამ
 ამისათვისაც მე მისწავლებია და მე მიქნია სი-
 კეთე. მეტი რა მინდა, რომ ჩემი სახელი ლოც-
 ვით მოვახსენებო შენისთანა კაი კაცსა. ბევრ-
 ჯერ იქნება, ჩემო გაბრიელ, რომ შენი შაგირ-
 დი შენ რომ დაგლოცავს, ზეც მომიგონებს-
 «ღმერთმა აცხოვნოს შენი მასწავლებელიო». ის
 ლოცვა საიქიოს წინ გამიძღვება, ღმერთამ-
 დინ, აქედამვე გზას გამინათებს, მე ეგ შეყოფა,
 შენც შენს ვალს მოიშორებ, მერე რა რიგად?
 ისე ნეტავი ყველამ მოიშოროს! არა შემიძლიან
 რაო? ღმერთს შენთვის გონება, გული მ აუცია,
 აუარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს, გონება
 გზას გაგინათლებს, გული—გაგითბობს, ღმერთი
 ძლიერია.....ყველას გულში, ბატონია, თუ ყმა,
 მე ვარ, თუ შენა, ღუთისაგან ანთებული ცეცხ-
 ლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გაფაქროთ, თუ
 რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამ-

ჩენსა. ის ცეცხლი მეც, შენც, და სხვასაცა ხანდისხან იმისთანა საქმეს გვაქმნევენებს, რომ ქვეყანას აკვირვებს...რა ეუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი როგორ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?...რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვჰქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა..

დიდი ხანი მელაპარაკა და ბევრი რალაცეები მითხრა, მაგრამ ხსოვნამ მილალატა და ეხლა არ მაგონდება. ეს კი ვიცი, რომ იმის სიტყვებმა ძლიერ ჩამათაქრეს და მას შემდეგ, თუნდა ჩემი სულთამხუთავი ყოფილიყო, თამამად თვალს გავეუსწორებდი. აქამდინ კი კაცისაცა მცხვენოდა.

— რამდენი ხანი ეყოფილვარ მე მაგასთან, მითხრა გლახუკამ, ღვდელი რომ წავიდა: და მაგისთანაები ჩემ-დღეში ჩემთან არ უთქვამს.

— ყველაფერი ბედი ყოფილა, ჩემო ძმაო. ვუთხარი მეცა.

— არა, ძმაო, ეგ ბედის საქმე არ არი.

— მაშ ვისი საქმეა?

— ღმერთისა, რომ შენ ეგრეთი გაუჩინებარა.
 არ ეიცი ეს რისთვის მითხრა. თქმა ამისა და
 იმისი გაბრუნება ერთი იყო. მეც ავიღე თავი
 და ჩაფიქრებული წაველ შინისაკენ.

IV.

თქმა აღარ უნდა, რომ მეორე დღლით, რაკი
 ხემი საქმე გაფათავე, გულმა ღვდლისკენ გამი-
 წია. მე გლახუკას გამოგვკითხე ღვდლის სახლი.
 და მარტოკა წავედი. შევალე დაბალი ქუჩის
 კარი. დერეფანში ერთი უბრალო ტახტი დამხვ-
 და, ზედ ისხდნენ შეიდიოდე პატარა ბიჭები.
 შუაში თავ-მოხდილი იჯდა ჩვენი ღვდელი. ზოგს
 აწერინებდა, ზოგს აკითხებდა. იქით პატარა მო-
 შორებით ვილაც დედა ბერი კედლის პატარა
 ბუხრის წინ ქვაბებს დაჰსტრიალებდა. თვალი
 შემასწრო თუ არა, ღვდელმა გამიღიმა: ოჰ,
 გაბრიელს გაუმარჯოს, დამიძახა მაშინვე.

მე თავი დაუკარ და კურთხევა ჩამოვართვი.

— მალე გცოდნია, ძმობილო, პირობის
 ასრულება, მიბძანა ხელახლად.

— შენის წყალობით და ჩაგონებით, შენი ჭირიმე! მეც ვუპასუხე.

— მითამ?

— რა ვიცი? მე ის კი აღარაფარ, რაც შენა მდინ ვიყავი და.

— მეფერები თუ?

— მე არ მოგიკვდე! გაბრიელმა მაგითი შენ ფული არ აგაყრევინოს.

— თუ ღმერთი გწამს, მითხარ: რამდენი წლისა ხარ?...მკითხა და არ ვიცი რისთვის გადამიგდო ბანზედ სიტყვა.

— მგონია, თოთხმეტ-ხუთმეტისა ვიქნები.

— თოთხმეტ-ხუთმეტისა.....გააგძელა სიტყვა, თითქო არა სჯერაო, და დაფიქრებით თვალი თვალში გამიყარა.

— რაზედ მკითხე, შენი ჭირიმე?

— ისე გკითხე. მე.....სწორედ გითხრა.....მეტისა მეგონე.....ეს ისეთ ჭოქმანობით და შასვენებით მითხრა, თითქო სიტყვა არ დაათავაო და შუაზედ გაწყვიტიო.—აი, დედავ, მიუბრუნდა უცბად ღვედელი დედა-ბერსა: წუხელ რომ გითხარ გაბრიელი, ეს არის. თოთხმეტის, თუ ხუთმეტის წლისა ყოფილა ...

ბებერმა შემომხედა და თქვა:

— ღმერთმა გაუზარდოს თავის დედ-მამას, სასახელოდ.

მე არ გაუაგრძელებ ჩემ წიგნის სწავლასა, ისეცა გძელდება ჩემი ამბავი და ეჭვიქრობ თავი არ მოგაწყინო. მარტო ამას კი გეტყვი, მამა შეიღს ისე როგორ მოექცევა, როგორც ის ჩვენ გვექცევოდა, დალოცა ღმერთმა იმისი გზა და კვალი! ცალი არ ჰყვანდა ქვეყანაზედა! მე მალე მიმახვედრა წიგნსა. სამ-ოთხ თვეზედ არამც თუ წიგნის კითხვა შემეძლო, ლოცვები ჭავიზებირე, დღევანდლამდინ მახსოვან. მარტოობაში ღმერთს დღესაც იმ ლოცვების სიტყვებით ველაპარაკები, ისინი მიკვალავენ ცისაკენ გზასა და დღე და დღე იმათთან ვაყოლებ სულსა. ღმერთო! შენ გაუნათლე იმასაც გზა სააქოხსაც და საიქიოსაც! თუ შენი სული ჩაჰსახებია ვისმე ქვეყანაზედ, ის იმათში პირველია.

არ გასულა სამი, ოთხი თვე, რომ სხვა შაგირდებს დამაშორა, მიბძანა: «შენ, ჩემო გაბრიელ, შევარდენი ყოფილხარ. მე და შენ უნდა

ცალკე ვიარათ: სხვა შაგირდები ტაატით მი-
დიან, შენ კი მირბი. ამას იქით ისინი დილაო-
ბით ივლიან და შენ კი სალამოობით მოდი
ხოლმე. მოდი, მოუჯდეთ წიგნსა, შენ მე წა-
მახალისე, მე კიდევ შენ წაფახალისებ.»

მე ძალიან მოვსწონდი იმ დალოცვილსა.
მიქებდა ხოლმე გულის-ყურს და მიხვედრასა:
«ვიციო, ზედ დაატანდა ხოლმე: შენ მაგითი
თავს არ გაიზვიადებ, ჭკვიანი ბიჭი ხარ, იმი-
ტომ პირში გეუბნები.»

გავიდა რამდენიმე დრო, წიგნი კარგად და-
ვიხელთავე, წერაც გავიკვეთე. ერთხელ, როცა
წიგნის კითხვა გავათავეთ და ნაწერიც მომი-
წონა, მომისო გვერდით და დამიწყო თავისე-
ბურად ლაპარაკი. ეგ იმან ხშირად იცოდა
ხოლმე, როცა კი დავაჯერებდი, რომ მაგითი
შინ საქმეს არ მოვჰსცდები. მეც, როგორც
მოგეხსენებათ გათამამებულ კაცის ამბავი, ეჭვი-
თხავდი, ვებაასებოდი, — და, არ ვიცი, ჩემი სიტ-
ყვა პასუხი მოეწონა, თუ რა, მიბძანა: «შენ
ჩემო გაბრიელ, ერთი კაი წიგნი მინდა გაჩუქო.»

ადგა, გამოალო პატარა თახჩის კარი და გად-
მოილო ერთი დაბეჭდილი წიგნი.

— აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების
გულის საუნჯე. რაც კი რამა გვაქვს ჩვენს ენა-
ზედ, ამას ჯერ არა ჰსჯობია რა. თამარ მეფე
ხომ გაგიგონია?

— როგორ არა, ღეთისნიერი რამა ყოფილა.

— ღეთისნიერიო!... რას ამბობ? თუ წელში
გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა—ეგ იმის
მეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე
საქართველო გაუნათლებია და გაუთბია—იმის
დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია,
გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე—ეგ დალო-
ცილ მეფე თამარის დედობის დროს მომხდა-
რა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დრო ყო-
ფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით დაგვიკვებ-
ნია და თავი მოგვიწონებია. ტყუილად კი არ-
არის ამ წიგნში ნათქვამი: «ლეკვი ლომისა
სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.» დედა კაცი
იყო, კურთხეულ არს სახელი მისი! და დედა-
ბოძად კი შეექნა ჩვენს ქვეყანასა....

— ეგ წიგნიც იმან დაწერა?

არა, იმ ღვთისაგან დალოცვილსა ერთი კარის კაცი ჰყოლია, შოთა რუსთაველი, იმას დაუწერია.

— ეს სულა?

— სულ. თავიდან ბოლომდინ გალექსილია. ძნელი გასაგები კი იქნება, მაგრამ ერთი ერთ-მანეთს ეუშველით და გაეიგებთ. ბევრგან ამის სიტყვები გაჭირებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიაღვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთვნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ.

— სამღეთო რამ არის?

— ყველაფერი სამღეთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავეით და სხვისთვის კი გაუწათებია. კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშავეარს, გულის სიკეთეს, ხილად გასდებს, რომ თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხილს ზედ აჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი სამღეთოა. მაგრა რას გეუბნები? აქ ერთგანა ჰსწერია:

„უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დაძრიად, გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და სიდად.“

— მგონია ეგრე ჰსწერია, თუ ხსოვნამ არ მიღალატა. სამლო არ არი, მაშ რა არი? ქრისტე-ღმერთმაც ეგ არ გეიბძანა?...

გაოცებული ვუყურებდი ღვდელს. სახე გამოეცვალა, თვალიც გაუნათლდა, გული შეეძრა, აუტოკდა, თითქო მკერდში არ ეტევაო. ვატყობდი, რალაც უნდა ეთქვა კიდევ ჩემთვის, მაგრამ აღარა მითხრა რა და სიარულში გააქარწყლა გულის წადილი.

ვისაც უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და ადიდოს, თქვა პატარა ხანს უკან ღვდელმა თავისთავად: იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მერე თან წასაყოლი.

ისევ ჩაფიქრდა, ეს რომ თქვა, და აქედ-იქიდ დაიწყო სიარული, თითქო მე დავავიწყდიო. მაგრამ ბოლოს ისევ მოვაგონდი, მომიბრუნდა და მითხრა:

— აბა წაეიკითხოთ.

მომიჯდა გვერდით, გადამიშალა თითონვე რამდენიმე ფურცელი და მომცა. დავხედე იმ ადგილს, სადაც თითი დამიღო, ეწერა: «ამბავი პირველი როსტევეან არაბთა მეფისა.» მე ვუთხარი:

— რატომ თავიღამ არ მაწყობინებ?

— ნუ აჩქარდები, ყველა ფერი თავის დროზედ უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი შენთვისაც და ჩემთვისაცა; თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყობა. მერე როცა შე და შენ კარგად მივხედებით, მაშინაც მოვესწრობით მაგის გადაკითხვასა.

მეც დავუჯერე იმ დღიდან დავიწყეთ მე და იმან «ვეფხვის ტყაოსანის» კითხვა. მაშინ ვიქნებოდი ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა. ის დღეები ჩემთვის უღრუბლონი იყვნენ!... წავიდნენ და არ მობრუნდებიან უკან... რა ვუყოთ? გულს ხომ ისევ ვტყობა იმათი სიტბო, ესეც ნუგეშია.

ის ბევრგან შემაყენებდა ხოლმე და მკითხავ-

და, «გესმისო». თუ ვეტყვოდი «მესმის», ხომ რა კარგი, თუ არა და მომიყვებოდა და თითონ იმ წიგნზედ უარესად არ მელაპარაკებოდა. იმ ალაგთან რომ მოვედი, საცა ჰსწერია: «რასაცა გაჰსცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია,» მახსოვს დიდ-ხანს შემაყენა. ამისთანა სიტყვებზედ უყვარდა იმას შედგომა და ბაასი. მაშინდელი სიტყვები, რა მაშინდელი! რაც რამ უთქვამს ჩემთვის დღევანდლამდინ, სიზმარივით დამახსოვდა.

— გეჟამის ეგა? მკითხვა: სახარებაში ქრისტელმერთი ერთს იგავსა ბძანებს, თუ არ მოგწყინდება, გეტყვი. თურმე ყოფილა ერთი ბატონი, რასაკვირველია, მოსამსახურებიც ჰყოლია. თითონ სხვაგან დაუპირებია წასვლა, დაუბარებია მოსამსახურები და ფული დაურიგებია; ერთისათვის ბევრი მიუცია, მეორესათვის და მესამისათვის ერთი ერთმანეთზედ ნაკლები და უთქვამს: ასარგებლეთო, როცა მოვალ, სარგებლით დამახვედრეთო. თითონ წასულა. იმ ორ მოსამსახურეს ჰკვა უხმარიათ, ბატონის

ბძანება აუსრულებიათ, და რაცა ჰქონიათ მი-
 ბარებული, ერთი იმოდენა კიდევ მოუგიათ.
 მესამე კი ერთი უჯიშო რამა ყოფილა, უმაღ-
 ლო, მცონარე; უფიქრია, მოგებას ეინა ჩივის,
 ესეც არ დაგვარგოვო, აულია და მიწაში ჩაუფ-
 ლავს. ბატონი რომ მობრუნდა, მოიწონა ორი-
 ეე მსახურის მაღლიანი საქციელი, მესამეს კი
 გაუწყრა, წაართო ის ფული და იმათ მისცა,
 ვისაც მოგებით ვარნათ. მესამე კი ხელ ცარი-
 ელი დარჩა. მიწაში ჩაფლა საწყალმა არ დამე-
 კარგოსო, მაგრამ ბოლოს მაინც კიდევ დჰკარ-
 გა, რომ გაეცა კი იმისი იქნებოდა. ბატონი
 ღმერთია, იმისი მსახურები ჩვენა ვართ. ღმერ-
 თმა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძ-
 ლება დაგვირიგა, ზოგს, მართალია ცოტა, ზოგს
 ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება, ცო-
 ტას-ცოტა; იმისათვის კი არ დაგვირიგა, რომ
 იმ ზარბაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში
 დაკალოთ, იმისათვის, რომ, ბევრი გაჭირებუ-
 ლია ქვეყანაზედ, უნდა გავჰცეთ, რომ მოვიგოთ
 რამე, თორემ ხელ ცარიელები დავრჩებით, რა-

ცა ღმერთი მოგვკითხამს. ამიტომაც არიან ეგრე გულ მართალნი ეს სიტყვები: «რასაცა გაჰსცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია. ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცსა თავდაპირველვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ.

ამას რომ მიბძანებდა, ამ დროს ჩვენ რომ ვისხედით იმ პატარა ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა მიკონკებულ ჩადრში შეხვეული ერთი ღარიბი დედაკაცი. ღვდელი მუთაქაზედ წამოყუდებული იყო, მაშინვე გასწორდა.

— მარიამს გაუმარჯოს, მარიამს. . . დაუდახა ღვდელმა: შენი ქმარი დღეს როგორ არის?

— ჩალა როგორ არის, შენი ქირიმე. . . უპასუხა გულ ანატირად დედა-კაცმა: ავად შენი მტერი იყოს, ავად ის არის. იმ დღეს, დედა თქვენმა რომ წამალი უბოძა, იმან ცოტად არგო; მაგრამ დღეს კი დილაზედ ტკივილები ისევ აეშალნენ. არ ვიცი, რაქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა. ლამის ღმერთმა ჩემზედ ხელი აიღოს. ის ამ ქვეყნისა აღარ

არის, შენი ჭირიმე . . . რა მეშველება, რომ
ღმერთი გამიწყრეს . . .

დედა-კაცს ტირილი მოერივა და სიტყვა ვე-
ლარ გაათავა. მე ღვდელს შეეხედე. ერთმა მწუ-
ხარების ფერმა გადაჰკრა სახეზედ, დალონდა,
წარბი შეეკრა, თითქო გულში ისარი გაეყა-
რაო. საკვირველია, ღმერთმან იცის! როგორ
ეტევოდა ამოდენა ხალხის გულის ტკივილი
იმ ერთ გულშია . . . დაილოცა ღვთის სიძლი-
ერე, იმისი გზა და კვალი გაუგებარია.

ღვდელი ადგა, დაიწყო წინა და უკან სია-
რული. არა უთხრა რა, თითქო აცლისო, ჯერ
გული მოიბრუნოსო. ბოლოს კი, ნახა რომ დე-
და-კაცი ტირილს არ ეშვება, მოუბრუნდა და
იმ მადლიან და სანდო ხმითა, რომელიც იმი-
საგან მერეც ხშირად გამიგონია და მინამ პირ-
ში სული მიდგას არ დამაეიწყდება, უბძანა დე-
და-კაცსა:

— ნუ ჰსტირი, დედი . . . სულ მოკლეობა
ღვთის საწყენია. ღმერთია მოწყალე, იმისი ნუ-
გეში დიდი არის. ღმერთი არის ყველას მფარ-

ველი, ჭირნახული ადამიანი იმას უყვარს; რაც უნდა მოხდეს, უნუგეშოდ არ გაგიშვებს. ნუ ჰსტირი, ნუ! ღმერთს მიენდე და კაცის სიკეთესა. ნუ ჰსტირი!

— რა ვქნა, შენი ჭირიშე? ცრემლი, — წაიქვითინა ბებერმა: მწუხარების შეილია.....თავის თავად მოდის, როცა გული იწურება.

— მართალია, დედი, მწუხარების შეილია, მწუხარებას ალბობს, მაგრამ გონების თვალს არ უნდა მოერივოს ცრემლი. საქმის დანახვა ჰსჯობს ცრემლით თვალების აბმასა. თუნდ ეგ არ იყოს, შენ ქმარს საცრემლო რა ჰსჭირს? დედი ჩემის წამალმა ხომ არგო, კიდევ წაილე, შე დალოცვილო!

— დიახ, შენს მადლს ვენაცვალე. მაგისტვის გაახელ, უთხრა ისევ გულ ამომჯდარად დედა-კაცმა და მერე ხმა-წყვეტით ზედ დაატანა: ერთი საქმე კიდევ მაქვს თქვენთან.....

— მიბძანე, მიუგო მარდად ღვდელმა.

— ხომ იცით, თქვენს მეტი პატრონი არა ჰყავს ჩემისთანა უნუგეშოს. მცხენიან, რომ

გლახასავეით თქვენ შამოგყურებთ და გაწუხებთ, მაგრამ....

— კარგი, დედი, მესმის, — არ გაათავებინა ღვდელმა. — დედი! გაჰსძახა მეორე ოთახში თავის დედასა: მარიამს შენთან საქმე აქვს. წადი, უთხრა დედა-კაცს; დედა ჩემმა იცის....

— აი აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს ქერივისა და ოხრის ნუგეშად, აგრემც ღმერთი გადაგიხდის ღარიზის გაკითხვის სამაგიეროს, აგრემც....

— კარგი, კარგი.... კიდევ არ დააცალა სიწითლე მორეულ ღვდელმა, თუთქო შერცხვაო და მადლობას თაკილობსო: ღმერთმა გილხინოს წადი, დედი, შენს ქმარს მალე მიეშველე. ნუ იტირებ კი. ცრემლი ისე არ არგებს როგორც შეაწუხებს. უთხარი შენს ქმარს, მეც დილაზედ ვინახულებ, ღმერთია მოწყალე თქო, ყველანი მშვიდობით ვიქნებით.

დედა-კაცი რომ გავადა, ღვდელს მაინც გული არ დაუამდა, კიდევ იმის ფიქრში იყო.

— მართლა რომ შესაბრალისია ეგ საწყა-

ლი, თქვა მერმე; ქვეყანაზედ მაგ ქრმის მეტი შემნახავი არაფინა ჰყავს. შეილი მაგას არ შერჩა და ძმა, დარჩება ისე უპატრონოდ უბედური. კაი კაციც იყო მაგის ქმარი. მართალია, გამოწურულ ოფელში ამოვლებულ ლუკმასა ჰსჭამდა, მაგრამ კაი კაცობაც მაგაშია; მაგით რჩებოდა ის და არჩენდა თავის ცოლსა. ეხლა რა ეშველება? დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!....

— მართლა რომ დაილოცა ღვთის სამართალი! მივატანე მეც იმის ქცევისაგან გულგახარებულმა: დაილოცა ღვთის სამართალი, შენისთანა კაცს არ დაღვეს ქვეყანაზედ ქვრივობრის და უპატრონოს ნუგეშად. შენმა სიტყვამ ეხლა იმას ცრემლი მოჰსწმინდა. დაილოცა ღვთის სამართალი! მადლიან კაცთან აადვენებს უ?ედურსა მზარის მისაცემად.

ხმა არ გამცა, ყური მომარიდა. საკვირველია კეთილი კაცი! სარკეში ჩახედვა ეჯავრება, თავის თავის დანახვა ეთაკილება, ეზარება; რაც უნდა უყავ, თავის სიკეთეს კი ნუ დაანახვებ. მაგრათ რა? ღმერთი ხომ ხედავს და ხელის გულ-

ზედ ჰსწერს: . . . დედამიწის სარკე ზეცა არის. ის გადიცემს ხოლმე წუთის სოფლის საქმესა . . .

V.

თუ გული გაქვთ, თქვენვე იგულეთ ეხლა: რა იქნებოდა იმ დედა-კაცისათვის ის მადლიანი ნუგეში იმ მადლიან კაცისა! მართალია, ღედლის ლიტონი სიტყვა უკუდავების წყარო ხომ არ იყო, რომ მკვდარი გაეცოცხლებინა, მაგრამ მაინც კიდევ დიდი საქმეა ისეთი ღეთისნიერი გულშემატკივრობა. «ღეთის ნუგეში დიდიაო» თქვა ღედელმა, მე რომ ვნახე, არც კაცისა ყოფილა ნაკლები. თქვენ რომ როდისმე გაგჭირებოდათ, მაშინ შეიტყობდით, მწუხარისათვის, იმედ გადაწყვეტილისათვის ცარიელი სიტყვა, თუ ნამეტნავად იმ სიტყვაში გულის სითბო და სიმართლევ ურევია, მაშინ შეიტყობდით, ის ცარიელი სიტყვა რა ტკივილის დამყუჩავი რამ არი! . . ასე გგონია, იმ სიტყვებმა ნახევარი ნაღველი თან წაიღესო, ისეთი ღოღი აგეცლეთ-

ბა გულიდამ. სიტყვა ხომ არაფერია და კაცს არაფრად უღირს, მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ მოძმესათვის ისიც არ ემეტება. ესეც კია, ზოგმა თუნდ გამოიმეტოს კიდეს, გაჭირებულ გულს არ მოხვდება, ვერ მიახწევს გულამდინა, იმისთანა კაცები გულს ვერ მოჰტახანენ გაჭირებულსა და ვერც ნუგეშსა ჰსცემენ, მზე ზამთრისა ყვავილს ვერ ამოიყვანს.

ღვდელი, ის დალოცვილი მადლით საესე ღვდელი, იმისთანა არ იყო. დედა-კაცი რომ ატირდა, მაშინ რომ შეგეხედნა გული იმის თვალთში გამოიხატა და ზედ ეწერა: «რა გქნა დედი? ჩემი სისხლი რომ მოარჩენდეს შენ ქმარსაო, ძარღვს გავიხსნი და დავალევინებო! ამისთანა კაცის სიტყვა მწუხარებას შუაზედ გარღვევს, და აბრეშუმის ხელსახოცსა ვით ლბილად მოსწმენდს თვალიდამ ცრემლსა.

როგორც შემეძლო, ხომ ვითხარი, ღვდელმა რა უთხრა დედაკაცსა, დიდი არაფერია, მაგრამ დამიჯერე, რომ იმ ნათქვამმა იმ დედა-

და-კაცს თავსი გულის ნალველი იმ ოთახში დააგდებინა და ის კი გაისტუმრა ნუგეშითა. მზე რად უზამს იმოღენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულს გულსა!... ოო!... სითბო!... დიდი რამ არი! დედა-მიწის ზურგი იმითი აყვავდება ხოლმე, წუთი სოფლის ცხოვრება იმითი მოისხამს ყვავილსა!... მაგრამ რა სიტყვა!... ცარიელ სიტყვას ის ღვდელი არა ჯერდებოდა. მერე შევიტყე, წელიწად ნახევარი თურმე ინახამდა—თითონ ღარიბი—დაგდებულ ქმარსა და ცოლსა.

შენ ღვთის გამგებლობას უყურე! ის-ის იყო კაცის გულის სიკეთეზედ მელაპარაკებოდა, ღმერთმა ისე მოიწადინა, თვალით დამანახვა ის, რაც სიტყვით ღვდელმა ჩამაგონა. სწორედ სასწაული იყო ღვთისა! რაღა იმ დროს შემოვიდა ის დედა-კაცი, რომ რაცა ჰსატქვა ის ჩემ თვალ წინვე აესრულებინა. გინდა დაიჯერე, გინდა არა, მე კი ვიტყვი მართალსა; ერთი მაშინ მოხდა ეგ სასწაული, მეორედ კიდევ მაშინ როცა იმ ადგილას მივედით, საცა ჰსწერია:

«ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, კერცა
 კლდოვანი,
 მიხგან უოკელი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულო-
 ვანი,
 ბოლოდ შეჭყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცო-
 ვანი.
 ქსკობს სიტოცსლესა ნაძრასსა სიკვდილი სახელოვანი.

სწორედ იმ დროს ქუჩილამ ერთი აყალმაყა-
 ლის და ალიანქოთის ხმა შემოვიდა. ხომ მო-
 გახსენეთ, მტკვრის პირას ვიდექით მეთქი და
 ღვდელიც ხომ იქავე იდგა. ღვდელი გაფითრდა
 და, ისე როგორც აყო, უცბათ ეცა ქუჩის კა-
 რებსა. მეც გამოვედი გარედ. სალამო ხანი
 იყო. ხალხი დიდი, თუ პატარა, ერთი დაქანე-
 ბული საურმე იყო მტკვრისკენა, იქით მირბო-
 და.

— რა ამბავია, ძმებო, რა ამბავია? დაუყვი-
 რა ხალხს ღვდელმა.

— რალა რა ამბავია შენი ჭირიმე! კაცი იხ-
 ჩობა, დაუძახა ვილაცამა.

ამისი თქმა და ღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო. ისე თავშიშველი გაფრინდა გაფოთებული. მეც უკან გამოკუდღეჭი. ჩავედით; ხალხი და დედა-კაცობა შეგროვილი იყო მტკვრის გადასახედზედ. იმათი ჟღავი-ჟღუფი, ალიანქოთი კაცს დააყრუებდა. დედა-კაცების საცოდაობ.ს კი ნულარა მკითხავთ, სულ «ვიშ! ვიშ!» გაჰქონდათ. რომ დაინახეს ღვდელი მოდისო, ერთობ სიხარულით დაიგრიალეს: «ღვდელი მოვიდა, ღვდელი! მადლობა ღმერთსა, ქრისტიანი სული აღარ დაიღრჩობაო!» ჰსჩანს შენი ჭირიმე, იმ ღვდლისაგან კვლავაც ბევრი მაგისტანაები ენახათ, რომ ეგრეთი იმეღი ყველას შეოეცა.

ღვდელმა ხმა არავის გაჰსცა, ზედაც არავის შეჰხედა. იმისი თვალები მოუსვენრად დაჰყურებდნენ მტკვრის დენასა, თითქო უკანასკნელი საუნჯე იმას იქ ელუჰებო. თვალის დახამხამების უმაღლ გაიძრო ტანისამოსი და გადმოყარა ჩემკენ; ერთს წამს კი, მინამ იხდიდა, მტკვრისათვის თვალი არ მოუშორებია. მე შევხედე: გა-

ფითრებული იყო და დალონებული; ერთი ეს კი თქვა: იხიობა ჩვენისთანა ადამიანი და არა-ვინა შეელოს? შემდეგ სწრაფად გადისახა პირ-ჯვარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა თეხი და გადავარდა წყალში. მაშინ კი თან გადაჰყვა ტყაპა-ტყუპით შვიდიოდე ბიჭი, თითქო ღვდლის საქციელმა წაახალისაო.

კოტა ხანს თვალიდამ დავკარგე ღვდელი. მე იმის დახიობის შიში მომეცა, «რა იქნა, ხომ არ დაიხიო?» წამოვიძახე ჩემ თავად. «ჰმ, ჩაიცი-ნა ჩემ გვერდით ერთმა კაცმა: მაშ შენ ეგ ვერ გიცენია, მიპასუხა მე და გაშტერებით თვალი წყალს ააყოლა.—მაგას ღვთის კაცს ეძახიან, არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება. აგე. თუ არა გჯერა, სად ამოჰყო თავი!» გამიშვირა თითი და დამანახვა გახარებულმა ღვდელი.

ნივიხედე, თითო ხელის მოქნევაზედ ის დალოცვილის შვილი ერთ დიდ ალაგს გადაინაცვლებდა; როგორც გემი, ისე არღვევდა წყალს. ღვდლის შორი-ახლო ის უბედური მუ-

შა, წყლის მუშა ყოფილიყო საწყალი, ქანც-
გაწყვეტილი ფორთხალებდა. ხან ჩაიძირებოდა,
ხან მაღლა ამოვარდებოდა ხოლმე.

— ნუ გეშინიან! ეძახოდა ხალხი: არ შაუ-
შინდე წყალსა, ცოტა კიდევ თავი შეიმაგრე,
შენი დამხანელი მოდის

აი მიდის და ებრძვის წყალს ღვდელი, ხალ-
ხი აქედამ წასახალისებლად ხმას აძლევს. «აი,
შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! დაილოცა შენი
მკლავების ძარღვები!... ჰე . . . ტაი, ტაი. ტა!...
რა რიგად მიდის, ნავია! აბა, შეილო, დედის
ძუძუ მაგას შეჭრგებია, აი!... იძახოდა ერთი.

— დედის ძუძუ ვის არ შერგებია, მაგრამ
მადლიანი ძუძუ უნდა, რომ მაგასთანა შეილი
გაზარდოს, ამბობდა მეორე.

მაგრამ ღვდელს არ ეჭირებოდა არც ერთის
თქმა, არც მეორისა, არც ხალხის წახალისება
და გულის გამაგრება. იმისი სიმაგრე და წამა-
ხალისებელიც ის ცეცხლი იყო, რომელიც,
თითონ რომ თქვა, ყოველს კაცს გულში უნ-
თიაო. რას ბძანებთ? სიკეთე კაცს გულში ვერ

ეტევოდა, სხვის წახალისება აქ რა საჭიროა! სიკეთის ქმნა, სწორედ რომ იტყვიან. სწყუროდა: დრო მოეცა და ზედ დაკდობით დაეწაფა.

ისე შენ მოარჩი შენს ნაღველსა, როგორც იმ ღვდელმა ის მუშა მოარჩინა. როცა ნაპირზედ გამოიტანეს, როგორც ძმასა ზედ დასტრიალებდა გონება-მიხდილ მუშასა. როგორც იყო გამოაბრუნეს ის საწყალი. თითონ ღვდელი მუშაზედ ნაკლებ შესაბრალოსი არ იყო. შემოდგომა გახლდა, სულ გალურჯებული იყო, სიცივისაგან კბილით კბილსა ჰსცემდა და კანკალებდა.

— გლახავ! მიუბრუნდა ვილასაც ღვდელი, თუ ღმერთი გწამს! ამაღამ შენ სახლში ბინა მიეც ამ საცოდავსა, მადლია.

— ბატონი ბძანდები, უპასუხა იმანაცა: მაგრამ რალა თქმა უნდა შენი ჯირიმე! შენ კინალამ მაგის გულისთვის თავი არ დაიხჩე და მე ბინას როგორ არ მივსცემ. აბა, ბიჭებო, მიშველეთ!

დაუძახა ხალხსა. ხალხი მოჰსცივდა, ასწიეს მუშა და ციმციმათ წაიღეს, ღვდელიც უკან აედევნა.

— შენ კი შინ წამობძანდი შენი ჭირიმე! ვუთხარი მე: დაღლილი ხარ, კანკლებ.

— მუშას შეველა უნდა კიდევ, მითხრა პასუხად.

— შე დალოცვილო! ... შენ თავსაც უნდა შეველა, მივატანე მე.

— აგე ჩემი მშველელი სად არის! ... მითხრა ეს თუ არა, ცა დამანახვა და გამეცალა.

მინამ კარგად არ მოასვენა, მინამ გული არ დაიჯერა, რომ ეს კაცი აღარ მოკვდება, ის დალოცვილი არ მოშორებია.

ის მუშა კი მოარჩინა სიკვდილსა და თითონ კი კინალამ სული არ მიაბარა უფალსა. ისე ავად გახდა, რომ კინალამ თან არ გადიტანა, ღმერთმანი შეინანებდა და იტყოდა: «სხვისთვის თავი რად წავიხდინეო. მარტო ვყოფილვითყავ კიდევ, ჰო: დედა ჩემს ვის სინაბარას გაუშვებდიო, მე რომ იქ ამტეხოდა რამე.

იმისი საცოდავი დედა კი ეუბნებოდა: «შვილო! თავს რაზედ იკლამდი? რა ეუყოთ, რომ იხიობოდა? შენც რომ იქ აგტეხოდა რამე, დედა შენს რაღას ეტყოდი, საიქიოს რომ შეხედებოდი?

— პირ ნათლად შევხედავდი, რომ იმის ძუძუმ კაი საქმე შემაძლებინა, უთხრა ღვდელმა.

— ზოგი მუ მკითხე ეხლა. შენ დაგხარი დღე მუდამ ზედა, შენს მეტი აღარაეინ გამაჩნია დედა-მიწის ზურგზედ და ისე გამომიმეტე, რომ კინალამ თავი არ მოიკალი სხვისთვისა, კინალამ...

— აკი ღმერთმა დამიფარა და არა ამიტყდა რა.

— როგორ არა აგიტყდა რა? სამი დღე, ვუი შენ დედასა, უსულო კვდარსავეით წინ მედღე და დაგტიროდი, რომ ღმერთს არ მოეხედნა, რა მეშველებოდა?

— ქვეყანა დიდია, დედაჯან! ყველა კაი კაცი შენი შვილი იქნებოდა.

— უი, უი!—გადიწერა პირჯვარი ღვდლის

დედამა: ღმერთმა ნუ შემაჰსწროს მაგ დღეს!...
შენი ხელით მინდა, შვილო, მიწა მივიყარო.

ერთხელ ჯერ კიდევ მოზრდილი არ იყო, რომ მივედი. მეც კი ღმერთი შეგცოდე, ვუთხარი: მეტა მეტა თავ-გამოშვებული ყოფილხარ. თუ შენი თავი არ გებრალეობდა, დედა შენს მაინც შეიბრალედა. უფრო ცოდვა არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგეგდო ამ ტრიალ ქვეყანაზედ?

— ცოდვა ეგ კი არ არის, ცოდვა ის არის, ჩემო ძმაო, როცა შეილი დედის ჭირნახულსა ყვავილებს არ გამოატანინებს, როცა დრო მოუვა, — მითხრა დასუსტებულმა: აქ ახლო მოჯეგ. იმ დღეს დედა ჩემს ვერა ვუთხარი რა, მოხუცებულია, უსიყვარულობაში ჩამომართმევდა. დედის გული ზღვა არის საყვარულისა: რომ უთხრა, შეილა რომ უკვდებოდეს, ორის დღის სიცოცხლე კიდევ ძაგაგება შენ შეილსაო, ოღონდ სული საყვარულად გაგაგონეთს მიეცოდ, დედა მავასა იქ; შვილიმა კი დედისათვის რომ ეგა ქმნას, დედა იწყენს. მე რომ

ჩემის თავის და ღვთის იმედი არა მქონოდა, სულელი ხომ არ ვიყავ ადელელებულ წყალს მივჭსცებოდი; ღმერთმა შეძლება მომცა და ინება ჩემის ცოდვილის ხელით იმ კაცის მოჩენა. თუნდ ეგ არ იყოს და მეც იქ თავი გამეფუჭებინა, რა ცუდს საქმეზედ გავიფუჭებდი თავსა! ხომ უნდა მოვკვდე დღესა, თუ ხვალე, ისა არა ჰსჯობია ღვთისა და... გეტყვი ახლა კი, კაცის სამსახურში (აქ ღვდელი გაწითლდა) ამომივიდეს სული!... აქ სახელი მაინც დაგრჩება და იქ სიკეთე წაგიძღვება. «ჰსჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა», ჩემო კარგო! სახელის მოხვეჭა კიდევ, სხვამ რაც უნდა თქვას, ცხონებაა სულისა. სამოთხესაც აქედამე ეგ ანათებს და ჯოჯოხეთსაც აქედამე ეგ აქრობს როგორც შვილისათვის, ისე დედისათვის! დედა ჩემს ეგ არ ესმის და იმიტომ თქმა ამისა ველარ გავუბედე.

— ეგ აგრეა, მართალსა ბძანებ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მაგრამ ისა, შენი ჭირიმე, რომ...

— მესმის რის თქმაც გინდა, გამაწყვეტინა სიტყვა: იქნება გეგონოს ვინც კაი საქმესა შერება, სახელისთვის შერება? არა; სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართლია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმონენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო; მაშინ ისინი იმ კაი საქმესა სახელზედა ჰყიდიან; ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე თუნდ გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს. დაე საქმე საქებური იყოს და გულის წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ. აი ეხლა, ვინც თავდაპირველად გუთანი მოიგონა, ვინ იცის? სხვისთვის ისე არა ფიქრობდა, როგორც თავისთვისა, ისე სიკეთისათვის არა, როგორც სახელისათვის, ჩვენ რა? ღმერთმა ცხონება მისცეს იმას, რომ იქნება თითონ მშვიერი მოვეკლა და ამოდენა მიღეთის მცხოვრებლებს კი გაუწყვეტარი ლუკმის სახსარი მიჰსცა. იმისი სახელი გაქრა ქვეყანაზედ, საქმე კი, რომელიც ყველა სახელზედ უკეთესი სახელია, დარჩა საუკუნოდ,

საქმე, რომელიც მარტოკა დაჰსძლევს მთელ ქვეყნიერობის ცოდვებსა! ხომ ეხლა არაფინა კითხულობს, რა წადილი ჰქონდა, როცა საწყალი თვალსა და გონებასა იწყალებდა ამ სახელოვან საქმისათვის. ის წავიდა თავის კარგის, თუ ცუდის გულის-წადილითა და იმის გულის წადილის ნაჭირნახულები კი ხელთ დაგვრჩა?...

— მე მაგაზედ ფიქრათაც არ მამსვლია მეთქვა რამე, მე მინდოდა მეთქო....

— რა უშავს? გამაწყვეტინა ისევ სიტყვა: მეტი ხომ არ იქნება, რომ მე ეგა ვჰსთქვი?

— მეტს ვინ მოგახსენებს? ჩამოვართვი მეც სიტყვა: მე მანდამდინ გონება სად მიმიწვდებოდა, რომ ეგ მომფირებოდა. მე მინდოდა მეთქო, რომ სხვის მოსარჩენად, დედა ჩემს არ დავლუპავდი, ვერ დავთმობდი. იმის იმოდენ საცოდავობას ვისრად ვერ ავიღებდი. შენი სიცოცხლე იმისთვის სხვა რამ არის, სხვა ნუგეშია!....

— სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკლავ-

ვები მაშინ არა ჰჩანან . . . ის როგორა ჰსწერს ავთანდილი როსტევეანსა?

«მე იგა ვარო»

«ვის სიკვდილი მოუკრისათვის თამაშად და მიხანს მღერად.

— კარგი სიტყვა არის, თუ მოყვარედ ქეყანა ვიჩინია ადამიანსა. ისიც კარგია, ხომ გახსოვს:

«**სჯობს სიცოცხლესა ნაზრასსა სიკვდილი სასქლოვანი.**»

— მახსოვს და მესმის კიდევცა, რაზედაც მითხარი ეგა. მაგრამ მაგისტანა ნაძრახი სიცოცხლე ნეტავი მე მქონდეს, როგორიც შენა გაქვს.

ღვდელი ბავშვით წამოწითლდა. ის დალოცვილი ვერ იფიქრებდა ქებასა.

— შენ ნუ გადმომწვდები ხოლმე, მითხრა ღიმილითაც და მორცხობითაც: ხომ არ იცი, მე რა კაცი ვარ?

— შე დალოცვილო, დავატანე ზედ: თუ მიგნება არა მაქვს, მადლობა ღმერთს, ბრმა

ხომ არ ვარ, რომ არ დაეინახო ნაძრახი სი-
ცოცხლეო!..

— მაშინ ნაძრახი იქნებოდა, თუ ჯერ არ
არის, ჩემო ძმაო! კაცი იხიობა, ღვთის კერძო,
შენსავეთ შვილი ერთის მამა-ღმერთისა, შენ
კი გულ-ხელ დაკრეფილი დაჰყურებ, როცა
იმის მოჩინა შეგიძლიან, სასახელოა? მერე
ღმერთს რა პასუხს მიჰსაცემთ, ან შენ და ან
დედა შენი ღმერთს რას ეტყვიან? არ გეტყვიან:
რად მოიკალით გული, რომელიც თქვენის
მოძმის სიყვარულისათვის მომიცია თქვენთვის?
რად დამალეთ და დაიშურეთ ღონე და შეძლე-
ბა, რომელიც გაჭირებულის მოძმის საშველად
მომიმადლებია? როცა, ჩემო ძმაო, ადამიანს
პირს არიდებ, მითამ ქრისტე ღმერთისათვის
მოგირიდებია პირი. იესომა ბძანა, განკითხვის
დღეს გეტყვიან: წყურვალე ვიყავ, არ მასვი-
თო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო, შიშველი
ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მო-
მიარეთო. როცა მეტყვიანო: უფალო! სადა
გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვეტყვიან:

ყოველი გაჭირებული კაცი თქვენგან არ გა-
კითხული, მე ვაყავიო, ესეა ძმაო!...სხვა შენ-
თვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა,
აი ხიდი ცხოვრებისა, აი გასაღები სამოთხისა!...

გზა გამიკათა მაგრამ ჟამმა მიჰუხთლა და არ
დამაცალა ზედ გამეველო!...მომიტანა კლდემ
ქვეშა და, ხომ ხედავ, ისე ვქრები, როგორც
ცეცხლი, როცა გარედამ ჰაერი არა შევლის!...

ტყუილად კი არ მითხრა, როცა ავთანდილის
და შერმადინის ამბავი წაეკითხე და ატაცე-
ბულმა უნებლიეთ წამოვიძახე:

— ვენაცვალე შენს დამწერსა! აი ბატონ-
ყმოზა თუ იყო, ამისთანა.

— მოგწონს? მკითხა ღვდელმა.

— აბა რა?

— მართალი ხარ! მიბძანა იმან ნაღვლიანად:
უარეს ეგა ჰსჯობია.

ამის შემდეგ რალაც ფიქრმა წაიღო იმისი გო-
ნება და გული; მე თვალი მომარიდა და ჭერს
გაუშტერა. კარგა ხანი დაჩუმებული იყო, მერე

კი თითქო უნებლიეთ, თავისთავად უფრო და-
ღონებულათა ჰსთქვა;

— იმას კი არა შეედრება რა, როცა ცა ქუ-
დათა გაქვს და დედა-მიწა ქალამნათა.

მე მაშინ არ მესმოდა, რას ამბობს. უეცრად
ჩემკენ მოატრიალა თვალი. როცა კარგა ხანი
კიდევ მოიფიქრა, მითხრა:

— ერთი ეს მითხარ: ხელში ნაპატივები მი-
მინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელ-
საც გაჩენის დღიდგან ხელი არ მოხვედრია.

— რასაკვირველია, ის, რომელსაც ხელი არ
მოხვედრია.

— რათა? ის ხომ უფრო გაპატივებულია?

— ვაი იმ პატივს!... ხან ფრთას აუკვრენ, არ
გაფრინდესო, ხან ბოლოს—არ გაიქნივოსო,
თვალეbs კი ყოველთვისა აუბმენ ხოლმე, არა
დაინახოს რაო.

— ყველას ეგრე უბმენ ხოლმე?

— მაშა? ამბობენ, თუ არ ეგრე, მიმინო არ
გაიგეშება თურმე. კლანჭებს შედაც ეყენებიან თოკს
გამოაბმენ, თუ ვინიცობაა ნაფარდზედ გაიწივოს,
არ გაუშვან.

— თოკი თოკია, ეყენები რალათა აქვს?

— ხალისისათვის თუ უკეთებენ: ატოკდება, თუ გაფრინდება ეყენები ხმას აძლევენ.

— იქნება. მაგრამ, მგონია, ფრთების ფრიალი, როცა კი გამლის ხოლმე და გაინაეარდებს, იმ ეყენების ხმას ერჩივნოს და წასახალისებლათაც ის ეყოს.

— აბა მაგას რალა თქმა უნდა? რასაკვირველია, ურჩევნა.

— მეც ეგრე მგონია, ჩემო გაბრიელ...ახლა, რას აქნევენ მიმინოსა?

— შე დალოცვილო! ისე მკითხამ, თითქო არ ვიცოდებო. მწყერს აჭერინებენ და თითონ კი სეირს უყურებენ.

— მერე?

— მერე რა! მწყერებს აბგაში ჩაიწყობენ და შინ წამოვლენ.

— მიმინოს?

— მიმინოს იმას გამოაწიწყნინებენ, რაც კაცის საჭმელად არ ვარგა.

— საწყალი!.. თხის პატრონს არც თხის კუდიო... მერე მიმინო მადლობელია?

— არა მგონია. კიდევ რა? ბევრი მონადირეა თავის დღეში მუცელსაც არ გაუძღობს, კარგად ვერ მოეტყუებო, ზოგმა კიდევ ეგ ხანდაზმობით იცის.

— მინამ სული არ ამოუა, სულ ამ ყოფაშია მიმინო?

— არა. თუ მიმინომ შემოდგომამდინ გაუძლო მონადირესა და არ მოკვდა, თავის ნებაზედ გაუშვებენ ხოლმე.

— დახე, ყველას დრო ჰსდომებია!...

— მაშ უდროოდ რა იქნება? მინამ მწყერია ანადირებენ, როცა მოილევა, იმასაც აღდგომის დღე მოუვა ხოლმე.

— მაშ მინამ მწყრები ბუდობენ, მინამდინ მონადირეს ხელთა ჰყავს მიმინო?

— დიახ, გამეცინა მე: მინამ მწყრები ბუდობენ.

— მგონი, მწყრები მაშინ მოილევიან, როცა სამალავი და საფარი აღარ არის მინდვრებში; სიმინდი რომ მოიჭრება, ყანები, ფეტვები რომ დაიმკებიან; ერთის სიტყვით, როცა ყოველ კაი კაცის ნამუშავარი შემოვა.

— დიახ, შემოდგომაზედ მწყერი ილევა, მა-
შინ მიმინოსაც თავის ნებაზედ გააფრენს ხო-
ლმე მონადირე.

— დაილოცა ისევ შემოდგომის მადლიანობა!...
ვისაც კი მადლი ჰქონია და სიკეთე, უმუშავნია,
დაუთესნია, სულ ყველაფერი მაშინ მომწიფდება
და მოიკრიფება! სახლი, კარი ღვთის წყალობით
აივსება ხოლმე... ქორწილებიც კი მაშინ იციან,
ყველა მაშინ დაბინავდება, მიმინოს-კი, მიმი-
ნოს!... კაი დრო არის! ჰური, ღვინო, ლხინი,
ყველაფერია ბლომად. ყველა, დიდი, თუ პატა-
რა, მაძღარია მაშინ და მხიარული!... კაი დრო
არის!!... ორი, სამი თვეც, და გაზაფხულიც ზედ
მოემბის ხოლმე, ის ლამაზი, მხიარული, თბი-
ლი გაზაფხული!... ღმერთო! მოსავალი მოდის
და გულმართლად მოამკვივინე ყოველ მუშაკსა!...

ილ. ჭავჭავაძე.

პეტერბურდი, 1859 წ.

(შემდეგი იქნება)

ჩემს მეგობარს ნ...ს.

ხელში მიჭირავს შენი უსტარი,
ნუგეშად, სატრფოდ მონაწერია,
ბრძნულის ჰაზრისა, გრძნობით დამტკბარო,
და მით ამ გულის ამაძგერია!...

მოგიწერია ყველაზედ მეტო
ჩემი წყლულების ცკბილო მაღამო:
«გრძნობით აღესილო ჩემო პოეტო,
შენსა სევდასა ნუ მიმაღამო!»

შენ არ მოსტყუვდი ჩემის ღიმილით?
სჩანს, გეყურება ამ გულის ძგერა!...
და მეგობრულის თანგრძნობით ტკბილით
გსურს მომისმინო მე აღსარება,

რომ ჩემი მჭკნობი, ჩემი მღალაფი,
გლახ ჩემი ტვირთი გაიზიარო?
მაშ მოამზადე თანმგრძნობო თავი,
რომ შენცა ჩემთან ცრემლები ჰღვარო!...

წარსრული, აწმყო და მომავალი
ჩემი არს ბრძოლა ჩემივე ბედის!
შით სისხლის ცრემლით მომერწყო კვალი
და სურვილიცა განქრა იმედის!

ძმათ-სიყვარულით აღმევესო გული,
რა რომ შევიძელ ავ-კარგის ცნობა,
ეწრომობდი მათთვის თაე-განწირული,
მაგრამ ვერ ვჰპოვე მათში თანგრძნობა!...

ვიდოდნი ხალხში შეუპოვარად
პირ-ბადიანი და მომლიმარი,
მაგრამ ჩუმათ კი მიწურავს ღვარად
ოხვრით ნართაფი ცრემლები მწარი!...

სულით და გულით ობოლი, მწირი
ჩემთ დღეთა ასე ვათენ-ვალამებ,
რომ სისუსტისგან თავს მაინც არ ვხრი
და უგნურს მტერებს შით არ ვახარებ.

მაგრამ კაცი ვარ მეც ხორც-შესხპული,
უბედურს წამებს მეც ხშირად ვმოწებ,

და მაშინ, რომ ეკლავ გამემხნეს გული,
სიმხნის მალამოდ მე შენ გიგონებ...

გიგონებ და კვლავ ისევ ხალისით
ჩემს მწარე მიზანს ვემსახურები
და განწმენდილის მე სინიდისით
საფლავისაკენ მივეშურები....

სადაც ვიხილავ მე განსვენებას
უგრძნობლობითა იმ უმწარ-ტკბილით,
ბოლოს მოუღებ რა მოთმინებას
საუკუნოსა უფსკრულის ძილით!

სადაც სიცოცხლით გაჭირვებული
გავხდები მე მყის მდიდარი მკვდარი,
რადგანც ჩემ-ცრემლით დასოვლებული
იქ თან-ჩამყვება შენი უსტარი!...

უსტარი ტკბილი, ცოცხლის ნუგეში,
უსტარი ცივის მკვდრისა სიმდიდრე,
უსტარი მყოფი ამ ჩემს უბეში,
რომლითც გიგონებ ცოცხალვარ ვიდრე!

აკ. წებეთელა...

ქართული სალიტერატურო ისტორიის

მასალა

ნ. ბარათაშვილის წიგნები

ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთსა და იმავე პირობას მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართული ენისა და მწერლობის მოყვარემ. ვისაც ესმის, რა გვარი მნიშვნელობა აქვსთ ამ-გვარ წერილებს ლიტერატურის ისტორიისათვისა და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, ის ჩვენთან ერთად გულთადას მადლობას მოახსენიებს მაგა წიგნების პატივცემულ გადმომცემელსა.

I

საყვარელო დაო, N...ო, მადლობელი ვარ, რომ რახაელს წიგნი დაჰსტყუე, გუშინ იასემ მომიტანა. ამიტომ უფრო მიამა, რომ წინააღმდეგ ამა წიგნზედ ლაპარაკი იყო და მეორეს დღეს უნდა მიმეტანა N...სათვს. ასე ეგონა, რომ მე მაქვს. მაშ რადგანაც ესპირობა აღასრულე, იმედი მაქვს ახლა, რომ მეორეც არ დაგავიწყდება.

N...ის ცოლი წავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილნი. ხანდისხან ოხერით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დროებას თუმცა ოხერის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუშინჰსწინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მხიარული. N...ის დღეობა იყო და N...ეს სახლში გარდაიხადეს. მე, ჰსწორე ვითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილ იყავ...

შაგრმ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ლამეც წაი-
და, ვითარცა სიზმარი. კიდევ მომნახა ჩემმა
ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს,
ჯერ იმისი სთამოვნება რა არის, ამ საძაგელს
ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც,
შენც იცი, დიდხანთა ობოლი ვარ. არ დაიჯე-
რებ, N...ო! სიცოცხლე მომძულებია ამდენის
მარტოობით. შენ წარმოიდგინე, N...ო, სიმწარე
იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა
ჰყავს, დედაცა, დებიც, მრავალნი მონათესავენი
და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ
ობოლია ამ საესე და ერცელს სოფელში! ვინც
მალალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე
უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა
მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამ-
და ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქო-
ნია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ, ცრემლად
სიბრალოულისა, გამომეტყველად მშვენიერის სუ-
ლისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა,
წვეთნი საშინელის საწამლაისა! სად განისვენ-
ნოს სულმა, სად მიიდრიკო თავი? ვიცი, გაიცი-

ნებ, ასე გეგონება დამწვარი ვლასპარაკობ. ჭეშმარიტად, N...ო, ასე ვულცია. ჯერ გან-
 ჰსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი
 მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცის
 წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყი-
 დელი მსაჯული. — მოიგონე ცოტას ხანს დრო-
 ნი წარსრულნი და მაშინ შემიბრალებ. ყმაწვი-
 ლობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელად-
 და გარდიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის
 სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და
 ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტოობა სულისა:
 მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
 მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,
 ოხერა არის შეება უბედურისა!

შენი ავადმყოფობა შევიტყე, რა დაგემართა?
 თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო
 არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ
 დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს
 ამ წუთის სოფლისა. — დაიმარხე მშვენიერება

სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი-
 კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიე-
 რებათა სოფლისათა უყურე გულ გრილად;
 ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი
 არიან! თუმცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ ეს
 წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი, და თუ და-
 მიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს.

გემდურები, რომ წიგნს არა მწერ, ხომ იცი
 მიამება, თუ მეტადრე ბევრს ამბებსაც მომწერ.
 —თუ N...ას, ანუ (რადგანაც ჯაერობენ ზო-
 გიერთი ქალები) N...ოვნას წიგნი მისწერო,
 ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე
 და უთხარ დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს-
 თქო. N...ას მალე ენახავთ.

შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბატონა-
 თოვი.

შენს გაზღას, N...ო, თუ გლუხარიჩი ნახო,
 ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ რა ღმერთი
 გავიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისა-

კენათქო. როგორ არა აგონდება რა სასიამოვნო
შენს პოეტურს სულსათქო.

წელს 1842-სა.

ოქტომბრის 31-სა.

ქ. ტფილისი.

II

საყვარელო დაო, N... ო! შენი წიგნი მამი-
ვიდა; დიდად მადლობელი ვარ; ვიცი, რომ
გიყვარვარ, მაგრამ, შენმა გაზღამ, არც შენ
ჩემსავით უყვარხარ ვისმე (.....).—ნეტა, ვის
ნათესავენს ემღურო? თითქოს არავის იცნობდე;
განა ქართველებში არის მეგობრული და ნა-
თესავებრი გრძნობა?—არა, რომ მეპატიჟები
მანდ, რას მეპატიჟები; ახლა ყველანი კარგად გი-
ცანით; აი სამი თთვეა აქა ვარ და ძალღად არა-
ვინ მახსენა; ეჰ, მაგის დარდსაც გაუძლებ!
აღარც მე მცალიან ვისთვსმე; ახლა მე ჩემი თავი
კელმწიფობას და საზოგადოობას შეეჭსძღვენ;
სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება, დრო არის

რიგიანის სამსახურისა; თქვენც გეყოფათ ბუზების ხოცვა.—ღიახ, ნურავის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთს ქალს უბძანებია, რომ აქ მოგეწყინდნენ და გავყარეთო! ეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოცდა ექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევს! ვაი იმისი ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელოის!...

კრიანოსნები გეთხოვნათ; მე დიდი ხანია თაფრიზიდგან ხუთი კრიანოსანი დავიბარე; აქამდისინ კიდევ უნდა იყოს მოსული კარანტინში (ოცდა ათი ვერსტია აქედგან); მაგრამ ჯერ არ გამოგიგზავნით, სანამ N..ოს ნება არ გექნებათ, ამიტომ, რომ მაგისტანა კრიანოსანი ერთი უნდა იყოს და რაკი გამრავლდება ლაზათი წაერთმევა, ხომ გაგიგონიათ:

რაკი ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს აღარც ჩი-
რად!

და რადგანაც პირველად N..-ის გამოუგზავნე, ამისთვის, რომ არ ეწეინოს, მაგის თანხმობით უნდა იქონიოთ მაგისთანა კრიანოსანი.—თუმცა გაჯავრდებით ამაზედ, მაგრამ, მაინც მე კიდევ ასე მოგახსენებთ.

ილაჯი წაიღეს მაგ ჯათარას (*) ქებით, ვისიც წიგნი მოგვევიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასა თვს აგრე მალე როგორ გაგიყდებით? — მაგის ამბავი ჩვენა გვეკითხოთ: ეგ სულეიშან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდგან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იდგნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა კარგი სმენა ჰქონია. — მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასა თვს ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარა ვის ექნებაო! ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე ჯოჯოხეთის მაშხალაა. —

*) ჯათარას ასალი მოძღვრალი ყოფილა.

ახლა ნახეჩევანში ერთი ახალი ლექსია, თერამეტის წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქრმისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუშოს; საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალიად გაუთხოვებიათ. ამათი ამბავი რომ იცოდეთ ერთი კარგი რამანია. ამ ლექსში თავის თავს ჰსტირის: ერთს ადგილას ამბობს: ჩემო მშვენიერო ბაღაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიფო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო.—ამ ლექსს დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოგიგზავნით, მგონია სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო, ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით: რომ, ეი, მ უ ნ ს ე ლ მ ა ნ ნ ა მ ა რ ი ხ ა ნ ჯ ა ლ ზ ა ნ ი, იმღეროს.

ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი... ძმა წიგნს არა მწერს? N...ეს კიდევ არ დავემდურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი ჰქონდა, ისიც ყაბახზედ დააბნია! მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი რა მიზეზია, რომ N...ნა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრით, არც კი უნდა დავემდურო, ახლა ჩვენ ვილას მოვაგონდებით, ვილაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახეჩევანში.—ახლა ცა ახალია, ქვეყანა, ახალია და მოდაში არიან...

N....მოკითხე და მადლობა უთხარ მოგონებისა თვს. N...მომკითხე, მეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ წიგნს ვერ მაძწერს და: ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია, რუსულიც ვერ უსწავლია, და არ ვიცი, რომელს ენაზედ დაჰსწერს?—

N....ო, ეს რისაგან არის, რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლიდგან, მაშინვე ქორაობა უნდა გაჩნდეს?

სხვებო ღმერთა ვთხოვე შენს ბედნიერებას.—
 ნუ დამივიწყებ.—შენი მარადის ერთგული:

ნ. ბარათაი.

აბა, ის რა ფერი ლაქით დაგებეჭდა. შენი წიგნი; იქნება ახლა მაგ ფერიც მოლა იყოს და მოსწონდეს ვისმე?—

აი ამ ქართულს ლექსს გიგზავნი მდაბიურულ-რულად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მამივიდა.—მე ვარ და ჩემი ნაბადი, იმის ხმაზედ.

9-ს თებერვალს, 1845.

ქ. ნახეჩევანით.

III

საყვარელო დაო, N...ო! მართლა თუ შენ ავი ენა არა გაქვს, აბა რა მოგაგონდება ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასანახავად აღარ გინდივარ. ზედგეტყობა, რომ ჰსტყუი, თუარემ, თუ მართალი იყოს, შორიდგანაც არ გენდომები.—აი ახლაც მინდა ერთი მართალი სიტყვა ვჰსთქვა —და შენ კი მაშინვე გაჯაფრდები; ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვჰსთქვათ, ჩვენს ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამავიწყა იმათი სახელი?

მაგრამ შენ მოიგონე, რათ მოუვიდათ?...აი, აკი გითხარ, გაჯაფრდები მეთქი. არა შენ რა გაჯაფრებს? ეგ ჰსწორეთ იმასა ჰგავს, რომ კაცს ღეთის წყალობა უთხრან და გაჯაფრდეს. შენ რა? აგრე გაწითლებაც იქნება- N....ს ეგონება სიანხლით გაწითლდი, N...ნე კი ჩაიციინებს. აბა, ნახე, შენვე აძლევ მიზეზს და მე კი მაბრალე. მე რა ვჰსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს მეთქი იმათ....რამ დამავიწყა?... ოჰ, მამაგონდა, N, N და N....მა. ყველას მსარჩველი შენა ხარ! აბა ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო!...

კარგი, შევრიგდეთ! კელთ-საქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაჟ შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შეასრულოთ რა! (პატივის ცემა კი არ გეგონოს მრავლობითად რომ გეუბნები). — რადგანაც ორი მოსაქმენი ბრძანდებით იმისთვის მოგახსენებთ. — მე კი არა გთხოვთ, და თუ გამომიგზავნით, ის მე ვიცი და..... და თუ არა და ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ.

აბა რა გამოგიგზავნო? ბროწეული, ყურძენი, ატამი, ხოხობი, ღურეჯი, ჯეირანი, აბრეშუმი, თუ სულ ყველა ერთად? აქაურ წაბრიკებში და მალაზიებში, ამის მეტი არა არის რა.—

ახალ დანიშნულს, თუ პატარძალს N...-ის მოახსენე, თუ შეგხედეს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე N...-ისაც უთხარ ჩქარა გამიკეთოს; ვინც მე ზონარს მამიქსოვს აგრე ჩქარა გათხოვდება.—

N...N....-ი და N...ქალაქშივე არიან, თუ წავიდნენ?—ამ თთვის გასულს მეც ვაპირებ ყაზახში წასვლას და N...თან შევალ დილიჯანში რამდენიმე დღე. კარგად არ ვიცი, რომ დასვედიანებული იქნება.

კარგი, დავილაღე ამდენი ლაპარაკით, არამცალიან.—

შენი მამადის ერთგული თუნდ ტატო და
თუნდ ნიკოლოზი.

10-ს აგვისტოს 1845, მუსკტს.

IV

საყვარელო დაო. N...ო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიციან ჩვენი მოქმედება.—მე კიდევ შევარიგე ცოლ-ქმარნი და! კრიანოსნები ჯერ არ მამხვლია, და როცა მამივა, უთუოდ გამოგიგზავნი, თქმა აღარ მინდა.—ჩვენი აქ ცხოვრება ჰსწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არის რა! N...იც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ეს N...სა ჰსწყევლის, აქ გამოგზავნისათვის, არ ვიცი თუ რა მოუვიდეს.—ეს ერთი კაცი გეყვანდა პოლკოვნიკი ფორსტენი, ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მართო დაერჩით!

N...ო, რაცა გაქვს სათქმელი, რატომ არა მწერ? სულ ერთია, თუნდ პირად გითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია. თუ შენი ამბავია, ხომ იცი შევინახავ საიდუმლოდ და თუ ჩემი კარგი ამბავია და რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ?

ვისაც ვახსოვდე, მამიკითხე, და ვისაც
არა *). რაც მოუვიდეთ,
მოუვიდეთ!

შენი ძარადის უცვალეული ძმა ტატო.

9-ს დეკემბერს 1845 წ.



*) ნამდვილშიაც წერტილებია.

გლესური სამღერა

(ილ. ჭავჭავაძისაგან მოგზავნილთაგანი)

ნეტავი ლაშქარს შეგუარსა სამი ბატონის უმანო,
მოგვწვივა მძიმე ლაშქარი, სწორებს გვეცადა თავიო,
მაღლიდგან გადმოაცქირა ლამაზი ქალის ჯარო!..

ბევრს ქალს კი შესძულდებოდა თვალად ლამაზი ქმა-
რიო,

ბევრს ქალს კი შეჭყვარდებოდა ზიარად ჯულუჭი ქმა-
რიო!

ნაპოლეონ მესამის ცხოვრება

ზღაპრათ ჩაითვლება იმ კაცის ბედი, რომელიც საიმპერატორო სასახლეში დაბადებულა, იმპერატორის ტახტის მემკვიდრეთ გამოცხადებული ყოფილა, შემდეგში მთელი ოცდა-ათი წლის განმავლობაში უბრალო მაწანწალასაგვით დედა-მიწაზე უხეიროთ თრეულა, გამხდარა მერმე უპირველესი განათლებულის და შემძლე ხალხის მოთავეთ და წინმძღოლათ, ოც-და-ორი წლის განმავლობაში მთელი ევროპის და ქვეყნიერების ბედის-მწყვეტელი ყოფილა და ბოლოს ექსორიაში კვდება, ყველასაგან მოძულე-ბული და შეჩვენებული. ეს ზღაპრული ბედი ნაპოლეონ მესამის ცხოვრებას შეადგენს, და ცოტაოდნათ რომ დააკვირდეს კაცი ამ ცხოვრებას, იმ წამშივე დაინახავს, რომ მის ბედში ზღაპრული არა ყოფილა რა. მისი ამალღების

და დაცემის მიზეზი, მისი ძალა და გავლენა, მისი ღიდება დაუმზადებია საფრანგეთის წარსულ ცხოვრებას, და თვითონ ნაპოლეონ მესამე, ისტორიის თვალში, მარტო ხორციელი გამოსახვაა იმ დამოკიდებულების, რომელიც არსებობდა საფრანგეთის ხალხის სხვა-და-სხვა ნაწილებს-შუა. ამ დამოკიდებულების და ცხოვრების განხილვა ადვილათ დაგვანახვებს, თუ რა ნამდვილი ძალა ჰქონდა თვითონ ნაპოლეონს, ჰქონია, თუ არა, ის ჭკუა და მოხერხება, რომლის სახელი მთელ ქვეყანაში გავარდნილი იყო, და თვითონ იმას მიეწერება მისი ამალლების და დევარდნის ბრალი, თუ სხვა რასმე, ან ვისმე. ამ მიზნის მისაღწევლათ საჭიროა თანასწორათ გუამბოთ მკითხველს ნაპოლეონის ცხოვრება და საფრანგეთის მდგომარეობა ამ უკანასკნელი ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში.

I

ნაპოლეონ მესამე დაიბადა ტაუილორის სასახლეში, პარიჟს, 20 (8) აპრილს 1808 წ. მისი

დაბადების დრო უბედნიერესი დრო იყო ბიძისის დიდებისთვის, და ბონაპარტების სახლობა მაშინ უმაღლესი გავლენის და შეძლების პატრონი იყო. მამა მისი ლოლლანდიის ხელმწიფეთ დაესვა მის ძმას. ორი მისი ბიძა, ჟერომი და ჟოზეფი აგრეთვე ხელმწიფობდნენ, ერთი ვესტფალიაში, მეორე — ესპანიაში, და ბიძა კი, ხომ, მთელი ქვეყნის მბრძანებლათ ითვლებოდა. ეს კაცი, რომელმაც ლაგამი აუღვა რევოლიუციას საფრანგეთში და ისე ალაგმული რევოლიუციის ძალები მიუსია ევროპის ძველ წესს და გაწყობილებას, ითვლებოდა იმ დროს ღვთისაგან მოვლენილ გმირათ, რომელსაც მთელი კაცობრივობა ემონებოდა, ხან ალტაცებით, ხან წყევლა-კრულვით და კბილის კრაჭუნით. იმას როდი დაეჭებდნენ, თუ რა ხერი მოუტანა საფრანგეთს იმ ცვლილებების და გაუმჯობესობის შეწყვეტამ, რომელნიც რევოლიუციას მოსდევდნენ, და იმ ნიადაგი ომების და ქექა-ქუხილის გრიალმა, რომლითაც ათრობდა ნაპოლეონი თავის ჯარს და ხალხს.

რევოლიუციამ რომ ძველი უწესოება მოსპო, ათასი წლის უმსგავსი განწყობილების დანგრევით და ახალი წესის და განმართულების შემოღებით, ეს მაშინ ბევრს როდი ესმოდა. არც ის ახსენდებოდა ვისმე, რომ გამარჯვების კიჟინის დროს ნაპოლეონი ნელ-ნელა და ჩუმ-ჩუმათ სპობდა თითო-თითოთ იმ ახალ დაწესებულებებს, რომლითაც რევოლიუციამ საფრანგეთი გააძლიერა და გააბედნიერა, თან იმ უწინდელ უქმურ წესს აარსებდა, რომელიც დასცა და მოსპო რევოლიუციის ქარმა. გამარჯვების კვამლმა და ხმამ დაუფარა ეს ყველაფერი საფრანგეთის ხალხს, დაავიწყა ანგარიში, მით უფრო, რომ უმჯობესი მხარე რევოლიუციის მოქმედებისა ნაპოლეონმა თვითონ მიიწერა და ხალხს თავის საკუთარ შრომათ დაანახა. — ხალხი ამას ვერ იგებდა, და გამარჯვების აღტაცებით უფრო და უფრო თვრებოდა. ის კი არავის განუსჯია, რომ ეს მდიდრულათ მოკაზმული გმირი სხვის დიდებას ითვისებს, მოტაცებული საუნჯით უხვობს, და

ნამდვირი დიდება და საუნჯე კი სხვას ეკუთვნის, იმ კრებას და იმ თაობას, რომელიც ამ გმირმა გაცარცვა და დასტანჯა.

დაუმსახურებელ დიდებას ყოველთვის ლანდათ მოსდევს შინაგანი უკმაყოფილება და ვაივაგლახი. ამ მიზეზით ის ოჯახი, რომელიც მთელ ქვეყანას დიდებულ და ბედნიერ ოჯახათ მიაჩნდა, ნიადაგ აყალ-მაყალით და წვალებით ატარებდა თავის კერძო ცხოვრებას. ბონაპარტების სახლობაში ყველას ტყვიასავეთ აწვანაპოლეონ პირველის მძიმე ხელი და ნება, მაგრამ ვერც ამ რკინის ხასიათმა გასწვრთნა და გააკეთილშობილა თავისი სახლობის ჯიში და ზნე, მით უფრო, რომ საკუთარი მისი მოქმედება და საქციელი ნამეტან კარგ მაგალითად ვერ ჩაითვლებოდა. განსაკუთრებით უბედური იყო ამ მხრით ნაპოლეონ მესამის დედამამის ბედი და მდგომარეობა. მამა მისი ისეთი რბილი და ნება-მიხდილი კაცი იყო, რომელსაც არც სიკეთის ჩადენა შეეძლო, არც სიავის; ბედს რომ მისგან მცირე რამ შრომა მოეთხო-

ვა და თან პატიოსანი ოჯახობა მიეცა მისთვის, ის თავის სიცოცხლეს სინიღისიანათ და უვნებელათ გაატარებდა, და თუ არას არგებდა ქვეყანას, დიდ ვნებასაც არ მოუტანდა. მაგრამ იმას სულ სხვა ბედი არგო მისმა ძმამ. ის დანიშნა ღოღლანდიის ხელმწიფეთ, ეს კიდევ არაფერია, რადგანაც ამ მდგომარეობაში მის მაგიერ სხვები შრომობდნენ და მოქმედებდნენ; უარესი უბედურება იმითი დააყენა იმას ნაპოლეონ პირველმა, რომ თავისი გერი, ჰორტანზი ბოჰარნე, ცოლათ მიათხოვა.

ეს ქალი ჩინებული ქმნილება იყო მოცუკვართ ყრილობისთვის, რადგანაც იმას არც სილამაზე აკლდა, არც შნო და არც კეკლუტობის ნიჭი. მისი ხასიათი იმ ცრვათ-აღტაცებული ქლების ხასიათს ჩამოგავდა, რომელნიც გულით კი ბევრ კეთილ მიზანს ეტრფიან, მის მიღწევას სურვობენ, მაგრამ, თუ ეს მიზანი იმწამსვე ხელში არ ჩაუარდათ, უცფათ ღონდებიან და ზანტი მუხლ-მოწყვეტით, უმიზნოთ და უაზროთ აწყვებიან ცხოვრების და გარემოებების ტალ-

ლას. იმას იმოდენა ხასიათი როდი ჰქონდა, რომ ერთიანათ ერთ მიზანს გაჰყოლოდა და ნიადაგ მისი მიღწევის ცდა თვალ-წინ ჰქონოდა. ის ადვილათ აღტაცდებოდა და იმავე სიადვილით ივიწყებდა თავის აღტაცებას, ახალი საგნის ან მიზნის სასურველათ, რომელსაც წინანდელი სურვილის ბედი ჰქონდა. გამყოლი, ხანგრძლივი, გულ-დამჯდარი სურვილის ძალა არ ჰქონია მის სულსა და სხეულს. ამ ხასიათს, რასაკვირველია, ვერას უზამდა, ვერ დააკმაყოფილებდა და სულს ვერ ჩაუდგამდა მისი ქმრის უხასიათობა. ჰორტანზის მოსწონდა თვითონ ნაპოლეონ პირველი, ის ემონებოდა მარტო მის რკინის ხასიათს, და მის ხელში რომ ყოფილიყო, იქნება მისი გავლენის ქვეშ კიდევ უკეთესს ხასიათს მიიღებდა. მაგრამ ნაპოლეონ პირველი ვერ მოუხდა იმას გვერდით, იმას მალე მოსწყინდა ჰორტანზის ნიადაგი კრუტუნის, და ამ მიზეზით იყო, თუ საზოგადო აზრის მიხედვით, იმან ეს თავისი უხასიათო გერი თავის უხასიათო ძმას მიათხოვა. ამ მოძულეებით და-

ჩაგრული ჰორტანზი, რასაკვირველია, ერთიანათ მიეცა თავის სევდის დავიწყებას და ადვილი ქეივის, სიამოვნების და ხალისის ძებნას შეუდგა.

ლოლლანდიის ხელმწიფის სასახლეში — ამას რალა თქმა უნდა — ამ მიმართულების ქალი მშიერი არ დარჩებოდა, მაგრამ მისმა ქმარმა დიდხანს ვერ გაუძლო ამგვარ ცხოვრებას, და ორივე ცოლ-ქმრის თხოვნით ნაპოლეონ პირველმა ქმრის მიტოვების და პარიჟში დაბრუნების ნება მისცა ჰორტანზის. ნაპოლეონ მესამე დაიბადა სწორეთ იმ დროს, როცა ცოლ-ქმარს შუა ამ რიგი განხეთქილება იყო, და თუმცა მისი ცხოვრების ამწერები კი ამბობენ, რომ მამა მისის იმას არა გამოჰყოლია რაო, მაგრამ უეჭველი კია, რომ მის ხასიათს მეტის მეტათ დააჩნდა როგორც მამა მისის (ან ლოლლანდიის) მძინარე უმოძრაობა, ისე დედის წუთიერი და ადვილი აღტაცება, ჭანტაზიობა, უხასიათობა და დაუდრგომლობა.

ამ ხასიათის ყმაწვილს აკვანშივე დაჰყვა საფრანგეთის საიმპერატორო გვირგვინი, იმ

დროს ნაპოლეონ პირველს ჯერ შეილი არ ჰყოლოდა, და მის გამო მისი გვირგვინი და ტახტი მისი ძმის ლუის სახლობას უნდა გადასელოდა. ნაპოლეონ მესამის დედას არც ამ ნათელმა მომავალმა ჩაუდგა ხანგრძლივი ალტაცების სული. შეილის ხასიათის გამოწვევით მაგიერათ, ის მის გართვას და გახალისებას ცდილობდა ყოველთვის, როცა იხსენებდა, რომ სახელმწიფო შეილი ჰყავს,—ესე იგი წელიწადში ორჯერ-სამჯერ. მაგრამ არც ის უნდა დაევიწყოთ, რომ დამხმარებლებს და თანა-მომხმეებს კი იმთავითვე უმზადებდა: მოჩნი, რომელიც ერთი იმ პირებთაგანია, ვისიც გაბედვით და უსინდისობით დაფუძნდა საფრანგეთში მეორე იმპერიას, ჰორტანზის უკანონო შეილი იყო.

პატარა ნაპოლეონი შეიდი წლის იყო, როცა ბიძი-მისის ტახტი და დიდება დაიმხო, და მთელი მისი ოჯახობა საფრანგეთის სამძღვრებიდან გაიდევნა. ყმაწვილის გამზდელათ ერთი აბბატი (მღვდელი) დაუქენეს, რომელსაც მისი ტვინი და გული უნდა აღეზარდა, და, რაღა

თქმა უნდა, ეს აბბატი, ჰორტანზის სასიამოვნოთ, მარტო იმ მხრით ხსნიდა თავისი მოსწავლის გონებას, რომ ნიადაგ ნაპოლეონ პირველის მოქმედებას და ღიდებას უამბობდა. ჰორტანზისთვის, და მაშასადამე აბბატისივისაც, მეცნიერება, ქვეყანა, მომავალი და ბედი—ყველაფერი ერთი სიტყვით—ნაპოლეონ პირველში მდგომარეობდა. მისაბაძვე მაგალითად, სამეცნიერო წიგნებათ, სწავლის მასალებათ და საგნათ—პაწაწა ნაპოლეონს ნიადაგ ბიძა-მისს უყენებდნენ თვალწინ, მარტო მისს სხივს უნთებდნენ, მარტო მის სახელს უხსენებდნენ.

თუ ჩვენ აქ იმასაც დაუმატებთ, რომ ჰორტანზი ვერც სამზღვარს გარეთ ივიწყებდა უწინდელ თავის ღიდებას და ექსორიაშიაც ხელმწიფურათ სცხოვრებდა, თუ გავიხსენებთ, რა რიგი ქალაჩუნაობა, ხასიათის სიმდაბლე და ცრუ ქება უნდა ესმინა ნიადაგ პატარა ნაპოლეონს და რა იმედს უქადიდნენ იმას დედამისის მხლებლები, რომლთათვისაც სასარგებლო იქნებოდა მისი ამაღლება, —ჩვენ ადვილათ

შეგვეძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა ხასიათი უნდა გამოსულიყო ამისთანა მდგომარეობაში და ამნაირ გარემოებებიდან, როგორ უნდა წამხდარიყო შიგ ნიჭიერი არსება, ნაპოლეონ მესამეს ბუნების ნიჭი რომ დაჰყოლოდა, და რა მომავალი უნდა ჰქონოდა იმ კაცის ბედს, რომელიც გამოზდილა ამისთანა წრეში.

ნაპოლეონის სიყმაწვილემ გერმანიაში გაიარა. ის ახალგაზდა კაცი იყო, როცა დედა მისა შვეიცარიაში გადასახლდა, სადაც იმას ერთი ძველებური კოშკა ეყიდა ტბის პირზე, არანენბერგს. აქ შეისწავლა ნაპოლეონმა სამხედრო მეცნიერება, გაეცნო შვეიცარიის სამხედრო და სამოქალაქო გაწყობილებას და შევიდა სამსახურში შვეიცარიის არტილერიაში, იმ მიზნით, საფრანგეთის ხალხმა შეიტყოსო, რომ ბიძი-ჩემის კვალზე დავიარები და სამხედრო საქმეები კარგათ ვიციო. ამ მხრით იმას (ან მისს მრჩეველებს) საფრანგეთის ჯარის გულის მოგება ჰქონდათ მხედველობაში. მაგრამ ჯარს გარდასხვა გავლენიანი ნაწილიც იყო საფრანგე-

თის საზოგადოებაში, რომლის გულის მოგებას ცდილობდა ნაპოლეონის სახლობა. ჩვენ იმ პარტიას ვამბობთ, რომელიც ხალხის თავისუფლებას და სიკითეს ეძებს, და რომელსაც ყოველ ცვლილების დროს ხალხის გონებაზე დიდი გავლენა და ძალა აქვს. ამ პარტიის გულის მოსაგებათ ნაპოლეონ მესამე გაერია იმ აჯანყებაში, რომელიც მოხდა რომის პაპის წინააღმდეგ, და რომლის დროს ციებ-ცხელებამ მოჰკლა მისი უფროსი ძმა. ამ ორი მხრით თავის გამოჩენის მეტი არა უქნია რა პატარა ნაპოლეონს თავის ახალგაზდობაში, და ამ ბარგით გადააბიჯა იმან იმ სამზღვარს, რომელიც ახალგაზდობასა და სრულ კაცობას შუა გაყვანილი.

II

ამასობაში, როგორც ვთქვით, ნაპოლეონის ტახტი დაიძხო და საფრაეგეთში უწინდელი მეფეების — ბურბონების — გვარი გამეფდა. ხალხს მართლაც არ უყვარდა ეს მეფეები, რადგანაც

მის თვალში იმათი გამეფება ძველი შეუძლებელი წესის და წყობილების აღდგენას ნიშნავდა. ლიბერალური პარტია გამწარებული ებრძოდა ამ მეფეების მომხრეებს, სინიდიასიანათ იცავდა იმ სიმართლეებს, რომელიც რევოლუციას დაერჩინა, მაგრამ ამ ცდას ორი ნაკლულევანება აჩნდა. ერთის მხრით ლიბერალური პარტია როდი ეხებოდა ხალხის ნამდვილს მატერიალურ მდგომარეობას და თავის დროშაზე როდი სწერდა, თუ რა და რა გაუმჯობესობაა საქირო მისი აზრით ამ ბედსა და მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის, რომ ამითი ხალხის ენერგიული დახმარება და თანაგრძნობა მოეპოვებინა. მეორე მხრით ბურბონების დასამარცხებლათ ეს პარტია ნიადაგ იმ იარაღს ხმარობდა, რომ თქვენ უცხო ქვეყნელებმა დაგსვესთ საფრანგეთის ტახტზეო და ამით თქვენ ჩვენი ღირსება დაამცირეთ, ის ღირსება და ის ღიდება, რომლითაც ნაპოლეონის დროს მთელი ევროპა ავიკელითო. ბურბონების დასამცირებლათ ლიბერალები საგანგებოთ აჭარბებდნენ ნაპოლე-

ონის ქებას, და თვითონ კი იმისთანა ანგებს ვერ ეხებოდნენ ხალხის გულისას, რომლითაც მისი აღდგენა და წინ წაწევა შეიძლება. ამის გამო მათს მოქმედებას და შრომას ხალხზე უფრო ის გაეღენა ჰქონდა, რომ ბურბონები კი შეაძულა, მაგრამ ლიბერალების მაგიერ ნაპოლეონის სახელი შეაყვარა.

ბურბონებსა და ლიბერალებს შუა ბრძოლა 1815-დამ დაწყებული 1830-მდი გაგრძელდა, და ამ თუთხმეტი წლის განმავლობაში ეს ბრძოლა ნიადაგ იმ კილოზე იყო, რომ ხალხი უფრო და უფრო უახლოვდებოდა ნაპოლეონის სახელის გაღმერთებას და თან-და-თან ივიწყებდა იმ ლიბერალურ პრინციპებს, რომლის სახელით და სასარგებლოთ ჰქადაგებდნენ ლიბერალები. 1830-ში ბრძოლა ნამეტნათ გაცხარდა. როცა შარლე მეათემ მოინდომა, ჯარისა და პოლიციის ძალით მოესპო საფრანგეთში ის მცირე უფლებები, რომელიც სტამბას და საზოგადოებას დარჩენოდა, პარიჯის ხალხი აღშფოთდა და ქუჩებში ასტყდა სისხლის-მღვრელი «იელი-

სის ბრძოლა» პარიჟელ ხალხსა და სახელმწიფო ჯარს შუა. სამი დღის და სამი ღამის განმავლობაში იღვარა სიხლი პარიჟის ქუჩებში, სანამ ბოლოს ხალხი გამარჯვებული დარჩა და მეფე--გაქცეული. არეულობა და ბრძოლა იმით შესწყდა, რომ ხალხის წინამძღოლმა დეპუტატებმა და ჟურნალისტებმა მეფეთ ვითომ ლიბერალური სულით აღესებული პრინცი ამოირჩიეს, ლუი-ფილიპე ორლენელი, რომელიც უწინ გაბუტვით უყურებდა თავისი ნათესაეების დიდებას. ლიბერალებმა ეს გაბუტვა სულ-მალლობის ნიშნათ მიიღეს, და იფიქრეს, თუ კი ლიბერალი ხელმწიფეთ გვეყოლა, საქმეს რაღა უშავს და ხალხს მეტი სხვა რაღა უნდაო? ამ რიგათ მოხდა 1830 წლის რევოლიუცია, რომელმაც ერთის მხრით ბურბონების მაგიერ საფრანგეთის ტახტზე ორლენები აიყვანა და მეორეს მხრით ყველას აშკარათ დაანახა, რომ ერთი ტახტის დამხობა და მეორის აღდგინება მეტის მეტათ ძნელი და შეუძლებელი საქმე როდი ყოფილა საფრანგეთის ხალხისათვისო.

ბონაპარტების ოჯახი ამ ცვლილებამ მაღაზე მოიყვანა, მით უფრო, რომ ხალხის მხრით დიდი სიყვარული და იმედი როდი ჩნდა ორღენების სახლისთვის. ნაპოლეონის ტვინზე ამ ცვლილებას კიდევ ის გავლენა ჰქონდა, რომ იმან იგრძნო, თუ რა ხალხის ნაწილი ყოფილა ყველაზე უფრო ძვირფასი ამ გვარი ცვლილებების დროს, ის შეეჩვია პარიჟელი მუშახალხის დაფასებას და მორიდებას, და დარწმუნდა, რომ ჯარის გულის მოგებასთან იმან ამ პარიჟელი მუშა-ხალხის სიყვალული თუ არა, ცოტაოდენი სიმპატია მაინც უნდა ეძიოს.

ამ ნაირათ მისი აზრების მიმართულებას მიეცა ორგვარი მიზანი: ჯარში გავლენის მოპოება და პარიჟელი ლიბერალური მუშა-ხალხის თვალის ახვევა. პირველი მიზნისთვის, შვეიცარიის სამსახურში შესვლის გარდა, ის ეცნობოდა საფრანგეთიდან მოსულ მოგზაურაფიცრებს, აქებდა მათ ნიჭს, ჰპირდებოდა ჩინებულ მომავალს, აძლევდა ფულს და ითხოვდა დახმარებას, — ვინიცობაა თქვენნი დახმარება

რომ დამჭირდესო. ნაპოლეონს თვალწინ უდგა ბიძი-მისის ნაპოლეონ პირველის მაგალითი, როცა ის ელბის კუნძულზე დამწყვდეული იყო, გამოიქცა, და მთელი საფრანგეთი გაიარა, ხალხისა და ჯარისგან აღტაცებით მიღებულმა დაამარცხა ბურბონების ჯარი და სამი თვით მათი ტახტი დაიპყრო. ძმისწულსაც შესაძლებელი ეგონა თავისთვის ბიძის მაგალითის განახლება, და ამ აზრით ის მომხრეებს იმზადებდა საფრანგეთის ჯარში და აფიცრობაში. რამდენიმე დაჩაგრულმა და გამბედავმა აფიცრებმა მართლაც აღუთქვეს დახმარება, და ამის გამო ის ერთხელ, 1836-ში, სტრასბურგს მოვიდა და თავისი თავის იმპერატორათ გამოცხადება დააპირა. მისმა მომხრეებმა ხმა დაყარეს, პარაჟში ახალი რევოლიუცია მომხდარა და იმპერატორს თხოულობენო. და ზოგიერთმა რაზმებმა კიდევ დაიჯერეს ეს ამბავი და ნაპოლეონიც გვარიანათ მიიღეს. მაგრამ ამ დროს უფროსები მოვიდნენ, სტაცეს ნაპოლეონს ხელი, დააგლიჯეს თავის მუნდირზე რომ ორ-

დენები, ეპოლეტები და ლენტები დაეკიდებია და სატუსალოში წაიყვანეს, ისე რომ იმას არც ხმა ამოუღია, არც ხელი გაუნძრევია. ამბობენ, იმდროს რომ იმას ცოტაოდენი ენერგია და გამბედაობა ჰქონოდა, იქნება მთელ ჯარს მისი მხარე მიეღო და თვითონ უფროსები დაეტუსალებიაო. მართალია ეს, თუ არა, ამას ეხლა ვერვინ გასჯის, მაგრამ უეჭველი კია, რომ ნაპოლეონი მეტის-მეტათ დაიბნა, როგორც კი იმას პირველი ნამდვილი დაბრკოლება დახვდა წინ, და გაშტერებულათ გაშეშდა, თითქო ცოცხალიც არ ყოფილიყოს. ლუი-ფილიპემ იმას თუთხმეტე-ათასი ფრანკი ჯიბეში ჩაუღო, ამერიკაში გააგზავნა და იმ პატიოსან სიტყვას დასჯერდა, რომელიც მისცა მას ნაპოლეონმა—ჩემს დღეში შენ წინააღმდეგ არა ვქნა რაო. ნაპოლეონის მომხრეები გასასამართლებლათ პასუხის-გებაში მისცეს, მაგრამ ნაფიცმა მსაჯულებმა გადასწყვიტეს, რომ რადგანაც უმთავრესი დამნაშავე ჩვენდა უკითხავათ გაუშვეს, მისი დამხმარებლებიც უნდა გათავისუფლდნო.

ამით გათავდა სტრასბურგის აჯანყების ამბავი. ოთხი წლის შემდეგ, როცა საფრანგეთის პოლიტიკას ახალი დამცირება მიაღვა ტიერის უხეირობით, და როცა იმავე ტიერის წყალობით საფრანგეთის ხალხში უფრო გაძლიერდა ნაპოლეონ პირველის თაყვანის-ცემა, რადგანაც იმ დროს თვითონ ტიერმა გადმოატანინა ელენეს კუნძულიდამ იმპერატორის გვამი, პატარა ნაპოლეონმა ხელახლავ ბედის ცდა მოინდომა: იმან დაამზადა ლონდონში მთელი ხომალდი; თავის ლაქიებს საფრანგეთის ჯარის მუნდირები ჩააცვა, იშოვა ერთი ფრთა-დაგლეჯილი არწივი, რომელსაც თავის საკუთარ შლიაპაში ხორცის ჭამა ასწავლა, და ამგვარათ დამარაგებული მიაღვა საფრანგეთის ქალაქს ბულონს. იქ შევიდა ის კაზარმებში და ჯარს გამოუცხადა იმპერატორის მემკვიდრე მე ვარ და წამომყევით, გავაგდოთ ლუი-ფილიპპე და თქვენი დაჯილდოვება ჩემ კისერზე იყოსო; მაგრამ აქაც ვერა ქნა რა, იმის მეტი, რომ ხელ-ახლავ შეშინდა, როცა უფროსები მოვიდნენ ბულონში.

ის ერთიანათ როდი გაშეშებულა: ის გაიცქა ზღვისკენ, იმ იმედით, რომ ხომალდზე ასელას მოვასწრებო, მაგრამ ესეც ვერ მოახერხა, და მორჩილათ სატუსალოში წაყვა აფიცრებს და ჰოლიციის წევრებს.

ეხლა კი მმართველობამ უფრო სასტიკათ მოეპყრო თავის ტუსალს: სამართალმა გადაუჭრა იმას მთელი სიცოცხლის განმავლობაში დატუსაღება, და თვით ლუი-ფილიპემ სადგომათ ჰამის ციხე მიუჩინა, სადაც ნაპოლეონი ექვსი წელიწადი იჯდა, სანამ გაქცევით თავს არ უშველა.

რაკი ნაპოლეონმა ორგზის დაინახა, რომ ჯარის აყოლა ისე ადვილი არ ყოფილა, როგორც იმას და მის მომხრეებს ეგონათ, და როცა გამოაშკარდა, რომ პარიჟის ხალხს მართლა უფრო მეტი გავლენა ჰქონია ჯარზე, ვინემ ნაპოლეონის სახელს, ეს ტახტის მეძიებელი პარიჟის მუშების მოგებას გულ-და-გულ შეუდგა. ამ მხრით მისი მოქმედება უფრო ადვილი და უშიშარი იყო, ვინემ სამხედრო აყალ-

მაყალის ატეხა; ამისთვის მარტო წერა იყო საჭირო, და დაწერილის დაბეჭდვა,—და ეინ არ იცის, რომ იმას ეს დიდათ არ გაუჭირდებოდა, ან, თუნდ რომ გასჭირებოდა, ამაშიაც ბევრ დამხმარებელს და მისთვის თავდადებულ მშრომელს იშოვიდა. მართლაც ჰამის ციხეში ნაპოლეონ გულ და-გულ მიაწვა მუშა-ხალხის მდგომარეობის განხილვას, და მოკლე ხანში რამდენიმე წიგნი დასწერა, რომელშიაც სჩნდა მუშების მდგომარეობის ცოდნა და სამეცნიერო კითხვების და საგნების გამოყენება საიმპერატორო ტახტის აღსადგენათ. ეს გარემოება ისეთი შესანიშნავია ნაპოლეონის ცხოვრებაში, მაგას იმის პოლიტიკაში და მოქმედებაში ისეთი ალაგი უკავია, რომ ღირს ამ საგნის დაწერილებით აწერას შეუდგეთ.

ნ. სკანდელი.

(შემდეგი იქნება)

გ ა რ დ ა ც გ ა ლ ე ბ ა ზ ე დ .

(დობროდღიუბოვიდამ)

აი, სიკვდილსა კიდევ აცხადებს
დღეს გაზეთებში შავი არშია,
მაგრამ ნალველსა ეს არ მიმატებს
ნალვლით არეულს სულს და გულშია.

რალაც მხიარულ მღელვარებითა
ვეგებები სულ მე იმ ამბავსა,
რომა სიკვდილი გულდადებითა
თან-და-თან ჰსთიბავს ძველ თაობასა...

ვის სიკვდილსაცა უწინ ვშიშობდი,
ის მოხუცები დღეს არ ჰსცხოვრებენ;
რასაც ძველებურს მე პატივს-ვჰსცემდი,
სულ მათთან საფლავს განისვენებენ....

განჰსცხრი სიკვდილო, მწუხარე მხარეს,
რაც აქ მიხრწნილა შთანთქმე, გაჰფანტე,
და ხრწნილებისა ახალს სამარეს
ახალ ცხდვრების დროშა აღმართე!...

ჩვენი ცხოვრების ყუაუილი

უძლენი ო...ნ...

თ ა გ ი XI

დიტოს ჰანხიონშა შკსგლს და იქ ცხოვრება.

მეოთხე კლასში, რომ გაღვიდა დიტო, იმ წელს დედმამაც დაეხოცა. წარმოიდგინეთ ყმაწვილის მდგომარეობა. იმას გამოეცალა ორი ისეთი ბურჯი, რომ ქვეყანაზე უკეთესი აღარა დარჩენია რა. თუ ითმენდა ამდენს გაჭირებას კლასში და ბიძის სახლში, მხოლოდ ამ ორ ძვირფას არსებობის ითმენდა. იმათ უსაცილოდ ჰსურდათ დიტოს ღიმნაზიაში გამოზდა და ისიც, იმდენათ როგორ წახდებოდა, თუნდ ფეხითაც დაეკიდნათ, რომ დედმამის სურვილი არ აესრულებინა. მერე როგორი დედმამის, რომელთაგანაც სიყვარულისა და სიამოვნების მეტი არა დახსომებოდა რა.

ჩვენ კარგათ ვიცით, ღიტო როგორც ამზადებდა თავის გაკვეთილებს. ეგზამენები რომ დაიწყებოდა, ღიტო ერთი თვის წინათ შეუდგებოდა ლამიას თევას. რაც მთელს წელიწადს ცოტ-ცოტათ ესწავლა, ყველა ერთბაშათ უნდა გაეზეპირებინა. მით უფრო სამძიმო იყო ეს იმისთვის, რომ მომეტებული ნაწილი გაკვეთილებისა გაუგებარი იყო და რაკი მასწავლებელს მორჩებოდა, მეორე დღეს ერთიც აღარ ახსოვდა. როგორც მალე ჩაეწყო მეხსიერების ყუთში ეს იმისთვის უაზრო გაკვეთილები, ისე მალე გამოირეკებოდა იქიდგან. ამნაირათ დაგროვებული მთელი წლის გაკვეთილები, ეგზამენების წინათ, სულ ერთიანათ უნდა აელო და ხელმეორეთ ჩაეხარებინა თავის მეხსიერებისათვის, რამდენიმე დღით მაინც. შემდეგ, თუ კი ღმერთი აღირსებდა ეგზამენების კარგათ გადარჩენას, თვითონ რომ არ გამოცვენოდა იყვენ, ძალათ გამოარეკდა თავიდგან, ტყულა უბრალოთ რომ მეხსიერება არ დამძიმებულ იყო. ამისთანა გარემოების შემდეგ თვითონ მკითხველიც ადვი-

ლათ წარმოიდგენს, თუ რა ძნელი მოსარევი იქნებოდა ღიტოსთვის უმაღლეს კლასში დანიშნული სწავლის გაელა. ყოველ უფროსს კლასში გადასვლასთან გონებითი ჯაფა ერთი-ოთხათ უძნელდებოდა. მაგრამ რამდენათაც ყმაწვილს გაჭირებული ჰქონდა საქმე ამისთანა სწავლებით, იმდენათ უფრო სანატრელი ჰხდებოდა იმისთვის დედმამა და თავისი სახლობა, რომელნიც დრო-გამოშვებით სასიამოვნო ნაე. საყუდრათ შეექნენ ღიტოს დიდს ზნეობით დელვასა და გონებითს ქარიშხალს შემდეგ. ეს ოჯახი გახდა გაჭირვებულ ღიტოს დასასვენებელ კარვათ. ყმაწვილმა თავის სახლი წარმოიდგინა სამოთხის არეთ, საცა ყოველი ცხოვრების ჯაფით დამძიმებული ელის განსვენებას. როცა ზეპირობით საქმე გაჭირებია, ვინ იცის, ღიტოს რამდენჯერ გაუმხნევებია თავი ამ სიტყვებით: «არაფერიაო, ამ ორ თვეს თავში რახუნს კიდევ მოვითმენ, რომ ბოლოს შინ თავისუფლებით უკეთ დავტკბეო». ამ წამს მამის ოჯახის ტალახიანი ნაფოტიც შეილის თვალში ისე

ბრწყინაედა, როგორც თილისმის წალკოტის
 აღმასი.

ყოველი საგანი იმ ადგილზე დიტოს თვალ-
 ში დედამის შუქით იყო გაბრწყინებული. ახლი
 კი ამ სამოთხის არეს უეცრათ დაუბნელდა ეს
 ორი მანათობელი მზე და რასაკვირველია დი-
 ტოსთვის სახლიც უეცრად ჩაძვრა ბნელს უფს-
 რულში. დიტოს ქვეყანაზე ისეთი აღარა დარჩე-
 ნია რა, რომ იმისთვის კიდევ ღირებულ იყოს
 სწავლა და ტანჯვა. იმას ყოველივე სძაგდა: ბი-
 ძის სახლი, სადაც ერთხელ რიგიანათ კუჭი არ
 გამოედლო, ღიმნაზია, სადაც ჯერ ერთი ნათელი
 აზრიც არ ჩამყნოდა თავში და იმის ტვინს კიმ
 ბევრი ისეთი სამძიმო საზეპიროები შეენახა, რო-
 მესხიერებაც თითქმის გაბზაროდა და გონებაც
 უღროლათ უბნელდებოდა. ან აქამდისაც რად აუ
 ტანიაო ამდენი ტანჯვა — იტყვის მკითხველი. —
 იმისთვის რომ დიტოს დედამის ასე უნდოდა
 და იმათი სურვილი კი დიტოსთვის დაურღვე-
 ველი ცხოვრების კანონი იყო. ის მხოლოდ
 მაშინ იყო ბედნიერი, როდესაც იმათს სურვილს

ასრულებდა. «ვაიმე, დედავ! ოჰ, საყვარელო მამავ, შენ მაინც ვისთან დამაგდევ!».....იკივლა ყმაწვილმა დედის სიკვდილს შემდეგ რომ მამისაც გაიგონა. ამას იქით ყმაწვილი აღარავის უცვნია.

იმის ბუნებით მხიარული და დამცინებელი სახე მოიღრუჭლა, წარბი შეეკრა და დიდხანს აღარავის უნახავს გაცინებული. ყმაწვილი უნდოდათ შინ წაეყვანათ სევდის მოსაქარვებლათ; მაგრამ იმან არა ჰქნა. «ვიღასთან უნდა წავიდეთ--გულ-გახეთქილმა უპასუხა თავის ბიძას, რომელიც ტირილით ცხვირ-გაწითლებული ევერებოდა ძმის-წულს. მაგრამ იმის გულ-შემატკივარი სიტყვები დიტოს ცეცხლ-მოდებულს გულზე ზეთის წვეთებათ ეცემოდა. ბიძის ჯერებამ კიდევ უფრო გაბრაზა. ბოლოს, ყმაწვილმა ველარ მოითმინა, დასხლტა ხელიდგან, გადმოუბრიალა თვალები ბიძას და უთხრა: თავი დამანებე, არ მინდა წასვლა, რას ჩამაცვიდიო! ქვეყიას უნებურათ გააქრჯოლა ტანში ამ უეცარ და მოულოდნელ ამაცობაზე. ცეცხლით აპრიანებულს თვალებს

რომ თვალი შეასწრო, მომეტებულათ შეშინდა. ყმაწვილის სახეს თითქოს შავი ჯოჯოხეთის ჰაერი დასდგომოდა. «ნეტამც არ გაგიჟდესო» წაიბუტბუტა ბიძამ და თავის ოდისკენ გატრიალდა. «რატომ შენ არ ჩაღძვიო იმის მაგიერათ — მიაყოლა გაბრუნებულს ბიძას და თვითონ აჩქარებული ნაბიჯით გაუდგა ტყისაკენ. ამ გარემოების შემდეგ ღიტო შეიქნა ძალიან გულჩახვეული; თავის ამხანაგებს აღარაფრათ ეკარებოდა; სწავლასაც თავი დაანება; ერთი კვირა ღიმნაზიაში აღარ წასულა. ბიძა ფიქრში ჩავარდა: ღმერთი არ გაუწყრეს, ყმაწვილმა სწავლას თავი არ დაანებოსო. ის შეუდგა ცდას, რომ ღიტო სახელმწიფო ხარჯზე მიეღოთ ღიმნაზიის პანსიონში. უნდა ეთქვათ, რომ ეს ყმაწვილი მამის სამსახურისათვის ორ წელიწადზე მეტი იყო კანდიდატათ ჩარიცხული პანსიონში, მაგრამ ჯერ თავის რიგი კიდევ არ მოსვლოდა. ეყერიამ მიაჩთვა არაღიმნაზიის მთავრობას ყმაწვილის დაობლებაზე და გუბერნატორთანაც

ეცადა, ასე რომ ყმაწვილი რატიც იქნა, მიიღეს პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე.

დიტოს ძალიან გაეხარდა ეს ამბავი. ღიმნაზიაში პანსიონერები მოწაფეების უმაღლესს წოდებას შეადგენდნენ. ამათ უკეთ ეცვათ. ისე შემოტრეტულები და გაგლეჯილი წაღებით არ დადიოდნენ, როგორც ღიმნაზიელები, რომელნიც თავთავის ბინაზე ცხოვრობდნენ. ამას გარდა ყოველ დღე წენიანიც უმზადებოდათ. ერთი სიტყვით პანსიონერებს არც ტანსაცმელი და არც საზღო საზრუნველათ არ ჰქონდათ გამხდარი. ავით იყო, თუ კარგათ, რაც ჰქონდათ, მუდამ დღე ჰქონდათ და ამისთვის უშუალამეში ტყე-ტყე მაინც აღარ გარბოდნენ. ამას გარდა ცივებ-ცხელებიან ნოტიო ფაცხის მაგიერათ ყმაწვილებს დიდი ნათელი და მშრალი ქვითკირის ოთახები ჰქონდათ საწოლათ. ამ საწოლში გოჭებივით მაინც არ იხუხლებოდნენ, როგორც ეს დიტოს სჩვეოდა თავის ფაცხაში. სიღარიბისგამო ჩვენებური ყმაწვილი მომეტებულ ნაწილათ ან ნოტიო ფა-

ცხაში, ან საღმე დუქანში, ან კიდევ უარესი—
 სალდათის ქოხში სტუმრის მოყვარე დედაკაც-
 თან ატარებდა ცხოვრებას. ხშირად შეიძლებო-
 და, რომ საწყალი ღიმნაზიელი ამისთანა დარ-
 ბაისელს დედაკაცს, -- ისიც სტუმართ-მოყვარეო-
 ბის გამო—უეცრად შუალამისას სახლიდგან გა-
 მოეგდო და წინა კარში ზამთრის სუსხისაგან
 დილომდის ეკრუსუნებანა მარტის გახელებულ
 კატებსაეით. დოტომ პანსიონში მიღებით ყოველ-
 საფე ამგვარ ხიფათს თავი დააძრო და ბოლოს
 მოისვენა. ახლა იმის საზრუნავი სწავლის მეტი
 არა ყოვილარა. სანამ საკუთარ ბინაზე ცხოვ-
 რებდა პანსიონს გარეთ, რამდენჯერ უფიქრია
 მრავალ ნაირ გაჭირების დროს: «ღმერთო მომ-
 კალი მე რომ შეშა და წყალი, ან საჭმელ-სა-
 სმელი საზრუნავათ და საძებრათ არ მომცა, რუ-
 სული კი არა ქაჯურიც რომ მომცენ დასა-
 სწავლათ როგორ შეუშინდებო». ახლა გარე-
 მოებამ ყოველივე ესენი თავიდგან მოაცილა,
 წალმის ცეცხლზე თვლების წვისა და შრეტის
 მაგიერათ ახლა სანთლებზე სწავლის ღონე მიე-

ცა. ამისთანა კეთილ ძღვოზარკობაში რომ ჩა-
ვარდა დიტო, სწორეთ ხელმწიფის შეილათ წარ-
მოიდგინა თავი. სისუფთავისა ხომ რაღა მოგახსენ-
ნო! უწინ, ბატონო, ერთი, ან ორი ხელი საცვალო
სანამდის ზედ არ შემოაღებოდა და არ შემო-
ეკრიცებოდა, მანამდის უნდა ცმოდა. კვირაში
ორჯერ შიგნითი ტანსაცმლის გამოცვლის მა-
გიერათ დიტო. როცა ორი თვისა და სამი თვის
შემდეგ შინ წავიდოდა, მხოლოდ მაშინ გამო-
იცვლიდა ძველს შემოცრეცილს საცვალს, და
სულ გადაადგებდა, რადგან ერთნაირი ცხოველის
სიმრავლისაგან იმისი შინ წაღება შეუძლებელი
იყო; დედას კი ეტყოდა საცვალი დამეხაო.

პანსიონში როგორც საცვალის სისუფთავე, ისე
ტანისა საკმაოთ ჰქონდათ. უწინ შინ რომ მივი-
დოდა დიტო, მაშინ თუ დაბანინებდა დედა თავსა
და ტანს, თორემ უმისოთ ორი-სამი თვე ისე
გავიდოდა, იმის ტანს მწვირე არ მოეცლფ-
ბოდა. ის კიარა, ზოგს ყმაწიელს ხის ქერქსავით
შემოეკრტყმებოდა ეს შავი მწვირე ტანზე და
ზოგი მოწაფე კიდევ იტყოდა, ზაშთარში

ტანის ბანა იმიოია ცუდი, რომ მწვირის ქერქს გვაცლის ტანზე და უფრო გვცვივავ. ყოველივე ამა გაქარებისაგან დიტო გარემოებამ დაიხსნა, ჩასვა უზრუნველს მდგომარეობაში და მისცა იგივე თავსატეხი წიგნები სასწავლებლათ. რამდენათაც აუტანელი იყო იმისთვის ოჯახის დაკარგვა და საუკეთესო გვამების გაცლა საუკუნოთ, ახლა, პანსიონში შეყვანა რომ ეღიროსა, თუ არ იმდენათ, დიდათ მაინც შეუმსუბუქდა თავისი მწუხარება და მით უფრო გულდასმით შეუდგა თავის წიგნების ზეპირობას. დიტო პანსიონში საკვირვლად მყუდროთ იქცეოდა. იმას პირველ დროებში არც ანხანაგი ჰყავდა, არც მტერი; ყველასთან თითქოს კრძალვით და შორიდებით იყო. იმან იცოდა საზეპირო ზალიდგან სამი გზა: ერთი ეზოში ზან-და-ზან გასავლელ გამოსავლელათ, წმინდა ჰაერის ჩასაყლაპავათ და თვალის სასეიროთ. მეორე კლასებში სწავლის დროს და მესამე სპალნაში, ანუ საწოლში, სადაც ჰქონდა ცალკე კრაოტი, სუფთა ქვეშაგები და სასთუნალთან ამოშვერილ

გძელ რკინის ჯოხზე ეკიდა რკინის ფირფიტა, რომელზედაც ეწერა იმის სახელი და გვარი.

ბევრი ახალი და იმის გაუგებარი შემთხვეულობა ეჩვენა დიტოს თვალს ამ ახალს ცხოვრებაში. მაგალითად ის ვერ მინხვდარ იყო, თუ მეორე კლასის პაწაწა, თორმეტ-ცამეტის წლის, ყმაწვილები რათ მეგობრობდნენ წვერ უღვაშიან მეხუთე და მეექვსე კლასის მოწაფეებსა. ვერც ის წარმოედგინა, თუ ზოგი ერთს ცოცხალს და მკვირცხლს ყმაწვილს განსაკუთრებულს ყურადღებას რად აქცევდა პანსიონის ზედამხედველი. როდესაც ამისთანა ყმაწვილი რომელსამე თვის ამხანაგს გააჯავრებდა, ის უსათუოდ შანს მოუგებდა: «ჰატ, შე ნაზირატლის მეგობროვო». დიტო ფიქრობდა: «ნაზირატლის მეგობრობა რა მაგისტანა გასაჯავრებელი, ან სათაკლო უნდა იყოსო. ნეტა კი დამიმკობრდებოდეს, თორემ მგას როგორ ვითაკილებ. შანდახან გაუგებარს უროკებს მაინც აკხსნეინებ და ჩემთვის კარგი იქნებაო... ეს სწორეთ იმას ჰგავს, იმერელს რომ თათარმა

ცხენი მოსტაცა და გამოკიდების მაგიერათ თათათაჲს დაუძახა: «ლორის ხორცი შეგაჭამე, ვეცე შენ და ჩემი ცხენიც შენო», ღმერთმა ამისთანა სასჯელი ნურსად ნუ მომიშალოსო — გაივლებდა გულში დიტო და ნელა ჩაიცინებდა.

შემოხსენებულს ოყლაყებს რომ რამე ესწავლებინათ იმ პაწაწა ყმაწვილებისათვის, კიდევ იფიქრებდა კაცი, რომ გულ-კეთილი და თავისიანების დამხმარე ყმაწვილები ყოფილანო, მაგრამ, სამწყხაროთ, ისეთი ოყლაყები მეგობრობდენ ამ პატარებს, რომ თვითონაც არა გაეგებოდათ რა და თითო კლასში ორორი წელიწადი რჩებოდენ; მეორე ესეც შენიშნული იყო, ახალ გაზდა კარგი ნიჭიანი და კარგი მოწაფე, როგორც კი დაუმეგობრდებოდა შემოხსენებულს დოყლაპიას, ეს ყმაწვილი მაშინვე სწავლასაც უკლებდა, თამაშობითაც აღარ თამაშობდა და მუდამ ხბო'ავით აედევნებოდა ამ უშვკლებელ მოწაფეს თვალეზ-ჩაცვენილი და მუდამ პირდაღებული, დიტოს ძალიან სძულდა ამისთანა დოყლაპია წვერ უღვაშიანი მოწაფეები, რო-

მელნიც თვითონ არას აკეთებდენ და პაწაწებსაც ხელს უშლიდენ სწავლაში. ის როგორც კი გაივლიდა ამისთანა მოწათის გვერდით, მაშინვე დაეკუანებოდა და მიამახებდა:

ჩიშ, ჩიშ, დიდო ვირო,

წიხლები არ დამიშინო.

ისინიც, რას კვირველია, არ გაიცდიდენ იმას და ხშირად ასმენდენ ზედამხედველს: «ეს გველის სინსილა აქ ვინ შემოაგდოვო» იტყოდენ ისინი. ერთხელ დიტოს გამოეკიდა ერთი ამ დიდ ბაიუშთაგანი და, რომ ველარსად მიამწყედია, ქვა ესროლა. სროლა ეგრე არ უნდაო, უთხრა დიტომ, დაატანა დერეფნის წინ აყუდებულკლასების საგველ ჩოთქს ხელი, დასცხო თავში ამ უშველებელს აყლაყუდას და თავი გადატრიწა. დიტო ამისთვის სამი დღე იჯდა ბნელს ოთახში მარტო წყალზე და პურზე, ამ შემთხვევის მერე, დიტოს გალახვას ველარაჲინ ჰბედავდა, თუმცა თვითონ კი ვისაც ამოითვალწუნებდა, საშველს აღარ მისცემდა, იმდენს აჯავრებდა; საკვირელო იყო, რომ პაწაწა ყმაწვილებს მის-დღეში არას

ეტყოდა; იმას განსაკუთრებით დიდი შაგირდები ეზარებოდნენ, რომელნიც არას სწავლობდნენ და მუდამ დღე პაწაწა ემაწვილის ფერებაში ატარებდნენ დროებას, თითქოს იმათი გადიები ყოფილიყონ. ერთი ამ შაგირთთაგანი, უფრო დიდი და უნიჭო, მაინც საშინლად შეძულდა დიტოს; ბევრი სახელები მოუგონა: ხან «დაზგას» ეძახოდა, ხან «ნაგვიანვეს ზაქს», ხან «ხარის-თვალას» და «რაჭველების გუდას». ის ემაწვილი უნიჭობასთან საშინელი თავმოყვარეც იყო, სახელის დარქმევა და დაცინება საშინლათ სძულდა. როცა ძალიან გული მოუვიდოდა, იტყოდა: «მე თუ იმ გველის-წიწილს თავი არ გაუტეხე, ისე არ მოვეშვებიო», იბრაგუნებდა გულზე ხელს და მწერისგან შეწუხებულ ცხენსაფით იწყებდა თავის ქნევას. მაგრამ იძის უბედურება ის იყო, რომ თითქოს მთელი პანსიონი ამ საქმეში დიტოს მომხრე შეიქმნა. როგორც კი სახელს გამოუთქვამდა იმ ემაწვილს, მეორე დღეს მთელი პანსიონი გაიმეორებდა. ეს ახირებული უნიჭო, თავ-მოყვარე წვერ-უ-

ლეაშიანი პაწაწა ყმაწვილების პატრონი ოყ-
 ლაყი მეტი არ შეიძლება ისე წახდა ამისთანა
 დაცინებით. ხშირათ უნახავთ ის აზუვლებული
 პანსიონის სკალნაში, სულ დიტოსგან მოგო-
 ნილ სახელებისაგან. ორჯერ-სამჯერ შეხვდა
 დიტოს იმისგამო სადილის უქმელობა და ამან
 კიდევ უფრო შეაძულა მას ეს «ბაიყუში», - ასე ეძა-
 ხოდენ ამ ყმაწვილს ბოლოს. დიტომ გადაწყვი-
 ტა, თუ მე ეს «ბაიყუში» როგორმე ამ პანსიო-
 ნიდგან არ გავაგდე, ღმერთმა ნურც მე მამ-
 ყოფოს ცოცხალიო და ამის შემდეგ ზოგიერთ
 ყმაწვილს უფრო დაუახლოვდა, შეადგინა დამ-
 ცინლების წრე და როდესაც ბაიყუში ზალაში
 იქნებოდა უროკის სასწავლებლათ, დიტოს ამ-
 ქარი ზალის კუთხეებში და მეორე სასწავლო
 ოთახში გაიფანტებოდენ; ერთი რომ იყვირებდა
 «ნაგვიანევი ზაქი», მეორე — «როპაპის მოზგე-
 რიო». ბაიყუში დაიწყებდა თვალების ბრიალს,
 იქით-აქეთ იხედებოდა, მაგრამ ვის სად მიაგნებ-
 და იმდენ ყმაწვილებში. იმათ თეხის-ხმას თან-
 და-თან აჰყვებოდა მთელი ზალაში მყოფი ახალ-

გაზღობა და შეიქნებოდა ერთი კივილი და ალიაქოთი. «ბაიყუში» ხან ამას გამოეკიდებოდა, ხან იმას და დაიწყებდა უფრო გამწარებით რბენას ამ დროს პირზე წამოჭეხებული მართლაც რომ წითელ პერანგით გაგიჟებულს ორი წლის მოხერს ჰგავდა. — ბოლოს რომ ვედარავეს მონახედა, ვინც ხელში მოხედებოდა, იმას აკმევდა ლაწანს. გალახული მოწაფე, რასაც კვირველია. როგორც მართალი კაცი მირბოდა ზედამხედველთან სამართლის მოსათხოვნელათ. ვისაც ჰკითხავდენ, ყველანი უმოწმებდენ, რომ ყმაწვილი სულ ტყულა ჟებრლოთ გალახა «ბაიყუში». საქმე მაინც ამით გათავდებოდა, რომ გაჯაერებულს და დატანჯულს «ბაიყუშსავე» დასჯიდენ. ამნაირმა უსამართლობამ ყმაწვილებისა და უფროსის მხრით უმისოთაც მაუბუქის ჭკუის პატრონი «ბაიყუში» კიდევ უფრო ააჩქარა. ის შეიქნა იქვიანი, დაუნდობარი, ასე ეგონა, მთელი პანსიონი, უფროსები, ამხანაგობა და ზოგიერთი პაწაწა იმის მეგობარი ყმაწვილებიც მტრათ უყურებდენ, აღარაფერი არა სწამ-

და რა ყველას უკვირდებოდა: ხომ არ დამცინიანო, ბოლოს თავის განსაკუთრებული მეგობარი ყმაწვილებიც აუტყდენ. «ბაიყუში» გადგა განზე გაბრაზებულ კურო-მოზვერივით და დღე ისე როგორ გავიდოდა, რომ ან ვინმე არ გაელაზნა და ან ვისმე, იმაზე უფრო მძლავრს, არ შემოლაზნოდა უწინაც ერთობ რბილი იყო სწავლაში და ახლა წიგნი გვერდზე გადააგდო. სულ დაანება უროკების ზეპირობას თავი. კაცი რომ ერთ მინუტს ვეღარ მოისვენებ, მუდამ იმის ფიქრში თუ ხარ, ხომ არაგინ დამცინის, ან ხომ ჩემი ცუდი არაგის უნდაო, მაშინ მიუცილებლათ, ან სულ უნდა გაეცალო იმ საზოგადოებას და ან ხმალ-ამოღებულ ჯარასავით იტრიალო მტრის მოსაგერებლათ, «ბაიყუშისაც» სწორეთ ეს საქმე დაემართა. ის მუდამ იქით აქეთ აბრიალებდა თვალებს და ამ ნაირმა იტყინობამ კიდევ უფრო აუტყნა ყმაწვილები. ამის შემდეგ პანსიონის დღიურები სულ ერთი სახელოვანი გმირის ქველ-მოქმედებით გაიკსო და ეს გმირი გახლდათ თვითონ «ბაიყუში».

უფროსები იმას ეძახდნენ პანსიონის ჭირს და ეძებდნენ ყოველ შემთხვევას პანსიონიდგან გამოეგდოთ. ხან-და-ხან თვითონ «ბაიყუში» რომ დაფიქრდებოდა თავის წარსულ-პანსიონის ცხოვრებაზე, წარმოიდგენდა უწინდელს საქმეებს, თავის მშვიდობიანობას, მერე, თუ რა ნაირათ აუტყდა მთელი პანსიონი, მაშინვე თვალწინ გამოეჩატებოდა მკვირცხლთვალეებიანი და შუღლიანი დიტოს სახე: «ოჰ, ეს გველის-წიწილა სწორედ ჩემდა საუბედუროთ გაჩნდა ამ პანსიონშიო, სულ იმის ბრალია ჩემი ასე აგდება. პირველათ იმან მოიგონა ჩემი დასაცანებელი სახელები. ერთი კარგა თუ გული არ ვაჯერე იმის ზურგზე, ღმერთმა ნუ ქნასო. ბაიყუში», რასაკვირველია, ეძებდა კარგს შემთხვევას. იმას უნდოდა, დიტო მიემწყედია ფეხის ალაგში, სადაც ყმაწვილები ვახშამს შემდეკ ვიზატებს აკეთებდნენ, თითქოს პაპიროსის საწვე ოთახათ ჰქონოდა ესთ გაკეთებული, და მერე წვებოდენ. «ბაიყუში» ყველაზე ბოლოს წავიდოდა იქ, ერთი იმისთვის, რომ, თუ მრავ-

ვალ ყმაწვილებში გაერეოდა, ბუთ არ გამხდარიყო ამდენს შეუბრალებელ ჩიტებში და მეორე — ეისიც დაქერა ჰსურდა, იქნება ოდესმე ის მოემწყიდია ამ ალაგას მარტოთ-მარტო და მთელი თავისი ჯაერი ამაზედ ამოეყარა, მაგრამ დიტოც არ იყო ამ შემთხვევაში გამოუცდელი და დაუკვირვებელი; იმან მაშეინვე ამოიკითხა იმის ჯაერიან თვალეებში, რაც ჰსურდა და ერთი ათად გაფთხილებული იყო. იმან გაიჩინა აზნაგები და უიმათოთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა. დაწოლის დროს თეხის ალაგში არაოდეს გვიან არ წავიდოდა. ამ დროს მოხდა ერთი შემთხვევა. დიტოს გულითადს მეგობარს კატუნას «ბაიყუშმა» მწარე სილა აქაშა დაცინებისათვის. კატუნია ცალ-ყბა აპრილობული მოვიდა დიტოსთანა. ამასთანავე ცალი თვალიც, ცოტა არ იყოს, დასივებოდა და იქიდგან ცრემლები სცვიოდა. — ბიჭო, რა დაგმართნიაო — შესძახა დიტომ თავის მეგობარს. — «ბაიყუშმა გამდვა სილაო» — უპასუხა. — წამო ზედამხედველთან. ჯერ იმას დავასჯევინოთ და მერე

ჩვენ ფიცითა». მართლაც ზედამხედველმა ამ უწესოებისათვის ყოვაქციის დაეთარში ცუდი შენიშვნა ჩაუწერა «ბაიუშს» და იმ დღეს წყალპურზე დასვა ცალკე, მაშინ როდესაც იქვე იმის ამხანაგები ბივშტეკს შეექცეოდნენ. «ბაიუში» იყო აბრეზილი. ვანიცის, რამოდენი ჩუმი დაცინვა და ჯაერობა შეემთხვა სადილათ მხდომ ყმაწვილებისაგან. დიტო შაინც აწამის წამს ცმუტავდა სადილზე ორ-ჯერ სამ-ჯერ წაშრიყირა ბაიუშმა დიტოს სახელი, ვითამ და ზედამხედველის გასაგონებლათ: «არ მაყენებსო»; მაგრამ უფროსს ყურიც არ უთხრებია ამ ყვირილზე. სალამოს დიტომ და კატუნამ შეთქვეს ერთმანეთთან, ბაიუში უნდა გავთქიროთ ფეხის ალაგშიო. მესამე ამხანაგიც დაითანხმეს. ვახშამს უკან, როცა სპალნაში ყოველივე მიწუნარდა, ბაიუშმაც იფიქრა, ახლა აღარავენ იქნება გარეთო, წამოდგა და გასწია ჩვეულებრივი გზით; სამი ყმაწვილიც შელასავით უკან გამოედევნენ. შევიდა თუ არა «ბაიუში» ჩვეულებრივს სადგომში, სამი ყმაწვილი შეყვენ

და კარი მოიხუტეს:—გაწეჭი შენით, ბევრს ნუ-
ლა გვაცდევინებო -- მიაძახა დიტომ. ბაიყუში
მოტრიალდა და სამი მგელი რომ დაინახა იმის
შესაკმელათ, ძალიან წახდა. «ფანტურა»-ასე
ერქვა მესამე ამხანაგსა—თავადი შეილი არა ხარ?
ბიჭო, ამ პადლეც აზნაური შეილებს რაფა მიუდე-
ქი! თავადი შეილი არ გირჩენია? — «დაკარით,
თავადი შეილი კიარა, ის არ გინდა....» შესძახა
ამხანაგებს დიტომ; გაექანა და წააელო ორი-
ვე ხელები ყელში. ბაიყუშმა ერთი საშინე-
ლი მუჭი დასცხო დიტოს კისერში, მაგრამ
როგორც მელამ ინდაური გაქაჩოს, ისე ჰყავდა
დიტოს «ბაიყუში» ორივე ხელების ყელში წყე-
ლებით გაქაჩული. ამ დროს კატუნიაც ფეხებ-
ში ეცა და უცებ დასცეს ძირს შენი «ბაი-
ყუში». ბევრი მოარტყეს საწყალს. ფანტურა
ყარაულათ იყო დაყენებული. «ბაიყუშმა» შექ-
ნა საშინელი ყვირილი, იმის ვარხალალოს
ძახებამ ბოლოს სპალნამდინაც მიატანა.
ყმაწვილები წამოვარდენ ზეზე და გამოიქ-
ცნ დერეფნისკენ, იმათ ზედამხედველიც უკან

გამოჰყვია. ეს რომ თანტურამ შეიტყო, დიტოს დაუყვირა: «ზედამხედველი მოდის, ზედამხედველიო». ამათ უცბათ უშვეს ხელი, გამოფრდენ ფეხის ალაგიდგან და დერეთანში შეეფეთენ წინ ზედამხედველს და განუცხადეს «ბაიყუშმა გაგულახაო. ამდროს «ბაიყუშიც» მოსწვდა უკან და ისე გაბრაზებული იყო თავის მტერებზე, რომ აღარც ზედამხედველს შეეპოა და იმის თვალწინ თითო რიგიანი მუქი ჩააყოლა ზურგში კატუნიას და დიტოს. «ა, ბატონო, თქვენთანაც თავი ვერ ვიხსენით ამ გაგიყებულ მოზვერისგანო — შეაბრალებს თავი ზედამხედველს. იმან საოცარი ხმით შესძახა ბაიყუშს. — Что ты, сума сопель, чтоли? — Позвать сторожей — დაიყვირა ზედამხედველმა. კატუნია და დიტო ეშმაკობით ატირდენ. სტოროჯები რომ მოვიდნენ, ზედამხედველმა უბძანა: Возьмите его и запри-те вь карцерѣ. ბაიყუშს აღარა ესმოდა რა. ის ჯარასავეით დაბზილდა, სტოროჯებს თითო მუშტი გააღვა, დაირბინა იქვე კიბებზე პერანგა და წაღების ამარა და გაუდგა ამ შუალამეში ში-

ნისკენ. ზედამხედველი მაშინვე ინსპექტორთან გაიქცა, მოახსენა ყოველივე, რაც მოხდა, იმავე ღამეს შეადგინეს ერთად გადაწყვეტილება, რომ ბაიყუშმა გალახა ორი ყმაწვილი, თვითონ ზედამხედველს დაემუქრაო, ორი სტოროჟი დაამტერია და გაიქცაო ღამით პანსიონიდან. ამა გარემოების ძალით მეორე დღეს შემდგარმა მასწავლებელთა რჩევამ «ბაიყუში» გამოაგდო პანსიონიდან და ღიმნაზიიდანაც.

XII.

მასწავლებელი უმანსკი.

მეოთხე კლასში დიტომ გაიცნო ახალი მასწავლებელი და იმათში ერთი შესანიშნავი კაცივით, რომელმაც პირველ ნახვაზედვე მიიპყრო დიტოს გონება. უმანსკიმ — ასე ეძახდნენ ბუნების მეცნიერების მასწავლებელს — აათვალ-ჩათვალღერა ახალ გადასულები. დიტოს დაფიქრებული თვალეზი და ტუჩებ-მოცინარე სახე ძალიან მოეწონა. იმან ჩაუარ-ჩამოუარა ყმაწვი-

ლებს, ვის სახელი ჰკითხა, ვის გვარი; ზოგს გაეხუმრა, ზოგს დასცინა, თვითონაც რამდენჯერმე გადაიხარხარა, მერე გაიყვანა დოსკასთან დიტო, აუხსნა საზოგადო თვისება სხეულთა (общія свойства тѣлъ) და ამ დროს კლასის გათავებისაც დარეკეს.

მეოთხე კლასის ყმაწვილებზე ამნაირს ყოფაქცევას დიდი გავლენა ჰქონდა. ზოგი ამბობდა: «რა კარგი გულის მასწავლაბელი ყოფილაო, სულ იცინის, სულ ხუმრობსო!...» ზოგი ამბობდა დაცინებით: «ლლაბუცი ჰყვარებია, შენი მტერი, რაც მაგან ვერა გეასწავლოს რა, თუ მაგრე იბრიხინაო». ამ დაცინებაზე კატუნიაშვილმა გამოიღვა თავი: «აბა, კუზიანსაფით უნდა იჯავროს? უროკის მოცემაში და ბევრის სწავლებაში იმისთანა არაფინ არის; მაგრამ როგორც ამ კედელს არ მიადგებარა, ისე იმის სწავლებისაგან ჩვენ თავს არა მიეკარება რა. ამ კაცმა კიდევ გაგვაცინა, გაგვამხიარულა, ბოლოს სხეულთა თვისებაც აგვიხსნა და მოგვცა უროკათ. მე, სწორეთ გითხრათ, იმისთანათ ჯერ

უროკი არ გამიგია. კუზიანს რომ თავპირის
 ჩამოტირის, იმის მარტო შეხედვაც მეზარება,
 უროკი კი არაა. — მართალიაო — უპასუხეს დანარ-
 ჩენმა ყმაწვილებმა. დიტო არას ამბობდა, მაგ-
 რამ იმის ღრმათ ჩაფიქრიბულს თვალებში რომ
 ჩაგებენა, ამას შეატყობდი: «მე დღევანდელი
 უროკი, რაც დამემართოს, ძალიან უნდა გავი-
 ზეპიროვო».

პირველმა შთაბეჭდილებამ მართლა არ მოა-
 ტყუა ყმაწვილები. უმანსკი სწორეთ ღირსეული
 კაცი გამოდგა. მეორეთ რომ შემოვიდა კლას-
 ში, პირველად დიტოს ჰკითხა უროკი. იმას მა-
 შაოჩვენოსავით დაესწავლა. შემდეგ დანარჩენებ-
 საც გამოუწოდა, მაგრამ არც ერთი არ გამო-
 ჩინილა ზარმაცი. ყველას გამოაჩნდა საქმეში
 მომჭირნეობა და ნიჭი. როცა კითხვა გაათავა,
 უმანსკიმ ღრმათ ამოიხენეშა. იმის სახეს მწუხა-
 რების ღრუბელი გადაეკრა, გულში იფიქრა:
 «ოჰ, რა ნაყოფიერი ენახია ეს ახალგაზღობა-
 და გოლვას. რა ნაირათ შეუწუხებიაო!» ის

მიხედა: ყმაწვილების გონება სრულებით არ იყო შეძრული ვარჯიშობით. რაც დედა-შობილადგან დაჰყოლიათ და რაც საკუთარ ერის ცხოვრებას და ბუნების გარემოებას იმათზე არ უმოქმედებია, იმათ არა მოჰმატებია რა

. უმანსკი მოუსმინა მთელს კლასს თავის გაკვეთილი უროკი. ყველამ კარგათ უთხრა ზეპირათ, მაგრამ ვერც ერთს ვერ შეატყო ამ უროკის სმენა. რაც მასწავლებელს გაეკვეთა, ის ყოველივე მეოთხე კლასის მოწაფეებს სიტყვა-სიტყვათ, მარცვლა-მარცვლათ ჩაედოთ თავიანთ მესსაერებაში, როგორც სამეცნიერო წიგნები შესდო განჯინაში (შკატში) და იყონ იქ, სანამ იქიდგან ან ვინმე არ გამოიღებს, ან თავესით არ გამოვარდებიან. უროკის აზრი ყმაწვილების გონებას ოღნათაც არ მოხვედრია და არ მოუწვლელია. ეს უროკი იმ ბლის კურკას ჰგავდა, რომელიც მონელების შემდეგ ისევ უწვებელათ დარჩენილიყო. სწორეთ ამ გვარი-ვე საქმე დამართნოდა უ...გან მიცემულს ურო-

კსაც. აი რისგამო ამოიხენება იმან ასე მწუხარეთ. ემაწვილს ამავე უროკიდგან რამდენიმე კითხვა მისცა, მაგრამ ამ კითხვებზე ყველა იბნეოდა, ვერც ერთმა რიგიანი პასუხი ვერ უთხრა, რომ დარწმუნებულიყო, ოდნათ **შაინც** ესმით, თუ არა, გაკვეთილიო. ამ საშუალებით ის სრულებით მიხედა, რომ უროკების მიცემით და ზეპირობით ემაწვილები უფრო დაიბნევიანო. «ჯოჯოხეთის ცეცხლს ერთი მუგუზალიც მიუმატესო», სწორეთ ის გამოვიდოდა ამისთანა სწავლებით. გამოჩნდა, რომ უმისოთაც დადუმებულს და დამძიმებულს გონებაში ერთი ქვა უმანსკისაც უნდა ჩაეგდო. იმან უარი სთქვა ამაზე. ისევ ისა სჯობია, ამ ბუნებით შემკულმა ახალგაზდობამ ჩემ ხელში სულ არა ისწავლოს რა, ვინამც იმათ სენს ჩემგანაც ერთი ჭირი კიდევ მიემატოსო. ამისგამო იმან სრული საღვათი მისცა იმათ ტვირს. ამის შემდეგ უროკებს აღარ აძლევდა; მხოლოდ გონიერ ხუმრობით იქცევდა ემაწვილებს.

.

მეოთხე კლასის მოწაფეებში ყველაზე უფრო დიტომ მიიპყრო იმის ყურადღება.

პირველს გაკვეთილს შემდეგ ძალიან ემაღლიერებოდა. როდესაც სამხიარულო მოთხრობებს დაპარაკობდა ის გადაჰკრავდა თვალს დიტოს, რომელიც ამ დროს მოცინარს თვალებს ადევნებდა უმანსკის სახეს და ამ მხიარულებაშიაც ჩნდა, რა დიდათ აფასებდა იმ კაცს ეს ახალგაზდა. ეს ყმაწვილი ძვირფასი ჭურჭელია სიკეთისაო, ოღონდ რომ შიგ მყრალი სასმელი არ ჩაისხასო—თქვა თავის გონებაში უ...იმ და აქას შემდეგ მეოთხე კლასიც იმისთვის საუკეთესო კლასათ შეიქნა.

.

.

.

უმანსკის ჰქონდა ჩვეულებათ ჰყანვა. როდესაც რასმე გულშემატკივარს ამბავს მოჰყვებოდა, ის მოულოდნელათ ტუჩებს გადიბრუნებდა და კბილებს გადმოჰყრიდა მკვდარ კაცივით. მერე თითებს წაისვამდა კბილებზე და დაუწყებდა სუნვას, თითთქვას ვი

მე საიჭვო ნიეთი წაეცხოს იმის კბილებზეო.
პირველად ამისთანა ჩვეულება, ყმაწვილებს
ეზიზღებოდათ, მაგრამ შემდეგ, როცა უმანსკი
კარგათ გაიცენეს, თითქმის ეს უმზგავსო ჩვეულებ-
ბა, იმათვის სასიამოვნო მოსაწონარი შეიქმნა.

უ...ის პირველად სტაერაპოლის ქალაქ-
ში შეხვდა ცხოვრება. თურმე ამ ქვეყნის უღა-
ბურობამ ძალიან მოაწყინა. ვერავენ ვერ იშოფ-
ნა თავის გულის მეგობარი და ხუთის წლის
განმავლობაში ცხოვრებდა კარგამოკეტილი.
პირველ მოსვლაზე დაეჩვია ქალაქს გარეთ სია-
რულოსა მინდვრებში, იქნება რასმე გულის გა-
სართობს წაეატყდყო, მაგრამ აქ დაუნდო-
ბარ ჩერქეზებისა, გაიძვერა კალმუხებისა და
ლინიის ყაზახების მეტს ვერავის შეხვედრო-
და. ცოტახანს შემდეგ აქ ის განაწესეს მას-
წავლებლათ. რასაკვირველია, ჯერ გულისმოღ-
ვინეთ შეუდგა თავის საქმეს; მაგრამ რადგან
ლიმნაზიის ახალგაზდობაში თანამგრძნობელი
ცოტა ნახა, თვითონ ახალგაზდობასაც ვერ შე-
ეჩვია და ბოლოს სწავლებაც მობეზრდა, — დაი-

წყო თავის სამშობლოზე ჯაერობა და რომ
ვერასფრით მოიცილა კაეშანი, ბოლოს არაყის
ხმასა მიეჩვია. ამის შემდეგ სამსახურსაც აკლო
და

. 185....წელს გამოისტუმრეს ჩვენს-
კენ მასწავლებლათ ქ...ს ღიმნაზიაში, რომე-
ლიც იმ დროს გაიხსნა. უმანსკის ძალიან
იამა ალაგის გამოცვლა. ოღონდ ამ უდაბურსა
და უკაცო ქვეყანას მოჰაცილონო და თუნდ
ციშირში გამგზავნონ, არ მენაღვლებათ. თბი-
ლი ჰევა, გონება მკვირცხლი ხალხი, იმათი უ-
ღარდელი, ქეთიანი ცხოვრება, კიდევ უფრო
მკვირცხლი მოწაფეობა ჩვენი ქვეყნისა ძალიან
მოეწონა უმანსკის. თბილის ქალაქს რომ ჩამოვი-
და, იქ ქართულმა ყუთმაჯებიანმა ჩოხებმა ყმაწვილ-
სავით ააჰკლოპინა: — აქ სადა ვარ, იქნება ძველი
პოლშის ერი გაცოცხლებულ იყოსო! ყუთ-
მაჯებიანმა ჩოხებმა იმას მოაგონა პოლშური კუნ-
ტუშები. ორი კვირის შემდეგ იმან პირველად
გაიცნო ქ...ს ღიმნაზიის მოწაფეობა და მაშინვე
გულმა გაუცინა: —

. იმისმა ამხანაგურმა მოქმედებამ მალე შეითვისა ქ...ს ღიმილ-ზიის მოწაფეობა. უმანსკი თითქმის არაეის უნახავს კლასში გაჯაფრებული. «ჩემი უროკების სწავლა, ან უსწავლელობა მაგდენს არას შეადგენსო, ხშირათ ეუბნებოდა მოწაფეებს. კლასის დაეთარს ძალიან იშვიათად გახსნიდა ემაწვილების წარმატების ჩასაწერათ. ეგზამენი რომ მოახლოედებოდა, ის მხოლოდ მაშინ ჩამოიკითხავდა ემაწვილების სახელებს და იტყოდა: მე თქვენ ახლა ჩინები უნდა დაგაკეროთო;—და ამ სიტყვაზე გადიხარხარებდა. «ბალების» დასმას ის ჩინებს ეძახოდა.

XIII

უმანსკის პირველი უროკი.

ერთხელ, წლის გასულს, როცა ბალების დასმა მოინდომა უმანსკიმ, კატუნია ვერაგობით მიახლოედა და გამოჰკითხა: «იმედი მაქვს, კარგს

«ბალს» დამისვამთ, რადგან მე თქვენ საგანს განსაკუთრებით გულსმოდგინეთ ესწავლობდით. უმანსკიმ წარბი შეიკრა. — უნდა მოგახსენოთ — უფხრა დაცინებით — მე სრულებითაც არ შემინიშნავს თქვენი მომპირნეობა. იქნება მართლაც ცდილობდით. მე ბედნიერება არ მქონია ჩუმათ მომეყურებინა თქვენს სადგომთან, რა გაფოცებით და ტანჯვით ზეპირობდით დღე და ღამე ჩემს გაკვეთილებსა; მაგრამ სამწუხაროთ კლასში კი ოდნა წარმატებაც არ შემიმჩნევია, ერთხელაც არ შევინიშნავს, რომ თქვენის გონებიდგან გამოღებულნი აზრით გეამბოთ ჩემთვის ის, რასაც მე ვცდილობდი თქვენთვის მესწავლებებინა. მე მსურს ეს მივაწერო ჩემს მოძღვრებითს სისუსტეს; მაგრამ სამწუხაროთ ესეც შევინიშნე, რომ ჩემს სისუსტესთან თქვენც იმდენათ არ ცდილხართ, რომ თქვენ, როცა გიხსნიდით, გონების თვალი გაგეხილოსთ. იმას სამწუხაროთ, აქამომდე სძინავს და ამას მე მივაწერ მხოლოდ თქვენს მოუნდომელობას, თქვენს სიზარმაცეს.

— უჰ, რაეა დაგცინა; კატუნია— დაბალი ხმით მიადახა დიტომ და გაიცინა.

— კატუნია უმანსკის სიტყვებმა და განსაკუთრებით დიტოს უპატივცემულოთ მოხსენებამ ძალიან გააწითლა, გაჯავრდა, მოთმინება დაეკარგა, დაიბნა და აღელვებულის ხმით უპასუხა მასწავლებელს:— არა, ბატონო მასწავლებელო:— მე ძალიან ვცდილობდი, თუ გნებავთ გამაჯიბრეთ ვისთანაც გინდათ, ყველაზედ უკეთ იცი...

— ღიახ, თქვენ ყველაზე უკეთ იცით, მაგრამ ჩემმა წიგნმა კიდევ თქვენზე უკეთ იცის და ჩემმა შკაფმა, სადაც მრავალნაირი მეცნიერების წიგნები მიწყია ხომ სულ გადამეტებით იცის თქვენზე; მაგრამ... — აქ შედგა უმანსკი და უცბათ გადიხარხარა.— დიტომაც მძაფრათ გაიცინა. კატუნია მობრუნდა შეუბღვირა დიტოს და შიშინით უთხრა:— «შენ გველის წიწილო, შენ რა გაცინებს.»

— დიტო მიხვდა ჩემს აზრს, ყოჩაღ, დიტო... დაიყვირა უმანსკიმ და თან კიდევ მოუხშირა

სიცილსა.—კატუნია, დაბიანდით, ეცადეთ ნამდვილათ იცოდეთ თქვენი გაკვეთილი და არა მხოლოდ ზეპირათ. ისე ეცადეთ დაისწავლოთ თქვენი გაკვეთილი, რომ ის შეიქნეს თქვენი გონების ნაწარმოები, თქვენი ტვინის ნაყოფი; თქვენი სწავლა უნდა იყოს თქვენს ტვინის ხეზე ვაშლათ გამობმული და არა იმ ვაშლათ, რომელიც შეკაფშია შენახული და დღეს თუ ხვალ დალპება და გაჰქრება.—გული დაიმშვიდეთ, კატუნია, ეცადეთ გონების თვალი გაახილოთ, ეცადეთ საკუთარი ფეხებით სიარულსა და არა სხვისი დაჭერით ტატაეებასა, როგორც ჯერ ფეხადგმელს ყმაწვილს სჩვევია.

კატუნია დაჯდა თავის ალაგას აფხორილი, ცალკე დიტოს ებუზლუნებოდა და ცალკე თავის თავს უწყობოდა, რათ შემემთხვა ამისთანა საქმე, რა მრჯიდა, რომ ეთხოვე კაი «ბალი» დამისვითქო, რაზე ავიგდე თავი სასაცილოთო.

უმანსკიმ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ყმაწვილების წინ, მერე მიტრიალდა იმათკენ მხიარულათ და დაიწყო: «მართლაც ჩინებზე მო-

მაგონდა, თქვენს დედამამებს ძალიან ჰყვარებიათ ჩინები, ეპოლეტები. სადაც უნდა გავიხედო, ყოველგან პაგონებიან ჩერქეზულს ჩოხას ვხედავ. ძალიან თავმომწონენი უნდა იყოს თქვენები. ხშირათ შემინიშნავს ერთი ეინმე დიდი ბატონი, რომელიც ზის გასუქებულს ცხენზე, ეს ცხენიც ხომ ისე გასუქებულია, როგორც თვითონ მხედარი. ორივეს გავები განიერები და გულგვამი გადაშლილები აქვთ, ამას გარდა ბატონს გძელი უღვაშებიც აქვს, მხრებზე ჯინჯილები, ხანდახან იქით-აქით იხედება, თვალს წყალს აძლევს. იმას უკან მოსდევს ათი ცხენოსანი რაზმებათ დაწყობილი ოც ნაბიჯზე, ესეც იმისი კრებული და ხლებული უნდა იყოს,—ჩვენებურათ ამას სვიტა ჰქვია.. —

— ბიძო, დავაი «ყალიონი». — ხლებული მოართმევს გძელ ყალიონს. ბატონი კიდევ უფრო გადაშლის მხრებს, გააშვერს განზე გძელ ყალიონს, გამოუშვეებს თუთუნის ბოლს... პაპ, პაპ, პაპ!.. — დიდი თავადია, დიდებული თავადია! — პაპ, პაპ, პაპ! — ამისთანა დიდს ხომ დიდი ჭამაც უნ-

და; აკი იმიტომაც უყვარს დიდი ჩინი! . ეს იმიტია კარგი, რომ ყალიონი შეუძლია მთელი დღე აბოლოს და არაფერი აკეთოს; მაგრამ საჭმელი მაინც ბევრი ჰქონდეს. — Бичо, давай все... все давай — дяди князь. — ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ!! — და ამ სიტყვებზე გადიხარხარა უმანსკიმ. იმას სიცილს დიტოც აჰყვა თავის მხიარული კისკისით. როდესაც უყურებდენ უმანსკის ჯგიმვას და მხრების წევას, თითქოს მართლაც ჩვენებური თავადის-შვილი ყოფილიყო, მთელი კლასიც იცინოდა. კატუნიაც ხომ დიდი თავადის-შვილია. დახე, სწავლაშიაც როგორ ეტყობა შთამომავლობას სისხლი. მაგას ის კი არ უნდა, რომ გონების თვალი გაახილოს და ტენი დაანძრიოს. არა, იმას ჰსურს ისე მზათ ჩაილაგოს მესხიერებაში, რაც წიგნშია დაწერილი. ვითამ და მაგის ჰკუა რადგან თავადის-შვილის ჰკუა არის, თავადის-შვილურათაც ცდილობს მოქცევას. ბიჭო, მომეცი გონების საზრდო და მე ჩემ მესხიერების განჯინაში ჩავალაგებ ხელგაუნძრეველათო!!!. ყოჩაღ, მამის შვილო! — ამდენ

დაცინებას კატუნიაშ ველარ გაუძლო და თუმცა თოთხშეტი წლის იყო, მაგრამ მეტის მეტი ჯავრით თვალეშოი ცრემლები მოერია. უმანსკიმ ეს რომ შენიშნა, სთქვა: დიდი გოლეის შემდეგ პატარა წვიმაც სანუგეშოა, რადგან ის ბალახებს გამხმარ ძირებს გაულობებს და დამკუნარს მცენარეს ფერს მისცემსო». დიტომ გადიკისკისა. კატუნიას ფშლუკუნნი დიდ ღრიალათ გადაექცა. — «ჰო, ეგ უკეთესი! წვიმის შემდეგ, როცა კეჩა-ქუხილი დადგება და მერე მადიანს წვიმას დაუშვებს, მაშინ ხომ მთელი მიწის ბურთი აღორძინდება, ნაყოფიც გაძლიერდება, იმედია, კატუნიას გონების ხეც ამის შემდეგ ფოთოლს გამოიღებს და ჩემა გაკვეთილებიც იმას ნაყოფათ გამოეცხმის».

მთელი კლასი ამ ოხუჯობაში გამხიარულდა. მომეტებულ ნაწილათ უმანსკი სულ ასე მხიარულათ ატარებდა დროს ყმაწვილებთან. ის ცდილობდა, როგორმე შეესვენებინა მუდამ ზეპირობით დამძიმებული ყმაწვილების მეხსიერება. ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ყმაწვილები გა-

დაჩვეულ იყვნენ სიტყვა სიტყვით იმის გაკვეთილის დასწავლას. ამისგამო არაოდეს თავის გაკვეთილს მოწაფეებს არ მოაყოლებდა. უმანსკი ჰკითხავდა ხოლმე ზოგიერთს აზრს გაკვეთილის შესახებ და თუ რიგიანათ მიუგებდენ თავისი საკუთარი მოაზრებით, სრულებით კმაყოფილი დარჩებოდა და მაშინვე საუკეთესო «ბაღს» დასვამდა. ეინც ან წიგნის სიტყვებით გასცემდა პასუხს, ან წიგნიდგან დაიწყებდა მოთხრობას, უმანსკი მაშინვე მიაყოლებდა; «რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და სიმაგრე ტვინთა, წამხდენი მეხსიერებისა და დამბნელებელი გონებისა.—» ანუ ასე: «დიდება შენდა მოტარტალე, რამეთუ გაგვიყრუნე ყურნი და ვერ მიეც გონებასა თქვენსა ნათელი»—ყოველს ამგვარს ოხუნჯობაზე მთელი კლასი ხითხითობდა. გაკვეთილის მოქმელი წითლდებოდა და გულში ამბობდა? «ღმერთო ამისთანა სირცხვილს მეორეთ ნულარ მომაყენებო». ამნაირი მოქმედებით შართლაც თან და თან უღვიძებდა ყმაწვილებს

გონებას და ზეპირობის ცუდს ჩვეულებას თანდათან ავიწყებინებდა.

XIV.

ღიტოს გადავიქვამ.

ღიტოს ძალიან არგო პანსიონში შესვლამ. იქ იმან დაივიწყა თავისი ნათესაობა, სახლი, რომელიც იმის თვალში დედმამის სიკვდილს შემდეგ უამისოთაც გამჭრალიყო მიწის ზურგიდგან. ახლა ის მოექიდა თავის ნორჩი გრძნობით ერთს სულიერს. ეს იყო თვითონ მასწავლებელი უმანსკი. ღიტოს იმაზე უძვირფასესი ქვეყანაზე აღარა ჰყავდა რა. პანსიონში წიგნის კითხვის მეტი სხვა საქმე არ ჰქონდა და არც აგონდებოდა. იმან წარმოიღვინა განათლებულ ნასწავლ კაცის სახეთ თვითონ უმანსკი. გაკეთების სწავლობის დროს ბევრჯერ გაუელია გულში: «ოჰ, ნეტაი უმანსკის ოდენი ეიცოდეო. იმისთანა რომ გამოვიდოდე, ქვეყანაზე სხვა რაღა მინდაო». ამ ფიქრების შემდეგ ღიტოს გულს-

მოდგინებით მოჰკიდებდა ხელს გაკვეთილების სწავლას. არც მოსვენება, არც ძილი არ იცოდა, სანამ მასწავლებელთაგან მიცემულებს ზოგს მამაოჩვენოსავე არ გაიმეორებდა და ზოგს ჩიქორთული რუსულით არ აიხსნიდა. რუსულენის სმენას ბიერი უმატა დიტომ პანსიონში. თითქმის ქართულსავე იგებდა, რასაც წიგნში წაიკითხავდა, თუმცა გამოთქმა ძალიან ახირებული ჰქონდა და ორ-სამ ფრაზის მეტს ერთიმეორეზე რიგიანათ ვერ გადააბამდა. ის ძალიან დამტკრებული ენით ლაპარაკობდა, როცა თავისი აზრის გამოთქმას შეუდგებოდა; მაგრამ ვინც კარგათ დაუკვირდებოდა ამ დროს იმის გაკვეთილის მოთხრობას, ყველა იფიქრებდა, რომ ამ ყმაწვილის თავში აზრი კუკურებს ისხამს და ერთ დროს მშვენიერს და სასიამოვნო ნაყოფსაც გამოიღებსო. უმანსკის ყურებისთვის ნემსის ჩხელეტა იყო ასე ჩიქორთულად რუსულსა და რუსულის ლაპარაკი. ის არა ერთხელ შემოკედომია თავის გულს, როცა შეიტყო, რომ ასე დახიჩრებულ სწავლებას თუ რამდენათ დაე-

ჩაგრა ყმაწვილების გონება; მაგრამ ახლა იმან თავს იღუა წახდენილი საქმის გასწორება და ამისგამო დიდის სიქველით იკლავდა გულში თავის სულის მწუხარებას. ის წესიერათ ლაპარაკს კი არ დასდებდა, მარტო იმას ადევნებდა გულის ყურს, თუ როგორ აწყობდენ აზრს ერთი მეორეზე, ან რამდენათ მოხერხებულათ გამოხატავენ თავიანთს აზრს. ამ შემთხვევაში დიტოს მოთხრობა გაკვეთილისა იმითი ირჩეოდა თავის ამხანაგებისაში, რომ ის უეჭველათ ყოველს აზრს თავისებურათ იტყოდა და ერთი ორი სიტყვით მოსჭრიდა, რაც უნდა ძნელი გამოსათქმელი ყოფილიყო მასწავლებლისაგან გაკვეთილი ახალი შემეცნება. ამითი დიტო თავის გონების 'დალს აჩნევდა გაკვეთილს. უმანსკისაც თან და თან უფრო მოსწონდა ამ ყმაწვილის მაგარი გონებითი აგებულობა, რომელიც გაუგებარის ზეპირობით ხუთი წლის წვალებასაც ვერ დაერღვია. უმანსკი აქაც ამოიხენეშებდა ხანდახან. აბა, რათა, მიხედი მკითხველო? - იმის გამო, რომ ამ ოც ყმაწვილში მხოლოდ ე

ერთი დარჩენილიყო კიდევ გონება და ნიკ წაუ-
მხდარი; ის სწუხდა, რომ ამ ერთის მეტს სხვას
ვეღარ მოუხსნო გონებით ცოცხალსა. და-
ნარჩენნი სწავლა მეცნიერებისათვის მომკვდარ
იყვნენ. ამათში შეეძლო ბევრს უნივერსიტეტის
გაეთავებინა, მაგრამ მით უფრო მწუხარე მო-
საგონი იქნებოდა იმათთვის შეუფერებელი სწა-
ვლებით დაზრული, უდროოთ მომწვარი და
უნაყოფოთ გამხდარი უწინდელი ნიჭიერება. უ-
მანსკის თვალში ამდენს მარგალიტებში მხო-
ლოდ ერთი დიტო დარჩენილიყო ფერუცვლე-
ლი. მხოლოდ ამ ერთს არ დაჰკარგოდა თავის
ბუნებითი ბრწყინვალება. მით უფრო ძვირფასი
შეიქნა ეს ობოლი მარგალიტი უმანსკის თვალ-
ში და იმის გულჩვილობას და პატივისცემას ამ
ნორჩ ახალგაზდაზე საზღვარი არ ჰქონდა. რაც
უნდა დაფიქრებული და მოწყენილი ყოფილიყო
უმანსკი, დიტოს რომ შეხედავდა, მაშინვე გულს
გადაეყრებოდა და თვალები მხიარულებით გავე-
სებოდა. დიტოს ჯერ არ ახსოვდა, რომ უმანსკი
წარბ-შეკრით დალაპარაკებოდა იმას. კიდევ

იმიტომ შეიქნა იმისთვის ასე ძვირფასი ეს მასწავლებელი. ყოველი იმისი სიტყვა ღიჯოს მხნეობას ფრთებს ასხამდა და ესეც ისე გამაცადინებულნი იყო, რომ ერთს სიტყვასაც, ერთს იმის თვალის დახამხამებასაც არ დააგდებდა მიუხედრომელს. ამდენს ჯაერთან მასწავლებლებში უმანსკი იმის თვალწინ იდგა პატიოსნების და მეცნიერების შეურყეველ ნათელ ბურჯათ, რომელიც ღიჯოს ამხნეებდა სწავლაში და იმისთვის ეს საკმაო იყო, რომ ათასი სხვა ცუდი გარემოება არაფრათ მისჩნეოდა. ამ შემთხვევაში სხვების ცუდი თვისება, ჯაერთანობა, უზნეობა უზნეობით დაცემულების სურათებად ეხატებოდნენ ღიჯოს თვალწინ. ამ გარემოებაში იმის გონება თან-და-თან ეძლეოდა ღიჯოს წარმატებას... მეოთხე კლასშივე შეიქნა თითქმის ყველაზე პირველი. იმის ამხანაგებს ძალიან უკვირდათ ეს ამბავი. ზოგი აბრალებდა იმის პანსიონში ყოფნასა და ზოგს კი არ სჯეროდა, თუ იმას ცალკე მასწავლებელი არ ჰყავდა დაქირავებული პანსიონში გაკვეთილების დასასწავლებლათ. —

რას შეეცა ეს დაფსხრიკულიო — იტყოდა კატუ-
ნია დაცინებით. უწინ სულ «დეას» და «ედრ-
ნის ცებს» იღებდა; ახლა კი «ჩეტირესაც»
აჩქადრულობსო; «შეგილოცა მაგ უმანსკიმ, თუ
რა ღმერთი გაგიწყრა?» დიტო, ამ სიტყვებზე გაი-
ცინებდა და გაიმეორებდა უმანსკის დაცინებას:
ДИДИ-О КНЯЗЬ. ДИДИ... Я КНЯЗЬ. ВСЕ, ВСЕ ДА-
ВАЙ... Я МНОГО КУШАЙ... — გადიჯგინებოდა წელში,
გაიცინებდა და გაფარდებოდა კლასილამ.

მეზუთე კლასში რომ გადვიდენ, დიტომ პირ-
ველად მიიღო ჯილდო სწავლისთვის. რაც უფ-
რო წარმატებაში შედიოდა, იმდენათ უფრო
ხარბობით უყურებდენ იმას ამხანაგები, და ბო-
ლოს კიდევ შეიძულეს. დიტოს კლასის პერე-
მენებზე უყვარდა თამაში და დილიდამ მოკიდუ-
ბული, სანამ კლასი არ გათავდებოდა, წიგნი-
თვის, ან ახსნისთვის ხელს ვერ მოაკიდებინებდი;
იმას ამხანაგები კი განსაკუთრებით მატემატიკის
გაკვეთილისთვის სულ თავს იტყებდენ პერემე-
ნებზე. იმათ ჩვეულება ჰქონდათ თავისუფალს
დროს წინა უროკის, ანუ გაკვეთილის განმეო-

რება და ამ დროს, ზოგიერთ დასამტკიცებელ აზრების გაუგებრობისთვის, საჭირო იყო დიტოს მოხმარება იმას კი ამ დროს კაცი ხელს ვერ მოიკიდებდა, იმიტომ რომ გაკვეთილების სწავლით დაღალული იმის გონება თუთხმეტის მიწის თავისუფლებაშია. თითქოს უარს ჰყოფდა გაკვეთილის სწავლას, ან ახსნას. ამხანაგები კი ამ გარემოებას აბრალებდნენ იმის სიამაყეს, უამხანაგობას და ყველამ ავი-თვალით დაუწყო ყურება... . ძანსიონში რომ შევიდა, მერე დიტო ქველადე კაცის შეილათ აღარ ეარგა. რაცღა ღმერთი გაუწყრა, სულ წახდა გამძარტუნდა — იტყოდა ერთი. — ეგ არ იყო, მესხიერების უქონელობით რომ სულ ლინეიკას სცემდნენ მასწავლებლები ხელზე; მე კი ოთხსა და ხუთს ვიღებდი. გლები კაცი ცხენზე რომ შეაჯინო, ღმერთი დააეწყდებო, სწორეთ იმას ჰგავს ქველადეც. ახალ გააზნ. უშვილებულსაეით ამაყობს სწორეთ. — სიხარბით წამოიწყებდა კატუნის, იმას ვერ წარმოედგინა, თუ დიტომ რა იკეთა ამისთვის, რომ უმანსკის ასე შეუყვარდა. ზეპირო-

ბით თვითონ თითქმის კიდევ-სჯობდა დიტოს, მაგრამ თავის დღეში «ოთხის» ნიჭი არ მიუღია უმანსკისაგან. — არ ვიცი, რა თვალით შეხვდა ამ თხის ტვინას, რომ მაგის ყოველფერი მოსწონს და ჩემი კი არა, — ამბობდა გონებაში კატუნია და ჩამდენათაც წინ მიდიოდა დიტო, იმდენათ გული უგრილდებოდა იმაზე. ბოლოს დარჩა დიტო მარტო-მარტო. ერთი ამხანაგიც აღარ ჰყოლია; მაგრამ ამ გასალკვევებულმა უმეგობრო ცხოვრებამ, თითქოს კიდევ უფრო გაამხნევა სწავლაში. იმას ჰქონდა ერთი ცუდი თვისება: თუ კი რამეში მოგებული იქნებოდა, ან რასმე მარჯვეს იზამდა, უყვარდა ამ ამბის ლაპარაკი, ხან-და-ხან კიდევ წაუმატებდა: ამას გარდა რაკი ამხანაგებმა გვერდზე დაუწყეს ყურება, მერე ისიც არ აკლებდა იმათ თავის დაცინებას. დიტოს საშინელი გესლიანი ენა ჰქონდა და ამანსულ შეაძულა ის ამხანაგებსა. სანამდის მეგობარი იქნებოდი იმისი, ღმერთმა ყოველი კეთილი მოგცეს, როგორც კეთილი და ერთგული შენი დიტო იქნებოდა. არაფერს

სათრთხე საქმეს არ დაერიდებოდა. ამხანაგის გულისთვის; მაგრამ თუ ერთხელეე გულს გაიგრილებდა, ან მტრათ გაგიხდებოდა, იმისთანა დაუცხრომელი მტერობა და შურის ძიება, ყმაწვილობა არ იცოდა. არც ენით, არც საქმით აღარ მოუსვენებდა კაცს. თუ კი რასმე მოგიხერხებდა და შენი ჯავრი სჭირდა, მოსაკლავათაც არ ენალვლებოდი. იყო საშინელი ფიცხი, მაგრამ გული კი ძვირათ მოუფიქროდა. ჩემის აზრით უფრო ამ თვისებებს მიეწერებოდა ამხანაგების გულის გაგრილება იმაზე, ვინამც სწავლაში თვალხარბობას. წაუფიქრეს, დაიკარგოს მაგის ამხანაგობაც და მაგის მეგობრობაც - იტყოდა ხან-და-ხან ღიტოსაგან გამოჯავრებული კატუნია.

XV.

უმანსკის მეორე უროკი.

ერთხელ მაისის დილაა. პეექვსე კლასის ყმაწვილები სხედან გაკვეთილზე. ის არის, უმანსკო

შემოვიდა, რაღაც არა ჩვეულებრივ მხიარულათ. ღრო გამოშვებით თითქოს კენესოდა და შუბლზედ აღმური აღიოდა: — ვეჰ, ამ სიფთაზე ძალიან გადაუკრავსო, გაისმა ყმაწვილებში. ის მეოთხედ საათს მაინც იჯდა, რომ ხმას არ იღებდა. კლასის დაეთარი გაშალა, ზედ იდაყვები დააბჯინა და თავი ხელებში ჩაიდო. ერთი ხული შუბლზე ჰქონდა მაფარებული, თითქოს ღრმა ფიქრშიაო ჩაეჩინილი. ყმაწვილებს ექვი მიეცათ, არაყი მეტი არ მოსვლოდეს და მომაკვდინებელი ზაფრა არ მოუფიდესო. ზოგი გულშემატკივარ მწუხარებისაგან და ზოგი შიშისაგან იყვნენ ხმაგაკმენდილნი. მეოთხედი საათი რომ გამოვიდა, უმანსკი ადგა უცებ, ნახევარი მხარი შეანძრია — ეს ჩვეულება დათრობის დროს მოსდიოდა — მერე წამოვიდა მხიარულათ ყმაწვილებისაკენ და მიესალმა. მოწათფებს ძალიან იამათ, რომ ამით დაბოლოვდა იმის ღრმა ფიქრი და ისინიც მხიარულათ მიეგებნენ. დიტომ თავი ჩაღუნა და დატონებით გაილიმა. უმანსკიმ შეასწრო თვალი, გაიარ-გამოიარა და უ-

ცბათ წამოიძახა: «ქვეყანაზე პატიოსნებისთანა
 არა არის რა.» დიტოს უეცრად ტანში გააქრქოლა.
 იმას მართლაც იმ დროს სინდისი უცბათ შეერ-
 ყა. ყოველს უმანსკის გაკვეთილზე დიტო თვა-
 ლებში შესცქეროდა შუბლ-გადაწმენდილი; ახლა
 თითქოს კისერი მოსწყდაო, თავი ველარ აიღო
 ზეით. — «პატიოსნება დიდი საქონელიაო —
 განიმეორა უმანსკიმ „რა არის სრული პატიოს-
 ნება?« — მოტრიალდა უცებ ყმაწვილებისკენ. იქ
 ის ცოტათ შესდგა თითქოს მოწათყეებისაგან
 ელისო პასუხს. ამ დროს ისეთი სიჩუმე დადგა,
 რომ შეექვსე კლასში ბუზის ბზუილსაც მოოს-
 მენდი. «ამბობენ პატიოსანი ის არის, ვინც
 ტყუილს არ იტყვის, ვინც თიქს არ გატებს,
 ვინც დაპირებულს უსათუოდ შეასრულებსო.
 მაგრამ წარმოვიდგინოთ, მე თქვენ დაგპირდით
 დღეს კლასში მოვალ-მეთქი და უეცრათ ზაფ-
 რა დამეცა და თეხების მოძრაობა წაპერთეა. არ
 ავასრულე ჩემი სიტყვა, კლასში არ მოვედი,
 ტყეილი გამომაჩნდა: ამისგამო საზოგადო გან-
 მარტებით უპატიოსნო შევიქენი». — არა, არა,

ეგ არ არის უპატიოსნობაო — მიაძახეს მოწა-
 ფეებმა. დიტოს შუბლი ჯაკრის ღრუბელმა დაჩ-
 რდილა. ამ დროს მარტო ის არ იყო გუნება-
 ზე. — ამოარე მაგალითი — განაგრძო უმანსკიმ:
 ეთქვათ მე მოვდივარ ლამით გზაზე და ამ დროს
 შევნიშნე, რომ მცარცველები მიხტომიან
 ერთს სახლს გარეშემოუზღუდავთ და აწიოკე-
 ბენ. შემხედეს თუ არა, შემიპყრეს, მეუბნებიან
 მოგვეცი ფიცი, რომ ამ ამბავს არსად გაგვამ-
 ხელ. — მე ვხედავ, რა კაცებსაც ჩაუარდი ხელში
 და ვეუბნები: პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, ამას
 არაფის ვეტყვი. — შეგვეფიცე პატიოსნებაზეო — მე-
 უბნებიან. — ჩემს პატიოსნებას გეფიცებით, რო-
 მელიც არის უდიდესი ჩემი ღირსება ცხოვრე-
 ბაში, ამ თქვენს ამბავს არაფის ვეტყვი. გამი-
 შვეს. მე იმავე წამს გავეშურე გუშაგებისკენ და
 გამოუცხადე ის შემთხვევა, რომლის უთქმელო-
 ბაზედაც მცარცველებს ფიცი მივეცი. გუშაგნი
 გამოიქცენ, შემოეხვიენენ იმ სახლს, მიუსწრეს
 იმდროს, როდესაც ერთს მამა ეჭირა ხელში და
 სულს წედიდა, მეორეს ცოლისთვის ჰქონდა

ხანჯალი გულზე დაღერილი და მესამე ხუთი წლის ვაჟს, ის იყო, ყელს სჭრიდა. გუშაგებმა, შეიპყრეს მცარჯელები და ოჯახი დაიხსნეს ამოწყვეტისაგან. მაგრამ მე კი ფიცი გავტეხე, საზოგადო განმარტებით უპატიოსნო შევიქენი. — არა, სრულებითაც არა, თქვენ ძრიელ პატიოსნათ მოქცეულ ხართ, — შეჰყვირეს ერთხმით მოწაფეებმა. უმანსკი გამხიარულდა. მესამე მაგალითიც უნდა ეთქვა — განაგრძო მოძღვარმა. წარმოიდგინეთ, რომ ვისმე თქვენგანს აქვს ოჯახი დედამით, ბიძებით, ბიძის ცოლებით, ძმებით, დებით და ბიძაშვილებით საესე. ეთქვათ ოჯახში რალაც წახდა, იქნება სულ თქვენი ბრალიც არ იყო, — მაგრამ მაინც თქვენ დაგწამეს. დაგიჭირა მამა თქვენმა და იმდენი გცემა, რომ სისხლი გადინა. თქვენ მამის ოჯახიდან გეზოდით და მომეტებული გულმოსულობისაგან პირობა მიეცით მამა თქვენს რომ უსათუოდ მუგუზალს მისცემთ იმის ოჯახს და დიდსა და პატარას ყველას ცეცხლში გამოსწვავთ. თქვენ, როგორც პატიოსანმა კაცმა

საზოგადოების განმარტებით უქველათ უნდა
 აასრულოთ თქვენი დაპირება, ასე არა? — ღმერ-
 თმან ნუ ქნას — შეჰყვირეს ერთი ხმით ემაწვილებ-
 მა. ეგ რომ აასრულოს, მაგაზე უპატიოსნო საქმე
 და უსინდისო რაღა იქნება ქვეყანაზე — დაატა-
 ნა ღიტომ — ქვის გული თუ ექნება კაცს და
 ძალიან გარყენილი იქნება, თვარა სხვა ვინ
 იზამს მაგას? — «ტყუილი, ფიცის გატება პირობის
 შეუსრულებლობა თუ უპატიოსნობა არ არის,
 მაშ რაღა ყოფილა ქვეყანაზე უპატიოსნობა»?...
 წამოიძახა უმანსკიმ. ემაწვილები ძალიან დაა-
 ფიქრა ამ კითხვამ. «ქვეყანას ტყუილი ფი-
 ცის გატება და უპირულობა მიაჩნია უპატიოსნო
 საქმეთ და თქვენ...» — ჩვენ არ ვეთანხმებით ქვე-
 ყანას მაგაში. ქვეყანა სცდება — მიუგეს ემაწვი-
 ლებმა. ამ პასუხზე უმანსკიმ გაღიხარხარა. დადგა
 კლასში მხარულება. — «მაშ რაღა არის პატიო-
 სნება?» — სიცილს შემდეგ კიდევ ბრძნულათ ჰკი-
 თბა ემაწვილებს უმანსკიმ. ემაწვილებმა კიდევ
 ხმა გაიკმინდეს. «კაცის სიყვარული» — უცებ წა-
 მოიძახა თვითონვე. — ვინც გიყვარს, იმის სიცილ-

ხლეც გინდა. მაშ პატიოსნება სიკეთისთვის ზრუნვაა. მზთხარით ეინ არის მხოლოდ პატიოსანი? — კაცის მოკეთე — მიუგეს ყმაწვილებმა. «მე დაუმატებ: კაცის პატივის მცემელი, იმის ნაკლულეფანების და შეცდომილების მიმტევებელი. ვინც სხვას ნაკლულეფანებას არ მიუტევებს, ის კაცი არ არის სულგრძელი, არ არის კაცის ნამდვილი პატივის-მცემელი, არ არის სრული იმის მოკეთე, არ არის პატიოსანი. იმას მოძმე არ უყვარს, ის უპატიოსნოა». აქ უმანსკი შესდგა. შეხედა დიტოს თვალებში. იმან თვალები ეელარ გაუმართა და ძირს დახარა. «მე დღეს მთვრალი ვიყავი, დიტო ქველადემ დამცინა, ვერ გამოვიჩინა სულგრძელება. ის მოიქცა უპატიოსნოთ». ამ სიტყვებზე დიტოს უცბათ ფერმა გადაჰკრა. იმას თითქოს მომაკედინებელი ლახვარი ეცა გულში. ამ დროს ზარას რეკაც მოისმა. უროკი გათავდა. უმანსკიმ უცბათ დააფლო დაეთარს ხელი, თავი დაუკრა ყმაწვილებს და გამოვიდა. დიტომ კლასის სტოლზე თავი დაამხო. ყმაწვილები აიშალნენ და ერთიკ აღარ მიჰკარებია ი

მას ჰერემენაზე. დიტო თითქოს ძვესკნელში გამქრალ იყოს იმ წუთს, ისე აღარავის ახსოვდა. ამ საშინელმა ზნეობითმა დასჯამ ყმაწვილი ძლიერ ჩააფიქრა. იმან მოიგონა თავისი უწინდელი ღლიცინი ამხანაგებზე, კატუნიას სასაცილოთ აგდება, იმისი დაშორება და როცა წარმოიდგინა, რომ მთელს კლასში ერთი გულითადი ამხანაგი აღარ ჰყავდა, იმ წუთას სიცოცხლე კიდევ უფრო გაუმწარდა. შემდეგ ცოცხლათ წარმოუდგა თვალწინ «ბაიყუშის» გაქცევა პანსიონიდან და იმისი გამორიცხვა ღიმნაზიიდან. «ჩემმა გულქვაობამ «ბაიყუში» გააუბედურაო» — წარმოსთქვა კენესით დიტომ პანსიონის ზალაში. საღამოს, როცა წიგნის საკითხავათ მოგროვდენ ყმაწვილები, დიტო უეცრად წამოდგა, გავიდა სვალნაში, წაწვა თავის კრაოტზე პირდაღმა და მეოთხედი საათი აღარ ამდგარა, სანამ ისპექტორის ხმამ უცებ არ გამოარკვია ბურანიდან.

— ЭТО КТО? — დაიყვირა იმან, თავდაღმა მწოლარე ყმაწვილი რომ დაინახა.

დოქტორ წამოვარდა ზეზე, შეხვდა ინსპექტორს და თვალებიდგან ცრემლები უნებურათ გადმოცვიინდა.

— Что съ тобою?—болень?—ხმა მოუძღაბლა.

დოქტორ გაშეშდა, ხმაც ზეღარ ამოიღო.

— Ступайте въ больницу.

დოქტორმ უარის უთქმელად გასწია საავთანყოფოსკენ და იმ წუთას რომ გეკითხნა, დარწმუნებული ვერ გეტყოდა, თუ სად მიდიოდა. ის სრულდებით თავის უნებურათ ჩავიდა ძირს კიბეზე, შეჰყო თავი საავთანყოფოში და მხოლოდ მაშინ მოვიდა გონზე, როდესაც ხალათებიან უმაწვილები გარს შემოესივნენ და სტუმრობა მიულოცეს ახალ ამხანაგს.

რამდენათაც ერთად ცხოვრებით მობეზრებული ჰქონდათ სიცოცხლე მოწაფეებს ზვეით პანსიონის ზაღებში, იმდენათ ავთანყოფებს საავთანყოფოს დახშულს ოთახებში მარტოობით გაჭირებული ჰქონდათ საქმე. ვინც მორჩენილი იყო და რამდენიმე ხანი დოქტორის ნებით კიდევ იქ უნდა გაეთია, იმათ-

თვის მაინც მეტათ აუტანელი და სამძიმო შეიქნებოდა ხოლმე საავათმყოფო, რომელიც სწორეთ ნამდვილ სატუსალოთ გადაქცეულიყო, სადაც ყმაწვილები ვერც აღგებოდნენ თავისუფლათ და ვერც დაჯდებოდნენ. ოღონა მხარულება და ჩქარი მოძრაობა ძალიან დაშლილი იყო. მით უფრო სიამოვნებით მიეგებებოდნენ ახალ სტუმარს, რომელსაც ამ საპყრობილეში თითქოს თან შემოჰქონდა ბუნების სიცხოველე და დიდხნის უნახავი გულითადი მეგობრების სალამი. როდესაც შეჰხედა დიტომ ხალათებიან ყმაწვილებს, ერთი კი სთქვა: «აქ სად შამოვედიო», უცებ გამოტრიალდა უკან და გამოიხურა კარები; ავიდა მალლა კიბეზე და შევიდა ისევ საწავლებელის ზალაში. იმ ღამეს იმას ბევრი არა უკეთებია რა. რამდენჯერ მოინდომა თავის გაკვეთილების სწავლა; მაგრამ ვერ შიოხერხა. წაიკითხა თუ არა ერთს სტრიქონს, მაშინვე შეკრთებოდა, აიღებდა თავს და გაუჩერებდა თვალებს მოკიდებულს სან-

თელსა. ხუთი ექვსი მინუტი გავიდოდა ისე, რომ თვალს აღარ დაათვახურობდა.

კატუნიაშ შენიშნა იმის უამოშტერება, შენიშნა, რომ რალაც საშინელს ჯავრში იყო ჩაღარდნილი იმ საღამოს; თითქოს შეეცოდო, მიუჯდა ახლოს და იმან რომ თვალები სანთელს გაუშტერა, კატუნიაშ თვალწინ წაუქნია ხელი და თვალები დაათვახურობინა. დიტო გამოერკვა ფიქრისაგან და ჯავრიანათ შეხედა კატუნიას. — შენ ეი, რაფა გაშტერებულხარ! ხომ არ გაგიჟდი? — უპასუხა კატუნიაშ. დიტომ თავი ძირს დახარა და თითქოს წიგნს დაუწყო კითხვა; მაგრამ ასობზე უმანკის გონებამალალი სურათი ეხატებოდა, თვალები დიტოსკენ მიეპყრო და თითქოს ეუბნებოდა: «დიტო, შენ უპატიოსნო ხარო.» — ოჰ რა მეძინება — თქვა მწუხარებით დიტომ; მაგრამ ჯერ კიდევ რფა საათიც არ შესრულებულიყო. დაწოლამდის თიქთმის ორი საათი მეტი იყო. დიტოსთვის ეს ორი საათი ორ საუკუნეს შეადგენდა. ამ წამს მხოლოდ იმას

ცხვეწებოდა ღმერთს: «ღამაძინე და ნულა გამაღვიძებო».

მეორე ღღეს ღიტო ყველაზე უფრო გვიან ადგა საწოლიდგან. იმის დალურჯებულს თვალის უბეებზე რომ შეგეხედნა, იტყოდო, ამ ყმაწვილისთვის გუშინ მთელი ღღე გოდრით ნეხვი უზიდვინებიათო. ტანში რალაც დამტვრეული იყო. მისი მიზნედილი თვალები გამოხატავდა საშინელს ზნეობითს ბრძოლას. ის იმ ღღესაც ძალიან გაბნეული იყო. იმას ჩაეჭვდა თავში ერთი აზრი: «მე სულ მარტო ვარ, მე ობოლი ვარ ჩემი უპატროსნობითო.» ეს აზრი თითქოს ხესავით ტვინში ამოუფიდა, რომელზედაც მთელი იმის გონება თითქოს ძაფსავით ზედ შემოხვეოდა, იყო იმის ტოტებში გახლართული, ჩაბუწული და გამოწყობის იმედიც აღარ ჰქონდა კაცს.

მეორე ღღეს ღიტო კლასში ჩავიდა სრულებით გამოჩრეტებული; არც ერთი უროკი არ იცოდა, იჯდა ერთ ალაგას და მესამე უროკამდის აღარ ამდგარა. ამხანაგები გვერდს უვლიდნენ, ხედავ

დენ, რომ ის ძალიან მოწყენილი იყო და არ-
ვიცი, ჯავრი მოხსდიოდათ, თუ ყოველი ამათ-
განი თავის საქმეში — გაკვეთილის გამეორებაში —
იყო გართული, სრულებით ყურადღებას არ აქცევ-
დენ. ყმაწვილი იმდროს წინა სტოლზე ნიკაბ
დაბჯენილი ისე იცქირებოდა, თითქოს გარეშე
მოწაფეების მაგიერათ ბუზები ირეოდენ. მთელი
გარემოება მაშინ ამ ყმაწვილს დავიწყებული
ჰქონდა და მარტო ერთ აზრზე იყო დაკავშირე-
ბული: — «დიტო, შენის უპატიოსნობით შენ ქვე-
ყანაზე მეგობარი არა გყავს».

თორმეტ საათზე შემოალო უმანსკიმ მეექვსე
კლასისკარები და მხიარულათ მიეგება ყმაწვილებს,
და იმათაც გულითადი მადლობის მისაძღვნელათ
დაბლათ დაუკრეს თავი. ამათში მხოლოდ ერთ
ყმაწვილს გააქრქოლა უნებურათ და იმდენათ
გარეწრათ მოიქცა, რომ თითქო თავის დაკრატ
ველარ მოახერხა. უმანსკიმ რომ დაინახა, ძა-
ლიან გაკვირდა: «ეს უწინდელი მხიარული და
ნიადაგ ხითხითა ყმაწვილი ასე რამ გამოცვა-
ლაო. ფერმკრალი, თვლებმიზნედილი და თმა

აქოჩრვილი დიტო უსიამოვნო სურათს წარმოადგენდა. «ნუთუ ამისთანა ცელილება ჩემმა წარსულ უროკში ლაპარაკმა მოახდინაო.» — გაიგლო გულში უმანსკიმ და კიდევ უფრო გამხიარულდა. იმან მაშინვე დახურა კლასის ჟურნალი და ყმავეილებისკენ წამოვიდა. «ყმაწვილებო, ახალი ამბავი უნდა გითხრათ. ამ დღეებში ერთი რჩევა გვქონდა. მესამე კლასის მოწათე ეს ორი კვირა პანსიონიდგან გაიქცა შინ; იმან თან გაიტაცა ორი თავის ნათესავი პირველი კლასის შაგირდები». — ჩვენც ვიციტო — მხიარულათ უპასუხეს ყმაწვილებმა. «ისინი წასულან თავიანთ სოფელში — განაგრძო უმანსკიმ — და იქაც არმიჰკარებიან დედმამას, დამდგარან მახლობლათ კლდის გამოქვაბულებში და სდომებიანთ იქიდგან სოფლის ცარცვით თავის რჩენა. როგორც სჩანს იმ ყმაწვილებს ახალი რომის დაარსება განუზრახავთ.... ჰა, ჰა ჰა» — გაიცინა უმანსკიმ და დიტოს გადმოხედა. ეს უწინდულათვე იყო თავის ფიქრებით მოცული, «მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენი რომულუსი თავის ამხანაგებით,

როგორც კი სოფლათ გამოჩენილან, მაშინვე ხელი უტაცნიათ დედმამას...». არ ჰგვანებიან რომულუსს და რემუსს... არა დიტო? — დიან, დიდი თავადის სისხლი სდგომიათ ტანში — უპასუხა იმან. მარტოობა ვერ აუტანიათ უმოსამსახუროთ. «ჰა, ჰა ჰა, ჰა — გაიცინა უმანსკიმ. — «ყოჩად, დიტო, ეგ კარგათ მოგივიდა». ახლა ეს გაიძვერა რომულუსები თავის დედმამას გამოუგზავნიათ ჩვენთან ამ სიტყვებით: «შვილებს გასაზრდელათ გაბარებთ, თორემ იმათი ტყე-ტყე სიარული რომ გვდომებოდა, თქვენ კი არ მოგაბარებდით, ჩვენ თვითონ გავგზავნიდით თხების სამწყესათო... თქვენმა მზემ კარგათ შემოუთვლიათ... წარმოიდგინეთ!... როგორც კი მწარეთ გაროზგეს ყმაწვილები, მაშინვე ხელმეორეთ გაპარულან. მორჯულება თუ გნებავთ, ასე უნდა. ჰა, ჰა, ჰა. — იცინოდა უმანსკი. მეექვსე კლასის მოწათენი ძალიან მხიარულათ შეიქნენ. დიტოსაც სახე გადაეწმინდა. «უნდა გითხრათ, მე იმ ყმაწვილების საქმე ძალიან მაკვირებს. პატარაობისათ ჩემისთანა გაიძვერა, ეშმაკი ყმა-

წვილი ძნელადლა თუ სადმე მოიძებნებოდა: ურიების პაწაწა შვილები არ გამეცდებოდა, როგორც შევხვდებოდი, მაშინვე კიკინებს და ვაგლეჯდი, საბაგელი შეუბრალებელი ვიყავი. ახლა მე თვითონ მრცხვენია ჩემი თავისა. მაგრამ მაგასთან არც არა მომიქმედებია რა და არც გამიგონია, რომ ჩვენს ღიმნაზიის ყმაწვილებს მოეხდინოსთ, რაც მაგ პაწაწა ტკიპებს ჩაუდენიათ. ეგენი სწორეთ გითხრათ ჩემზე ბევრათ სულგრძელები ყოფილან, მე ვიყავი საზიზლარი მტარვალი, ეგენი კეთილშობილნი გმირნი... მომწონს საზოგადოთ თქვენი ხასიათი, პანსიონიდგან გაქცეულან, შინ მაინც მისულიყონ არა, როგორც ეტყობა, დედმამისა შინებიათ და ვერ მიუბედნიათ შინ. მაგათ რომ კარგი ცხოვრება ჰქონოდათ აქ, ამხანაგებში, ვფიქრობ, არ გაიპარებოდენ. რადგან წინათვე სცოდნიათ, დედ-მამა კარგათ ვერ მიგვიღებს და რომ გავიპაროთ, სად უნდა წავიდეთო, ამიტომაც მეტი რა ღონე ექნებოდათ, შემალულან გამოქცეაბულებში, უნებურათ ჩავარდნილან დიდს გაჭივრებაში. მე ვამტკი-

ცებ, რომ მაგ პატარებს ვერ აუტანიათ ამხანაგებში ცხოვრება და ბოლოს უკანასკნელი ღონისძიება მოუხმარიათ. ეს რომ არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ეგენი არ გაიპარებოდნენ. სწორეთ ან ტოლებს ჰყოლიათ ამოჩემებულნი და ან დიდ ამხანაგებს შეუწუხებიათ. ამისთანა გარემოება ყმაწვილთათვის ყველაზე უფრო ავი და აუტანელია. მე როგორც მახსოვს ჩემი ყმაწვილობა, ბავშვს ბევრი არა უნდა რა. მიეცი თავისუფალი მოძრაობა ჰაერში, კარგს შემაჯცევარს ამხანაგებში ამყოფე და თუნდა ნურას აჭმევ, სცემე კიდევ... თუ კარგი მოყვარული და მზიარული ამხანაგი უშოვნე, ყმაწვილი თითქმის ყოველს გაჭირებას აიტანს და მალე შეეჩვევა თავის ცხოვრებას.

მე ამ მაგალითიდან ვატყობ, რომ პანსიონში არ უნდა იყოს კარგი ამხანაგობა.

— მართალი ბრძანეთ—წამოიწყო კატუნიაძე.
— ჩვენს პანსიონში სრულებით არ იციან ამხანაგობა. ჩვენი კლასისა მარტო დიტო და მე

ვართ პანსიონში; მაგრამ თითქმის სულ ვჩხუბობთ.

«ბარაქალა, კატუნია. მიყვარხარ გულახდილობისათვის; მაგრამ მე ვფიქრობ, დიტო, კარგი ამხანაგი უნდა იყოს». დიტო ამ შენიშვნამ კიდევ უფრო გაამხიარულა. იმან ისევ გამართა თავი, შეხედა თვალებში უმანსკის, გაუღიმა და დამშვიდებით უთხრა:—ერთი ჰკითხეთ, რა წაუხდინა მაგას ჩემმა უამხანაგობამ?

— რა წამიხდინა და, მე ჯერ არ მახსოვს, რომ ერთად გაკვეთილი გვესწავლოს, თუმცა ბევრჯერ შეგხვეწნივარ დახმარებასა.

«ჩემის აზრით ეგ უფრო პატიოსნობით მოსდის დიტოს, ვიდრე უამხანაგობით. შეიძლება ეგ არ იყოს ნაჩვევი ერთად სწავლას. შეიძლება კიდევ უნლოდეს ახსნა, მაგრამ ვერ ახერხებდეს».

— დიახ. მიახანა დიტომ. მე ჩემთვისაც ვერ ამიხსნია უროკი, თორემ მაგას საიდან აეუხსნას მე კიდევ მრცხვენია ჩემი დამტვრეული რუსულისა და იმედიც არა მაქვს, რომ გავაგებინო: ტყულათ დროს დაკარგვის მეშინია.

— «ეგ ნამდვილია. ამასგარდა თქვენს მდგომარეობაში თავის თავათ შრომა სჯობია, ვიდრე ამხანაგის იმედით დარჩენა. თვითონ უნდა დადგე ფეხზე, აი, საქები და სასახელო საქმე ქვეყანაზე! ბედნიერია ის, ვისაც შეუძლიან თქვას: «მე მხოლოდ ჩემი თავის მოვალე ვარო, სხვისი არაფისი. ბედნიერია ის, ვისაც თავისი ღონით გაუკაფავს გზა სწავლაში და შემდეგ ცხოვრებაში. ის ჰგავს ლომის კნუტს, რომელსაც რაკი ძუძუსთვის თავი წაუთმევია, მარტო დადის ტყეებში და დედას აღარ ეკარება.

— არა. მაგას გარდა მაგან ახირებული ღლიცინიც იცეს.—დაატანა კატუნიაშ. ხანდახან ისეთი გული მოუყვანინებია, რომ ასე მიფიქრია, ნეტამც შუაში გამაგლოჯინა-მეთქი.

«ოჰ, როგორი ფიცხი ყოფილხარ. ლომს კიარა, და ვეფხვს მგვანებიხარ». — უთხრა უმანსკიმ. დიტომ ჩაიციანა.

«მაგრამ დიტოსაც უნდა ვკითხო, გაუგონია თუ არა ერთი გლეხის ცოლისა და იმის მეგობრის დათვის არაკი?—თქვა უმანსკიმ.

— დიახ. გავეფგონია, — მიაყვირეს მეექვსე კლასიანებმა: გლექის ცოლი რომ დათეს, თავისი ქმრის მეგობარს, გამოემშვიდობა, ქმარს უთხრა: შენს მეგობარს პირი უყარსო. დათვმა გაიგონა ესა და სთხოვა გლექს, ბეჭებში ცული დამკარო. იმან აუსრულა თხოვნა. წავიდა დათვი მძიმეთ დაჭრილი და ერთი წლის შემდეგ ისევ ეწვია თავის მეგობარს. ჭრილობა აღარ ეტყობოდა. დათვმა გაიხმო გლექი და უთხრა: «შენგან ჭრილობა მომირჩაო და შენმა ცოლმა რომ სეტყით გული დამიკოდა, ის ჯერეც არ გამბთვლებიაო» — მოაგონეს მოწათფებმა.

— დიახ. ეგ არის, — დაატანა უმანსკიმ — ზოგჯერ სიტყვისთანა ცული ქვეყანაზე არა არის რა. რაც უნდა კარგი მეგობარი გყავდეს, შეიძლება წინ დაუხედავ სიტყვით დაჰკარგო. ცული სიტყვით კაცი იცნობს უპატიოსნო კაცს, რომელსაც არა აქვს მეგობრის პატივისცემა, რომელიც შეურაცხყოფს კაცის ღირსებას, — რომელიც ამცირებს იმის სიმაღლეს. სრული კაცი ის არის, ვინც კაცში ჰხედავს ღვთის სურათს და

მხეცური მოქმედებით არ სჩაგრავს იმის სამართალს. ქვეყნის სამართალიც ხომ ამას მოითხოვს.

ამხანაგობა დიდი საქმეა. კაცს თუ სხვის პატივისცემით სინიღისი მაგარი ჰგაქვს, მხოლოდ მაშინ ხარ ღონიერი ამ ქვეყნად. რომ რამე გაგიჭირდეს, ტალახში რომ ჩავარდე, ტყვეთ-რომ წაგიყვანონ, მაშინვე მთელი ჯარი შენგან პატივცემულებისა გამოგედევნება უკან, დაგიხსნიან ყაჩაღებიდგან. ამხანაგობა, ერთმანეთის დახმარება, ძმური შრომა, აი, რამ წასწია წინ კაცობრიობის განათლება. ეს საქმე რომ არ აერჩებოდეს კაცებს ერთმანეთთან, აქამდის არც სოფლები იქნებოდნენ ქვეყანაზე, არც ქალაქები, არც სახელმწიფოები. უამისოთ ყოველი კაცი ტყის ნადირი უნდა ყოფილიყო. და მგელსავით უნდა ეზუვლა ლუკმა პურისთვის... თქვენ ძალიან დიდი დანაშაული შესწამეთ დიტოს. მე ვფიქრობ, დიტოს სულ ხუმრობით მოსდის ხანდახან დაცინვა. — უთხრა კატუნისა უმანსკიმ. — თუ აწ როდისმე გავეხუმრო, მართლაც აგრე იყოს. გულ-ამაყად წარსმოსთქვა დიტომ.

«არა. იხუმრეთ, იცინეთ და მეგობრები იყავით. გაჭირებაში ერთმანეთს შეველიდეთ და-
ლხინში ერთმანეთის პატივისცემა გქონდესთ.
კაცური მოქმედებაც ეს არის და იმედი მაქვს,
ასეც იქნება».

ამ დროს დარეკეს. უმანსკი გავიდა. ყმაწვი-
ლები სიხარულისაგან აღარ იყვნენ. ყველას
უკვირდა უმანსკის მეგობრული მოქმედება.
«ღმერთო დაგელოცა სამართალი! ამ ჩვენს ყრუ
ქვეყანაში, საიდგან გაჩნდა მაგისტანა განათლე-
ბული კაციო» — ამბობდნენ აღტაცებაში მოსუ-
ლი ყმაწვილები. დიტო სრულებით გაცოცხლ-
და. როგორც კი გავიდა გარეთ უმანსკი, ის შე-
ხტა სტოლზე და ხუმრობით დაუყვირა ყმაწვი-
ლებს:

«მშვიდობით წარვიდეთ!...»

გ. — თელო.

(შემდეგი იქნება)



დასავლეთი ევროპის

გონებითი და ეკონომიური მოძრაობა

თვისი მიზნებით

XVI-ტე ხაუგუნკში.

III

ძრიელ ძნელი საქმეა, რომ კაცმა პირდაპირ და შეუცდომლათ საქვას: აი ამ წელიწადილამ იწყობა ევროპელების გამოღვიძება, აი ამ წლილამ ევროპელების ჭკუა-გონებამ დაიწყო მოძრაობა, გარემოებანი ისე მოქმედებენ კაცზე, რომ მხოლოთ ნელნელობით და ცოტცოტაობით ჰბადებენ იმის ტვიში ახალ აზრებს. თვითონ კაცი ისეთი არსებისაა, რომ ერთ ცოცხალ და სასარგებლო აზრის გამოკვლევაზე უნდება კარგა ხანი; ამისთვის რომ, მინამ ამ ახალ და სასარგებლო აზრს გამოიკვლევს, იმან უნდა გამოიკვლივოს სხვა პატარა აზრები, რომლებიც თავისი მიმართუ-

ლებით და თვისებებით კოტათი მაინც უნდა ემგზავსებოდნენ იმ ახალ აზრს და რომლებიცა სიპატარაობისა გამო ხანდისხან შეუნიშნაენი რჩებიან. თუმცა ასე ძნელია ამის ჩვენება, თუ როდის, რა დროდამ ევროპელების ტვინმა შექმნა მოძრაობა იმ დაწყობილობის წინააღმდეგ, რომელიც უძწარებდა მათ ცხოვრებას, მაგრამ მაინც უნდა ვაჩვენოთ, რამდენათაც კი შეიძლება.

საჯვარო ომების გათავება და ევროპელების კვლავ-გონების მოძრაობის დაწყება თითქმის ერთი იყო. რასაკვირველია, როგორც მოხსენებული ომების დროს, ისე წინათაც ევროპელების კვლავ-გონება მოძრაობდა, მაგრამ ისე ნელა და შეუნიშნავად, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. საჯვარო ომების შემდეგ კი შეიქმნა აჩქარებული და ძალიანი მოძრაობა, გაიღვიძა მათში ეკონომიურ აზროვნებაში. საჯვარო ომების წყალობით ევროპელები შეეჩვივნენ აღმოსავლეთის ხალხების მდიდრულს ცხოვრებას და ამ გარემოებამ შეარყია მათი სოციალური დაწყობილება. თავად-აზნა-

ფრობაში მოუმატა ხალხის ფრცქენას, რომ რა არის თავის ახალი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა. დაბალმა ხალხმა თავის მხრით მოუმატა მუშაობას, ფულების შოვნის სახსრების გამოძებნას, რომ რა არის თავისი გამფრცქენელებისთვის პასუხი გაეცა და ამასთანავე კიდევ ეცხოვრა ისე, როგორც მოითხოვდა ახალი დრო. მაგრამ, რაც უნდა ფულის შოვნის სახსრები გამოეგონა, განა შეეძლო მას დაეკმაყოფილებინა თავისი გაუმაძლარი მებატონეები და პაპა თვისი ეპისკოპოზებით, კარდინალებით, მღვდლები და სხვა სასულიერო პირები, — და ამასთანავე ეცხოვრა იმ გემოზე, რა ცხოვრების გემოც გაფრცელდა მაშინ ევროპაში საჯვარო ომების წყალობით? არ შეეძლო და ვერც შეიძლო. ამიტომაც იმან დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რა კარგად წავიდოდა იმის საქმე, რომ ბევრი გამგლეჯი არა ყოლოდა. ამ გვარ ფიქრებში აფარჯიშებდა დაბალი ხალხი თავის ჭკუაგონებას, როდესაც საჯვარო ომების წყალობით ძრიელ წამოიწივეს ვაჭრებმა და ხელოსნებ-

მა. იმ ჩაცმა-დახურვას და სმა-ჭამას, რომლებსაც გამოუდგნენ ევროპელები, არ შეიძლებოდა არ მოყოლოდა ვაჭრობის გაძლიერება. ვისაც კი ცოტა რამ ეშმაკობა და ფულები უჭყავოდა, მაშინვე დუქანს აღებდა და ენერგიულად მისდევდა ვაჭრობას. აგრეთვე ეინც კი რამ იცოდა, ვისაც კი რისხამე ვაკეთება შეეძლო, აკეთებდა და ჰყიდდა; გაუყიდავი არაფის არაფერი დარჩებოდა. ეს გარემოება ძრიელ უნდა დახმარებოდა ქალაქის მცხოვრებლების გამდიდრებას და კიდევაც დაეხმარა. საჯვარო ომების შემდეგ დიდი ხანი არ გამოსულა, რომ ბევრი ვაჭარი ისე გამდიდრდა ფულებით, რომ დაიწყოდნენ დედულ-მამულის შეძინება სხვა და სხვა სახსრებით, და ამნაირათ ძლიერების ხელში ჩაგდება. წინეთ ძლიერება მარტო თავად-აზნაურობის და სასულიერო პირების ხელში იყო, ამისთვის რომ მატრო ამათ ჰქონდათ სიმდიდრე და ცოდნა. ეხლა კი ცოტაოდენი ცოდნა და სიმდიდრე ვაჭრების ხელში გადავიდა და ამისთვის თავად-აზნაურობა და ჰაპა ცოტათი მოა-

კლდნენ იმ ძლიერებას, რომლითაც აგრე დიდი გული ჰქონდათ კარგა ხანს.

აი ასე ვაჭრებისა ჯვარო ომების შემდეგ ჩაეარდნენ ფულების შოვნაში; მაგრამ ამითი კი არ გაპურადებულან, როგორც ბევრს შოულობდნენ, ისე ბევრიც უნდებოდათ ახალ მოღურ ჩაცმა-დახურვაზე; ამისათვის იმათ ფულების გაღება ძრიელ უჭირდებოდათ და არაფრათ არ ეპიტნავენდნენ ის პირები, რომლებიც იმათ ფულებსა სთხოვდნენ. ეს ესეც უნდა ყოფილიყო უჩინდელ დროში იმათი ქალები და რძლები ფეხშიშველებიც რომ გამოსულიყვნენ, არაფინ არ დასძრახამდა; ეხლა კი, როდესაც დიდი და პატარა იმას ცდილობდა, რომ რიგიანათ გამოსულიყო არამც თუ დასძრახამდნენ, გინებასაც კი დაუწყებდნენ. როდესაც რომელიმე მუშა ხალხში იღვიძებს ლტოლვა იმგვარ ცხოვრებისადმი, როგორსაც მოითხოვს ახალი დროება, მაშინ ის იწყებს იმის გამოკვლევას, თუ რაზე და რაზე ეხარჯება ფულები, თუ რა მიზეზია, რომ ის წელებზე ფეხს იღვამს, მაგრამ მაინც

უჭირდება ცხოვრება. ასე მოუვიდათ ევროპელ
 დაბალ ხალხს და ეაჭრებს. რაკი იმათ დაიწყეს
 ისე ცხოვრება, როგორც მოითხოვდა ახალი
 დრო, მაშინვე შეუდგნენ ისინი ინსტრუქტურათ
 იმის გამორკვევას, თუ რაში ეხარჯებათ ფულე-
 ბი; რის გულისათვის თავად-აზნაურობა და სა-
 სულიერო პირები ართმევენ ამოდენა ფულებს;
 არ შეიძლება, რომ სასულიერო პირებს იმო-
 დენი ფულები არ მიეცეთ, რამდენსაც გვართმევენ?
 ამგვარი აზრების დაბადვა ევროპელების თავში
 ეკონომიური აზროვნობის გახსნის წყალო-
 ბით და ცუდი აზრის შედგენა თავად-აზნა-
 ურობაზე და სასულიერო პირებზე თითქმის ერთ-
 დროს მოხდა. აი რას ეუბნება იოანე საღის-
 ბერი აღრიან მეოთხეს, როდესაც ეს ჰკითხა მს
 იმას: «რას ლაპარაკობს ქვეყანა პაპაზე და გავ-
 ლესიაზე?» მე თქვენ დაუმაღაეთ გეტყვით უფ-
 ლაფერს, რაც კი გამიგონია მრავალ ადგილს.
 ამბობენ, რომ რომის ეკლესია სხვა ეკლესიებს
 ისე კი არ ექცევა, როგორც დედაო; ისე ექ-
 ცევა, როგორც დედის-ნაცვალიო; რომ რომის

ეკლესია ლოდისავებ ადევთ ქრისტიანებს გულ-
 ზედაო. ყველგან ჩივიან და არიან ერთ ყოფაში,
 რომ ეკლესიები მიფუშულ-მოფუშულები არი-
 ანო, პაპები კი სასახლებს აკეთებენ და ფართი-
 ფურთით ცხოვრობენო, (ნახე *Всемирную Историю*
Шлессера, т. VII, стр. 324).

აი ამ გვარი ცვლილება მოხდინა ევროპელე-
 ბის ჭკუა-გონებაში საჯვარო ომებმა, — აი ამ
 გვარი აზრები დაიბადა ევროპელების თავში სა-
 ჯვარო ომების წყალობით; მაგრამ ამით კიდევ
 საქმე არ გათავებულა. საჯვარო ომებმა სხვა-
 ნაირათაც იმოქმედა ევროპელებზე. მანამ ეს
 ომები დაიწყობოდა, ევროპელებს ბნელი წარ-
 მოღვენა ჰქონდათ იმაზედ, რომ იმათში დიდა
 განსხვავება იყო, რომ ყველა ისინი არ შეადგე-
 ნენ ერთ ხალხს. ნემცებს, თითქო ბურანში
 არიანო, იმ ნაირათ ეგონათ, რომ ინგლისელე-
 ბი სხვა ხალხს შეადგენენ; აგრეთვე ფრანცუ-
 ზები ფიქრობდნენ, რომ ევროპის თითქმის ყვე-
 ლა ხალხი ფრანცუზულ ენაზე ლაპარაკობდა
 და უკვირდა, როდესაც მცოდნე კაცებისაგან
 ესმოდა, რომ თითქმის ყოველს ევროპელ-სა-
 ხელმწიფოში მცხოვრებ ხალხს აქვს თავი-
 ი საკუთარი ენა და მისდევს თავის საკუთარს

ჩვეულებებს. რაკი საჯვარო ომები დაიწყო, მაშინ ევროპელებმა სრულებით შეიცვალეს აზრი ერთი ერთმანეთზე. ამათ მცირე აზიაში კარგად გაიცნეს ერთი ერთმანეთი; ნემცებმა ნათლათ დაინახეს, რომ ინგლისელებსა და ნემცებს შორის დიდი განსხვავებაა; რომ ნემცები სრულებით სხვა ენაზე ლაპარაკობენ და სხვა ჩვეულებას მისდევენ. აგრეთვე ფრანკუზებმა კარგათ გაიგეს თავიანთი შეცთომილი აზრი ევროპის ხალხებზედ. ერთი სიტყვით ევროპელებმა მცირე აზიაში გაიგეს, რომ ისინი არ შეადგენენ ერთ ხალხს, რომ ისინი სრულებით განირჩევიან როგორც ენით, ისე ჩვეულებით და ამისათვის არ შეიძლება, რომ ყველანი ისინი ერთი კაცის ხელში იყვნენ. რაც უნდა ჰქონოდა ამ გვარ გარემოებას თავის შედეგათ, ეს ყველასთვის ცხადია. თავისუფალი ცხოვრება, ბუნებითს ენაზე ლაპარაკი, ყველა ეს აი ეხლა დააფასეს ევროპის ხალხებმა; ყველა მათგანმა დაიწყო ლტოლვილება მისდამი, რომ იცხოვროს თავისუფლათ და არაფიზედ არ იყვეს დაძოვილებული. ყველა მათგანმა მოინდომა თავის

ვასი ბუნებითი ენის თავისუფლება, მოინდომა, რომ თავის ენაზე ჰქონოდა საღმრთო წერილი. რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა დროს ლათინურ ენას ლიდა უნდა წახდენოდა და კიდევაც წაუხდა. ამ ენას ხალხმა დაუწყო საძაგლად ცქერა. ყველა გრძნობდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ლათინურ ენას თავს დაანებებდნენ და წირვა-ლოცვას ხალხის ენაზედ დაიწყებდნენ. ერთის სიტყვით ევროპელებში გაიღვიძა ლტოლვილებამ ნაციონალურ თავისუფლებისადმი და ამას დიდი განვლენა ჰქონდა მათ ჰკუა-გონების გახსნაზე. ყველა ამას ისიც დაუმატეთ, რომ საჯვარო ომების გამო ორი საუკუნე ევროპელები დადიონენ საბერძნეთზე და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპელებისათვის. ამათ, საბერძნეთზე გავლის და უამოვლის დროს, გაიცნეს ბერძნები და მათი ლიტერატურა. ნათლათ დაინახეს, რომ წირვა-ლოცვა აქ ხალხის ენაზე იყო და არა ლათინურ ენაზე, როგორც მთელ დასავლეთ ევროპაში. რასაკვირველია, რომ წინეთ არაფერი სცო-

დნოლათ ბერძნებზე, მაშინ ისინი სწვანაირათ შეხედამდნენ ბერძნებს და იმ ალტაყებაში არ მოვიდოდნენ, რა ალტაყებაშიაც მოვიდნენ, როდესაც დაუახლოვდნენ ამათ ცივილიზაციას. მაგრამ ბევრმა იმათგანმა იცოდა არაბებისაგან, თუ ვინ იყო პლატონი და არისტოტელი; რაში მდგომარეობდა მათი სწავლა; ერთი სიტყვით მინამ ევროპელები დაიწყობდნენ საბერძნეთზე მოგზაურობას, რომ რა არი გადასულიყვნენ მცირე აზიაში, ბევრმა მათგანმა იცოდა ბერძნების ცივილიზაციის გემოვნება არაბების შემწობით. ვინ არ იცის, რომ პირველათ არაბებმა გააცნეს ევროპელები ბერძნების განათლებას, რომ პირველათ არაბებმა მოსდეს ევროპაში ბერძნებისაგან შეძენილი ცოდნა და ამით თავიანთ მხრით დაეხმარნენ ევროპელებს იმ საქმეში, რომ ამათ გაეგოთ თავიანთი საძაგელი მდგომარეობა და შესდგომოდნენ ამ მდგომარეობიდან გამოსვლას.

ცხადია, რომ ეკონომიურ მოსაზრებას, ლტოლვილებს ნაციონალური თავისუფლებისადმი

იმის შესწავლას, რომ ბერძნებსთავიანთ ენაზე აქეთ წირვა-ლოცვა, ყველა ამას და ამგვარ გარემოებებს, რომლებიც კი შეადგენდნენ საჯვარო ომების შემდეგს, უნდა აეფასებინა ხალხი სასულიერო პირებზე და თავად-აზნაურობაზე და კიდევაც ააფასა. მაგრამ ხალხს კიდევ ისე ღრმად ჭკონდა დაჩნეული მათი უწინდელი პატივისცემის წაფესურები, რომ ჯერ კიდევ უჭირდებოდა, აღარ დამორჩილებიყო პაპს და თავად-აზნაურობას. შოლოდ ზოგიერთმა სწავლია ამა დამაბრკოლებელ გარემოებას და საქვეყნოთ გამოსთქვა მაღალი სიტყვა პაპისა და თავად-აზნაურობის წინააღმდეგ — უმეტესად პაპის წინააღმდეგ, რადგანაც მაშინ ეს უფრო უმწარებდა ხალხს ცხოვრებას. ამით დაიწყეს ქაღაგება, რომ პაპს არ შეეფროს, რასაც ის სჩადის, რომ ის ტყუილათ ითვისებს უმთავრესობას და ბრძანებლობას ამ ქვეყნის ყველა მეფეებზე და ითხოვდა, რომ წირვა-ლოცვა ხალხის ენაზე ყოფილიყო. ეს ზოგიერთები იყვნენ ალბიელები (Альбигойцы). ესენი ბინადრობდნენ სამხრეთს ფრანციაში — პროვანსსა

და ლანგედოკში. ამ ორივე ადგილში სასულიერო წოდება ძრიელ აწუხებდა ხალხს; მაგრამ არც თავად-აზნაურობა აკლებდა ხელსა. წარმოიდგინეთ, რომა, როდესაც სასულიერო წოდება და თავად-აზნაურობა ასე ექცეოდა ხალხს, იმდროს აქ, საჯვარო ომების წყალობითა და არაბებისა და იტალიელების გავლენით, ვაჭრობა ხელოვნობა და გონებითი გახსნა ძრიელ ვრცელდებოდა, ასე რომ ამ საქმეში პროვანსსა და ლანგედოკს თითქმის ადგილი არა სჯობდა ფრანკიაში. ნათლად სჩანს, თუ რა გაცხარებით უნდა ემოქმედათ ალბიელებს თავისუფლების საშოვნელათ, მაგრამ რაც უნდა თავგანწირულათ ემოქმედნათ მათ, ვანა შეიძლებოდა, რომ მაშინ კაცს ეშოვნა თავისუფლება? არ შეიძლებოდა. ყველა ევროპელებს ჯერეთ კიდევ არ ჰქონდათ გამორკვეული ის აზრი, რომ შეიძლება თავად-აზნაურობა და პაპა მოისხლიტონ თავიდგან; ისინი ამ აზრის გამორკვევაზე მხოლოდ ეხლა მუშაობდნენ. ამისათვის, როდესაც ალბიელებმა პაპის წინააღმდეგ ხმა აღამაღლეს,

ფეროპელები გააკვირდნენ და ზაპის ინოკენტი III-ის ბრძანებით გასწიეს პროვანსის და ლანგედოკისაკენ (1208 წ.). კაცობრიობის კეთილდღეობის მტერს დაადგეს ის საქმე, რაც მაშინ ალბიელებს საქმე დააყენეს. ოცს წელიწადს გაგრძელდა ომი და ამ ოცი წლის განმავლობაში თითქმის სულ ამოკლიტეს ისინი და დედა-მიწასთან გაასწორეს მათი მამულები. თუმცა ეს ასე იყო, — თუმცა ხალხის კეთილდღეობის მოსურნეთაგან დაუფიწყარი ალბიელები გააქრეს დედა-მიწის ზურგიდამ, მაგრამ არც გაუქვრიათ და ვერც გააქრობდნენ იმ აზრებს, რომლებსაც დღეს თუ ხვალ კაცობრიობის ცხოვრებაში უნდა დარჩენოდათ ბურთი და მეიდანო, რომლებსაც ევროპელებისათვის უნდა მოეშორებინათ თავიღამ საძველი გარემოებანი! რა გარემოება დაეხმარა ამ აზრების გაძლიერებას ევროპელებში? რა იყო მიზეზი, რომ საჯვარო ომების რამდენიმე წლის შემდეგ უფრო მსწრაფლათ დაიწყეს მსგავსლობა ევროპელების ქკუა-გონებაში იმ აზრებში, რომლებმაც მაღალი სიტყვა გამოათქმევინეს

ალბიელებს? ეს იყო ბერძნების განათლების მო-
ფენა მათელ დასავლეთ ევროპაში.

IV

საბერძნეთის დაცემა უებარ წამლათ გაუხდა დასავლეთ ევროპას. წინეთ, მიწაში თურქები და-
უწყობდნენ შევიწროებას და ბოლოს დროს ხელშიაც დაიჭერდნენ საბერძნეთს—განათლე-
ბის ბურჯს ბერძნებს არა ჰქონიათ ჩვეულებათ,
რომ სამშობლოსათვის თავი დაწებებინათ და
წასულიყვნენ დასავლეთის ევროპის რომელიმე
ქალაქში. მაშინდელ დროს ძველი საპოენელი
იყო წასწავლი ბერძენი ევროპის რომელიმე
სამხელოში. მაგრამ, რა კი თურქებმა დაიწყეს
დღობილეობა, რომ დაეჭირათ საბერძნეთი,
წასწავლმა კაცებმა არჩივეს სამშობლოსათვის
თავის დაწებება და გადასახლება უცხო ქვე-
ყნებში. ამათი გადასახლება დასავლეთ ევრო-
პაში უფრო განძრიელდა მაშინ, როდესაც ზო-
გიერთმა დაწინაურებულმა კაცებმა, საჯვარო

ომების შედეგების წყალობით, დაიწყეს ბერძნების ლიტერატურის შესწავლა და დამტკიცება, თურთოგორ მაღალი ღირსებისაა ეს ლიტერატურა. ამ გონებით დაწინაურებულ კაცებში პირველი ადგილი ეჭირათ დაწეს, მოკაჩიოს და პეტრარკას. ამათ თავიანთი თხუზულებებით დაღათ შეაყვარეს ევროპელებს—უფრო იტალიელებს—ძველი ბერძნების და რომაელების განათლება და ამით ძრიელ დაეხმარნენ იმას, რომამეთოთხმეტე, მეხუთმეტე და მეთექვსმეტე საკუნეებში იტალიას პირველი ადგილი ეჭირა დასაყვარეთი ევროპის თვალში. როდესაც სხვა და სხვა გარემოებებით რომელიმე ხალხის ჰკუა-გონება მოძრაობას დაიწყებს, მაშინ ამ ხალხში იბადება ორნაირი საზოგადოება: მომთქრებელი—გონებით მოქმედი საზოგადოება და მოუთქრებელი—გონებით არა-მოქმედი საზოგადოება: მომთქრებელი საზოგადოება მწიგნობრობის შემწეობით იძენს და იკვლევს სხვა-და-სხვა აზრებს თავის მდგომარეობის შესახებ. ეს საზოგადოება აძლევს სიცოცხლეს მოუთქრებელ საზოგადო-

ებას; უჩვენებს გზას, უადვილებს ცხოვრების გამოცვლას. მომთქრებელი საზოგადოება თვითონ არ იკვლევს აზრებს, — თვითონ არ ადგენს სხვა-და-სხვა აზრებს იმაზე, თუ რა ნაირათ უნდა გამოიკვალოს ცხოვრება, — რა უფრო უღებს ამას ბოლოს; ის მხოლოდ გრძნობს თავის ტანჯვას და დიდოს სიამოვნებით ყურს უგდებს, როდესაც ეუბნებიან, თუ როგორ უნდა გამოიკვალოს ცხოვრება. მომთქრებელი საზოგადოება წინაპირველათ ყოველთვის პატარა და მერე რამდენიც ხანი გადის იმდენი ცოტა-ცოტათი მატულობს. ჩვენ არა ვხედავთ აქ საჭიროთ, რომ აეხსნათ, თუ რა მიზეზით იბადება ამნაირი საზოგადოება იმ ხალხში, რომელიც სხვა-და-სხვა გარემოების დახმარებით იწყებს გამოსვლას თავის საძაგელთ მდგომარეობიდან, რადგანაც ეს აუხსნელათაც ყველასათვის უხადია. მხოლოდ ჩვენ ამას ვიტყვით აქ, რომ დანტე, ბოკაჩიო და პეტრარკა ეკუთნოდნენ იტალიელების მომთქრებელ საზოგადოებას. ამ სამმა კაცმა დიდი საქმე უყო ევროპელებს. ამათ აჩვენეს სასაცი-

ლოთ პაპის ზოგიერთი სწავლა და ამით დაანახვეს ხალხს, თუ რაც შეიძლია იყო პაპა. დანტეს თხზულება «Divina Comedia» ნათლათ აჩვენებს კაცს ყველა იმ უმგზავსობას, რაც მაშინ ქრისტიანობითს სწავლაში სუფევდა პაპის და ბერების წყალობით. აი რას ამბობს უ. შლოსერი დანტეზე თავის საზოგადო ისტორიაში: დანტე თავის თხზულებაში «Divina Comedia» როგორც ლიუტერი სწორეთ ისე სდევნის და აძაგებს იმ ქრისტიანობითს სწავლას, რომელსაც ჰქადაგებდნენ მაშინ პაპა და ბერები (81. 238 სტ.) ჩვენა ვთქვით ზემოთ, თუ როგორ ზოგიერთმა ევროპელებმა, როგორც მაგალ. დანტემ, ბოკაჩიომ, და პეტრარკამ დაიწყეს ბერძნების ლიტერატურის შესწავლა და ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ მაღალი ღირსებისაა ეს ლიტერატურა და ამით უფრო გააძლიერეს ბერძნული ლიტერატურის შესწავლის სურვილი ევროპელებში. თუ ეს ასე იყო, ცხადია, რომ ბერძნების ლიტერატურის მასწავლებლები დიდათ საქირანი უნდა ყოფილიყვნენ და კიდევაც იყვნენ. ვართლამა

ლეონტიმ და დომიტრი აესალონიკელმა რაზდენი ევროპელი ყმაწვილი კაცი გააცნეს საბერძნეთის ლიტერატურის საუნჯეს და ამით შეიქნენ უკვლავნი კაცობრიობის მენსიერებაში. ამ ბერძნებს გარდა, — შინამ საბერძნეთი სრულგბით დაეცმოდა — მოვიდნენ იტალიაში სხვა ბერძნებიც. იმათში პირველი ადგილი ეჭირათ ემმანუილ ხრისოლოროსს, კარდინალ ბესარიონს, იანნე არგიროპულოს და თევდორე გაზას. ამ ბერძნების დახმარებით იტალიის მთელმა მომთქრებელმა საზოგადოებამ შეიყვარა და შეისწავლა საბერძნეთის ლიტერატურა. უმეტესად ემმანუილ ხრისოლოროსი სიტყვით და საქმით ეხმარებოდა იტალიელებს, რომ შეეყვარებინათ და შეესწავლათ ბერძნების ჭკუა-გონების ძველი წარმოები. თუ რა გაელენა ჰქონდა ამ ბერძენს იტალიის მომთქრებელ საზოგადოებაზე, ეს ცხადათა სჩანს უ. შლოსსერის შემდეგი სიტყვებიდან: ემმანუილ ხრისოლოროსის შაგირდები იყვნენ თითქმის ყველა გამოჩენილი იტალიელები, რომლებმაც, — ჯერეთ საბერძნეთი არ იყო აღე-

ბული თურქებისაგან, — რომ თავი ასახელეს ძველი რომის არისტოკრატიის ენის და ჩეულებს შემოტანით თავიანთ მამულში»

. მაშინდელ დროს ყველა იტალიელი, ყველა გამოჩენილი კაცი სამეფოში ვალდებული იყო, რომ სცოდნოდა ძველი ბერძნები და შესძლებოდა წერა ძველ ლათინურ ენაზე. ემანუილ ხრისოლოროსს და ამის შაგირდების გარეშემო გროვდებოდნენ ყველანი, ვინც კი ეძებდა განათლებას, რომლის მიღება ამ კაცების საზოგადოებაში უფრო ადვილი იყო, მინამ უკოლებში. თუ კი ჯერ არ დაეჭირათ თურქებს საბერძნეთი და აქედამ ჯგუფ-ჯგუფათ მიდიოდნენ სწავლული ბერძნები დასავლეთ ევროპაში, რასაკვირველია, როცა დაიჭირეს, მაშინ უფრო უნდა წასულიყვნენ და კიდევაც წავიდნენ. საბერძნეთის დაჭერა თურქებისაგან და აქედამ სწავლული ბერძნების გახვეტა ერთი იყო. ვინაშე კი პატარა გონებითი ძალა მოსდევდა, დასავლეთის ევროპისაკენ მიიწევდა, რომ რა არის იქ თავის გონებითი შრომით საცხოვრებელი

ლუკმა ეშოენა. მასწავლებლებზე რაღა ლაპარაკი უნდა, არც ერთი მათგანი აღარ დარჩენილა თავის სამშობლოში; ყველანი თავიანთი წიგნებით გადასახლდნენ დასავლეთს ევროპაში.

საშუალო საუკუნეებში იტალიას არც ერთი ევროპის სამეფო არა სჯობდა სიმდიდრით. განათლებითაც ეს მალლა იდგა ყველა სამეფოზე. აი ეს იყო მიზეზი, რომ ბერძნებმა პირველათ აქ იშოენეს თავის შესაფარებელი ადგილი, რომ პირველათ აქ დაიწყეს ბერძნების ლიტერატურის შესწავლა, — რომ პირველათ აქ დააკეთეს ბერძნული წიგნების ბიბლიოთეკები. ჯერეთ ესეც არ იყო, რომ იტალია მაშინდელ ყველა სამეფოებს სჯობდა; ეხლა სუ დაეჯობინა. მთელი ევროპა მოწიწებით უცქეროდა იტალიას და აქედამ იწერდნენ ბერძნების ლიტერატურის მასწავლებლებს. ბერძნების ლიტერატურის შესწავლაში იტალია მთელ ევროპას ტონს აძლევდა. თუმცა უსარგებლო არ იქნება, რომ ვაჩვენოთ, თუ რა გააკეთეს — რა შესძინეს ზოგიერთმა გამოჩენილმა იტალიელმა მეცნიერებამ

რომაელების და ბერძნების ძველი ლიტერატურის შესწავლით; მაგრამ ვერ ვაჩვენებთ კი, რადგანაც იმის ჩვენება მოითხოვს დიდი სტატიის დაწერას, რომლის მოთავსება ჟურნალში — ანუ გაზეთში ძნელი საქმეა. ჩვენ აქ ვაჩვენებთ მხოლოდ იმას, თუ იტალიელების უმეტესმა ნაწილმა ბერძნების ლიტერატურის რომელ ნაწილს უფრო ჩაშკიდა ხელი და რა მიმართულებას უფრო გამოუდგა.

წარმოიდგინეთ იტალიის მთა და ბარი, მშვენიერი ხეობები, სხვა და სხვა ხილით შემკობილი ბაღები, ლიმონების და აპელსინის ბაზრები. აქ ბუნება კაცს დაჰხარის, კაცი — ბუნებას. ცხადია, თუ რა ხასიათისანი უნდა იყვნენ ამი გვარი მხარის მცხოვრებნი. სიმხიარულე, სითამამე, სიმარდე, დაუდგრომელობა, ხუმრობის მოყვარეობა — აი ეს თვისებანი უნდა ჰქონდეს ამის მცხოვრებლებს და კიდევაც აქვთ იტალიელებს. ვინ არ იცის, რომ იმათ ვერაფერ დაეღარება სიმხიარულეში, სიმარდეში, ხუმრობაში და სხვა ამ გვარ თვისებებში. თუ ეს ასეა, რა

ლა კითხვა უნდა, რომ იტალიელებს ბერძნების ლიტერატურის უფრო ის ნაწილი მოეწონებოდა, რომელიც უფრო ხედება გულს, მინამ გონებას. ეს ასეც მოხდა. იტალიელები გამოუდგნენ პოეტური თხზულებების კითხვას და ბევრი ხანი არ გამოსულა, რომ მოინდომეს თვითონაც გაეჩინათ კამედია, ტრაგედია, ეპოსი, აგრეთვე სატირა და იდილია—ერთის სიტყვით რაც კი რამ ჰქონდათ ძველ ბერძნებს პოეტური თხზულებების შესახებ, ყველა ეს გაეჩინათ თვითონაც. უნდა შევნიშნოთ აქ, რომ ფილოსოფიურ წიგნებსაც კითხულობდენ, რასაკვირველია ისე არა, როგორც პოეტურ თხზულებებს. ფილოსოფიურ თხზულებებიდან იმათ გამოიტანეს იქვეყნული შეხედულობა ქრისტიანობაზე. მამაწმინდანების თხზულებებს და საღმრთო წერილის ნამდვილი აზრის გამორკვევას ამათ ყურიც არ ათხოვეს. რა უნდა ჰქონოდა თავის შედეგათ ამგვარ მოვლინებას? რასაკვირველია, გემოვნების წახდენა და ურწმუნოება. მაშინდელ პოეტურ თხზულებებში

ყველა შენიშნავს, რომ იტალიელებს დიდი მნიშვნელობა უძლევიათ თხზულების გარეგან მხარისათვის და უყურადღებოთ უშვიათ შინაგანი მხარე. რაც შეეხება ურწმუნოებას, ამას ხომ არა ფარამდნენ იტალიელები არც ლაპარაკში და არც წერაში. საკურველი ის არის, რომ თვითონ სასულიერო პირები სასაცილოდ იგდებდნენ საღმრთო საგნებს. აი რას ამბობს უ. შლოსსერი მაშინდელ დროზე: «მაშინ ისეთი დრო იყო, რომ პაპის ლეონ მეათის სტოლზე ზედიზედ გადადიოდა და ცინვა საღმრთო საგნებზედ.»—თუ ვისმე სურდა, რომ ქვეყნის სამსახარო არ გამხდარიყო, უნდა ნამდვილის დაცნებით ელაპარაკნა წირვა-ლოცვაზე, ზიარებაზე, ქრისტიანობაზე და სხვა საღმრთო მოქმედებაზე. თვითონ სასულიერო პირები წირვის დროს იცინოდნენ და უცქეროდნენ საღმრთო მოქმედებას ისე, როგორც კამედიას. სადღა იყო ის სარწმუნოება, რომლითაც აგრე გულს ცეცხლი ეკიდებოდათ მამაშინდანებს? სად იყო ის ხატონობა, რომლითაც შემკობილნი იყვნენ

უწინდელი ქრისტიანენი? პაპა თაჲის კარდინა-
ლებით, ეპისკოპოზებით და სხვა სასულიერო
პირებით ისე ცხოვრებდნენ, როგორც ცხოვ-
რებდნენ უწინდელ დროში რომის იმპერიის
დიდკაცები.

აი ამ ნაირად, ბერძნების ძველი ლიტერატუ-
რის შესწავლამ შეიტანა იტალიელების ცხოვრე-
ბაში ურწმუნოება იმ დროს, როდესაც ესენი
საჯგვარო ომების წყალობით ფიქრობდნენ
იმაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ,
რომ ეცხოვრათ ისე, როგორც მოითხოვდა ახა-
ლი დროება,—თუ რა უნდა ექნათ, რომ პაპი-
სათვის და თაჲად-აზნაურობისათვის იმდენი არ
ეძლივით ხარჯი, რამდენსაც ართმევდნენ. თვი-
თონ პაპები ხელს უწყობდნენ ბერძნების ლი-
ტერატურის გავრცელებას იტალიაში და ის კი
არ იცოდნენ, რომ იმით უთხრიდნენ სამარეს
თაჲიანთ საძაგელ მოქმედებებს; თვითონ სა-
სულიერო პირები სასაცილოთ იგდებდნენ სა-
ღმრთო მოქმედებათა და ის კი არ იცოდნენ,
რომ ამით ისინი აძლევდნენ ხალხს საშუალებ-

ბას, რომ გაებედნა მაღალი სიტყვა მათზე, რომ
 მისულიყო იმ აზრზე, რომ პაპა და თავად-აზ-
 ნაურობა დაუწესებია თვითან კაცს და არა
 ღმერთს. იმ დროს, როდესაც იტალიაში ხალ-
 ხი იმას ფიქრობდა, თუ რა უნდა ექნა, რომ
 პაპისათვის და თავად-აზნაურობისათვის არ ეძ-
 ლივა ის ხარჯი, რასაც ართმევდნენ აქამდის
 და როდესაც ურწმუნოების ტალღები უღელ-
 ევბდა მას გონებას, სწორეთ იმ დროს იფექთა
 ფრანციაში ხალხის მოძრაობამ. ეტიენ მარსელი
 — მოქალაქეების წარმომადგენელი შიგ კრი-
 ჭაში ჩაუდგა ცხრამეტის წლის კარლეს, რომ-
 ლის მამა იოანე კეთილი (Иоаннъ добрый) ტყვეთ
 იჯდა ლონდონში. როდესაც ჩრდილოეთ და
 სამხრეთ ფრანციაში გლახკაცობამ დაუწყო ჟლ-
 ტა თავად-აზნაურობას (1358), მაშინ მარსელმა
 მიიღო გლახების მხარე და მიაშველა მათ რამ-
 დენიმე კაცი. ამან პარიჟიც კარგა გაამაგრა და
 ცოტა ხანს არ ებრძოლა პატარა კარლეს. მაგ-
 რამ მოღალატობამ დალუპა ეს ფრანცუზებისა-
 გან დაუვიწყარი კაცი. ხმა გაუგდეს, ვითომ

მარსელს ჰქონდეს მეგობრობა ნაევარის კო-
როლთან — კარლე ბოროტთან (Карль Влош)
იმ აზრით, რომ იმის შემწეობით სდომოდეს
ფრანციის ჩაგდება ინგლისელების ხელში, და
ამ ხმით გააბრიყვეს ჟან. მალიერი, რომ მოეკ-
ლა ეს ხალხის სარგებლობის დამცველი კაცი.
მარსელის მოკვლა და გლახკაცობის და მოქა-
ლაქეების გაჩუმება ერთი იყო. მაგრამ დიდი ხა-
ნი არ გამოსულა, რომ ხელ-მეორეთ იფეთ-
ქა ფრანციაში ხალხის მოძრაობამ. პარიჟში
რუჟანში, ამიენში და სხვა ფრანციის ქალაქებ-
ში საქმე იქამდინ მივიდა, რომ ხალხმა გა-
მოიღო ხელი, რომ რა არის თავიდან მოე-
შორებინა თავად-აზნაურობა, . . . და სა-
სულიერო პირები. როდესაც ლიუდოვიკ ან-
ჟუელმა მოიგონა პირველი ხარჯი და უნდო-
და ძალით წაერთმია ხალხისათვის, ხალხმა
თავი გამოიღო და შეუდგა თავისუფლების
შოვნას. მალე მტერი ხალხის კეთილის მსურ-
ველს მოუკვდეს, მალე ხალხმა ხელში დაიჭირა
ზოგიერთი ქალაქები; მაგრამ რას იქმოდა საწყა-

ლი, როდესაც რამდენიმე ხანის შემდეგ ლიუდოვიკმა შეაგროვა იარაღის ხმარებაში კარგათ გამოცდილი თავად-აზნაურობა და დაეცა ჯერეთ რუანს და მერე პარიჟს (1382 წ.). ამით კიდევ საქმე არ გათავებულა. 1382 წ. ფლანდრიაშიც იყო ხალხის მოძრაობა. როდესაც აქ ახალგაზდა კოროლმა კარლე მეექვსემ და ფრანციის თავად-აზნაურობამ მოაკლეს სიცოცხლეს ხალხისაგან დაუვიწყარი დე-არტეველი და ოცი ათასი კაცი, — გამოსწიეს პარიჟის და რუანისაკენ; ამათ მცხოვრებლებს მოუგონეს, ვითომ ესენი ცდილობენ, ხელ მეორეთ ასდგომოდნენ თავიანთ მთაფრობას, — და დაუწყეს სრესა, რამდენი ახალგაზდა კაცი დაიღუპა ამ ომში! რამდენი ჯველი ბიჭი მოაკლდა ამ წუთი სოფელს! დაუმატეთ ამას ისიც, თუ რა ხალხის სამდიდრე, მოინდომა ახალგაზდა კოროლის და თავად-აზნაურობის უგუნურმა ლტოლვილებამ მისდამი რომ პარიჟი და რუანი ისე შეეშინებინათ, რომ ამათ აღარ გაებედნათ მაღალი სიტყვის გამოთქმა თავიანთ შევიწროებაზე, მაგრამ ის კი არა

იცოდნენ უბედურებმა, რომ ეს შეუძლებელი
 საქმე იყო, რადგანაც რამდენიც ხანი გადიოდა,
 იმდენი უფრო და უფრო უძლიერდებოდა ფრან-
 ცის მცხოვრებლებს თავისუფლების შოვნის
 სურვილი. ჩვენ კარგათ გვესმის, თუ როგორ
 მოხდა, რომ მთავრობამ და თავად-აზნაურობამ
 დროებით ჩააჩუმეს ხალხი. ჯერეთ კიდევ არ
 ჰქონდათ გამჯდარი ხალხს ძვალში და რბილში ის
 აზრები, რომლებიც დაბადეს ევროპიელებში სა-
 ჯვარო ომებმა და ბერძნების ლიტერატურის
 შესწავლამ და რომლებმაც ბოლოს დიდათ
 შეცვალეს უწინდელი სამეფოების წყობილე-
 ბა, და ამისთვის ხალხის ჩაჩუმება ჯერეთ კი-
 დევ არ იყო ძნელი. ხალხი გრძნობდა თავის
 ტანჯვას და ფიქრობდა ცუდ-უბრალო გამგლე-
 ჯავეზის თავიდან მოშორებას, მაგრამ ისე არა,
 რომ ყველა იმის წევრს თავი გაეწირა თავისუფ-
 ლების შოვნისათვის. ზოგიერთებს ნათელი წარ-
 მოდგენა ჰქონდა იმაზე, რომ თავად-აზნაურობა
 კაცისაგან არის დაარსებული და არა ღვთი-
 საგან, — ზოგიერთებს კი ბნელი. რადგანაც პირ-

ველები რიცხვი ძრიელ მცირე იყო მეორების რიცხვზე, ამისათვის თავისუფლების შოვნის საქმე კარგათ ვერ წავიდოდა, როგორც შემოთვაჩვენეთ. მაგრამ ფრანციის ხალხის ორჯელ მოძრაობა ცხადი ნიშანი იყო იმისა, რომ საჯარო ომების შედეგმა და ბერძნის ლიტერატურის გავრცელებამ ევროპაში დაიწყეს მოქმედება; რომ დღეს თუ ხვალ ავი დღე დაადგებოდა ძველ რელიგიურ და სოციალურ წყობილებას.

იმის ნიშანი, რომ საჯარო ომების შედეგებმა და ბერძნების ლიტერატურის შესწავლამ დაიწყეს მოქმედება, გამოჩნდა ინგლისშიაც. აქ დაწინაურებულმა კაცებმა შექმნეს ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ საჭიროა, რომ ძველი სოციალური და რელიგიური წყობილება გამომოიცივალოს. დაწინაურებული კაცების ერთი რიგი ელტოდა, რომ მოელო ბოლო სამღველოების ბოროტ-მოქმედებისათვის, პაპის უღლის მოშორებას ხალხის კისრიდგან, მეორე რიგი ელტოდა იმას, რომ ხალხი გამოეხსნა რო-

გორც პაპების ხელიდამ ისე თავად-აზნაურობის ხელიდამ. პირველი რიგისკაცებს წარმომადგენელად ჰყავდათ ოკსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონი ვიკლეფი; მეორე რიგის კაცებს კი უბრალო პირი — ბერი ჯონი ბოლლი. ამ ბერმა უფრო კარგათ იცოდა ხალხის სწეულება, მინამ უნივერსიტეტის პროფესორმა ვიკლეფმა, რომელიც დიდის ენერგიით ცდილობდა დაემკიცებინა, თუ რა ნაირი შეცდომილი შეხედულობა აქვთ პაპის მომხრეებს ზიარებაზე, თუ რა ნაირ ბოროტად მოქმედებენ სასულიერო პირები, და იმას კი ივიწყებდა, რომ თავად-აზნაურობა სასულიერო პირებზე ნაკლებათ აღარ სწუწნიდა ხალხს. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ ვიკლეფის სასახელოთ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ამან შეადგინა ისეთი საზოგადოება, რომლის წევრებიც სოფელ-სოფელ დადიოდნენ და აერცვლებდნენ ხალხში ინგლისურ ენაზე გადათარგმნილ სამღვთო წერილს. 1360 წლიდამ ვიკლეფი იწყობს პაპაზე ლაპარაკს და ამ წლიდანვე ნელნელაობით სთარგმნის სამღვთო წიგნებს თავის სამშობლო ენაზე და

თავის მომხრეების შემწეობით ავრცელებს ხალხში. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სამღვთო წიგნებს ინგლისურ ენაზე ავრცელებდნენ ხალხში, ეს ყველასთვის ცხადია. ხალხმა აქამდინ არ იცოდა, თუ რა იყო დაბადება, არ იცოდა, თუ რამდენათ მართალი იყო და რამდენათ არა ის, რასაც ასწავლიდა პაპა; ეხლა კი შეეძლო დარწმუნებით გაეგო ეს ყველა. არც ის იცოდა, რომ ქრისტიანობა ჰქადაგობს ძმობას და ერთობას; ეხლა ესეც გაიგო. ერთი სიტყვით ვიკლეთი დაბადების გადათარგმნით ინგლისურ ენაზე ძრიელ დაეხმარა ხალხს, რომ უფრო კარგა გაეგო თავის გარემოება. თუ რა წყალობის თვალით უნდა შეეხედნათ თავდაზნაურობას და გლეხ-კაცებს ვიკლეთისათვის, როდესაც ეს ამტკიცებდა, რომ სასულიერო პაპებს არ უნდა ეჭიროთ მთა და ბარი, ეს ყველასთვის ცხადია. ჩვენ ბევრ ადგილას შევნიშნეთ, რომ საჯვარო ომებმა დაბადეს ევროპიელებში თავისუფალი ცხოვრების სურვილი, რომ საჯვარო ომების წყალობით თავდაზნაუ-

რობა მიელტოდა იმას, რომ სასულიერო პირებისათვის გამოეგლბჯათ მთა და ბარი; სასულიერო პირები კიდევ ცდილობდნენ თავიანთ მხრით, რომ რაც მთა და ბარი თავად-აზნაურობას ეჭირა, ესეც ხელში ჩაეგდო. აი ეს იყო მიზეზი, რომ თავად-აზნაურობას ძრვიელ იამა, როდესაც ვიკლეფმა დაიწყო ქადაგება, რომ სასულიერო პირებს არ უნდა ეჭიროთ მიწები, რომ პაპა სრულებით არ არის იესო ქრისტეს მოადგილე, რომ ის უბრალო ეპისკოპოსია. ლონდონის ეპისკოპოსმა და კენტერბერიის არხიეპისკოპოსმა ძრვიელ მოინდომეს ვიკლეფის ციხეში ჩასმა, მაგრამ რას იქმოდნენ, როდესაც თავად-აზნაურობას, პარლამენტის მომეტებულ ნაწილს და დაბალხალხს ესამოფნებოდათ იმის ქადაგება. ქალაქის პოლიციამ ჯიბრზე დაიჭირა სასულიერო პირების საყვარლები და შერაცხა უნამუსო დედაკაცებად. ბევრი თავში ქვა იცეს სასულიერო კაცებმა, რომ თავიანთი მოწინააღმდეგებისათვის ენოთ რამე, მაგრამ ვერა გააწყეს რა. ვიკლეფი გადრცვალა 1384 წელში და გაუშვა

მომხრეები, რომლების რიცხვი რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო მრავლდებოდა და ხალხში აფრცვლელბდა პაპის წინააღმდეგ აზრებს. სრულებით სხვა ნაირათ წავიდა ჯონ-ბოლლის საქმე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ის ქადაგებდა იმას, რასაც ხალხი გრძნობდა, მაგრამ თქმას კი ვერ ბედავდა, — რადგანაც ის ქადაგებდა, რომ დიდ-პატარაობა არ უნდა იყვესო და ითხოვდა მდიდრების და თავად-აზნაურობის ამოქლეტას და მათი ქონების განაწილებას ღარიბებ შორის; აგრეთვე ითხოვდა ხარჯის მიცემა მის აღმოფხვრას და იმას, რომ სასულიერო პირებისათვის დედმამული ჩამოერთმიეთ. «აბა ერთი მითხარი, სად იყო აზნაურობა, როდესაც ადამი მიწას ხნავდა და ევა წინდასა ქსოვდა» — აი ამ სიტყვებით იწყობდა ხოლმე თავის ქადაგებას ჯონი ბოლლი. ამ ბერის ქადაგებას ხალხი სიამოვნებით უგდებდა ყურს და ამბობდა თავის გულში: «როდის იქნება, ერთი თავიდა მოვიშორეთ თავად-აზნაურობა და სასულიერო პირები!» თავად-აზნაურობასა და სამღვდელ-

ლოებას კი გული უსქდებოდა, როდესაც ხედამ-
და ამ ამბავს. ვიკლევს მარტო სასულიერო პი-
რები ჰყავდა მტრებათ, ჯონ ბოლლს კი — სუყვე-
ლანი დაბალ ხალხის გარდა, და ამისათვის მა-
ლევც ჩააჩუმეს. კენტერბერიის არხიეპისკოპოზის
განკარგულებით ჯონ ბოლლი დაიჭირეს და ჩას-
ვეს ციხეში, საიღამაც თავის დღეში, რასაკვირ-
ველია, ვეღარ გამოვიდოდა, თუ ხალხის მოძ-
რაობა ანუ არეულება არ მომხდარიყო.

როდესაც ჯონ ბოლლიმ და იმის მომხრეებმა
თავიანთ ქადაგებებით კარგათ გაუთქვიფეს ხალხს
ყურში, თუ რა უსამართლოთ ექცევიან მას თა-
ვად-აზნაურობა და სასულიერო პირები, და რო-
დესაც ვიკლევისაგან რამდენიმე ნათარგმნი წიგ-
ნები დადიოდა იმის ხელში, სწორეთ იმ დროს
ცუდ მდგომარეობაში იყო ინგლისის ხაზინა.
ახალგაზდა კოროლმა რიჩარდი მეორემ არ იცო-
და, თუ როგორ მოქცეულიყო, რომ თავის ხა-
ზინა შეემსო. ამან აიღო და თავის მინისტრე-
ბის რჩევით ახალი ხარჯი დაადო ხალხს; რასა-
კვირველია, პარლამენტი რომ ხერხიანი ყოფილ-

იყო, ამაზე კოროლს წინააღმდეგი გაუხდებოდა; უბედურება ის იყო, რომ პარლამენტი უხერხოდ იყო—შორ-გამჭვრეტელობა სრულებით არა ჰქონდა და ნება მისცა კოროლს ახალი ხარჯის მოკრებისა. ძნელი წარმოსადგენია ის უბედურება, რა უბედურებაც მაშინ ხალხს დაადგა. ხარჯის მომგროველები უვარდებოდნენ გლეხკაცებს სახლში და ყოველგვარ შევიწროებაში აყენებდნენ. რასაკვირველია, ეს ამბავი რომ მომხდარიყო ასის წლის წინეთ, მაგდენი არაფერი იქნებოდა, მაგრამ ეხლა მეთოთხმეტე საუკუნე იყო. ხალხის ჭკუა-გონება ახლა სხვანაირათ იცქირებოდა და ამისათვის იფეთქა არეულობამ. უატ თაილერმა, რომლის სახლობასაც უპატიურობა მიაყენეს ხარჯის მომკრეფლებმა, შეყარა ხალხი და გაუხდა წინამძღოლად. ჯონ ბოლოლის სიტყვები ეხლა მოაგონდა ხალხს და მოინდომა ამის კიხილამ გამოყვანა. ეს ცრხილამ გამოიყვანა და გასწია ლონდონისაკენ. გზაში რამდენი მოხელე კაცი მოკლა, რამდენი თავად-აზნაურების დედ-მამული ააოხრა. ჯონ ბოლოლი

და მღვდელი ჯეკი სთროუ თაიანთ ქადაგებით უფრო აქეზებდნენ და ცეცხლზე სვამდნენ ხალხს. 12 ივნისს 1381 წ. ხალხმა თავი ამოჰყო ლონდონში. აქაც ბევრნი ამოჩნდნენ ისეთები, რომლებსაც სურდათ ძველი წყობილების შეცვლა. კოროლი შეშინდა და დაიმალა ციხეში, რომელსაც ხალხი გარეშემო შემოერთყა. რიჩარდი ჯერ კი მაგრა იდგა, მესამე დღეს კი მოიკაკვა და ხალხს აღუთქვა ბატონ-ყმობის გადაგდება, ბევრების აღმოფხვრა და ახალი ხარჯის თავის დანებება. ხალხმა ნოსთხოვა მას, რომ ყველა ეს წერილით დაემტკიცებინა. რიჩარდი თანხმა გახდა და 15 ივნისს გამოვიდა ციხიდან, რომ ხალხის ქათავიკაცებისათვის წერილი მიეცა, რომ ის უთუოდ აასრულებდა თავის აღთქმას. მაგრამ აქ მოიხმარა ეშმაკობა. როდესაც უატ თაილერი დაუახლოვდა მეფეს, რაინდებმა ხლმით ლუკმა-ლუკმათ აკუწეს ის. ამ შემთხვევას თუ რა ნაირი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ხალხზე, ეს ცხადია ყველასთვის. ხალხი შეშფოთდა და სიმწარით კბილებს აღრაჭუნებდა. რიჩარდიმ მარტო პირდა-

პირ ხალხისაკენ გასწია და მივიდა ახლო. ამგვარ-
მა მეფის გაბედულობამ ხალხი გააკვირვა და
რალაც რამ უგრძნობელ გარემოებაში ჩააგ-
დო. როდესაც ამ პსინიურ მდგომარეობაში
იყო ხალხი, მეფემ დაუწყო მას ლაპარაკი, რომ
ის თავის ქვეშევრდომებისათვის თავდადებულია
და მზათ არის აუსრულოვს იმათ თავიანთი გუ-
ლის წადილი. ხალხი აღტაცებაში მოვიდა, სიხა-
რულით ველარაფერი გაიგო და გაყვა ქალაქს
გარეთ, სადაც დახვდა თავად-აზნაურობის და
ვაჭრობის ჯარი და იქით-აქეთ მიფანტა. აი ასე
გათავდა ხალხის არეულობა. არც შეიძლებოდა
მაშინ, რომ ხალხს გაემარჯვა, რადგანაც თავად-
აზნაურობა და სასულიერო პირები ჯერეთ კი-
დეც ისე არ იყვნენ დასუსტებულნი, რომ დაბა-
ლი ხალხი ორივეს ერთად მორეოდა და არც
დაბალს ხალხს ისე ჰქონდა გონება გახსნილი,
რომ რიგიანათ ემოქმედა თავისუფლების მოვ-
ნისათვის.

რამწამ ხალხი დაიფანტა, მაშინვე მთავრობამ
მიჰყო ხელი იმ კაცების ტანჯვას, რომლებსაც

ხალხისათვის გული შესტკივდა. რასაკვირველია ჯონ ბოლლი და ჯეკი სთროუ არ გადურჩებოდნენ სატანჯველს. საწყლები პირველათ ესენი დატანჯა მთავრობამ და ეგონა ამითი შეაყენებდა იმ გონებითს ტალღებს, რომლებიც რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო მატულობდა, რომ რა არი ხალხი გამოსულიყო თავის საძაგელ მდგომარეობიდან.

ჯერეთ კიდევ არ გასულიყო ოცდა ათი წელიწადი ვიკლეფის სიკვდილის შემდეგ, რომ საჯვარო ომების შედეგებმა და საბერნეთის ლიტერატურის შესწავლამ ბოჭებიაშიაც გამოათქმეინა ხალხს მძალა სიტყვა თავის გარემოებაზე. დაბალი ხალხისე არსად იყო შევიწროებული გარემოებებისაგან როგორც ბოჭემიატი. ამას აქ უფრო ბევრი მტერი ყავდა, მინამ სხვაგან სადმე. სასულიერო პირები და თავად-აზნაურები ხომ აწუხებდნენ და აწუხებდნენ ამას, მაგრამ ამათზე უფრო ბევრს აწუხებდნენ ნემცები. ბოჭემიის მომეტებული ნაწილი ნემცების ხელში იყო და არაფრათ ეპიტ ნაუებოდნენ ეს ნემცები ბოჭემიის თვითონ თავ-

თავად-აზნაურობასაც. დიდი ხანი არ გამოსულა საჯვარო ომების და საბერძნეთის ლიტერატურის ევროპაში გავრცელების შემდეგ, რომ აქაურმა თავად-აზნაურობამ დაიწყო ცდილობა, რომ რა არი როგორმე ნემცები თავიანთ სამშობლოდამ გაეყარათ და სულ თვითონ დაეჭირათ ხელში მთა და ბარი; აგრეთვე დაბალმა ხალხმა დაიწყო ფიქრი იმაზე; თუ როგორ მოიშოროს თავიდამ ნემცები, თავად-აზნაურობა და პაპაც თავის მომხრეებით.

ასე — თავად-აზნაურობას გული ეფხანებოდა ნემცებზე და სასულიერო პირებზე, ხალხს კი — როგორც თავად-აზნაურობაზე, ისე ნემცებზე და სასულიერო პირებზე. ამ მოვლინებას ის ჰქონდა თავის შედეგათ, რომ, როდესაც საჯვარო ომების შედეგადა და ბერძნების ლიტერატურის შესწავლაში გასჭრეს ბოჭენიაში, მაშინ იქაური მომფიქრებელი საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო. პირველი ნაწილის წინამძღოლათ შეიქნა პრაგის უნივერსიტეტის მასწავლებელი და მათანაგე რექტორი გუსი, მეორე ნაწილისა კი პირველათ

იანი, რომელსაც ეძახდნენ ჟიჟკას, და მეგრე
 ორი უბრალო ბერი—პროკოპი დიდი და პრო-
 კოპი პატარა. გუსი იყო დახელოვნებული სამ-
 ღვთო წერილში და ამისთვის ჰქადაგებდა იმას,
 თუ რა ნაირათ პაპის მოქმედებები ეწინააღმ-
 დეგებიან სამღრთო წერილს? ის ყურადღებას
 აქცევდა მხოლოდ იმას, რაც პირდაპირ აჩვენებ-
 და, რომ სასულიერო პირები სრულებით არ
 მოქმედებდნენ ისე, როგორც მოითხოვს სამ-
 ღვთო წერილის საზოგადო აზრი. საჯვარო ომების
 და ბერძნების ლიტერატურის შესწავლის წყა-
 ლობით ხალხი ფიქრობდა თავის გარებოებიდამ
 გამოსვლას. და ამ დროს გუსი გულმოდგინე-
 ბით კითხულობდა სამღვთო წერილს და წმინ-
 დანების თხზულებებს. ძნელი წარმოსადგენია
 ის განცვიფრება, რა განცვიფრებაშიაც ის ჩა-
 ვარდა, როდესაც ამან კარგათ გაიგო, რომ
 სრულებით წინააღმდეგია ის აზრი, ვითომ პა-
 პა იესო ქრისტეს მოადგილეა. დაუმატოთ ამას
 ისიც, რომ იმ დროს, როდესაც სამღვთო წერი-
 ლის და მამა-წმინდანების თხზულებების შემ-

წეობით სხვა და სხვა აზრები პაპის მოქმედებების წინააღმდეგ ტრიალებდნენ გუსის თავში, —სწორეთ მაშინ ვიკლეფის თხზულებები ნელ-ნელაობით ვრცელდებოდნენ პრაგის უნივერსიტეტის პროფესორების წრეში და ძალას ატანდნენ იმათ, გამოეთქვათ მაღალი სიტყვა მაშინდელ რელიგიურ წყობილებაზე. ისინი ამას კიდევაც სჩადიოდნენ. მაშინდელ დროში პრაგის უნივერსიტეტს ისეთი პირობები ეხვია გარეშემო, რომლებიც ძლიერ ეწეოდნენ ყმაწვილების მოქალაქობის გახსნას. სხვა და სხვა ნაციის ყმაწვილებით სავსე იყო ეს უნივერსიტეტი და ამისათვის ჭკუის სიფხიზლე არსებობდა აქ. ჩეხების სუდენტები ჩემცების სტუდენტებს ებრძოდნენ; პოლიაკები კიდევ ორივეს და ამით ისინი ყოველთვის სიფხიზლეში იყვნენ — ამით ისინი ერთი ერთმანეთს ამამაცებდნენ. რადგანაც უნივერსიტეტი ჩეხების ქვეყანაში იყო და ამასთანავე უცხო ნაციების ყმაწვილები დიდათ ცდილობდნენ თავიანთი უფლების დაცვას და სხვის უფლების გაქრობას, ამისა-

თვის ჩეხების სტუდენტები ყველაზე უფრო ენერგიულათ მოქმედებდნენ და ყველაზე მომატებულათ უძრვილდებოდათ პატრიოტული გრძნობა. რა მდგომარეობაშიაც იყვნენ სტუდენტები, სწორეთ იმ მდგომარეობაშიაც იყვნენ პროფესორებიც. ესენი ერთი ერთმანეთს აფხიზლებდნენ, ერთი ერთმანეთს ებრძოდნენ, ერთი ერთმანეთს დასცინოდნენ. ჩეხების პროფესორებს უფრო კითილშობილური აზრები ჰქონდათ, მინამ სხვა ნაციის პროფესორებს. ასეც უნდა ყოფილიყო ეს ჯერეთ ამისთვის, რომ ჩეხები უფრო ახლო იყვნენ ბერძნებზე და იმათ მეხსიერებაში კიდევ იყო დარჩენილი ის აზრი, რომ ერთხელ ამათი წინაპარნი აღიარებდნენ იმ სარწმუნოებას, რა სარწმუნოებასაც აღიარებდნენ ბერძნები და ამ გარემოებას იმათ ჭკუა-გონებაზე არ შეიძლებოდა, რომ განვლენა არ ჰქონოდა. მეორეთ იმითვის, რომ მათ დაჩაგვრას ცდილობდნენ სხვა ნაციების პროფესორები, რომლებიც უფრო ბევრნი იყვნენ, მინამ პირველები. კაცობრიობის ცხოვ-

რებაში შენიშნულია, რომ ყოველთნინ იმას უფრო ბევრი აქვს კეთილშობილური აზრები, რომელსაც სჩაგრავენ, მინამ იმას, ვინც სხვასა სჩაგრავს. გარდა ამისა, აი კიდევ რა ეწეოდა პრაგის უნივერსიტეტის სტუდენტების განხნას. აქ ჩვეულებათ ჰქონდათ, კათედრიდგან ეკითხათ პრაგის ბაკალავრებს — პარიჟის და ოკსფორდის უნივერსიტეტების გამოჩენილი მასწავლებლის თხზულებები, და ამას დიდი განვლენა ჰქონდა პრაგის უნივერსიტეტის წინამსვლელობაზე. როგორც კი გავარდებოდა ხმა, რომ ოკსფორდის უნივერსიტეტის ესა და ეს სწავლული თავის ლექციებში ახალ აზრებს ავრცელებსო და ძრიელ ებრძვის სასულიერო პირების ბოროტმოქმედებასო, მაშინვე რომელიმე ახალგაზდა სწავლული, — რასაკვირველია უფრო ის, ვისაც ბერძნების ლიტერატურის შესწავლის წყალობით ახალი აზრი ჰქონდა შედგენილი სასულიერო წყობილებაზე, — საცა არ იქნებოდა იმ სწავლულის ლექციებს იშოვნოდა და მოყვებოდა კითხვას კათედრიდგან. სწორეთ ასე მოი-

ქცა გუსი. ამან თავის მასწავლებლობის დროს კარგა ხანს იკითხა კათედრიდამ რამდენიმე ადგილები ვიკლეთის თხზულებებისა და მერე, როდესაც უნივერსიტეტის რექტორობა იშოვნა, (1403 წ.) სამსჯავროში ქადაგობდა პაპის წინააღმდეგ აზრებს თავის ბუნებითს ენაზე. მაგრამ ნურაყინ ნუ იფიქრებს, ვითომ პირველათ გუსს დაეწყო პაპის წინააღმდეგი აზრების ქადაგება; ამაზე წინ ქადაგობდნენ მილიჩი კრემზირელი და მათე იანველი. ეს ორთავენი საღმრთო წერილის დიდი მცოდნე იყვნენ და ამისთვის ებრძოდნენ, როგორც გუსი, სასულიერო პირების ბოროტ-მოქმედებას.

თუ რა მოქმედება უნდა ჰქონოდათ გუსის და ამის შვილი ამხანაგების ქადაგებებს ხალხზე. ეს ადვილი წარმოსადგენია. ხალხს ესამოვნებოდა, როდესაც იმის ყურებს ესმოდა, რომ პაპა სრულებით არ არის იესო ქრისტეს მოადგილე, — რომ მეთვლი სრულებით არ უნდა ეძლიოს სასულიერო პირებს, — რომ ამათ არ უნდა ეჭიროთ მთა და ბარა. ამ აზრებს თავად-აზნაუ-

რობის მოწინავე კაცები თავისი მხრით უმატებდნენ, რომ არც ნემსებს უნდა ეჭიროთ ხელში ბოჭემისის ზოგიერთი ადგილები. ერთი სიტყვით თავად-აზნაურობას ძრიელ მოეწონა გუსის ქადაგებები და მიჰყუდა მას ზურგი, რომ რა არი იქნება როგორმე ნემსების და სასულიერო პირების მამულები ხელში ჩაეგდო. რასაკვირველია, ეს გუსს სრულებითაც არ უნდოდა და ამას არც ჰქადაგობდა, მაგრამ ის რომ მარტო სასულიერო პირების ბოროტ-მოქმედებას აწევბოდა, თავად-აზნაურობას ეგონა, რომ ამით გუსს სურს დაეხმაროს მის ჯიბის ფულებით გამსებას. ხალხი ისე არ ფიქრობდა, როგორც ფიქრობდა თავად-აზნაურობა. ხალხი ფიქრობდა, რომ, თუ სასულიერო პირებს მამული ჩამოერთმევა, მაშინ ეს მამული იმას მიეცემა და ამისთვის გუსის ქადაგებას უგდებდნენ ყურს და ამბობდნენ თავის გულში — მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან რიგიანი ცხოვრება, როდესაც თავიდან მოვიშორებთ როგორც სასულიერო პირებს, ისე ნემსებს და

თავად-აზნაურებს. სუ სხვა აზრისანი იყენენ სასულიერო პირები გუსზე და ამის ამხანაგებზე, როგორც მაგ. იერონიმეზე. ესენი ფიქრობდნენ, რომ ბოჰემიაში ამათ აღარ ედგომინებოდათ, თუ გუსს და იმის ამხანაგებს არ ჩააჩუჭებდნენ. ესენი კიდევაც შეუდგნენ ამის აღსრულებას და მიიმხრეს გერმანიის იმპერატორი სიგიზმუნდი, — ბოლოს ბოჰემიის კოროლი ვენცესლავიც მიიმხრეს, თუმცა არც ამას მოსწონდა მაშინდელი სასულიერო წყობილება. ბოჰემიის სასულიერო წოდების დიდმა პირებმა იმდენი იეშმაკეს, იმდენი ეცადნენ, რომ კონსტანცის კრებამ სხვათა შორის თავის მიზნათ გაიხადა გუსის სწავლის გაქრობა და ამით ბოჰემიის მცხოვრებლების დაბრუნება პაპის წიაღსა შინა. კრების წმინდა მამებმა ბევრი იფიქრეს იმაზე, თუ რა სახით შეიძლებოდა ამის აღსრულება და ბოლოს გადაწყვიტეს სამაგალითოთ დაეტანჯათ გუსი და იმისი ერდგული ამხანაგი იერონიმე, რადგანაც ისინი ჰქადაგობდნენ ძმობას და იმით საძირკველს უთხრიდნენ დიდ-პატარაობას — ანუ

ავტორიტეტობას. კონსტანტინის კრების მამების განკარგულებით სამოქალაქო მთავრობამ მიაკრა გუსი ბოძს, შემოუყარა გარეშემო შეშა და მისცა ცეცხლი, რომ რა არას დიდ ის ტანჯვით მომკვდარიყო ხალხისაგან დაუვიწყარი გუსი. ეს მოხდა 1415 წ. ივლისის 6-ს. ათი თვის შემდეგ ეს დღე დააყენეს იერონიმესაც, 1416 წ. 30 მაისს. მაგრამ განა შეიძლებოდა, რომ კრების წმინდა მამებს ამ საშუალებით გადაერჩინათ ძველი წყობილება დარღვევისაგან? არ შეიძლებოდა, რადგანაც ამ წყობილების დაზღვევას ელტოდნენ მარტო გუსი და იერონიმე კი არა, ევროპის მთელი მომფიქრებელი საზოგადოება, რომლების რიცხვი რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო მრავლდებოდა.

გუსის ცეცხლში დაწვამ მთელი ბოჰემია ააღელვა. ხალხის პარტიამ აი ეხლა დაიწყო მოქმედება. თავად-აზნაურობამაც მას მიჰყუდა ზურგი, რადგანაც იმას ჯერეთ კიდევ კარგათ არ ეამოდა, თუ რას მიეღობოდა ხალხის პატრია.

ჟიჟკა ცერცვივით დახტოდა და აგროვებდა
 ჯარს თავისუფლების შოენისათვის. მე თქვენ
 გითხრათ, დაბალი ხალხი უკან დაიწედა! ცო-
 ტა ხნის განმავლობაში რამდენიმე ათასი კა-
 ცი შეიკრიფა და გაიკეთა სიმაგრე თაბორის
 მთაზე. მინამ ცოცხალი იყო ჟიჟკა, სუ მტვერს
 აღენდა ნემცების ჯარს; ბევრგან დაამტვრია
 მათ თავი და პირი. როცა მოკვდა, მაშინ თავის
 მოადგილეთ გაუშვა დიდი პროკოპი და პატა-
 რა პროკოპი. ესენი ძრიელ დახელოვნებულნი
 იყვნენ სარდლობაში, რისთვისაც დიდი ხანი
 გაუმაგრდნენ მტრებს. მინამ მთელი ბოჰებია
 ერთად მოქმედებდა, ნემცებმა სრულობით ვერა
 გააწყეს რა; მაგრამ როგორც კი ქალაქის მცხოვ-
 რებლებმა და თავად-აზნაურობამ უკან დაიწი-
 ვეს და მოინდომეს გერმანიის იმპერატორთან
 შეერთება, მაშინვე ხალხის პარტიის მომხრეების
 საქმე ცუდათ წავიდა. რა იყო მიზეზი, რომ
 ქალაქების მცხოვრებლებმა და თავად-აზნაუ-
 რობამ მოინდომეს სიგიზმუნდთან შეერთება?
 ის რომ იმათ კარგათ დაინახეს გუსის სიკვდი-

ლის რამდენიმე წლის შემდეგ, რომ: სახალხო პარტიას სურდა გაექრო ბოჭემიაში დიდ-პატარაობა, ჩემი-შენიობა, ერთის სიტყვით მოეშორებინა ხალხის თავიდან როგორც ნემცები, ისე სასულიერო პირები, თავად-აზნაურობა და მდიდარი ვაჭრები, და ამისათვის ამჯობინეს, რომ ისევ ნემცების ხელში ყოფილიყვნენ. ესენი შეურიგდნენ იმპერატორს 1433 წელს ბაზელის კრების წინ და შეუდგნენ დაბალი ხალხის ჩაჩუმებას. რასაკვირველია, ისე ძნელი აღარ იყო სახალხო პარტიის დამარცხება, როგორც უწინ. შეკრებულის ძალით ნემცებმა და ბოჭემიის თავად-აზნაურობამ და მოქალაქობამ მაისის გასულს 1434 წელს სახალხო პარტიის ჯარი და ტყვეები ტყის ნადირისათვის ქლიტეს. როგორც პროკოპი იღიღი, ისე პროკოპი პატარა დაიხოცნენ ომის მოედანზე. აი ასე ხალხის პარტია დაეცა და ვერ შეიძლო თავისი სურვილის ასრულება; მაგრამ ის აზრები, რომლებსაც მოხსენებული პარტიის მოწინავე კაცები ჰქადაგებდნენ იმას შესახებ,

რომ მთა და ბარი საყოველთაო უნდა იყვეს, რომ შეიძლება თვითონ ხალხმა განაგოს თავისი ბედიც და უბედობაც და სხვ., — დარჩნენ ბოჭემიის მცხოვრებლების მეხსიერებაში და ნელ-ნელაობით შეცვარნენ ნემცების ჭკუა-გონებასაც, ნემცების, რომლებმაც მეთექვსმეტე საუკუნეში დიდი ამბავი მოახდინეს, რომ რა არი ამათ მაინც ეშოვნათ თავისუფლება.

აი ამ ნაირათ როგორც ფრანციაში და ანგლიაში, ისე ბოჭემიაში მაგდენს ვერაფერს გახდა ხალხი, რომ გამოეცვალა ძველი რელიგიური და სოციალური წყობილება! რისთვის? ამისთვის, რომ ჯერეთ კიდევ არა ჰქონდა ყველა ევროპელებს გამჯდარი ძვალში და რბილში ის აზრი, რომ შესაძლებელი საქმე იყო თავიდან მოეშორებინათ ძრიელ მავნებელი გარემობანი.

არც თავად-აზნაურობა და სასულიერო პირები იყვნენ ისე დასუსტებულნი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი დამარცხება და ხალხის გამარჯვება. ბოჭემიელების ომის შემ-

დევ ერთი ას წლამდი მაინც კიდევ უნდა გაეფლო, რომ ხალხს უკან აღარ დაეწია და უთუოთ მოემორებინა თავი დამ თუ სუყველა არა, ზოგიერთი გარემოებანი მაინც, გარემოებანი, რომელიც მათ ჯიბეს აწენენ და ამით იმ საწყლებს აძმარებდნენ ცხოვრებას. ეს ასეც მოხდა. ბოჰემიელების ბრძოლის შემდეგ ასი წელიწადი გავიდა, რომ ნემცებმა წარმოსთქვეს მაღალი სიტყვა თავიანთ გარემოებებზე და უკან აღარ დაიწიეს იქამომდე, მინამ ზოგიერთი მათგანი არ მოიშორეს თავი დამ.

მაღე მოიფინა გერმანიაშიაც ბერძნების ლიტერატურის შესწავლა. აქაურებს გული უსქდებოდათ, როდესაც ბერძნების ლიტერატურაში დახელოვნებულნი იტალიელები დასცინოდნენ მათ, ამისთვის შეუდგნენ განათლების ძებნას. გერმანიის ახალგაზდობამ გროვა-გროვათ დაიწყო მოგზაურობა იტალიაში, რომ რა არი იქ შეესწავლათ მეცნიერება და ბერძნების ლიტერატურა. ნემცებს არ უნდოდათ, რომ სწავლით ნაკლებათ ყოფილიყვნენ იტალიელებ-

ზე და ამისთვის მიჰყვეს ხელი უმაღლესო სასწავლებლების დაარსებას. პრაგის უნივერსიტეტის აშენებადამ დაწყობილი 1477 წლამდინ, 130 წ. განმავლობაში, ააშენეს გერმანიაში და შვეიცარიაში 15 უნივერსიტეტამდინ. ამ უნივერსიტეტებმა დიდი საქმე უყვეს ნემცებს. აქედამ გამოდიოდნენ ისეთი კაცები, რომლებიც თავიანთ მიზნათ იხდიდნენ ყმაწვილი კაცების გონებითს გახსნას და ეს შემთხვევა დიდათ დაეხმარა ხალხის გონებაში ჩაგდებას. ბერძნების ლიტერატურის შესწავლის წყალობით და იტალიელების მიბაძვით ნემცებმა გაიჩინეს ლიტერატურაც, რომელიც ძრიელ ეწეოდა ხალხს რომ თავისი მდგომარეობა გაეგო და შესდგომოდა ცხოვრების გაუმჯობესობას. მაგრამ აქ ლიტერატურამ ის მიმართულება კი არ მიიღო, რა მიმართულებაც მიიღო იტალიაში, — აქ მიიღო ღვთის-მეტყველებითი მიმართულება. ნემცები იმას კი არ გამოუდგნენ, რომ გაეჩინათ თავიანთთვის ტრაგედია, კამედია, ეპოსი, იდილია, როგორც მოიქცნენ იტალიე-

ლები, — სინი გამოუდგნენ მამა-წმინდანების
თხზულებების შესწავლას და თარგმნას თავიანთ
ბუნებითს ენაზე. ცდილობდნენ გაეგოთ ნამ-
დვილათ სამღვთო წერილის აზრები, დიდი და პა-
ტარა მიეღოდა, რომ ეშოვნა საკითხავი წიგ-
ნი სამღვთო საგნებზე დაწერილი. რა იყო მი-
ზეზი ამ გვარი მოვლინებისა? ჯერეთ ის, რომ
ნემცები ბუნებითვე იმ ნაირი თვისებისანი არიან,
რომ უყვართ სამღვთო საგნებზე ლაპარაკი და
ბაასი, რომ ისინი დიდათ ეწყობიან მაღალს
საგნებს. მეორეთ ისა, რომ მათი ყმაწვილი კა-
ცები, როდესაც ბრუნდებოდნენ იტალიიდან
თავიანთ სამშობლოში, სწავლის დასასრულებ-
ლათ შედიოდნენ ლეთის მოყვარე თომა კემ-
პიელის უკოლაში, თომა კემპიელის, რომელიც
თავის თხზულებებით, უმეტესად შემდეგი თხზუ-
ლებით: «მიბაძეა ქრისტესადმი», დიდი გავლენა
ქონდა ევროპელების მომფიქრებელ საზოგა-
დოებაზე. დაუმატეთ ამას ისიც, რომ იოანე
ფონდოლბერგმა შეადგინა საზოგადოება, რომ-
მელსაც მიზნათა ჰქონდა ბერძნების ლიტერა-

ტურის შესწავლის გაგრძელება გერმანიაში და ამ საზოგადოების თითქმის ყველა წევრები სამღვთო საგნების მოყვარენი იყვნენ. თუ ეს ასე იყო, რაღა თქმა უნდა, რომ მამა-წმინდანების თხზულებების კითხვას ერთგულათ უნდა გამო-სდგომოდნენ ნემცები და კიდევ გამოუდგნენ. მოვიგონოთ იოანე ვესელი. განა, ამ ღვთის მოყვარე კაცს გული გაუძლებდა, რომ ბერძნული ენის ცოდნა არ მოეხმარა ღვთის-მეტყველების შესწავლაზე და ხალხში მაღალი აზრების გავრცელებაზე? ეს ბევრ ნაირათ ცდილობდა ხალხის ჭკუაში ჩაგდებას და ჰქადაგებდა თითქმის იმასვე, რასაც ბოლოს დროს ჰქადაგებდა მარტო ლიუტერი. თვითონ ლიუტერმა აი, რა თქვა ერთხელ ვესელზე: «ჩემი და ვესელის ქადაგებები ისე ემსგავსებიან ერთი ერთმანეთს, რომ მეტი აღარ შეიძლება. მე რომ წინათ მქონებოდა ნაკითხი ვესელის თხზულებები, მაშინ ჩემი მტრები იტყოდნენ, ლიუტერის ქადაგებები ვესელის აზრებით არის სავესეო.»

მეხუთმეტე საუკუნის გასულს და მეთექვს-

მეტე საუკუნის დასაწყისში ლეთის-მეტყველებითი მიმართულების პირველ მომხრეთ იყო ერაზმ როტერდამელი. ამ ტანით პაწაწინა კაცმა დიდათ გამოუთხარა საძირკველი ძველ რელიგიურ და სოციალურ წყობილებას. საცინლათ იგდებდა ბერების ცრუ-მორწმუნებებს, მაშინდელ პედაგოგებს, სიბრიყვეს როგორც აად-აზნაურობისას, ისე გლეხ-კაცობისას. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ერაზმი, ეს ფირფიტანა კაცი, სთარგმნიდა ნემცურ ენაზე ძველი მწერლების და მამა-წმინდანების თხზულებებს და აერცვლებდა ხალხში. აგრეთვე სახარებაც გადმოთარგმნა თავის ბუნებითს ენაზე და მისცა ხალხს საშუალება გაეგო, თუ რას ასწავლიდა იესო ქრისტე. ამნაირი თავის მოქმედებით დადი სახელი ჰქონდა ერაზმს მთელ დასავლეთს ევროპაში. ამას მალლა უცქეროდნენ როგორც გერმანიაში, ისე ანგლიაში და ფრანციაში. თუმცა ეს ასე იყო, თუმცა ერაზმა თავის თხზულებებში ვრცლათ აჩვენებდა თავათ-აზნაურობის და უმეტესად სასულიერო პირების ბოროტმოქმე-

დებს, მაგრამ იმაზე კი არაფერს ამბობდა, რომ პაპა იესო ქრისტეს მოადგილე არ იყო, რომ თავად-აზნაურობა ქვეყნიურის ძალით არის და-არსებული და არა ზეციური ძალით. ამას იმოდენა ძალა და გაბედულობა არა ჰქონდა, რომ რასაც გრძნობდა და რაც გამოდიოდა იმის ქადაგებებიდამ, ის პირდაპირ ეთქვა. გაუბედველობა იყო მიზეზი, რომ ერაზმმა არ იკისრა რეფორმატორის როლი და დასჯერდა მოძრაობისათვის საჭირო ნიადაგის მომზადებელის როლს.

იმავე დროს, რა დროსაც მოქმედებდა ერაზმი, დიდი ბრძოლა ჰქონდა რეიჰლინს ძველი მიმართულებების მასწავლებლებთან და ბერებთან. ესეც დიდი მომხრე იყო ღვთის-მეტყველებითი მიმართულებისა. მაგრამ არც ამას შეეძლო რომ ხალხის სურვილი პირდაპირ გამოეთქვა და ამით გამხდარიყო მოძრაობის გმირი; არ შეეძლო მისთვის, რომ ამისათვის ქვეყანაზე არსებობდნენ მარტო წიგნები, რომ ხალხის ცხოვრება ძრიელ სუსტათ იცოდა, მაშინ რო-

დესაც ძრიელ იყო დახელოვნებული ბერძნული და ლათინური ენების ცოდნაში; — ვიმეორებთ, ხალხის ცხოვრება სუსტათ იცოდა რეიჰლინმა, მაშინ როდესაც ებრაელების ლიტერატურა ზედმიწევნით იცოდა და ცეცხლისავეთ აენტო, როდესაც გაიგო, რომ კელნში გადაეწყვიტათ სუ ყველა ებრაული წიგნების დაწვა. მართალია რეიჰლინს არ შეეძლო და არც იკისრა რეფორმატორის როლი, მაგრამ ჭკუა-გონების გაღვიძებისათვის, მომფიქრებელი საზოგადოების გამამაცებისათვის ბევრი რამ გააკეთა და ამით უკვედავი შეიქმნა კაცობრივობის ისტორიაში. აღვილი წარმოსადგენია, თუ რა გავლენა უნდა ჰქონოდა ხალხის ჭკუა-გონების გახსნაზე იმ მწერლების ბრძოლას, რომელიც რეიჰლინმა და ამის მომხრეებმა აუტყეს ძველი მიმართულების კაცებს და ბერებს. რეიჰლინის კარგმა მეგობრებმა გამოსცეს სახალხო სატირა შემდეგი სათაურით: «გაუნათლებელი კაცების წერილები»! ამ სატირაში მშვენიერათაჲრის გამოხატული ბერების და ძველი მიმარ-

თულების კაცების უვარგისობა და უმზგავსობა და ამით ისეთი გავლენა ჰქონდა მოხსენებულ სატირას მთელ დასავლეთ ევროპაზე, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. «გაუნათლებელი კაცების წერილების» შედგენაში მონაწილეობა ჰქონდა ულრიჰ გუთენს.

ჩვენ ზემოთა ვთქვით, რომ ბერძნების ლიტერატურის შესწავლამ გერმანიაში მიიღო დეთისმეტყველებითი მიმართულება, — რომ მეხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში ნემცები გამოუდგნენ საღმრთო წერილის და მამა-წმინდანების შესწავლას; მაგრამ ამით ჩვენ ის კი არ უნდა გვეთქვა, რომ ვითომ მოხსენებულ საუკუნეებში ნემცები საღმრთო წერილის და მამა-წმინდანების შესწავლის მეტს არას აკეთებდნენ, — არა, ჩვენ უნდა გვეთქვა მხოლოდ რომ ნემცები ამ საქმეს უფრო გამოუდგნენ, მინამ სხვას; თორემ ისინი სხვა საქმეებსაც გამოუდგნენ, მაგ. სახალხო პოეზიის გაძრიელებას. მართლაც მეხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში ბერძნების ლიტერატურის შესწავლის წყა-

ლობით ნემცებს უძლიერდებათ სახალხო ლიტერატურა.

ეს ლიტერატურა ნელ-ნელობით იწყებს იმის გამოთქმას, რასაც ხალხი გრძნობდა, რასაც ხალხი ფიქროდა თავის გამურცქენელებზე, თავის გარემოებაზე, მაშინდელ სოციალურ და რელიგიურ წყობილებაზე. მოვიგონოთ ბრანტის სახალხო თხუზულება: «სულელების გემო.» რას ვხედავთ ჩვენ ამ თხუზულებაში? მაშინდელ დროების დამზგავსებას—შედარებას გემთან, რომელიც გატენილია სულელი კაცებით. ავტორი მშვენიერათ ხატავს ყველა წოდების კაცების უმზგავსობას—უმეტესად სასულიერო კაცებისას. რაღა თქმა უნდა, რომ ამას და ამგვარ წიგნებს დიდი მოქმედება უნდა ჰქონოდა ხალხზე და კიდევაც ჰქონდათ. თვითონ ხალხმა დაიწყო ანდაზების შედგენა თავის მტრების წინააღმდეგ, მაგალითებრ-აი რომზე რა დაცინვა შეადგინა: ვისაცა სურს რომში წასვლა, იმან უნდა კეთილშობილება სახლში გაუშვას. ეხლა მოახლოვდა ის დრო, როდესაც

უნდა აღსრულებულიყო იულია ჩეზარინის სიტყვები, რომელიც მისწერა ბაზელის კრების დროს პაპა ეგგენი მეოთხეს. ეს ბოროტ-მოქმედებები და უწესურობები ხალხს ძრიელ აღელვებენ და თუ ჩვენ ეხლავე თავს არ უშველეთ და ბოროტ-მოქმედებები არ გავაქრეთ — შეიძლება ხალხმა იფიქროს, რომ ღვთის საქმეა სასულიერო პირების დედა მიწასთან გასწორება, და დაგვიწყოს ცუდათ მოქცევა.» მართლაც ეხლა ხალხმა სრულებით ამოირეცხა გული სასულიერო პირებზე და თავად-აზნაურობაზედაც. გერმანიაში ყველგან ისმოდა ხალხის გრგვინვა, ყველგან • ისმოდა, რომ ხალხს სურს მოიშოროს თავიდამ ძველი წყობილება. «რა ცხოვრებაა — ჩვენი ცხოვრება — დიდი და პატარა ჩვენ გვიკაკუნებს თავში; რა იქნება გამოვიდეთ ამ გაჭირებიდამ.» აი ამ სიტყვებს იმეორებდა ხალხი და დიდის აღტაცებით ყურს უგდებდა, როდესაც ზოგიერთი მომფიქრებელი კაცები უამბობდნენ, თუ რა საქმე ჩაიდინეს ანგლიაში ვიკლეფმა და ბოლოლიმ, ბოჰემიაში

ქაქამ და სხვა ჩიხებმა;—დიდას აღტაცებით ყურს უგდებდა ამ ამბებს და ტანში ჟრიანტელი მოსდიოდა. რაც შეეხება გერმანიის მომფიქრებელ საზოგადოებას, ის კიდევ რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო იკვლევდა ახალ აზრებს იმაზე, თუ რა ნაირათ უნდა შეიცვალოს ძველი ცხოვრება,—რა ხასიათი უნდა მიეცეს ახალ ცხოვრებას. ვისაც კი ცოტა რამ გონებითი ძალა ჰქონდა, ამაზე ყველა ფიქრობდა და იყო ერთ ჭკუა-გონების ვარჯიშობაში. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ ჯერეთ კიდევ არსად სჩანდნენ ისეთი კაცები, რომლებსაც ეკისრათ პირდაპირ მაღალი სიტყვის გამოთქმა ძველ წყობილებაზე და შესდგომოდნენ ახალ დაწყობილების დაარსებას. ესეთი კაცები ჩნდებიან მთლად მაშინ, როდესაც ახალი აზრები ძვალში და რბილში უჯდებათ მომფიქრებელ საზოგადოებას. ვინ იყვნენ ეს კაცები, როდის გამოჩნდნენ და რა ნაირათ უწინამძღვრეს ხალხს თავისუფლების მოვნაში, — აგრეთვე რა აზრებს ქადაგებდნენ და რამ-

დენ ნაწილათ განიყო გერმანიის მომთქრებელი საზოგადოება — ყველა ამას ვეცდებით დახატოთ ამ სტატიის მეოთხე განყოფილებაში. ეხლა კი მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ ერთ კიდევ საკურველ მოვლინებაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპელების ჭკუა-გონების განხსნისათვის. ჩვენ აქ ვამბობთ წიგნის ბეჭდვის მოგონებაზე. ეს რომ არ მომხდარიყო 1450 წელში, კიდევ ბევრი ხანი გავიდოდა, რომ ნემსებს არ მოენდომებინათ მინამ თაფის საძაგელ მდგომარეობიდან გამოსვლა. წიგნების ბეჭდვის მოგონება და ახალი აზრების სისწრაფით გაერცვლება დასავლეთს ევროპაში ერთი იყო. ამ დროდამ იწყობა მომთქრებელი საზოგადოების ენერგიული მოთქრება — ამ დროდამ ვრცელდება ხალხში საფუძვლები, რომლებითაც შეიძლებოდა თავიდან მოშორება სასულიერო პირებისა და თავად-აზნაურობისა. ამ დროდამ ზედი-ზედ გამოდის ახალ-ახალი წიგნები და შეაქვთ ხალხის ჭკუა-გონებაში სხვა და სხვა გამაცხოველებელი აზრები. საზოგადო

აზროვნებაც ეხლა იწყებს არსებას და ნელ-ნელაობით ტალღების სროლას, რომ რა არი ძირს დასცეს ძველი რელიგიური და სოციალური წყობილება და დაარსოს ახალი წყობილება. აი ასე დაეხმარა წიგნების ბეჭდვის გამოგონება დასავლეთის ევროპის მცხოვრებლებს—უმეტესად ნემსებს, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში გაბედვით გამოეთქვათ თავიანთი გულის პასუხი და დიდის ენერგიით შესდგომოდნენ იმ გარემოების თავის თავიდან მოშორებას, რომლებიც საშუალო საუკუნეებში უმწარებდნენ ცხოვრებას.

(შემდეგი იქნება)

ნ. ცხვედაძე

1872 წ.



და მდენიმე ხანა ზოგმიხა

« აჩრდილი »

IV

და მომევიღინა მე კაცი დიდი
მყინვარზედ მდგომი, მოხუცებული;
ვითა ქვეყანა სუც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაუიქრებული.
მის თეთრნი თმანი ძლიერსა მხრებზედ
სქლადგადმოშლილნი ბრწყინავენ მზეზედ,
უმანკო თოვლი მხოლოდ იმ მთების
მის თმის სითეთრეს თუ შეედრების.
მარჯვენა ხელით აჩრდილნა თვალნი
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა,
მის გარეშემო შენოდნენ მთანი
და მათ ფერხთა ქვეშ თერგი გაჰყევდა, —
თერგი მრისხანე, თერგი ბღვინვარე

აღმღვრეულთ ზვირთთა მიაქანებდა,
 ეთ შმაგი ლომი, დაჭრილი, ცხარე
 რბოდა, ბლავოდა, მიღრიალებდა, —
 ჰსტექდა და ჰქუხდა; კლდენი და მთანი
 თვის მშუოთვარს შეილსა გადმოჰყურებ-
 დნენ

და მის ბლავილთან მათი ყრუ ხმანი
 ხეობაშია მგზავრს აშინებდნენ.
 იქით შორს ჰჩანდნენ მინდვრები, ტყენი
 და იმათ შორის არაგვიც ჩვენი...

V

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!...
 ჩვენის ცხოვრებას მოწამედ შენ ხარ;
 შენს კიდევზედ ჩემი მამული
 იყო ერთ დროსა გამშვენებული;
 ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
 შენთა თვალთა წინ აღყვავებულა,
 მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
 აქ—შენს კიდევზედ დაბადებულა.
 შენთა ზვირთთ შორის ჩემის ქვეყნისა

გრძელი მოთხოვა დამარხულია,
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდევზედ გადასხმულია.

იქ, სადაც შენსა წმინდასა წყალსა
შეუზევ მღვრიეს და მღოვრსა მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართველის სიცოცხლე დუღდა,
იქ მამულისთვის ქართველის ხმა ჰქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰყენენ საუკუნენი
და საუკუნოდ

გულ-ხელ-დაკრეფით შენსა წმინდას წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს...
რას ვეძებდი მე? ჩემ-ქვეყნის წარსულს,
შენს წინ დაღუპულს ჩემს ძველს მამულსა
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალ უღს
აძლევდა გულის საკვდავს პასუხსა!...

VI

მაგრამ საკუთრად არც არაგვმა,
არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა
არ მიიზიდა მოხუცის თვალი,
იმ სიმაღლიდამ გადმოძნირალი.

სრულ საქართველო მოჩანდა შოჩსა,
 იგი მოხუცი მას დააცქერდა,
 ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა
 სიყვარულითა იგი დამზერდა.
 საიღამა ხარ? რამ მოგაელოინა,
 ჰოი საკვირველო კაცო, მითხარი?
 რად დაგიგდია შენ შენი ბინა
 და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?
 და რა ეჭსთქვი ესა, მსწრაფლვე მომესმა
 იმა მოხუცის დიდებული ხმა:

VII

«მარად და ყველგან, საქართველოვ,
 მე ვალ შენთანა,
 მე ვარო შენი თანამდევნი,
 უკვდავი სული;
 შენთა შეილთ სისხლით გული სრულად
 გარდამებანა,
 ამ გულში მე მაქვს
 შენი წარსული.»

მეცა ვტანჯულვარ, ჰოი ბედკრულო,
 შენის ტანჯვითა,
 შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი
 მიტირებია,
 წარტყვევნილი ვარ წარსულთ ღღეთა

 წარვლილთა ღღეთა შენთა მახსოვს
 დიდებულება,
 ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა
 მორჭმულ-ძლიერი,
 შენცა გფენია ქვეყნის მადლი—
 თავისუფლება..

.

VIII

. . . კაცად-კაცსა, ზნეობით მკლდარსა
 ქვეყნის ტკივილით არ ჰსტკივა გული...
 დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
 ღვთად მოუცია მარტო მამული;

დაჰვიწყებია, რომ დიდი არი
 ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
 რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
 ქვეყანასავე შეეწირება.

წმიდა არს იგი, ვისაც ეღირსა
 მამულისათვის თავის დადება!..

ნეტა მას ქველსა, ნეტა მას გმირსა!

ის თავის ხალხში აღარ მოკედება.

მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,

შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს

და არა ერთხელ ჭაბუკთა-ყრმათა

ხლმის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს;

იმ სიმღერას რა ისმენს მხკოვანი,

სიბერის ჟამსა კელავ მოიფონებს,

გმირის სიკვდილი სახელოვანი

ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;

აკვანზედ დედა უმღერის შეილსა

ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა, —

და — თუ ინატრებს რასმეს მისთვისა —

ინატრებს გმირის მის დიდებასა;

და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,

გმირს მოიგონებს და გამხნევდება, —
ყოველი იმღერს და სხვა მორკმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.

ილ. ჭავჭავაძე.



Quarum

ახალი ახალგაზდობა

I'll braw the form and model
of our battle, Limit each leader
to his several charge and part
injust proportion small power.

შექსპირი *)

I

ძველი თაობის დამხობა ჩვენში დღეს ბრძის-
თვისაც ცხადი საქმე შეიქნა. ჩვენი ხალხის და
საზოგადოების ცხოვრება, ამ უკანასკნელი
თხუთმეტი წლის განმავლობაში, იმ ნაირათ
დატრიალდა და შეიცვალა, იმას ისეთი მოთხოვ-
ნილება და საქმეები დაუხვდა გზაზე, ის ისეთ
დაბრკოლებებს წაატყდა, რომ ძველებურმა

*) ამინდა ჩვენი ბრძოლის სახე და პლანი დაკ-
ხატო, თითოეულ წინამძღოლს მისი მოკალეობა
შემოუსაზღვრო და სწორეთ გავანაწილო ჩვენი ძვი-
რედი ძალა!

ჰკუამ და გამოცდილებამ პირი დაალო, დამუნჯა და და ძალა-უნებურათ თავისი უვარგისობა და უმეცრება აღიარა. ვინც უწინდელ დროში, 1861-მდი, ჩვენს საზოგადოებას გონიერების, გამოცდილების, მოხერხების და ჰკუის მაღნათ მიაჩნდა, ვისიც სიტყვა და რჩევა შავი-ზღვიდამ კასპიის ზღვამდი განუხილავათ, უწინაღმდეგოთ, ბეჯითათ მიიღებოდა, ის დღეს ყველას საბრალო უმეცრათ, გაფლიდებულ მკითხავათ მიაჩნია. ჩვენი საზოგადოების დამრიგებლებს და წინამძღოლებს, ჩვენი ხალხის თავებს მაზანდა წაუხდრნა ახალი ცხოვრების ახალმა მოთხოვნილებამ. ამ სასიამოვნო უბედურებას ვერც იმათმა ჭაღარა თმამ უშველა, ვერც ძველმა დიდებამ. ყველაფერი შემუსრა და შეურაცხყო ახალმა დროებამ და მისმა დაუზოგველმა «მოთხოვნილებამ».

ან კი როგორ შეიძლებოდა, რომ მათი საქმე სხვათრივ წასულიყო? რითი დაემსახურათ ამ ვაჟბატონებს თავიანთი უწინდელი დიდება? რა ნამდვილი სიკეთე და სარგებლობა შეუძენიათ

იმათ სამშობლო ქვეყნისა და ხალხისთვის? რა ქველის-მოქმედება, რომელი გონიერი რჩევა და აზრი წინამოუბრბიდა მათ გავლენას? რა ღვაწლით, როგორი მოქმედებით, რა ნაირი ცხოვრებით დაიმსახურეს იმათ «სახელი» და ღიდება? ამ კითხვებზე პასუხს ვინ გამოძებნის! მათი გავლენა ღიდკაცობაში მღგომარეობდა, მათი ცხოვრება წინაპარების სამკვიდრებელის ფანტვაში მიღიოდა, მათი ღიდება სხვისი წყალობით ნაბოძევი იყო, მათი მოქმედება—ამ წყალობის ძებნაში იხარჯებოდა. იმათ საზოგადო მიზანი, სიკეთე, ღირსება, მომავალი სიზმარშიაც არ მოღონდებიათ. მათი მიზანი ნიადგ პიროვანი იყო, იმათ თავიანთი თავის და ნათესავეების ამალღება და გამღიდრება ნღომიათ, და საზოგადოებისთვის რჩევით და მაგალითით მარტო ეს კერძოობითი, ბინძური გამაცალცალკევებელი მიზანი უჩვენებიათ. —ამალღღით, გამღიდრღით, ვისაც კი შეგიძღიათ, ამბობდა მათი მაგალითი და ქაღაგება, დაწარჩენს კი—წინ წყალი და უკან მეწყე-

როის ეს იყო მათი სახარება, მათი მამაოჩენ-
 ნო და დაუჯდომელი. ამ მოქმედებას და საქ-
 ციელს არც დიდი სწავლა სჭიროდა, არც დი-
 დი გონიერება. ვისაც მელოური ხასიათი ჰქონდა,
 ვისაც წინაპარებისაგან საკმაოდ ადგილ-მამული
 დარჩენოდა. ის დიდებისა და გავლენისკენ გზას
 ნელ-ნელა ითელიდა. იმას მაშინდელი ცხოვ-
 რება ადვილათ ითვისებდა, აჯილდოვებდა და
 ამაღლებდა, და საზოგადოებაც, მისი ამაღლე-
 ბით გაკვირვებული, მის დიდებას და ამაღლებას
 მის გონიერებას და ჭკუას აწერდა. ის ვერ არ-
 ჩევდა იმ გზას და იმ საშუალოებებს, რომლი-
 თაც ამ პირებმა დიდებამდი მიაწიეს. ის საკმაოდ
 და ღირსეულათ ვერ აფასებდა იმ ღონის-ძიე-
 ბებს და დამდაბლებას, რომლის შემწეობით
 ამაღლდენ ეს პირები. ის მარტოდ ამაღლებას
 ხელაუდა და ფიქრობდა, — ალბათ გონიერი და
 სხვებზე უჭკვიანესი პირები არიან, თუ კი სხვებ-
 ზე უფრო მაღლა აფორთხვა მოახერხესო. აი,
 ეს გახლდა ჩვენი ვაჟბატონების გავლენის სა-

ფუძველი, ეს გახლავს მათი ძალის საიდუმლო კახრაკი და ძარღვი.

II

ღვთის მადლით ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები მოხდა, რომ მოთავე პირებს მარტო გაჩუმებით და წაყრუებით, ზურგის წახრით მოქმედება აღარ გამოადგებოდათ. ორმოცდა თუთხმეტის ომმა საზოგადოებრივი ცვლილებების საჭიროება გამოააშკარა. ამ ცვლილებებმა მამაპაპური ცხოვრება და ჩვეულებები შესძრა, ძველებური რწმუნებები მოჰკაფა, ახალი გაწყობილება კარზე მოგვაცენა. ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდამ შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა, და კაცის ხელით შეიცვლება. რისთვის დაწესებულა რომელიმე კანონი, სასარგებლოა ის საზოგადოებისთვის, თუ საენებელი, დარჩეს ის, თუ შეიცვალოს,

ან როგორ შეიცვალოს, რა დაარსდეს მის მაგიერ, — ეს კითხვები თურმე კაცის გონებით და მოაზრებით გამოიკვლევაო. ამას მიხვდა ჩვენი საზოგადოება და ჩვენი ხალხი. და როცა ამ კითხვებით ისინი ჩვენს ბრძენებს მიადგენ და პასუხი მოითხოვენ, ბრძენებმა, რასაკვირველია, ენაც ვერ გააჭაჭანეს, სული ჩაიბანდეს და გაიბერეს, ვითომდა ამის პასუხები ჩვენ კი ვიციოთ, მაგრამ არ ვიტყვიოთ. მაგრამ როცა საზოგადოებას საქმე გაუჭირდა, როცა ცვლილებები თვითონ ამ ვაჟბატონების ჯიბეებს და სალაროებს შეეხენ, გაქვსოთ სიცოცხლე მაშინ კი ალაპარაკდენ, მაგრამ როგორ? მათმა ლაპარაკმა და ყვირილმა, მათმა მოქმედებამ მათი განუზომელი უმეცრება და ანგარება გამოააშკარა; საზოგადოებამ მათში მარტო ხეპრული თაემოყვარეობა და უგუნურება დაინახა, მეტი ვერაფერი. და თან და თან უფრო და უფრო აშკარათ გამოჩნდა, რომ როცა საქმე მთელი საზოგადოების ბედს და მდგომარეობას, მომავალს და არსებობას შეეხებოდა, ეს ბატონები

მარტო საკუთარ ჯიბეებზე.
ზრუნავენ, მარტო საკუთარ სარგებლობას ეძებ-
დენ, და ამ ძებნაშიაც თვალ ახვეულ ჯაგლაგ-
სავით ფორხილებდენ, სცდებოდენ და ხანდის-
ხან საკუთარ დიდებასაც ჰკარგვიდენ. ერთი სიტ-
ყვით გამოჩნდა, რომ ამ ბრძენებს არც ცოდნა
ჰქონიათ რისიმე, არც ნამდვილი, გამოსადეგი
გამოცდილება, არც საკმაო გონება, და პატიო-
სანი საზოგადოებრივი გრძნობა, რომ ხალხისა
და საზოგადოების საქმისთვის ეპატრონებიან
და თავი მოებათ. მათი დიდება გამოიფშუტა,
მათი გავლენა გაქრა, მათი სახელი დაივიწყა.
დღეს მათი დამნახავი საზოგადოება სწორეთ
იმას გრძნობს, რასაც გრძნობს მოზდილი ქალი,
როცა უცაბედათ ძველ სკივრში დამტვერიანე-
ბულ დედოფალს წაეყრება, რომელიც იმას
სიყმაწვილეში სულდგმულ გევამათ მიაჩნდა, რო-
მელსაც ის ეფერებოდა, ეთავაზებოდა, ემუსაი-
ფებოდა და ეალერსებოდა, და რომლის გახუნე-
ბული წითელ-ყვითელი ტანისამოსი დღეს მის
პირის სახეზე მწარე შებრალების ღიმილს სძრავს.

ამ უბედურმა თაობამ, თავის უკანასკნელ მოქმედებებში, იმოდენა უხეირობა და სისუსტე გამოიჩინა, რომ შებრალების მეტი აღარათფერი გრძნობა არ ეძვრის გულში ჩვენი დროების კაცს. როგორც წყალ-წადებულ კაცი ხაესსა და ლანდს ხელს სტაცებს და სიპს, ან როკს ეჯახება, ისე ამ ძველმა თაობამ ხელი წაავლო ყველაფერს, რაც კი იმის თვალ წინ მიჰქონდა ცხოვრების აღელვებულ ტალღას. —

მოინდომა იმან ბანკის დაწესება, იბზუა, იტრიალა, და დაამკვიდრა მარტო თავისი უცოდინარობა და ანგარება. ისურვა მთავრობის დახმარების თხოვნა, სასწავლებლების გამართვისთვის, და დაიმსახურა მარტო საზოგადო შეურაცხყოფა. ერთი სიტყვით ყველაფერს მოეპოტინა ეს თაობა, და ვერაფერს ვერ მოჰკიდა ხელი, ყველაფერი მოინდომა, და ვერაფერი გაართვა, ვერაფერს მისწვდა, ვერაფერი დაამტკაცა, თავისი საკუთარი უძლურების მეტი.

III

ამან გაუთხარა სამარე ამ საბრალო თაობას. არა მგონია, რომ ოდესმე საქართველოს ხალხმა ეს თაობა სიკეთით მოიხსენიოს და ძეგლი დაუდგას, მაგრამ კარგი კი იქნებოდა, მომავალი თაობების სამაგალითოდ, ამ თაობის მოთავე, პირებს რომ ძეგლი აუშენოს ჩვენმა ხალხმა, და ზედ ეს ზედწარწერა ამოსკრას: «აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარგებლობა ღმერთად მიაჩნდა, რომელიც ბრმათ ატარებდა თავის სიცოცხლეს და დაბრმავებისგამო ახალი ცხოვრების ფეხ-ქვეშ გაითელა.» და თუ ძეგლი არ იქნა, იმაში კი მტკიცეთ დარწმუნებული ვარ, რომ ისტორია, თუ ჩვენ ოდესმე ისტორიის ღირსნი შევიქენით, სიტყვა-სიტყვით ამ ზედწარწერას გაიმეორებს და იმით ღირსეულათ დადაგავს ამ ბედშავ თაობას, რომელსაც ჩვენი ხალხისთვის ვნებისა და სიმწარის მეტი არა გაუჩივებია რა.

IV

აქ შესანიშნავი და დაფიქრების ღირსი ის გარემოებაა, რომ ამ თაობის ჩაქოლვის და დამხობის მიზეზი უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლა. ჩვენ იმოდნათ პირუთნელი და გულწრფელი უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი საკუთარი მოქმედების და გავლენის დაფასება უნდა შეგვეძლოს სწორეთ იმ თვალით, როგორითაც დაგვაფასებს ჩვენ შემდეგი თაობა და მომავალი ისტორია (ვიმეორებ, თუ ჩვენი ხალხი როდისმე ისტორიის ყურადღებას დაიმსახურებს). ამ თვალთ რომ შევხედოთ ჩვენ იმ ახალ თაობას, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში 1861 გამოვიდა, დავინახავთ, რომ ამ თაობას ძლიერ მცირედი გავლენა და მოქმედება ჰქონია, არა თუ მარტო ხალხის ბედზე და ცხოვრებაზე, მაგრამ მის გონებაზე და ძველი თაობის დამხობის მიზეზებზედაც. უმაიაერესი გავლენა, უძლიერესი მებნი თვითონ ცხოვრების შეცვლას, ახა-

ლი წესის შემოღებას ჰქონია, და ახალ თაობას ის სარგებლობაც ვერ მოუპოვებია, რომელსაც იმას ხელში ცხოვრების მიმდინარეობა აჩეჩებდა.

.

. 1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზდური აღტაცება, მაგრამ, როგორ ან რისთვის დაემართა, რომ ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი, — ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლელიც იყო და რაზმიც, ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლელი იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედგა ამ თორმეტი წლის წინათ? თვითონ ეს თაობა დამზადებული როდი იყო ძველ თაობასთან ბრძოლაში შესაბამელათ. იმას გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება; საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებები, იმან არ იცოდა

თუ რა და რა ცვლილებას თხოულობდა ხალხის მდგომარეობა, რა ნაირ მოქმედებას და დისციპლინას თხოულობს ბრძოლის საქიროება, ის ერიდებოდა ძველ თაობას, ან, მართალი ვთქვათ, ეშინოდა მისი. მარტო ერთი მხრით შეეძლო ამ თაობას ძველის დაჩაგვრა და დათრგუნვა, — იმ მხურვალე სიყვარულით, რომელიც ახალგაზდა გულში უნდა ღვივოდეს საზოგადო ბედნიერების და საქმისადმი. ამ გრძნობამ, ამ სიყვარულმა აამალლა ეს თაობა საზოგადოების თვალში, და შეავსო მისი ნაკლულოვანება ცხოვრების ცოდნაში. როცა ძველი თაობის საკუთარი სარგებლობის ძებნას გვერდსამოუდგა ახალი თაობის საზოგადოებრივი გრძნობა, ძველმა თაობამ უნებურათ, უგრძნობელათ თავი დახარა და უნდომელათ დაიწია. ეს გავლენა ჰქონდა 1861 წლის თაობის «სიტყვას», და ეს «სიტყვა» იმაში მდგომარეობდა, რომ გონებაგახსნილი, დაწინაურებული კაცის უმთავრესი ვალია თავისი ხალხის და საზოგადოების დახმარება და ბედის გაუმჯობესება.

ამ «სიტყვამ», ამ აზრმა გზა გაიკვალა საზოგადოების ტენისკენ. . . . მაგრამ ამ თაობის ნაკლულევენება იმაში მდგომარეობდა, რომ მის ნიჭიერ და გონიერ წარმომადგენელს, ილ. ჭავჭავაძეს, დაზნებარე და თანამოზიარე ბევრი არაფერს უყვებოდა. მის თანამშრომლებს, საზოგადოთ რომ ეთქვათ, არც დიდი ნიჭი ჰქონიათ, არც დახელოვნებული ცოდნა. ისინი რიცხვითაც მცირენი იყვნენ და ძალითაც, ისე რომ ჭავჭავაძეს მარტო სიტყვით, წერა-ბეჭდვით შეეძლო, ისიც ცოტა ხნის განმავლობაში, თავისი მიზნის სდევნა. და თუმცა იმის მოქმედებას ფუჭათ არ ჩაუფლია, თუმცა იმას გვარიანი კვალი დაუტოვებია ჩვენ ცხოვრებაში, ის როდი უნდა დაევიწყოთ, რომ მაშინდელი გარემოებებს და ჭავჭავაძის ნიჭსა უმეტესი გავლენის მიცემა შეეძლოთ ჩვენი ახალი თაობისთვის, და უმძიმესი მეხის დაცემა უნდა შეძლებოდათ ძველი თაობის მდგომარეობაზე და გავლენაზე.

V

რათ დაემართა ჩვენ ახალგაზდობას ამნაირი უბედურება, რა მიზეზი იყო, რომ იმან ვერ დაიკავა ჩვენ ცხოვრებაში ის ადგილი, რომელიც თითქო საგანგებოთ დაუქზადა იმას ბედმა და გარემოებამ?

ეს ადვილათ ასახსნელი და გამოსაძიებელი კითხვაა. თითოეულ დროებას, თითოეულ თაობას თავისი საკუთარი საქმე და საჭიროება მოსდევს. ხანდისხან საზოგადოებას ეკონომიური მდგომარეობა აწუხებს, მაშინ ის კანს იცვლის თავისი ეკონომიური გაწყობილებით, და ამ დროს საჭიროა ისეთი თაობა, რომელსაც ეკონომიური ცვლილებების მოხდენა და გამოყენება შეეძლოს. სხომის საზოგადოება გარეშე მტერს ებრძვის, მაშინ ის იტანჯება ბრძოლის ველზე, და ამ დროს საჭიროა სამხედრო სწავლაში დახელოვნებული თაობა. მშვიდობიანობის დროს, როცა ეკონომიური ცვლილებები ხეირიანი ღებებიან, ხალხი მშვიდობიანათ

შრომობს და ცხოვრობს, მაშინ საჭიროა მწარ-
მოებელი თაობა, შრომაში გამოცდილი, აღებ-
მაცემის მკოდნე, გზების და გამსაღებელი აღ-
გილების გამომძებნელი. მაგრამ თითქმის ნია-
დაგ როგორც მშვიდობიანობის ისე ბრძოლის
დროს, როგორც ცვლილებებში, ისე მკუდ-
როებაში, საჭიროა ახალი თაობის აღმზრდელი
პირები, საჭიროა სამოქალაქო და პოლიტიკუ-
რი გაწყობილების მკოდნე მოთავეები. როცა
საზოგადოებას უეცრათ რომელიმე ამ პირებ-
თაგანი სჭირდება, მაშინ მის თვალში და ცხოვ-
რებაში ძალა და გავლენა იმ თაობას ეძლევა,
რომელსაც შეუძლია საჭირო პირების წარმო-
დგენა და მოხმარება. საზოგადოება იმას არა-
სოდეს არ დაეძებს, ახალთაობას ეკუთნის საჭი-
რო პირი თუ ძველს, ნამეტნათ ახალგაზდაა ის,
თუ შუა კაცია, ანა და მოხუცი. იმას ეს პირი
სჭირია, ის სარგებლობს მისი ცოდნით და მო-
ხერხებით და უჯერებს იმას, სანამ ის მისთვის
საჭირო და გამოსაღვეია. იცვლება დრო და
გარემოება, საზოგადოებას სხვა საჭიროება კარს

ადგება, ის სხვა პირებს ეძებს და უჯერებს, სხვა მიმართულებას იღებს. ასე ბრუნავს საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ ბრუნვაზეა დამოკიდებული სხვა და სხვა თაობის ზედმოქმედება საზოგადოებაზე, სხვა და სხვა მიმართულების გამარჯვება და ამაღლება საზოგადოების ცხოვრებაში. ძალა და გავლენა იმ მიმართულებას და იმ თაობას ეძლევა, რომლის აზრი უფრო ნათლათ სცნობს ცხოვრების გარემოებებს და რომლის წევრები უფრო მტკიცეთ დამარაგებული არის ამ გარემოებების გასაგებათ, მოსაგლეჯათ და შესაცვლელათ.

მაშასადამე, ჩვენში 1861 წლის თაობას, ისეთი წევრები სჭაროდა, რომელნიც დაუზადებელი და გაჩვეული ყოფილიყვენ მაშინდელი საზოგადოებრივი საქმეების მმართველი საუბედუროთ ეს თაობა ჩვენ ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და

სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა, და გონების იარაღით იმას მარტო ორიოდ შეტნაკლებათ ნათელი აზრი მოუძღვიდა: გლეხების გათავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უფარვისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მაღლა დადგა, ეს ერთი მხრით ძველი თაობის განუკურნებელ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და ღამეორეს მხრით გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამალღება. მაშინდელს ჩვენს ახალგაზღვრებს ხეირიანი დამზადება და იარაღი რომ გამოჰყოლოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსვლის დროს. რათ არ გამოჰყვა იმას ეს დამზადება და იარაღი?

VI

ამის პასუხს ჩვენ ადვილათ მოვძებნით, თუ კი გაკვრით თვალს გადავაკვლებთ იმ მდგომარე-

რეობას და გარემოებებს, რომელშიაც იზდებოდა მაშინდელი ჩვენი ახალგაზდობა.

ნუ დავივიწყებთ, რომ როცა ეს ახალგაზდობა სწავლას შეუდგა, ჩვენ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ ისმოდა გაუმჯობესობის საჭიროება და სურვილი. სწავლის მიმზიდველი ძალა, იმ დროს, მართლ იმ უპირატესობაში მდგომარეობდა, რომელსაც დიპლომები და «განათლების ბზინვა» ახალგაზდა კაცს სამსახურის ასპარეზზე აძლევდა. დაობებულს, უმოძრაო ცხოვრებაში აღზრდილ ახალგაზდას გზაენიღენ უნივერსიტეტში, სადაც საკმაო მოძრაობა არ ეძლეოდა ახალი მიმართულების ძალას. ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავრი ტენი დაჰყოლოდა, ის თვითონ იკათვება გონების გახსნის გზას. იმას როდი აკმაყოფილებდა ადამისწლის პროფესორების დაძველებული და მამაპაპაური ლექციები, იმას არ აძინებდა დიპლომის იმედი და მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელნიც ყოველი ხეირიანი ახალგაზდის გონებაში ჯგუფ-ჯგუფათ იბადებიან და

ჰასუხს მოუსვენარათ ეძებენ. ამისთანა ყმაწვი-
ლები თვითონ თავიანთი შრომით და გაგებუ-
ლებით, შეუდგენ გონების გამხსნელ სწავლას,
რომელსაც არაერთარი კავშირი არ ჰქონდა
პროფესორების ლექციებთან. ცხოვრების დაკვი-
რვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით,
ფიქრით, ბაასით, მოქმედებისა და წერის ცდით,
მეცადინეობდნენ ესენი, დამზადებულიყვნენ ჩვენი
ხალხის სასარგებლო მსახურებათ, და, რამდენა-
თაც კი მაშინდელი გარემოებები და მათი ნი-
ჭი იმათ ამის ნებას აძლევდნენ, კიდევ დაემზა-
დნენ. ამგვარი იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავა-
ძის და ზოგიერთი იმ დროის ახალგაზდების
დამზადება. სხვები, ნაკლები ნიჭისა და ჭკუის
პატრონები, ძველ გატყეპნილ გაზას შეუდგენ.
იმათ ლექციები იზებირეს, ოთხი-ხუთი წელიწა-
დი ყური უგდეს იმის დაწვრილებით აწერას,
თუ სეზოსტრისმა ვინ სად დაამარცხა, ანა და
რას ფიქრობდა ივანე მრისხანე, როცა თავის
საკუთარ შეიღოს გაბრაზებული ჰკლავდა, ანა
და კიდევ, რა და რანაირი უღვაში და ფერი

აქვს სხვა და სხვა გვარ პეპლებს, კიბორჩხლებს და მორაელებს. უქველია, ეს კითხვები მეტისმეტათ შესანიშნავია კაცობრივობის მეცნიერებაში. და იმათ გამოუკვლეველათ ფებს ვერ გადაადგამს თანამედროვე ფილოსოფია, თანამედროვე სწავლული. მაგრამ ჩვენი პროფესორები და მათი ყურის მგდებელი ახალგაზრდები ივიწყებდნენ, რომ აუღიტორიაში ას ქამენელზე იქნება მარტო ერთი იყოს ისეთი, რომელიც სწავლის წინა-წაწევას და ფილოსოფიას შეუდგებოდა, და რომელსაც, მაშასადამე, ეს წვრილმანი ფაქტები როდესმე გამოადგებოდა. დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი კაცი კი ცხოვრებაში სამოქმედოთ, საზოგადოებაში სასამსახუროთ ემზადებოდა, და იმათ მორიელების კუდის გამოხატვა კი არა, თვითონ ამ საზოგადოების გაცნობა, მისი საჭიროების გამოკვლევა, მისი საექიმო საშუალებების გამოქვანა საჭიროდით. უფასოთ, უნამყოფოთ, უსისტემოთ, უცსებდენ თავს ახალგაზრდებს ამისთანა წვრილმანი ფაქტების სიმრავლით, თითქო ეს ახალგაზრდები თვრამეტ-ცხრამეტი

წლის მოსწავლეები კი არა, დახვეწილობის მქონე მეცნიერები ყოფილიყვნენ, რომელნიც კერძო ფაქტების მნიშვნელობას თვითონ იგებენ და ღირსეულათ აფასებენ. იმის მაგიერ, რომ ეჩვენებიათ მოსწავლისთვის თანამედროვე მეცნიერების აზრი, მისი მიმართულება და დასკვნები, მოსწავლას თვალწინ, მომაკვდინებელი სიზანტით და მიმძინებელი უნიჭობით იმ გზას ხატავდენ, რომლითაც უფლია მეცნიერებას, იმ იარაღს სწერდენ, რომელიც იმას უხმარია, და იმას კი არ ამბობდენ, რა გამოძებნა მეცნიერებამ, რა დაამტკიცა, რა შესცვალა და, განსაკუთრებით, როგორ უნდა შეიცვალოს ეხლანდელი ჩვენი ფიქრი და რწმუნება, ჩვენი ცხოვრება და განწყობილება, რომ მეცნიერების დასკვნას დაეთანხმოს და მისი საუნჯით ისარგებლოს კაცობრივობამ. მოსწავლის მეხსიერებას ათი ათასი უმნიშვნელო ან წვრილმანი ფაქტების დამახსოვრებით ღალავდენ, მოაზრების ჩვეულებას კი მასში არაფერს სძეროდა. ამასგარდა უარესი ვნება იმას მოჰქონდა, რომ ფაქტებით ტიკ-

ჭორასავეით გაბერილ ახალგაზდაში არაეინ ზნეობით მხარეს არ ზდიდა. მოსწავლეს ჭაკტებს აჩვენებდენ, მაგრამ არაეინ არ სცდილობდა მასში ხასიათი და ზნე აეზარდა, პატიოსნების კანონები გულში ჩაენერგა, პატიოსანი შრომითვის შეეჩვია და მოქმედების მიზნათ მხურვალე საზოგადოებრივი გრძნობა დაეარსა. მარტო სწავლა, რაგინდ სრული და მტკიცე იყოს, კაცს კაცად ვერ გახდის, თუ იმას გრძნობა და ხასიათი არ მოსდევს, თუ მის მოქმედებას მტკიცე ბეჭედი არ ასვია. ამას იფიწყებდა უნივერსიტეტის სწავლა. ის სრულადაც არ ეხებოდა მოსწავლეებს ზნეობითი მხარის გაკეთილშობილებას, ის ახალგაზდა კაცს ცხოვრებას და მოქმედების მიზანს, იდეალს არ უხატავდა, ის მასში კაცურ ხასიათს არ ზდიდა და დაუღალავ ნიადაგ შრომას, მტკიცე გზაზე სვლას, მიზნის დაუფიწყებლობას არ აჩვენებდა. ამისგამო უნივერსიტეტებიდამ გამოდიოდენ ახალგაზდები, რომელთაც გაცნობილი ჰყავდათ პეპლები და ბუზანკალები, იუსტიანიანის ინსტიტუტებოც ეგვიპტელი მო-

ნუმენტები, მაგრამ ნამდვილი ცოდნით, საზოგადოებრივი მეცნიერებით და სამოქმედო ხასიათით თვითონ პეპელებზე უფრო სუსტათ იყვნენ და ეგვიპტელი მონუმენტებსავე უსარგებლო უნდა გამომდგარიყვნენ საზოგადოების ცხოვრებაში. მართლაც უმეტესი ნაწილი ამ თაობისა პეპელასავე დაჰქრიდა ქუჩა-ქუჩა და დღეში თხუთმეტ-ჯერ ტან-საცმელს და აზრს იცვლიდა, სანამ ცხოვრების საჭიროებამ და გარემოებამ ისინი მონუმენტების მაგივრათ არ გახადა, არ გააშაფა და გააქვა.

VII

მაგრამ ვიმეორებ, თუმცა ახალი თაობა ისე სუსტათ დამზადებული და დაიარაღებული გამოვიდა, თუმცა მისი ძალა თითქმის მარტო ერთი კაცის ძალაში მდგომარეობდა, თუმცა ამ თაობამ ის ადგილი ვერ დაიკავა, რომელიც მისთვის გარემოებებს დაემზადებია, ჩვენი საზოგადოების ცხოვრება იმ რიგათ მობრუნდა და შეიძლება, რომ ძველ-თაობას მუხლები მოესხ-

ლიტა და ახალ მიმართულებას ასპარეზი თავისუფალი ხედება და რჩება. ჩვენი ახალგაზდობა მეტის-მეტათ შეცდება, თუ დაივიწყა, რომ ამ ბედნიერი მდგომარეობის მიზეზი და წყარო მართო იმ ეკონომიურ ცვლილებაში კი არ მდგომარეობს, რომელიც გლეხ-კაცების ბედის შეცვლამ მოახდინა. მართო ეს მიზეზი რომ ყოფილიყო, ძველი თაობა ამაყათ და მარჯვეთ ჩაჩუმდებოდა, იტყოდა, ძალას ვემორჩილებიო, ანა და ცვლილება მე თვითონ მომწონსო. არა. ძველი თაობა კიდევ და უფრო მეტათ მეორე გარემოებამ მოჰკლა, ისე მოჰკლა, რომ თავის დღეში აღარ მოესწრება არც იმას, არც იმის მსგავს თაობას მკვდრეთით აღდგომა და ამაღლება. ეს მეორე გარემოება აი რაში მდგომარეობს.

ყოველი ძველი თაობის ძალა, არათუ მართო ჩვენში, მაგრამ ყოველგან დედა-მიწაზე, იმაში მდგომარეობს, რომ ეს თაობა აპატრონდება მათელი წარსული ხალხის ცხოვრების სამკვიდრებელს. წარსული დროების მოაზრებები, მწერ-

ლები, აზრები და ჩვეულებები, წარსული დიდება და შეძლება, იმათი სიტყვით, მათი საკუთარი იარაღი და სამკვიდრებელია. ვინც ახალ აზრს შემოიტანს, ახალ ცვლილებას მოითხოვს, ახალ წესს ურჩევს, იმას ყოველთვის ძველი თაობა უწინდელ გმირებს და უწინდელ დიდებას ცხვირში ატაკებს და ეუბნება. «მაშ თქვენ თქვენი თავი იმათზე უფრო ჭკუიანი და გონიერი გგონიათ, რომ იმათგან დაწესებულ ჩვეულებას არ იწონებთ და სცვლითო? მაშ თქვენ ძველი მამაპაპური აზრი არ მოგწონთ, მაშ თქვენ ძველი სჯული არა გწამთო!» ეს სიტყვები ყოველთვის აჩერებდნენ საზოგადოებას და უშველებელ დაბრკოლებას უყენებდნენ ყოველ განახლების ცდას, რადგანაც საზოგადოებაში თანაგრძნობას უკარგავდნენ. დღეს საქმე სხვა მდგომარეობაშია. დღეს რომელიმე ძველი თაობის მოთავემ რომ ამ სიტყვების თქმა გაბედოს, ჩვენ თაობას მისი ტყავის გართმევა შეეძლება, და საზოგადოების თანაგრძნობა ჩვენი თაობის მხრით იქნება. მართლაც, რა სამკვიდრებელი

დარჩა ჩვენ ძველ თაობას? ეკონომიური მხრით იმას გაღარიბებული და გატყავებულა ხალხი და უმოქმედო, უხეირო აზნაურობა ღუპავს. პოლიტიკური მხრით—ზნე დაცემული, გაცალ-ცალკეეებული საზოგადოება, რომელსაც არა თუ ძველი გმირების სული დაუკარგავს, მათი სახელიც არ ახლოვს. ზნეობითი მხრით—გაფ-ლიდებული უხასიათობა, დაცემული ხელის-ლოკვა, ძლიერის თაყვანისცემა, სამართლიანო-ბის დავიწყება, ლიტერატურული მხრით— და-ცემული მწერლობა, დავიწყებული ენა, დაფან-ტული და დამახინჯებული ძველი ლიტერატუ-რა. გონებითი მხრით—სრული უაზრობა, ძველი ჩვენი ისტორიის უცოდინარობა, ახალი ცხოვ-რების გაუგებრობა. რომელ დიდებაზე მიგვითი-თებს ჩვენ ძველი თაობა? იმან თვითონ თავისი საკუთარი ხელით დაამხო და მტვერი წააყარა ამ დადებას, და იმათზე უფრო გულ მწველათ იხსენებს ამ დადებას ჩვენი, და არა მათი, თა-ობა. რა საუნჯეს დაგვანახებს, რომელ გმირს წარმოგვიდგენს, როგორ ლიტერატურულ მოძ-

რაობას, რომ ჩვენი გაჰკიცხვა და გააზღე-
ბის სურვილი წალაგმოს? არაუერს, არცერთს,
ის ხელცარიელია, გაკოჭრებულაა.. იმას თვი-
თონ აღარ სწამს თავის საკუთარი ღმერთები.
იმას თავის საკუთარ თვალში მოჰკვდომია თა-
ვისი რწმუნება და იმედი. ვინ იხსენებს დღეს
ანტონ კათალიკოზს და მის მსგავს კერპებს?
ვინ გაბედავს მისი სახელით თანა-მედროე მეც-
ნიერების შეურაცხყოფას? ვის არ ჩაუკენეტს ენას
ერთი უბრალო შენიშვნა: «თუ ჩვენი ანტონ
კათალიკოზი იმისთანა ღვთისგან ჩაგონებული
გმირი იყო, რომლის სიტყვა მთელ ეხლანდელ
მეცნიერებაზე უფრო მალლა უნდა იდგეს, რათ
ვერ მოიგონა იმან რკინის გზა, ან ტელეგრა-
ფი, რათ იკლავდა თავს ჯორზე ჩანჩალით,
რათ ჰკლავდა შიკრიკებს თავისი ბარათების გზა-
ვით დაიმაღლო, თქვენ ხეპრებო, თქვენი ანტონ
კათალიკოზით,» წარუდგინეთ ეს აზრი რომელ
გლესსაც გინდათ, რომელ აზნაურსაც გსურ-
დეთ, — ვაჭრებზე რაღა ვილაპარაკოთ, — და ნა-
ხავთ, თუ ის თქვენ არ დაგეთანხმოს და არ

სთქვას:—რა ბრძანებაა, ბატონო, სად მაშინდელი სწავლა და დრო, და სად ეხლანდელიო! ყრუ დრო გახლდათ, ჭკუიანი კაცები იყვნენ, მაგრამ სწავლა არ ჰქონიათო. იმათი სწავლა და დარიგება დღეს რაღა გამოსადეგიაო.»

აი ეს გარემოება ჰკლავს ჩვენში ძველ თაობას. ახალი მიმართულება, ახალი თაობა შემოდის ჩვენ ცხოვრებაში, ეხლანდელი მეცნიერების დახმარებით, როგორც ამ მეცნიერების წარმომადგენელი, მისი იარაღით აღჭურვილი. და ის სასწაულები, რომელიც ჩვენ ხალხს და საზოგადოებას ამ მეცნიერებამ დაანახა, ისეთნაირათ შედმოქმედებენ ხალხისა და საზოგადოების გონებაზე, რომ არცერთ ჯინჯილს, არცერთ ძველ ხელნაწერს, არცერთ ჭაღარათმიან თავს მისი ამოხოცვა და შეცვლა არ შეუძლია. ახალმა მეცნიერებამ, თავისი ორიოდე მოგონების ჩვენებით, მოჰკლა ძველი მიმართულება, ძველი სული და თაობა, და, იმედია, სამუდამოთაც მოჰკლავს ძველ ცხოვრებას. თუ ახალმა თაობამ

ახალ მეცნიერებას, ხელი გაუწყო და მისი მასა-
ლები ხეივანათ გამოიყენა. როგორ?

VIII

ახალმა მეცნიერებამ ჩვენში მარტო ცალი
ფეხი შემოადგა. ის შემოვიდა ჩვენში მარტო
თავისი ტექნიური მხრით, შემოვიდა რკინის
გზით, ტელეგრაფით, ცეცხლის გემით და სხვ.
იმან გაიმარჯვა მით, რომ ყველასთვის უეჭვო
და ცხადი შეიქნა, რომ ვერაფერი თოხარიკი,
ვერაფერი ხარ-კამბეჩი ვერ იმოქმედებს იმდენს,
როგორც ერთი უბრალო ორთქლ-მაფალა. ეს
აზრი ჩაიჭრა ხალხის ტვინში. უწინდელ დრო-
ში რომ ეს საქმე მომხდარიყო, ორთქლმაფალას
სასწაულებას მიაწერდენ და იტყოდენ, აი ბა-
ტონო, ილია წინასწარმეტყველი რომ ზეცას
ცეცხლის ეტლით ავიდაო, ეს ყოფილა თურ-
მეო. მაგრამ დღეს ყველა ხედავს, რომ ორთქლ-
მაფალა კაცის ხელით გაკეთებულია, კაცის გონ-
ებით გამოგონილია, და ყველამ იცის, რომ
მამა აბრაამს ის არ ჰქონია, და მამა იაკობი

აქლემებით დაიარებოდა. ეს დიდი საქმეა, ეს გარემოება ბევრ ცრუ მოჩვენებას სპობს და მოსპობს ხალხის ტვინში, და ღრმათა შესცვლის მის აზრს და მოქმედებას. მაგრამ არის ისეთი მხარე თანამედროვე მეცნიერებისა, რომელსაც ჯერ ჩვენში ფეხი არ შემოუდგამს. თანამედროვე მეცნიერების მთელი ნახევარი, ის ნახევარი, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას შეისწავლის და მისი გაუმჯობესობის გზებს იკვლევს, ჯერ არ მოჩვენებია ჩვენ საზოგადოებას. ეს მხარე მეტის-მეტათ შესანიშნავი და გავლენიანია. ეს სწავლა პრაქტიკულათ გამოსადევია ჩვენი საზოგადოებისთვის, მით, მაგალითად, რომ გვიჩვენებს, რამდენი უსარგებლო ვაი ვაგლახას აცილება, რამდენი მძიმე გაჭირვების გვერდის ახვევა, რამდენი ხეირიანი ძველის გამოყენება, შეიძლება, გონიერათ რომ იყოს გაწყობილი საზოგადოების ცხოვრება. ეს სწავლა ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი წესიც კაცის ხელით შექნილია, რომ ის ათასჯერ შეცვლილა და ნელ-ნელა გაუმჯობესებულა, რომ კაცობრივ

ეობას ბედით როდი დაჰყოლია ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება, რომ სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია, რომ კაცობრივობა ერთ დროს ისეთნაირათ გაიწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავინ სხვას ტვირთათ არ აწევს, სხვისი შრომით არ ჩხებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და ძალისა და გვართ ტვირთს უადვილებდეს. ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ ეს სწავლა აარსებს საზოგადოებრივ გარმონიას, გონიერ ერთმანერთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას. ბევრი ამ სწავლის აზრებთაგანი ცხოვრებაში შევიდა, განხორციელდა, გამოდგა და გაძლიერდა. სხვების რიგც მალე მოვა, და ნამეტნათ შორს არც ის დროა, როცა მთელი ეს მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელ სწავლათ შეიქნება.

აი, ამ სწავლას უნდა მოსთხოვოს ჩვენმა ახალმა თაობამ ის საშუალება და იარაღი რომლითაც საბოლოოთ უნდა დაიმხოს ჩვენი ცხოვრების ძველებური კილო და ჩვენი ძველი თა-

ობის უკანასკნელი ნავსაყუდი. როგორც რკინის გზა ანტონ კათალიკოზის ფილოსოფიას ბოლოს უღებს და უმოწყალოთ სრესს, ისე საზოგადოებრივი მეცნიერების ნაყოფის შემოტანით ბოლო უნდა მოუღოს ჩვენმა თაობამ მამაპაპურ უხეირო ჩვეულებებს და გაწყობილებას. ჩვენმა ახალმა თაობამ ეს მეცნიერება რომ ისწავლოს და მისი დასკვნები და მაგალითები გაახორციელოს და ეხლანდელი ჩენი ცხოვრების ყვაფილები გვერდში ამოუყენოს, ბრძებაც კი დაინახვენ, რომ ძველმა ცხოვრებამ ბარგი უნდა აიკრას და სამარისკენ გაემგზავროს, როგორც ბარგი აკრევენეს ნეტარ ხსენებულ ანტონ კათალიკოზს. მაშინ, უეჭველია, ახალი მეცნიერება იმ სარგებლობას მოიტანს, რომელსაც უნდა ელოდეს მისგან თანამედროვე კაცობრივობა და ჩვენთვის ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ჩვენ ისტორიულ ცხოვრებას, ჩვენ მდგომარეობას და ეხლანდელ გარემოებებს ჩვენი ხალხისთვის არც იარაღი და არც იმედი დაუტოვებია, ერთის მეტი — მეცნიერების ნაყოფის

გონიერთ მოხმარებით ფეხზე წამოდგომა და უმჯობესი მომავლის დამზადება და მოპოება. რაც არ დაგვიტოვა ჩვენ წარსულმა ცხოვრებამ, რაც მოგვეტაცა ბედის და ძველი თაობის ბრმა ძალამ, ის უნდა ვეძიოთ ჩვენ მეცნიერებაში, და მისი ძალით და დახმარებით უნდა გავამზადოთ მომავალი ბედი ჩვენი ქვეყნისა.

IX

მაშასადამე ცხოვრების მიმდინარეობას ჩვენი ახალი თაობისთვის ცალიერი ასპარეზი და გვარიანი იარაღი დაუმზადებია. რანაირათ შეიძლება ამ ასპარეზით და იარაღით სარგებლობა ისე, რომ ახალი თაობარიყვე არ დარჩეს? რა და რა პირობაა საჭირო ჩვენი ეხლანდელი ახალგაზდობისთვის, რომ მისი მოქმედება ფუჭად არ გაქრეს, რომ მისი ძალა ხეირიანათ მოხმარდეს ჩვენ ქვეყანას, რომ იმან სწორეთ ეს სიკეთე მოუტანოს ჩვენ ხალხს, რომლის მოტანის ნებას იმას ბედი და გარემოება აძლევს?

ამის გამოკვლევას დიდი დაეიდარაბა როდი სჭარია. ჯერ ეს ვიკითხოთ, რა საქმე, რა შრომა ადგია კარზე ჩვენ ხალხს? რა საჭიროებები დააფიქრებენ ამ ახლობელ მომავალში ჩვენ საზოგადოებას?

ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში ცხოვრება ისე წაყრუებული და მიძინებული აღარ არის, როგორც ამ თხუთმეტი წლის წინეთ იყო. ვინ არ იცის, რომ გლეხების გათავისუფლებამ ზოგიერთი მხრით ახალი ეკონომიური მდგომარეობა შექნა, რომელიც ხშირათ აფიქრებს ჩვენ საზოგადოებას? ვინ არ იცის, რომ ამ ცვლილებას და სასამართლოების ახალ წესს შესანიშნავი ცვლილებები მოსდევენ ქალაქების და მაზრების გამგეობაში, და — როდესმე — ჩვენში ქალაქების საზოგადოებრივი გამგეობა და ერობა (земство) შემოიღება? ვინ ან იცის, რომ დღეს ჩვენში თითქმის ყოველგან სურვილი იბადება, რაც შეიძლება უფრო სარგებლიანათ გამოიყენონ პატრონებმა თავიანთი მიწა-წყალი და ადგილ — მამული? ვინ არ იცის, რომ ის მოძრაობა სამსა-

ზურის ადგილების შოენისთვის, რომელიც ამას წინეთ ჩვენ საზოგადოებაში სუფევდა, დღეს გვარიანათ გაგრილებული და ძალა-მოკლებულია, რადგანაც ყველასთვის ცხადი საქმე შეიქნა, რომ სამსახურის ხეირიანი ადგილები ყველას ვერ გაწვდება და სანიადაგოთ ყველას ვერ დააკმაყოფილებს? ეს ყველასთვის ცხადია. მაშასადამე შემდეგში ჩვენ საზოგადოებას ბლომათ დასჭირდება სხვა და სხვა ხელოვნებაში და სწავლაში დახელოვნებული ახალგაზდები. როცა საზოგადოების წინ, მაგალითად, ერობის საქმე წარმოდგება, მაშინ ახალგაზდობას მარტო ორი-ოდე გრძნობიერი სიტყვის თქმა როდიღა ეყოფა კაცების თანასწორობაზე. როცა საზოგადოების ხელში, ვთქვათ, შკოლების გაწყობა, საავათმყოფების დაწესება, გზების გაყვანა, ხარკის შეკრება და სხვ. იქნება, მაშინ ახალგაზდობას, კეთილი და პატიოსანი სურვილის მეტი, ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნის გამოჩენა დასჭირდება, იმ ცოდნის, მაგალითად, რომელიც გზების გაყვანას, ხარკის განაწილებას, შკოლე-

ბის მმართვეას და სხვ. შეეხება. თუ მაშინ ახალ-გაზდობას საკმაო წევრები არ ეყოლა, ამ გვარი ცოდნაში დახელოვნებული, თუ, ვთქვათ, იმან თვითონ, თავისი საკუთარის ძალით, ვერ მოახერხა ხალხის საქმეების გამგეობა, რაც შეეხება შკოლებს და მალაზიებს, გზას და ბეგარას სასოფლო და სამაზრო სესხებს და სხვ., შენი მტერია ცუდათ წაეა მაშინ როგორც მთელი ერობის საქმე (რადგანც ძველ თაობას ამ საგნებში სულ არაფერი ესმის), ისე ჩვენი ახალგაზდობის გავლენა საზოგადოებაზე და ხალხზე.

აქედამ ცხადია, რომ როგორც წინანდელი მოაზრება ჩვენ საზოგადოებრივი მეცნიერების საქარობას გვიმტკიცებდა, ისე ჩვენი საზოგადოების ახლობელი მომავალი ჩვენგან ამავე მეცნიერების იმ ნაწილის ცოდნას მოითხოვს, რომელიც სამოქალაქო გაწყობილებას შეეხება. რა რიგით უნდა გაიწყოს ქალაქების შინაგანი მმართველობა, მაზრების და სოფლების წესი და დახმარება, რა უნდა ქნას საზოგადოებამ და ერობამ, რომ ხეირიანათ გააწყოს ადგილობ-

რევი მმართვეა, დაუჩაგრავათ შეკრიბოს ხარკი, საჭიროებისამებრ ხელი გაუწყოს ხალხს და ცალკე პირებს, საკმაო გასაველი უპოვოს ხალხის ძალას, ხეირიანათ გაწვრთნას მისი ქკუა, — ამას ყველაფერს გვიჩვენებს ის სწავლა, რომელსაც უწინ პოლიტიკის ან ადმინისტრაციის სწავლას ეძახოდენ, და რომელსაც ეხლა გერმანიელებმა გკარიანი სახელი დაარქვეს, — *Verwaltungsklehre*. როგორც საზოგადობრივიმეცნიერების შესწავლა, ისე განსაკუთრებით ამ მისინაწილის ცოდნა სწორეთ პირდაპირი მოვალეობა შეიქნა ჩვენი ახალგაზღობისათვის, თუ იმას ჩვენ საზოგადოებაში მოქმედება სურს და უსარგებლო მჭამელათ ყოფნა არ უნდა. ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნით დაიარაღებული ახალგაზღობა, გარემოებების შემწეობით, ხმას ადვილათ ჩაკმეტიინებს ჩვენს ძველს თაობას, რომელსაც უმისოთაც გვარიანი ბურთი უძევს პირში, და როგორც ამ ხმის ჩაკმეტიინებით, ისე იმ სარგებლობით, რომელსაც ის პირდაპირ ჩვენს საზოგადოებას მოუტანს, ის ადვილათ

დააკავებს ჩვენს ზალხის ცხოვრებაში იმ ბედნიერ ადგოლს, რომელიც ზეირიან და ნამდვილათ განათლებულ და პატიოსან ახალგაზდობას უნდა ეკუთვნოდეს.

X

ეხლა ორიოდ სიტყვა იმაზედ უნდა ვთქვათ, თუ რა ნაირი გაწყობილებაა საჭირო, ჩვენი აზრით, თვითონ ახალგაზდებს შუა, რა რიგი საზოგადო მოქმედება უნდა ჰქონდეთ იმათ მხედველობაში, რა გვარი შეერთება ძალისა, რომ მათ შრომას და მოქმედებას რაც შეიძლება უფრო მეტი ზეირი და ბარაქა ჰქონდეს.

შესანიშნაფია, რომ ჩვენ ახალგაზდობაში, რომელიც რუსულ უნივერსიტეტებში ჩემ დროს სწავლულობდა, ხშირათ ყოფილა მოლაპარაკება «საზოგადო საქმეზე და შრომაზე», ხშირათ შემოტანილა აზრი შეერთებაზე და შეერთებულ მოქმედებაზე, მაგრამ არც ერთჯერ ამ აზრს და ლაპარაკს დასკვნა და ნამდვილი დაგვირგვინება არ ღირსებია. თითქმის ყოველს

თვის ახალგაზდები საქმეს ცხარეთ და ხალი-
სიანათ ეკიდებოდენ, მაგრამ ყოველთვის, ორიოდ
სხდომის შემდეგ. ალტაცება და ხალისი ჰქრებო-
და, ტყდებოდა აყა-მაყალი რამე უბრალო საქ-
მეზე ან კითხვაზე. შესდგებოდა «პარტიები»
და საქმის მაგიერ გამოდიოდა უსაფუძვლო გან-
ხეთქილება და საყვედური. ვინც ამ საბრალო
უხეირობის მიზეზს მართლ სიყმაწვილეს და გა-
მოუცდებლობას მიაწერს, ის, ჩვენი აზრით, დი-
დათ შეცდება. სიყმაწვილე და გამოუცდებლობა
ისეთი ბრმა ძალა როდია, რომელსაც ყოველი
საქმის წახდენა შეეძლოს; სხვაგანაც კი ყოფი-
ლა ახალგაზდა წრეები, მაგრამ სიყმაწვილეს
მათთვის საქმის გარიგება როდი მოუშლია. და
რაც კი გამოუცდებლობას შეეხება, ვთქვათ პირ-
ველჯერ მართლა გამოუცდებლები იყვნენ ჩვენი
ყმაწვილები, მაგრამ მეორეჯერ, მესამეჯერ, მეა-
თეჯერ? არა, ამ უსარგებლო ძალისა და ცდის
კარგვის მიზეზი სულ სხვა იყო. მაშინდელი
ჩვენი ახალგაზდები, უმეტეს ნაწილათ, ისეთ საქ-
მეს ჰკიდებდენ ხელს, რომელსაც პრაქტიკული

მნიშვნელობა და მოძრაობა არ უნდა ჰქონო-
და, ან არ მიეცემოდა ნამდვილი საქმის და შრო-
მის უქონლობისგამო. ახალგაზდობის ძალა და
მოქმედების ხალისი ბაასში და ერთმანეთთან
შეტაკებაში იხარჯებოდა. მთელ თვეების გან-
მავლობაში ყმაწვილები სხვა და სხვა «უსტა-
ვებს» სჯიდენ, სჩხრეკდენ, აწესებდენ,—იმისი
არ ეყოს, ეშმაკს ლეინო არ ჰქონდა და ტიკ-
ჭორას კი აღბობდაო. და ამ სჯისა და გარკვე-
ვის დროს უნებურათ სტყდებოდა უთანხმოება,
სამღურავი, განხეთქილება და ერთმანეთის სი-
ძულვილი.—დიდხ ხანია ნათქვამია, რომ არა-
ფერი არ სტეხს იმოდენ აყალ-მაყალს და სამ-
ღურავს კაცებს შუა, როგორც უსაქმოება და
ერთ პაწაწა უმოქმედო წრეში ცხოვრება. სწო-
რედ ამგვარ მდგომარეობაში იყო უწინ ჩვენი
ახალგაზდობა. მთელი მისი ძალა და ხალისი
ერთმანეთის გაწიოკებაში იკარგებოდა, სწო-
რეთ ისე როგორც თავმოკრულ ქოთანში დამ-
წყვდევულ კიბოებს მოუდით. მეორე მიზეზი
უფრო სანუგეშოა. არაფერი არ აახლოვებს

კაცებს ერთმანეთს შუა ისე, როგორც საზოგადო მტერის ან მოწინააღმდეგის ყოლა. როცა ეს მტერი ახლოს დგას, როცა ის თვალგამოხილულა, კაცი ინსტინქტით უახლოვდება თავის მოძმეს და წერილმან განსხვავებას და უთანხმოებას როდილა იხსენებს, და როცა სტყდება ბრძოლა, მაშინ ხომ სრულიად ივიწყება ყოველგვარი განხეთქილება და ერთი რაზმი მეზობლები თითქმის ერთ გეგმს, ერთ თავს და ერთ მკლავს შეადგენენ. მაშინდელი ჩვენი ახალგაზღობა ნამეტნათ მოშორებული იყო როგორც მტერზე, ისე სამშობლოზე. იმას თიქოს ბურუსში აგონდებოდა, რომ ერთი თვის სავალზე. მთებს გადაღმა, სამშობლოში, ცხოვრებს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მუხანათს იმან ოდესმე ანგარიში უნდა გაუწმინდოს, და ამ ანგარიშის გაწმენდაში მისი მოძმე ახალგაზდა, რომელიც დღეს მის გვერდით დგას, საჭირო ან სასარგებ-

ლო იქნება. ეს ყველაფერი იმას კარგათ არ
 ესმოდა, ნამდვილათ იქნება არც კი სჯეროდა.
 დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. დღეს რკანის
 გზებმა ჩვენ ახალგაზღვრებას სამშობლო დაუახ-
 ლოვეს. დღეს შინისკენ გასეირნება ადვილია.
 ფოჩტა ათ დღეში მოდის, «დროებასაც» ხში-
 რათ მოაქვს საქართაელოს ამბები. დღეს უფ-
 რო ცხადათ სჩანს თუ ნამდვილი ბრძოლა არა,
 დრო გამოშვებითი შეტაკება მაინც. დღეს უფ-
 რო ნათლათ იჩენენ თავს მოწინააღმდეგენი,
 და გულხელ დაკრეფა, გულგრილი მაცქერალო-
 ბა სასასირცხვო საქმეთ შვიქნა. დღეს სჩანს საქ-
 მე, სჩანს ასპარეზი, სჩანს გამარჯვების იმედი, სჩანს
 ნამდვილი რწმუნება, რომ ხეირიანი და გონიერი
 ახალგაზდა უსარგებლოთ როდილა გაატარებს
 თავის სიცოცხლეს, თუ კი სარგებლობის მო-
 ტანა მოიწოდება. ეს არაფერი არ სჩანდა უწინ,
 როცა ჩვენი ახალგაზღვრება თავის უმჯობეს
 დროს, უბედნიერეს წელიწადებს უსარგებლოთ
 და უნაყოფოთ ჰკარგვიდა პეტერბურგის და მოს-
 კოვას ქუჩებში და აუდიტორიებში. ვინ იტყვის?

რომ ამ ცვლილებას ჩვენ ახლანდელ ახალგაზღობაში სულ სხვა ნაირი შრომის და მოქმედების აღძრვა არ უნდა შეეძლოს?

მართალია, ეხლაც სუფევს ჩვენ ახალგაზღობაში სხვა და სხვა ნაირი აყალ-მაყალი თუ არა, უთანხმოება მაინც. მაგრამ ეს ახალგაზღობის ხვედრია, და უამისოთ ახალგაზღობა ახალგაზღობაც არ იქნებოდა. მაგრამ დღეს შეუმეტეს ნაწილში უფრო თეორეტიკული, ვინემ პიროვნული უთანხმოება შექინიშნავს. ზოგიერთი, მაგალითათ, ამტკიცებს, რომ კაცისათვის და ჩვენი ახალგაზღობისთვის უფრო საჭიროა გონება გამხანელი მეცნიერების შესწავლაო, და ამის გამო უნივერსიტეტისაკენ იწვევენ, ანა და სხვა და სხვა სამეცნიერო და საზოგადოებრივ თხზულებებს ეწაფებიან. სხვები, იმათ წინააღმდეგათ, ქადაგებენ არაო, ჩვენთვის და კაცისათვის უფრო საჭირო ის სწავლა არისო, რომელსაც ლუკმა პურის მოცემა შეუძლიაო, და ამის თანახმათ უფრო ტექნიურ მეცნიერებებს და სასწავლებლებს მისდევენ. ცხადია,

რომ იმათი, «ბრძოლა», თუ ამას ბრძოლა დაერქმევა, დიდხანს ვერ გაგრძელდება, და ვერც მარტო ბაასით გათავდება. თვითონ ცხოვრება, რამდენიმე წლის შემდეგ დაანახებს ჩვენ ახალგაზღვრებას, რომ არც მარტო «გონება გამხსნელი» მეცნიერება ვარგა, თუ კაცს მასთანავე ისეთი ცოდნა არა აქვს, რომელსაც ცხოვრებაში პრაქტიკულათ გამოდგომა შეუძლია, და არც მარტო ცეხნიური მეცნიერება, თუ კაცი გონება გაუხსნელია და ვერც ცხოვრებას იცნობს. ვერც მის კანონებს, ვერც მის მოვლენებს, და ამ რიგათ თვითონ იმ მაშინას ემსგავსება, რომლის მოვლა იმას მაშინაღურით ასწავლეს. ვიმეორებ, ამ გვარი დავა აუცილებელია, და თუმც მისი მიზნებით, ორიოდ ან ოციოდ ახალგაზდა ნადვილი განათლების გზას ასცილდება, ეს ისეთი მსხვერპლია, რომელიც ცხოვრების მიმდინარეობას ჩვენთვის გაუწესებია. რა ჩვენი ბზალია, რომ კაცი დედამისის მუცლიდან სრულიად გონება გახსნილი და თვალ ახელილი არ გამოდის, გა-

ნა ჩვენ დაგვიწესებია, რომ მის გამოცდილებისთვის აქა-იქ ხეტიალი და ტენის ქცევაა საჭირო?

ამისთანა უთანხმოება და განხეთქილება დიდ ხანს ვერ გაძლებს, და ადრე თუ გვიან გაჰქრება ახალგაზდობაში. ამასთანავე თან და თან უფრო და უფრო გაიღვიძებს შეერთების სული, რაკი შეერთებული შრომა საზოგადო მიზნისთვის უფრო და უფრო საჭირო და აუცილებელ საქმეთ გამოჩნდება. მაშინ, უეჭველია, ჩვენი ახალგაზდობა უფრო მეტ მოხერხებას და გულდადებას გამოიჩენს ჯერ შეერთებულ შრომაში საბრძოლველათ დამზადებისთვის, და მერმე თვითონ მოქმედების დროს ცხოვრების ასპარეზზე. ამ იმედის ნებას და ამ მომავალის მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენ ერთი შესანიშნავი საქმე, რომელიც გამოუწყიათ ზოგიერთ ჩვენ ახალგაზდებს ციურიხში, და რომელიც, იმედია, ამ მოკლე ხანში, სხვაგანაც დაარსდება, სადაც კი ჩვენი მოსწავლე ახალგაზდები ბლომათ იმყოფებიან.

აი რაში მღგომარეობს ეს საქმე.

XI

ციურიხში ამჟამათ ათიოდე ჩვენებური ახალ-გაზდა სწავლულობს, ზოგი უნივერსიტეტში და ზოგი პოლიტექნიკაში. არ ვიცი ბედათ უნდა ჩეთვალოს იმათ ეს, თუ უბედობათ, მაგრამ რადგანც მათ ციურიხელ დიპლომს ჩვენში ადგილის შოვნის ძალა არ ექნება, ეს ყმაწვილები ნამდვილი სწავლის, ნამდვილი ცოდნის მიღებას უნდა ცდილობდენ, თორემ მათი ღვაწლი და მგზავრობა ფუჭეთ ჩაივლის. ამ მიზეზითაა, თუ სხვით, — ესე იგი შვეიცარიელ ცხოვრების წახედვით, იმათ განუზრახავთ, ისეთ ნაირათ წაიყვანონ თავიანთი სწავლა და ისეთ-რიგათ გამოიყენონ უთიერთის ძალა და ცოდნა, რომ ყველას მათგანს შრომა გაუადვილდეს და ნამყოფათ ხეირიანი დამზადება და გონების გახსნა დარჩეს. ამ მიზნის მისაღწეველათამ ყმაწვილებს გადაუწყვეტიათ, უფრაზებოთ, უმფოთოთ, და უაყალ-მაყალოთ, ისეთი ძმური ამხანაგო-

ბის ან საზოგადოების შედგენა, რომელშიაც თითოეულ წევრს მოვალეობა ექნება ერთი რომელიმე საგანი შეისწავლოს და დანარჩენ წევრებს თავისი ცოდნა ამ საგანზე გაუზიაროს. რადგანც მარტო ცალ-ცალკე საგნის შესწავლის გარდა, კაცს თანამედროვე საზოგადოების და ცხოვრების ცოდნაც სჭირია, იმათ ერთმანეთში გაუნაწილებიათ ახალი ისტორიის შესწავლა სხვა და სხვა ევროპიელი ხალხებისა, გაზეთებისა და ჟურნალების კითხვა სხვა და სხვა ენებზე, ზოგიერთი ჩვენ ცხოვრებაში გამოსადეგი საგნების გაცნობა და სხვ. და სხვ., და კვირაში ერთხელ, დანიშნულ დღეს, ისინი იკრიბებიან, და თითოეული მათგანი დანარჩენს უკითხავს, რაც შესანიშნავი რამ ნახა თავის არჩეულ საგანში. ამ ნაირათ ყოველი წევრი სარგებლობს არა თუ თავისი საკუთარი შრომის ნაყოფით, მაგრამ დანარჩენი ცხრა კაცის შრომითაც, და იტყობს ისეთ ამბებს, ისეთ ცნობებს, რომელსაც, მარტო რომ ყოფილიყო, ან ენების უცოდნელობით, ან დროს უქონელობით, ვერ

შეიტყობდა, ან ვერ გაიგებდა. რადგანაც ამ ყმაწვილებს ეს საქმე გამოუწყიათ უფრო იმისთვის, რომ ერთმანეთს სწავლა და შრომა გაუადვილონ, იმათ როდი რცხვენიათ ერთმანერთის გამოკითხვა უცნობ საგნებზე, ან თავიანთი უცოდინარობის გამოჩენა. ისინი თავიანთ თავს შეუცდომელ ბრძენებათ კი არა, მოსწავლე ახალგაზრდებათ სთვლიან. ამისგამო, თითოეული წევრისაგან წარმოდგენილი «ანგარიშის» წაკითხვის შემდეგ, იწყება თურმე გამოკითხვა, ახსნა, დამატება, გარკვევა და სხვ. ისე, რომ ანგარიშის საგანი გვარჯიანი სინათლით იბეჭდება მსმენლების გონებაში.

რალა თქვა უნდა, რომ ეს მეტის-მეტათ სასარგებლო და მომავალიანი საქმეა, მით უფრო, რომ ამ ყმაწვილებს, როგორც გავიგე. ძლიერ მტკიცეთ სურთ როგორც საფუძვლიანი სწავლის მიღება, ისე თანამედროვე ისტორიის გაცნობა, იმ მიზნით, რომ შემდეგში, სწავლის დასრულების მერმე, სასარგებლო და გამოსადეგწევრებათ შეიქნენ ჩვენი საზოგადოების და ქვეყ-

ნისა. თუ ღმერთმა ქნა და ეს ცდამტკიცეთ დაფუძნდა, თუ ამ ყმაწვილების აზრი ასრულებაში მოყვანილი შეიქნა, და ხანგრძლივი ცხოვრება და მოქმედება ექნა იმ წრეს, რომელიც იმათ დაუარსებიათ, უეჭველია, რომ მათ საქმეს ჩინებული ნაყოფის მოტანა შეეძლება ჩვენი უბედური საზოგადოებისთვის. მაგრამ თუ, საუბედუროთ, იმათი წრეც ისე უნაყოფოთ დაიფანტა, როგორც უწინდელი ჩვენი ახალგაზდების წრეები, მაშინ ის სიკეთე მაინც დარჩება, რომ ამ ყმაწვილებს უპრეტენზიო და სასარგებლო ამხანაგობის დაარსების აზრი მოსვლიათ, რომ მათ საქმეს ჩინებული მომავალი მოელოდა, დამაარსებლებს საქმის წაყვანაში იგივე პრაქტიკული გონიერება რომ მოეხმარათ, როგორც თვითონ საქმის გამოძებნაში და დაწესებაში გამოუჩენიათ. სულ არაარაობას ესეც სჯობია, მით უფრო, რომ რაც ერთ ალაგას არ გაიხარებს, იქნება, სხვაგან გამოდგეს.

XII

ეს ჩინებული მაგალითი, თვითონ ციურისში უნაყოფოთაც რომ დარჩეს, მაინც გამოსადეგი და მიბაძვის ღირსი იქნება ჩვენი ახალგაზდობისთვის, მით უფრო, რომ მისი ხეირიანი გამოყენება ჩვენ ბევრ მცოდნე და დამარაგებულ ახალგაზდას დაგვიმზადებს. ერთათ სწავლა, ერთმანერთის ხელის გაწყობა რჩევით და სწავლის წყაროების ჩვენებით მარტო სწავლას კი არ გაადვილებს ამხანაგობის წევრებისთვის: ის თითოეულ მოზიარეს წაახლისებს, წააქეზებს და ძალას მოუმატებს საერთო შრომისათვის; ეს კიდევ არაფერია; უფრო ძვირფასი ის არის, რომ თუ საქმე კარგათ წავიდა, ამ გვართ მოსწავლე ყმაწვილებში ხასიათი გამოიზრდება, ის საზოგადოებრივი ხასიათი, რომლის ნაკლულევა-ნობა დღეს ასე მძიმეთ აბრკოლებს ჩვენ სამშობლოს, და რომელიც მხნე მშრომელებს ზღის სამშობლო საქმისთვის. შეჩვიებული სწავლის შემწეობით ჩვენში შეერთებული შრომის შეძ-

ლება დაარსდება. ყმაწვილები ერთათ შრომას, ერთათ რაზმში დგომას, ერთმანეთის კლავში კლავის გაყრას შეეჩვევიან, და ამით ჩვენი ახალი თაობის ძალა ერთი ათათ და ერთი ასათ გადიდდება. დღეს ჩვენ ის ნაკლულოვანება გვჭირს, რომ თითოეულს ჩვენგანს უნდა, რომ ყველა დანარჩენი მისვე კალაპოტზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასიათი ჰქონდეს, მისსავეთ ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსათ მოქმედებდეს. ეს შეუძლებელი და უსარგებლო, თითქმის საენებელი საქმეა. დაახლოვება შეერთებული შრომის და სწავლის დროს თითოეულ ყმაწვილს უფრო დამშვიდებულ და მტკიცე შეხედულობას მისცემს ამ საქმეზე. ის დაინახავს, რომ თუ კი სხვას მისივე უმთავრესი მიზანი და მისივე პატიოსანი ხასიათი აქვს, წვრილმან გარემოებებში და საგნებში განსხვავება საენებელი და დასაწუნარი როდია. უწინ, მაგალითად, ყველას აუცილებელ საქმიანებათ მიაჩნდა «სერიოზულობა», მძიმე, დამჯდარი ხასიათი და სხვ. და ვინც ხშირათ ხუმრობდა

ან რცინოდა, იმას ცუდი თვალით უყურებდნენ. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ საზოგადო საქმეში ყოველნაირი ხასიათი გამოსადეგია, თუ კი მიზანი და პატიოსნება ყველას ერთი და იგივე აქვს. დღეს ყველას ესმის, რომ საზოგადო საქმეს როგორც ერთის დამჯდარი მოაზრება, ისე მეორის მკლავი დაცინება და მესამის ხალისიანი საქმის გამოხატულება ეხმარება. აი ამ სხვა და სხვა გვარი ხასიათების და ტემპერამენტების გონიერ შეერთებას, ერთი და იმავე მიზნის მასალწველათ, დაასწავლის ამხანაგური სწავლა სიყმაწვილეში. და რაც უფრო დიდხანს გაძლებს ამნაირი ამხანაგობა, მით უფრო მტკიცეთ დაფუძნდება ჩვენ ახალგაზდობაში გონიერი სულგრძელება წერილმან განსხვავების და უთანხმოების შესახებ და შეურყეველი, დაუვიწყარი მოთხოვნილება უმთავრესი საზოგადო მიზნისა და ხასიათის პატიოსნებისა.

XIII

ამ ნაირათ, აღრე თუ გვიან, ჩვენ საზოგადოებას შეეძინება გვარიანათ დამარაგებული ახალ-

გაზდობა, რომელსაც პატიოსან მიმართულებას გარდა საფუძვლათ ცოდნა და მოხერხება ექნება. მაგრამ უსარგებლო არ იქნება დაუმატოთ აქვე, რომ ამ პატიოსან მიმართულებას, ამ ცოდნას და მოხერხებას ერთი ძვირფასი თვისება უნდა აგვირგვინებდეს, თუ ახალგაზდობას თავისი ძალის და სწავლის ხეირიანათ მომზადება სურს.

ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენში, ნამდვილი ბრძოლაა. ვისაც ჩვენში ცხოვრება და მოქმედება სურს, — თუ კი იმას ცხოვრება ჯამაგირის ან შემოსავლის ქეიფიანურ ხარჯვათ არ მიაჩნია — ის თავის საქციელს და მოქმედებას ისე უნდა აწყობდეს, თითქოს საბრძოლველათ ემზადებოდეს. ამისთვის აუცილებელი საჭიროა ამხანაგებთან დაახლოვება, საერთო მოქმედების დამარაგება, საერთო პლანის გაწესება, ისე, რომ მთელ ახალგაზდობას არათუ მარტო საერთო მიზანი, მაგრამ საერთო გზაც ჰქონდეს. ახალგაზდობას მისი რიცხვის სიმცირე ასუსტებს, და ამას ყველაზე უფრო ადვილათ ძალისა და

ლონის გონიერი მოხმარება მოუხდება. ჩვენ ამ გონიერ ძალის მოხმარებას უნდა შევეჩვიოთ, უსარგებლო მიდებ-მოდებას თავი უნდა დავანებოთ და იმ რიგი გაწყობილება უნდა მივცეთ ჩვენ ძალას და რაზმს, რომ თითოეულის შრომას პირდაპირი და ჯეროვანი სარგებლობა მოჰქონდეს. ჩვენ ერთი სურვილის, ერთი ნების, ერთი აზრის და ერთის მოქმედების ქონვას უნდა შევეჩვიოთ, რომ ჩვენი გონიერი მოქმედებით, ჩვენი შეერთებული და ერთ მიზნისკენ მიდრეკილი ძალით, ჩვენი დისციპლინით უკანასკნელი შეხი დავეცეთ ჩვენს ძველ თაობას და დამპალ ცხოვრებას. მარტო ამ რიგი ამხანაგური გაწყობილებით შეგვექლება ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესება და პატრონობა. მარტო ამით შევიძენთ ჩვენ საზოგადოებრივ ძალას, მარტო ამით მოვიპოვებთ საზოგადოების თანაგრძნობას და ხალხის თანხმობას... და, მგონია ეს მიზანი კი ღირს იმათ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თავისი თავმოყვარეობა მსხვერპლათ

მოუტანოს საზოგადო საქმეს და ამხანაგურ დისციპლინას.

პარტიებზე ბევრი რამ იყო თქმული, მაგრამ ის კი ბევრს არ ახსოვს, რომ ყოველ საზოგადოებაში, რაგინდ ჩამოვარდნილი და ბნელი იყოს ის პოლიტიკური მხრით, აშკარათ ან მალულათ სდუღს პარტიული ცხოვრება. ეს ჩვენშიაც ასეა. ჩვენშიაც ძლიერ განსხვავებით და მტკიცეთ იხატება პარტიების მოქმედება, პარტიულ ცხოვრება. და როცა პარტიებსშუა ბრძოლა სდუღს, როცა გაცხარებული წინააღმდეგობა და ქიშპობა იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას უნდა ერგოს საზოგადოების წინამძღოლობა და ერის თმოსნობა, საქმე თითქმის ყოველთვის იმ პარტიის სასარგებლოთ სწყდება, რომელსაც არათუ მარტო ხეირიანათ დამზადებული წევრები ჰყავს, თან გონიერი გამოყენება შეუძლია თავისი წევრების ძალისა და ცოდნის. ამ გამოყენების ნებას მარტო ერთობა, მარტო დისციპლინა აძლევს პარტიას. ამის მაგალითების მოყვანა განა საჭიროა? ეს ისეთი ცხადი საქმეა,

რომ მისი გაკერით ხსენებაც საკმაოა, ყველასთვის, ვინც ამ საგანზე როდისმე დაფიქრებულა, ან ვისაც დაფიქრება შეუძლია. აქ კი ის უნდა დაუმატოთ, რომ პარტიების ცხოვრებაში საქმე მარტო ბრძოლაში როდი მდგომარეობს. ყველაზე უფრო მძიმე და გავლენიანი საქმე, პარტიებისთვის, იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიხმარს რომელიმე პარტია თავის გამარჯვებას, რას გაარიგებს და გააწყობს ის, როცა ბრძოლის ასპარეზი ხელში დარჩება, როგორ გამოიყენებს ის თავის გავლენას და დააგვირგვინებს თავის შრომას. რაც უფრო ხეი რიანათ და დაუფანტველათ ხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენა, მით უფრო და უფრო სუსტდება მისი წინააღმდეგი პარტია, მით უფრო ძლიერდება საზოგადოების მყუდროება და ბედნიერება. ეს გარემოებაც უნდა იქონიოს სახეში ჩვენმა ახალგაზდობამ, რომ მისი დამზადება მარტო ეხლანდელი პარტიების წინააღმდეგ მოქმედებაში ან ბრძოლაში არ მდგომარეობ-

დეს, მაგრამ თავისი საკუთარი სამხეირო გაწყობილების და მოაზრების წარმოდგენა შეეძლოს..

XIV

ახლა მკითხველი მეტყვის:—ეს ყველა ყველაო, მაგრამ რისთვის, ან რა მიზნით დაგიწერია ამსიგრძე ქადაგებაო. ეს მე თავში უნდა ამეხსნა, მაგრამ რადგანც იქ არ ამიხსნია, ეხლა მაინც შევასრულებ ამ მოვალეობას, და ვიტყვი რამ გამოძათქმევინა ეს შენიშვნები და მოაზრება.

ჯერ ეს უნდა ვთქვა, რომ ეს მძიმე «ქადაგება» საყოველთაო დაწერილი არ არის. ის იმათთვისაა დანიშნული, ვისაც სმენა და გაგონება აქვს. ამას გარდა, ამ ნაწერში მოყვანილი შენიშვნები, უმეტეს ნაწილათ მაინც, ჩვენი ახალგაზღვრებისგან გამოთქმული აზრები და კითხვებია. მე იმათთვის ყოფი მომიკრავს აქა იქ. შემითანასწორებია, შემეიწრთებია და ხელახლავ ერთიანათ იმათთვის წარმიდგენია. ვისგანაც გაგონი-

ლი მქონდა ზოგიერთი კერძობითი შენიშვნა. ამას გარდა ცხოვრების დაკვირვებამ დამარწმუნა მე, რომ ჩვენი ახალი ახალგაზდობა ბევრი აღარ ჩამოგავს უწინდელ თაზბას, ბევრი მხრით წინ წასულა იმაზე და იმ სურათს დამსგავსებია, იმ იდეალს დაახლოვებია, რომელიც ჩვენ გვენატრებოდა. და რადგანაც ამ ნაირათ გაუკეთესებული ახალგაზდობის ძალის დაკარგვა ათასჯერ უფრო გულმომაკვდინებელი იქნებოდა ვინემ უწინდელი ყმაწვილების გამოუდგომლობა, ჩვენ საქიროთ დაეინახეთ ორიოდე რჩევის და შენიშვნის მიცემა, ორიოდე გაფრთხილების და სურვილის გამოთქმა. ეს ჩვენი მოვალეობაც იყო და თან ჩვენი საქმისთვის გამოსადეგი საქციელი: ექნება ნაწერს კეთილი შედეგი თუ არა, მოიტანს ის იმ სარგებლობას, რომელსაც ჩვენ მისგან მოველით, თუ არ მოიტანს ამას, ამომავალი გვიჩვენებს. მაგრამ, მომავალს, რომ თავი დაეანებოთ, აწმყოც საკმაო საფუძველს გვაძლევდა ამ გრძელი «ქადაგების» დაწერისთვის. ეს საფუძველი მე საბოლოოთ დაეი-

ტოვე, და ეხლა მისი გამოხატვით ჩემ ქადაგებას დაეასრულებ.

XV

რა თვალითაც უნდა უყურებდეს კაცი ჩვენს უწინდელ ახალგაზდობას, რა კი იმას გვერდით ეხლანდელს, ახალთაობას დაუყენებს, ერთი უმთავრესი შენიშვნა მაშინვე აზრში მოუტყა. უწინდელი თაობა არა თუ მარტო დაუმზადებელი და დაუიარაღებელი იყო, იმას საკმაო სიმტკიცე, არ ჰქონდა ხასიათში, ის სიმტკიცე რომელსაც კაცს მისი სიტყვის და მოქმედების თანახმობა აძლევს. სიტყვით უწინდელი ახალგაზდობა ერთს ამბობდა, და საქმით მეორეს შერყობდა. მის ზნეობით ცხოვრებაში რალაც საზარელი განხეთქილება მოჩნდა, რომელიც თითქმის სრულიად აბათილებდა იმ ჩინებულ აზრებს, რომლის მქადაგებლათ ეს ყმაწვილები გამოდიოდნენ. ისინი საქციელით თითქო შერიგებას ეძებდნენ ძველ თაობასთან, და ძლიერ ბევრ თავაზიანობას იჩენდნენ ძველი ცხოვრების შც-

სახებ იმათში საკმაო რწმუნება არ მოიძებნებოდა, და თან თავგამომეტება, ნიადაგი მიზნისკენ ლტოლვა: ამის მაგიერ სჩნდა მუდამი უხასიათობა, თავის დაღუნვა, გულხელ დაკრეფა, მცირედი, თითქმის შეუნიშნავი ნამყოფით დაკმაყოფილება.

ეხლანდელი თაობა უფრო მტკიცე და უფრო ძნელი დასაკმაყოფილებელია. ის შერიგებას როდი ეძებს: ის დარწმუნებულია, რომ შერიგება შეუძლებელი საქმეა, სანამ ერთი თაობა მეორეს სრულიად არ დაემორჩილება და იარაღს არ დაყრის. და რადგანაც იმას თვითონ იარაღის დაყრა არ სურს, ის ცდილობს ძალით დააყრევინოს იარაღი თავის მოწინააღმდეგეს. იმას იმედი და რწმუნება უღვივის გულში. მისთვის პატიოსანი მიმართულება მარტო ლაზათიანი სიტყვების გამოთქმაში კი არა, საქმით გამოიხატებოდეს. ის საქმეს ეძებს და აფასებს. და, — ეს ყველაზე უფრო შესანიშნავია — იმას დიდათ არაფრათ უღირს გაჭირვების ან შევიწროვების გამოვლა იმისთვის, რომ მისი მოქ-

მედება და საქციელი მის სიტყვებს ეთანახმებოდეს. ის თავის გამარჯვებას არც სხვის დახმარებაში ეძებს, არც უნაყოფო დიპლომატიაში, არც გულ ხელ-დაკრეფილ ცდაში. იმას მარტო თავისი საკუთარი თავის, საკუთარი შრომის, საკუთარი ძალის იმედი აქვს. და ეს იმედი იმას იმ ძვირფას ფანატიზმს აძლევს, ურომლოთაც არ გარიგებულა არც ერთი შესანიშნავი საქმე, ურომლოთაც არ მოპოვებულა არც ერთი გამარჯვება. ის დილიდამ საღამომდი იმას კი არ ფიქრობს, რომ იქნება ამ ჩემმა სიტყვამ ამ ჩემმა მოქმედებამ გამოყრუებული ლაზარე ყვინცარიძე ან გოდორ-ბატონი გააბრაზოს, ან შეაწყინოსო. ის იმას არც კი დაეძებს, ყურადღებასაც არ ათხოვებს, იმას მარტო ახალი თაობა, ახალი ახალგაზღვრება და ხალხი ჰყავს. მხედველობაში, მარტო მისი თანაგრძნობის მოპოება სურს, მარტო მის გულგრილობას ერიდება. ამ გრძნობით, ამ სურვილით, ამ ალტაცებით ბევრი ჩინებული საქმის გარიგებაა შესაძლებელი, და რომელი თავხედი იტყვას, რომ თვითონ საზო-

გაღო მიზნის მიღწევაც შეუძლებელი იქნეს, როცა ბლომათ გვეყოლება ამისთანა ყმაწვილები?

აი, ეს ახალი მიმართულება გვაიმედებს და ძალას გვაძლევს ჩვენ; ახალი თაობა, თავისი რწმუნებით, თავისი იმედით, თავისი მხურვალე სურვილით და აღტაცებით გვაახლოვებს ჩვენ იმ მიზანს, რომელიც გულ მომაკვდინებელ სიშორეში გვეჩვენებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში ფეხი შევადგით. და როცა ამ ახალი თაობის მომავალ მოქმედებაშია მთელი ჩვენი იმედი და რწმუნება, როცა მისი მომავალი ჩვენთვის ჩვენი საკუთარი მომავალია, განა დაგვეძრახება იმ აზრების და შენიშვნების გამოთქმა რომელიც, ჩვენი აზრით, ამ თაობას გამოადგება და შრომას და მოქმედებას გაუადვილებს?

XVI

მაშ, მივატოვოთ მკვდრები და მომაკვდავები, თუ კი ჩვენ საკუთარ თავში ჩვენ საკმაო იმედს და ძალას ვვრძნობთ, და ვეცადოთ ხეიროანი

მოქმედებით, გონიერი ძალის შეერთებით, ჭკვიანური საქმის წაყვანით დაეიმსახუროთ და დაეიკაოთ ის ალაგი, რომელიც ხალხს ცხოვრებაში ცოდნას და პატიოსნებას უნდა შეკუთვნოდეს. ამ ასპარეზზე ახალ ახალგაზღვრებას საშიში ან ძლიერი მოწინააღმდეგე არაფერია. მინდორი ვალიერია, მაგრამ ზედმეტად ურგობალახ-ბულახი და ტალახი იპოვება, როცა ამასაც გასწუმენდო, როცა მინდორი უფრო და დამზადებული იქნება; მაშინ ნამდვილათ ასრულდება ჩვენი ჩინებული პროექტის აღმტაცი სიტყვები:

«თუ კი აწმად გვწულებს, მომავალი ჩვენია!»

ნ. სკანდელი.



5 825
1873